

საქართველოს თეატრალური საზოგადოება

აკოდონ ცანავა

ქართული  
მესვენიერი კოეზია

გამომცემლობა „ხელოვნება“

თბილისი

1963

## თავი I

### ცნობები სტვირისა და მესტვირის შესახებ

სტვირი, შემდეგ კი მისი გაუმჯობესებული სახე გუდასტვირი, ქართველი ხალხის ერთ-ერთი უძველესი ეროვნული საკრავია. მის სახელთან დაკავშირებულია მრავალსაუკუნოვანი მესტვირული პოეზიის ტრადიცია.

სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით, „სტვირი სასტენავი“-ა, „მესტვრე — სტვრის მკურელი“, ხოლო „ზურნა სხვათა ენაა, სტვრი ჰქიან ქართულადო“, „ზურნაიკი მწყემსთ ნესტვია“, ნესტვი კი „რადც საკრავი განკურეტილნი არიან, ნესტვად ითქმიან (31,6 რიცხვ.)“. ნესტვი, — წერს ივ. ჯავახიშვილი, — „ფართო მნიშვნელობის მქონებული სიტყვაა და ზოგადად ყოველნაირი მილის აღმნიშვნელი იყო. მაგრამ, თუ აღამიანი ჩაუკვირდება, დარწმუნდება, რომ თავდაპირველად ნესტვი მხოლოდ სტვენის ცნების გამომხატველი უნდა ყოფილიყო და ისეთი საგნის, ანდა ნაწილის აღმნიშვნელად არის საგულისხმებელი, რომელიც უსტვენდა“<sup>1</sup>. თუ სტვირი სასტვინავია, ხოლო ნესტვის თავდაპირველი თვისება სტვენის ცნების გამომხატვა იყო, უდავოა, რომ ნესტვი და სტვირი სინონიმებად გვევლინებიან. თეიმურაზ II ამბობს: „მენესტვეებსა მოასხმენ იქ დასაკრელად სტვირითო“<sup>2</sup>, საიდანაც ჩანს, რომ მენესტვეების პროფესია

<sup>1</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები, თბილისი, 1938, გვ. 99.

<sup>2</sup> თეიმურაზ II, თხზულებათა სრ. კრებ., გ. ჯაკობიას რედ. თბ., 1939, გვ. 71.

ყოფილა სტვირის დაკვრა. მენესტვე მესტვირის სინონიმია. 1884 წ. გამოცემული „ბიბლიის“ II მეფეთა VI<sub>5</sub>-ში ვკითხულობთ: „ხოლო დავით და ძენი ისრაელისანი ვიდოდეს წინაშე უფლისა მროკველნი ორღანოთა შეკმობილითა ძლიერთა. და გალობითა, ებნითა, და წინწილითა და ბობღნითა და საყვრითა და სტვრებითა“. ბერძნულში სტვირების შესატყვისი არის „ავლოჲს“, რაც ქართულად დუდუკს, მილს ნიშნავს. მილის აღმნიშვნელი სიტყვა უძველეს ქართულში ყოფილა „ნესტუი“. ორიგინალური ქართული ძეგლი „სინანულისათვის და სიმდაბლისა“, რომლის შექმნა VI საუკუნის პირველ ნახევარსა და VII საუკუნის პირველ ნახევარს შორის არის დადებული<sup>1</sup>, საინტერესო ცნობას გვაწვდის „ნესტუის“ თავდაპირველი ბუნების გასარკვევად. „რამეთუ სტომაქი მოიღწობს საქმელსა და სიპოხესა მისსა მისცემს ნესტუთა მათ ღვძლისათა და ნაწლევნი შეიწყნარებენ“<sup>2</sup>, შემდეგ, „...და გული განუყოფს სისხლსა მას ცხოველობისასა ყოველთა ნესტუთა გუამისათა“<sup>3</sup>... კ. კეკელიძე განმარტავს: „ნესტუი ღვძლისა — ნასვრეტი, πορϕ“<sup>4</sup>. როდესაც ბერძნულიდან სათარგმნი შეიქმნა „ავლოჲს“ და ქართულში სიტყვა „მილი“ არ არსებობდა, მას შეესატყვისა „სტვირი“ ან „ნესტუი“. ამიერიდან „ნესტუის“ თავდაპირველი ფუნქცია (ნასვრეტი, πορϕ) შესცვალა მისი, როგორც საყვირის, ჩასაბერი საკრავის ფუნქციამ. სტვირი და ნესტუი „ბიბლიის“ სხვადასხვა თარგმანებშიც სინონიმებად ჩანან: საქ. მუზ. ხელ. № 51 A, I მეფეთა 10<sub>5</sub>-ში სტვირია ნახსენები, ოშკის „დაბადებაში“ კი I მეფეთა 10<sub>5</sub> და II მეფეთა 6<sub>5</sub> სტვრის მაგივრად ნესტვს ხმარობს: „იმღერდეს... ნესტვთა, ქნართა ბობღნითა და ლინითა და წინწილითა“ (II მეფეთა 6<sub>5</sub>, ოშ-

<sup>1</sup> „სინანულისათვის და სიმდაბლისა“, კ. კეკელიძის რედაქციითა და გამოკვლევით, „ლიტერატურული ძიებანი“, ტ. 111, 1947, გვ. 269.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 260.

<sup>3</sup> იქვე.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 284.

კის)<sup>1</sup>, ბაქარის II მეფეთა ნ, ნესტვს ნაცვლიდ ხმარობს სტვირს.

ენათმეცნიერული ანალიზი ცხადყოფს „ნესტვისა“ და „სტვირის“ ფუძეთა იგივეობას. „ნესტვი, — წერს ვ. თოფურიძე, — ძველ ქართულში არც ისე იშვიათად გვხვდება: დაპბერეთ ნესტუსა (ძვ. სას. პ., პ<sub>2</sub>); ოხრამან ნესტვსამან აღაფსნა ყოველნი ცის კიდენი (*ib.*, ქმ<sub>29</sub>). საბას სიტყვით „რახცა საკრავი განკურეტილნი არიან, ნესტუად ითქმიან“, ჩუბინაშვილი ხსნის: „ნესტვი, ს. ნაბათი, ნალარა, საყვირი“... ამავე წარმოებისად მიგვაჩნია სტვირი, ნესტო, ნესტვა, ძირად სტჟ გამოეყოფა, რომლის მნიშვნელობის ძიება სტჟენა, — უ-ს-ტუ-ენ-ს; უ-ს-ტუ-ინ-აში ხერხდება. ამდენად, ნე ნესტვს განუყრელი ნაწილი არ უნდა იყოს“<sup>2</sup>. არნ. ჩიქობავას გამოკვლევით — „სტვირსა“, „ნესტვისა“ და „სტვენას“ შორის ასეთი დამოკიდებულება არსებობს: „სტვრ, სტუირ... შდრ, ნე-სტუ, ზმნა: სტუ-ენ-ს... ისწავებდენ ფსალმუნთა ნაცვლიად სიმღერისა გინა თუ ნაცვლიად სტვრისა... ოქროპ. 81, 4<sup>3</sup>. ენათმეცნიერულ ანალიზს მხარს უჭერს მენესტვისა და მესტვირის ფუნქციონალური თანხვედნილობა. უძველეს წერილობით წყაროებში უფრო ხშირად გვხვდება „ნესტვი“, ვიდრე მისი სინონიმი „სტვირი“, რომელიც ფართო მასების კუთვნილება იყო და ხანდახან თუ შეიქრებოდა ოფიციალურ ლიტერატურაში. როგორც ნესტვი, ისე სტვირი პირველად წარმართული ტრადიციის გამოშატველი იყო. ქართული ორიგინალური ძეგლებიდან ნესტვი, როგორც ჩასაბერი საკრავი, „ნინოს ცხოვრებაში“ გვხვდება. თხზულე-

<sup>1</sup> ი. ვ. ჯავახიშვილი, ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები, გვ. 186.

<sup>2</sup> ვ. თოფურიძე, ქართველურ ენათა სიტყვაწარმოებიდან, 1 ნა — ნი — ნე — პრეფიქსებისათვის. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. VII, 1938 წ. გვ. 88.

<sup>3</sup> არნ. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, თბილისი, 1942, გვ. 82.



ბის ავტორი მოგვითხრობს: წმინდა ნინო გაოცებული იყო იმით, რომ ხალხი „დაბნელებულ იყვნეს საცდურიითა მით კერპთმსახურებისაჲთა, და ცრემლოოდა ცდომილებისათჳს მათისა“, როცა მირიან მეფე გამოვიდა „იქმნეს კმანი ებნებისა და ნესტუებისანი. მაშინ ჰკითხა ღირსმან ნინო დედაკაცსა ჰურიასა: „რამსთჳს არს ზარი ესე და კმანი ნესტუსანი?“, ხოლო მან ჰრქუა, ვითარმედ: „ღმრთისა მათისა თაყუანისცემად აღვლენ, რომელი არა რაჲ არს სხუაჲ გარნა კერპი უსულოჲ“<sup>1</sup>.

აღნიშნული თხზულების ავტორს ნესტვი მიაჩნია კერპთაყვანისმცემლობის ცერემონიალის განუყრელ ატრიბუტად.

„ბიბლიაში“ ნესტვ ორნაირი მნიშვნელობით გვხვდება. იგი გამოყენებულია როგორც საბრძოლო, ისე სალხინო საკრავად. რიცხვთა 10, 2, 8, 9, 10-ში გადმოცემულია შემდეგი: „ჰქმენ თავისა შენისა ორი ნესტუნი ქედლინი ვეცხლისანი“, და იყვნენ შენდა მოწოდებაჲ კრებულისა“... უფალი ეუბნება მოსეს: „და ძეთა აჰრონისთა მღდელთა დაჰბერონ ნესტუ-ტუბითა მით, და იყოს იგი თქტუნდა შჯულად საუკუნოდ“... ხოლო „უკეთუ განხვდეთ ბრძოლად მტერთა თქუწნთა ქტუცანასა მას თქტუნსა, და აუწყებდით ნესტუებითა მით“... გამარჯვების შემდეგ „და დღეთა სიხარულისა თქტუნისათა, და დღესასწაულთა, და თჳს თავსა თქტუნთა, დაჰბეროთ ნესტუტუბითა მით“.

ჰიმნოგრაფებთან ნესტუს სახატბო და ღირიკული ფუნქციის შესრულება აქვს დაკისრებული (გამორიცხულია მისი სამხედრო მნიშვნელობა). მაგალითად: „...დაჰბერეთ ნესტოჯსა საფოკძველთა სოფლისათა და განცხრებოდენ ზლოჯაჲ ოხ-

<sup>1</sup> ძველი ქართული ლიტერატურის კრესტომათია, 1, ს. ყ უ ბ ა ნ ე ი შ ვ ი-ლის რედაქციით, თბილისი, 1946, გვ. 221 (შდრ. „ნინოს ცხოვრება“; არსენ ბერისეული რედაქცია, 1903 წ. გამოცემა. გვ. 18).

<sup>2</sup> ნესტვი შეიძლება ლითონისაგან ყოფილიყო გაკეთებული და რქისაგანაც, ე. ი. ნესტუნი ქედლინი და ნესტუნი რქისანი (იხ. ივ. ჭ ა ვ ა ხ ი-შ ვ ი ლ ი. ქართული მუსიკის ისტ. ძირითადი საკითხები, გვ. 180).

რითოვრთ და ყოველი რაჲ არს მას შინა<sup>1</sup>. იოანე მტბევა-  
რი საინტერესო შედარებას ახდენს: „კმამან სიტყოვათა თქოვ-  
ენტამან, ბასილი და გრიგოლი, ვითარცა ოხრამან ნესტვსა-  
მან, აღავესნა ყოველნი ცის კიდენი და დაადოვმნა პირნი  
ბილწთა მწვალებელთანი და შეამკვნა ეკლესიანი მართლად-  
საარებითა სამებისაჲთა, რომელსა თაფყოვანის ვსცემთ“<sup>2</sup>. მაშა-  
საღამე, ნესტვი X საუკუნისათვის იმდენად შეუსისხლხორცე-  
ბია ქრისტიანულ რელიგიას, რომ იგი დაპირისპირებული  
ჩანს მწვალებელთა და ბილწთა წინააღმდეგ, აღრე კი თვით  
იყო წარმართული ტრადიციის მატარებელი. მეორე იდგილას  
ამ გარემოებაზე უფრო მკვეთრადაა ხაზი გასმული: ებანის,  
ქნარის და ნესტვის... „ოხრითა დადოვმნეს კმანი საეშმაკო-  
ნი მწვალებელთანი“<sup>3</sup>. ნესტვს ზოგჯერ სახოტბო ფუნქციაც  
აქვს დაკისრებული... „დაჰბერეთ ნესტოვსა ქებისასა და სა-  
ღმრთოჲთა შესხმითა ოვგალობდეთ ქრისტესა“<sup>4</sup>. ამნაირი  
მნიშვნელობით გვხვდება ეს სიტყვა სხვა ჰიმნოგრაფებთანაც<sup>5</sup>.

ისმება კითხვა: ნუთუ ერთიდაიგივეა, ერთი მხრივ, სამხედ-  
რო საკრავად გამოყენებული და, მეორე მხრივ, ვედრების გა-  
მომხატველი ნესტვი? ვფიქრობთ, რომ აქ ისეთივე მღგომარე-  
ობა უნდა გვექონდეს, რაც „ყვირო-სტვირსა“ და „სტვირს“  
შორისაჲ. „ყვირო-სტვირი სამხედრო საკრავი ყოფილა“. მისი  
სახელი „ორი სიტყვისაგან, ყვირო-სა და სტვირი-საგან შედ-  
გება. ამისდა მიხედვით საფიქრებელია, რომ ამ საკრავს საყ-  
ვირისაცა და სტვირის თვისებებიც უნდა ჰქონოდა“<sup>6</sup>. აკადე-  
მიკოსი ივ. ჯავახიშვილის გამოკვლევით „ყვირო-სტვირი სა-

<sup>1</sup> ძველი ქართული სასულიერო პოეზია, წიგნი 1, პ. ინგოროყვას რედაქციით, თბილისი, 1913, გვ. 80 105.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 95 145.

<sup>3</sup> ძველი ქართული სასულიერო პოეზია, წიგნი 1, პ. ინგოროყვას რედაქციით, თბილისი, 1913, გვ. 128 5.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 206 65.

<sup>5</sup> იქვე, გვ. 200<sub>1</sub>, 256<sub>230</sub>, 241<sub>40</sub>, 385<sub>5</sub>, 212<sub>5</sub>, 128<sub>5</sub>, 97<sub>200</sub>.

<sup>6</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართული მუსიკის ისტ. ძირ. საქ., გვ. 184.

ქართველოში მე-17 საუკუნემდე გავრცელებული საკრავი ყოფილა<sup>1</sup>. მკვლევარი იმოწმებს ფეშანგის ცნობას იმის შესახებ, რომ ვამეყ დადიანის წინააღმდეგ გალაშქრებისას ვახტანგ V ბანაკში „ნალარას სცემენ, იძახის ყუირო-სტუირი და ქოსია“<sup>2</sup>. ჩვენ გვგონია, რომ ყუირო-სტვირი შეესაბამება იმ ნესტეს, რომლის საშუალებით მებრძოლებს აგროვებდნენ ან ბრძოლის ექსტაზში შეჰყავდათ მეომრები, საკუთრივ სტვირი კი სინონიმია ჩვეულებრივი, არა საბრძოლო ნესტვისა. ასეთი დასკვნის გამოტანის შესაძლებლობას გვაძლევს მათი შინაარსობრივი, ფუნქციონალური მსგავსება, თანხვედრილობა.

ნესტვის მსგავსად, სტვირის თავდაპირველი ფუნქციაც წარმართულ ტრადიციასთან არის დაკავშირებული. სასულიერო რომანი „სიბრძნე ბალავარისი“ ასეთ ცნობას გვაწვდის: აბენეს მეფე, რომელიც იყო „წარმართი, კერპთმსახური,“ მოუწოდებს ქალებს, რათა იოდასაფს აღუძრან ხორციელი სურვილები; ვინც ამას მოახერხებს იოდასაფის ცოლი გახდება, „და ბრძანა, რადთა ყოველნი, რომელნი იყვნეს ყრმანი მსახურნი ძისა მისისანი, გარდაადგინენ, და მათ წილ დაადგინენ დედანი იგი ქმნულ-კეთილნი. და ვითარცა ესე ყვეს, ისწრაფდა თითოეული ცდუნებად იოდასაფისსა, და წინა უროკვიდეს, და სტკრითა და ჩანგებითა ქებასა შეასხმიდეს“<sup>3</sup>. ამ შემთხვევაში, სტვირც ერთ-ერთი სააშუალებაა, რომლითაც ქრისტიანულ სარწმუნოებაზე გადასული იოდასაფი დაუბრუნეს თავის პირველ სარწმუნოებას — კერპთმსახურებას, წარმართობას. ხაზგასმულია, რომ „სტკრითა... ქებასა შეასხმიდესო“. ეს სახობო ფუნქცია მესტვირულ ტრადიციას დღემდე შემორჩა.

გიორგი მთაწმინდელის მიერ ნათარგმნი ბასილ დიდის

1 ივ. ჯავახიშვილი, ქართული მუსიკის ისტ. ძიარ. საქ., გვ. 184.

2 იქვე, გვ. 184.

3 ძველი ქართული ლიტერატურის კრესტომათია. I, ს. ყუბანგი-შვილი რედ., 1946, გვ. 299.

თხზულება „ექუსთა დღეთათვის“, რომელიც „ძველათაჲც ყოფილა ქართულად თარგმნილი“,<sup>1</sup> საყურადღებო ცნობას გვაწვდის მენესტრეებისა და სტვირის შესახებ. თხზულების ავტორი მოგვითხრობს, რომ „არიან რომელიმე ქალაქთაგანნი“, რომლის ხილვა აღამიანის თვალს აოცებს. ამ ქალაქში მცხოვრებნი მრუშობენ და მეძაობენ. განსაკუთრებით მენესტრეები და მეფანდურეები „მრავალფერი იგი სახიობაჲ მენესტრეთაჲ, და ძნობაჲ იგი ბილწი მრუშებისაჲ დარაჲ -ადგრის სულსა მას შინა მსმენელთასა არარაჲ ყვის სხუაჲ არა შედ ყოველნივე უშუერებად აღძრნის. და მეფანდურეთა და მენესტრეთა სიციბილსა მიემსგავსნის“.<sup>2</sup>

ამ შემთხვევაში ქრისტიანულ დოგმათა პოზიციებზე მდგომი ავტორის თვალსაზრისი ნათელია: იგი დაუნდობლად ებრძვის წარმართული ტრადიციის გამომხატველ მენესტრეებსა და მეფანდურეებს. ავტორი კატეგორიულად შენიშნავს: „რამეთუ როკვისა და ნესტუსა დასასრული არარაჲ არს, არმედ თვთ იგი საქმე საქმესავე შინა დაილევის“<sup>3</sup>. საინტერესო კონტექსტში ხმარობს ავტორი სტვირს. იგი მას მორიელის გესლს ადარებს... „და გინათუ მწუღილისა მისთვის ღრიაკალთა ისრისა, ვითარ გამოაღრუვა იგი კელოვანთ მოძღუარმან მან. ვითარცა სტვრი, რაჲთა მიერ დასთხევდეს გესლსა თვისსა მოწყლულთა მათ ზედა მის მიერ“<sup>4</sup>.

ქრისტიანობამ საქართველოში შეითვისა წარმართული ტრადიციები. „ხალხი ჯიუტად იცავდა მამა-პაპურ რწმენებს და ქრისტიანობაც ხშირად იძულებული იყო შეეგუებოდა მათ“.<sup>5</sup> ამდენად, ჩვენს მესტვირეებს თუ მენესტრეებს არ გა-

<sup>1</sup> კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. 1, თბილისი, 1941 წ. გვ. 198.

<sup>2</sup> ბასილ დიდი, ექუსთა დღეთაჲ, გ. მთაწმინდელის ნათარგმნი. მ. კახაძის რედაქციით, თბილისი, 1947, გვ. 41.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 8.

<sup>4</sup> იქვე გვ. 111.

<sup>5</sup> ნ. ბერძენიშვილი, ი. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, საქართველოს ისტორია, თბილისი, 1946. გვ. 95.

ნუცდიათ ისეთი დევნა, როგორც, მაგალითად, რუს სკომოროხებს! ან სხვა მოხეტიალე მუსიკოსებს. მაგრამ ეს, იმას არ ნიშნავს, რომ ქართული ქრისტიანული ეკლესია ყველგან იგუებდა, რა თქმა უნდა, არა. ჯერ კიდევ 1103 წლის რუისურბნისის ძეგლის წერის მიხედვით აკრძალულ იქნა ზატობა-დღესასწაულთან დაკავშირებული ბაზრობა და „სხუაჲ სამოქალაქოჲ და სასოფლოჲ წესი“.<sup>2</sup> „ამ უკანასკნელში შედის წარმართული ხასიათის სახალხო გართობა, ცეკვა, სიმღერა და მოგზაურ მუსიკოსთა მიერ ფოლკლორული ნაწარმოებების გადმოცემა“<sup>3</sup> (მოგზაურ მუსიკოსებს შორის პირველი ადგილი მესტვირეებს უნდა მივაკუთვნოთ). დავით აღმაშენებლის დროს ფოლკლორის ამ ნაწილს „საეშმაკონი სიმღერანი“<sup>4</sup> უწოდეს და დევნის საგნად აქციეს. ამ დროს: „შეწყნარებული და მიღებული იყო ისეთი სიტყვიერების გავრცელება, რომელიც ხელს უწყობდა ქრისტიანობის განმტკიცებას, ადიდებდა სახელოვან მეომრებს.. აძაგებდა შემოსეულ მტერს და სიძულვილს ჰწერდა მისდამი“.<sup>5</sup>

მესტვირული პოეზიის ტრადიციისა და მისი რეპერტუარის შესახებ მნიშვნელოვანი ცნობები მოეპოვებათ თეიმურაზ II, დ. გურამიშვილსა და ი. ბატონიშვილს.

თეიმურაზ II ლექსში — „გაბაასება რუსთველთან“ საინტერესო მომენტს უსვამს ხაზს: თეიმურაზ I ბრალდებაზე, რომ რუსთველმა მოგონილ და ტყუილ ამბებს შესწირა თავისი ნიჭი, რუსთველი უპასუხებს:

---

<sup>1</sup> В. Мюллер, Очерки по истории русской народной словесности, т. I, стр. 58.

<sup>2</sup> ქრონიკები, II, გვ. 65.

<sup>3</sup> მ. ხ. ჩიქოვანი, ქართული ხალხური სიტყვიერების ისტორია, 1952, გვ. 40.

<sup>4</sup> ქართლის ცხოვრება, ბროსეს გამოცემა, გვ. 255.

<sup>5</sup> მ. ჩიქოვანი, ქართული ხალხური სიტყვიერების ისტორია, გვ. 40.

„ვინ არის ჩემზე მეტყველი? — შეტყობა, დია, მსურისა:  
თუ ვინმე დიდი კაცია, მიგდება უნდა ყურისა,  
არამც რომ დამკვრელი იყოს სტვირისა, კიანურისა,  
და ზედან ამღერდეს შაირებს, ნათქვამს ბისტიკას ცრუისა“.<sup>1</sup>

ამ შემთხვევაში შოთას თვალსაზრისი თეიმურაზის საკუთარი თვალსაზრისია. შოთა ისე არ იცნობს ბისტიკას, როგორც ჩოლოყაშვილს, ვაჩნაძეს, კოჩივარდას მაქებარს და სხვ.<sup>2</sup> ამდენად ძნელია განსვენებული გ. ჯაკობიას მოსაზრების გაზიარება იმის შესახებ, რომ, თითქოს, რუსთველი ფისტიკას იცნობდა.<sup>3</sup> ასევე საეჭვოა სალექსო ფორმის ფისტიკაურის ბისტიკას სახელთან დაკავშირება. აკ. შანიძე წერს: „საეჭვოა ფისტიკაურის პირველი შემომტანი ქართულ კაზმულ მწერლობაში ფისტიკა ანუ ბისტიკა ყოფილიყოს, რომლის ვინაობისა და მოღვაწეობის შესახებ ჭერ-ჭერობით არაფერი ვიცით“.<sup>4</sup> თეიმურაზის ზემოთ მოყვანილი ლექსიდან უეჭველი ის არის, რომ ბისტიკა თავის „ტყუილ“ შინაარსიან თხზულებისათვის უმთავრესად ალბათ ასეთ საზომს (ფისტიკაურს, ა. ც.) იყენებდა“.<sup>5</sup>

3. ინგოროყვას მოსაზრებით, ბისტიკა არის შერქმეული სახელი, იგი უნდა ნიშნავდეს თვალბისტიანს, ბრმას.<sup>6</sup>

ბისტიკა სახალხო მგოსანია, დაბალი ფენების ინტერესების გამომხატველი და მისი ლექსები მესტვირეთა რეპერტუარში შედის. ცნობილია, რომ სამესტვირეო ლექსებისა და ამბების თხზვა ამაო საქმედ იყო მიჩნეული (დ. ბაგრატიონი,

<sup>1</sup> თეიმურაზ მეორე, გ. ჯაკობიას რედაქციით, თბ., 1939, გვ. 123.

<sup>2</sup> არჩილიანი, ტ. 11. აღ. ბარამიძისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით. თბილისი, 1936, გვ. 11.

<sup>3</sup> თეიმურაზ მეორე, ტექსტსათვის, გვ. XXXV.

<sup>4</sup> ლიტერატურული ძიებანი, ტ. 11 გვ. 12, 1945 წ.

<sup>5</sup> იქვე.

<sup>6</sup> 3. ინგოროყვა, რუსთველის ეპოქ. სალიტ. მემკვ., რუსთველის კრებ., 1938, გვ. 78.

ანტონ კათალიკოსი), ხოლო რამდენადაც მესტვირული ტრადიცია წარმართული ელემენტებით იყო დამძიმებული, შეიძლება მისთვის ცრუც ეწოდებინათ. ბისტიკა შერქმეულ სახელად იმიტომაც მოვაჩნია, რომ დღესაც კახეთში ხშირად სახალხო მთქმელებს მხოლოდ შერქმეული სახელებით იცნობენ.

თეიმურაზ მეორის მიერ ბისტიკას ცრუ შაირების სტვირზე დამლერების ხსენება შემთხვევითი არ უნდა იყოს, რადგან თეიმურაზი ახლოს იცნობდა მესტვირულ პოეზიას და მის ტრადიციას.

პოეტი ზოგჯერ უშუალოდ განიცდის ამ პოეზიის გავლენას, ხან ფოტოგრაფიული სიზუტით აგვიწერს მესტვირული ტრადიციის ამათუიმ მომენტს. ლექსში — „აქა შაირის თქმა“ — თეიმურაზი ამბობს:

„თქვენც სუფევთ, მეფევ, კურთხევით, ვით აბრამ მეუღლითაო,  
მათებრ გაკურთხოქსთ უფალმან, გამრავლდეთ შეილებითაო,  
ორთავ მოგეცესთ დღის სიგრძე, გაცოცხლოსთ მრავლის წლითაო,  
და აწ შეგაბეროსთ ერთმანერთს თვით ღმერთმან წყალობითაო!“<sup>1</sup>

აქ მესტვირულ რიტმთან ერთად შინაარსობრივ მსგავსებასაც ვპოულობთ ცნობილ მესტვირულ დალოცვასთან:

„გაცოცხლოს და გადღეგრძელოს, როგორც აბრამი და სარა  
გამრავლოს, როგორც ზღვას თევზი, ცას ვარსკვლავი, არ თუ კმარა  
დიღმის მინდორი მოგეცეს, სახნავ-სათესად კმარა“ და სხვა.<sup>2</sup>

თეიმურაზის „სარკე თქმულთაში“ დაწვრილებით არის გადმოცემული ძეობასთან დაკავშირებული ჩვეულება, რომელიც თხუთმეტ დღეს გრძელდებოდა. ძეობის დროს, პირველი დღიდანვე

<sup>1</sup> თეიმურაზ მეორე, გ. ჯაქობიას რედ., 1939, გვ. 63.

<sup>2</sup> ძველი საქართველო, ტ. 11. ე. თაყაიშვილის რედაქტორობით, მე-2 განყ., გვ. 229.

„მენესტვეებსა მოასხმენ იქ დასაკვრელად სტვირითო,  
და ქალი და კაცი მუდამად ლამეს ათევდენ ლხინითო“.<sup>1</sup>

ძეობის მესამე დღეს ბავშვის დედას „ტახტრევანზე და-  
აწვენდნენ“, მოქსოვილ ბადეს ზედ კარავად დაადგამდნენ  
და იწყებდნენ მილოცვას, ჭერ ქალები მიულოცავდნენ, შემ-  
დეგ კაცები; ხალხი ფერხისას თამაშობდა, ცეკვით ხან გარეთ  
გამოვიდოდნენ სახლიდან, ხან შევიდოდნენ. სიმღერით შინ  
მზეს ეპატიებოდნენ.

„რა გაათონ ფერხისა, გამართვენ ერთაქამასო.  
დასხდენ ქალების პირდაპირ, არეინ დაიშლის ამასო,  
შემოიყვანენ მესტვირეს, უკრვენ, ჩაამბენ ხამახო  
და მისთანა ლხინი უხარის ყმაწვილის დედას, მამასო“.<sup>2</sup>

თეიმურაზი კატეგორიულად აცხადებს: „არ დააკლებენ  
ძეობას, რიგი რაც არის წესადა“<sup>3</sup>. როგორც ჩანს, მენესტვის  
(მესტვირის) მოყვანა და სტვირის დაკვრა ძეობაში აუცილე-  
ბელი წესი ყოფილა. მესტვირეს თავისი მდგომარეობით „დი-  
დი“ უფლებები ჰქონია მოპოვებული.

„ცალგნით არის კაცის ხმანი, ცალგნით იყოს ქალებისა,  
ძეობაში უკუყრა და ყოფა არის მენესტვისა,  
ხამაიაში ქალებსა ილლიაში უძვრებისა,  
და შაირს ეტყვის სამიჯნუროს, უკრავს, ახლოს უდგებისა“.<sup>4</sup>

მესტვირე სამაიაში მოცეკვავე ქალებს სამიჯნურო შაირებს  
ეუბნებოდა და ახლოს უდგებოდა, ვინ იცის რამდენი ჭაბუ-  
კი ნატრობდა მესტვირის ბედს? ეს „დიდი“ უფლებები მეს-  
ტვირეებს ხალხში ბოლომდე შერჩათ<sup>5</sup>.

<sup>1</sup> თეიმურაზ მეორე, გვ. 71.

<sup>2</sup> თეიმურაზ მეორე, გვ. 72.

<sup>3</sup> იქვე.

<sup>4</sup> იქვე.

<sup>5</sup> იხ. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის რუსთაველის სახე-  
ლობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის ფოლკლორის  
განყოფილების არქივი, № 30751. ქვემოთ ნაჩვენები იქნება შემოკლებით:  
ფ. არქ. №.



აღნიშნულიდან ჩანს, რომ თეიმურაზი სწორად გადმოგვცემს მესტვირის ბუნებასა და თვისებას. ამდენად ის შემთხვევით არ ასახელებს იმ ბისტრიკას, რომლის ლექსებს სტვირზე და კიანურზე ამღერებდნენ.

„კალმასობის“ ავტორი იოანე ბატონიშვილი ქართული მესტვირული პოეზიის შესახებ მეტად საყურადღებო ცნობებს გვაწვდის. თხზულებაში ჩამოთვლილია ქართული ლექსის სხვადასხვა სახე, რიცხვით ოცდაოთხი. ერთ-ერთ სახეს მესტვირული შეადგენს. „ოცდამესამედ ითქმის მესტვირეთაცა ლექსნი, გარნა იგინცა არიან მოკლე წყობილთა გვარნი შაირნი, თუ ლექსნი, რომელთა ეწოდება მესტვირული, და ეგრეთვე `ძეობისა და გლებთა სიმღერის ლექსები“<sup>1</sup>. სხვა ადგილას იოანე ბატონიშვილი გვაძლევს მესტვირული ლექსის განმარტებას და აღნიშნავს, რომ არა მარტო „მოკლე სიტყვებით შემდგარნი მესტვირულნი სიმღერანი“ არსებობენ, არამედ ზოგი „გრძელნი ლექსივით თუ შაირივით“<sup>2</sup> გამოითქმისო. მართლაც, მესტვირული პოეზიის ახლო გაცნობა ცხადყოფს, რომ მესტვირეთა რეპერტუარში შედიოდა თითქმის ყველა ზომის ლექსი. რვაპარცვლიანი, ათპარცვლიანი და თექვსმეტპარცვლიანი ლექსი ჩვეულებრივია მესტვირულისათვის, დანარჩენი ზომის ლექსები კი გამონაკლისის სახით გვხვდება. რაც შეეხება პროზას, ამ შემთხვევაში, მესტვირულისათვის რიტმული პროზაა დამახასიათებელი. სხვა ფორმისაგან მესტვირული განირჩევა არა სალექსო ზომით, არამედ ხმით, კილოთი და რიტმით, მაგრამ ამაზე ქვემოთ.

იოანე ბატონიშვილი მესტვირული ლექსის დახასიათებისას გვაწვდის მკაფიო ნიმუშებს. მოყავს ცნობები მესტვირე კიკიაშვილზე, რომელიც „იყო პირველი მესტვირე და ნაქები

<sup>1</sup> კალმასობა, კ. კეკელიძისა და ალ. ბარაშიძის რედაქციით, თბილისი, 1936 წ., გვ. 274.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 294.

ქართლში, ამან შეასხა ქებით მესტვირული შაირნი მეფე ირაკლის“. აი ეს ნიმუში:

„დიდება და მადლი ლმერთსა, რომ ბრძანება იქმნა ლეთისა,  
აღმოსავლეთს მზე დაბნელდა, დასავლეთი ივრგვინვისა,  
მოეკიდა ხრმალი ხრმალსა, იქმნა ომი პირველ ეამსა,  
ჩარხი უკულმა დაბრუნდა, მგზავრი შეწყდა ყოვლის მხრისა,  
ერეკლესთანა ბატონსა ძვირად გაზრდის დედა შეილსა.  
პირველ არის ლეთის მლოცველი, მერე მშველელია ტყვისა“.<sup>1</sup>

კიკიაშვილის ეს ლექსი პარალელს პოულობს განთქმულ მესტვირე გიორგი ქებაძის იობის ლექსთან.

„დიდება და მადლი ლმერთსა, რომ ბრძანება იქნა ლეთისა,  
ხელი რომ ხმალ მოეკიდა, ომი მოხდა პირველ ემისა,  
აღმოსავლეთი დაბნელდა, დასავლეთი ივრგვინვისა,  
ათახთახდა დედამიწა, მთა და ბარი შეიძერისა.  
მაშინ გასქდა დედამიწა, ისევე მისცა პირი პირსა“.<sup>2</sup>

ანდა:

„აღმოსავლეთი დაბნელდა, ჩასავლეთი პირი მზისა,  
ჩარხი უკულმა დაბრუნდა, ხალხი შეწყდა ყველა მხრისა“.<sup>3</sup>

„იობის ლექსი“ შეიცავს 115 თექვსმეტმარცვლიან სტრიქონს და იგი რომ მესტვირეთა რეპერტუარში შედიოდა, „კალმასობის“ გარდა, თვით ამ ლექსის ბოლო მინაწერიც გვიდასტურებს:

„ეს წიგნი დაბეჭდილია ამ გიორგი ქებაძისა,  
აშა ლექსის გამგონესა მადლი შეეწიოს ლეთისა“.

გიორგი ქებაძე XIX საუკუნის პირველ ნახევარში განთქმულ მესტვირედ ითვლებოდა ქართლში, მას ეკუთვნის აგრეთვე ლექსი „საქართველოს გადაცემა რუსებზედ“<sup>4</sup>.

<sup>1</sup> კალმასობა, გვ. 295.

<sup>2</sup> ბ. უმიკაშვილი. ხალხური სიტყვიერება, ფ. გოგიჩაიშვილის რედაქციით, თბილისი, 1937 წ., გვ. 140.

<sup>3</sup> ძველი საქართველო, ტომი III, გვ. 175.

<sup>4</sup> ბ. უმიკაშვილი, I, გვ. 566.

როგორც კიქიაშვილი, ისე ქებაძე იყენებენ ფოლკლორში არსებულ მზა ფორმებს, მაგრამ მზა ფორმებში მათ შეაქმთ ახალი მოტივები. მაგალითად, კიქიაშვილი ამბობს: ერეკლე „არის ღვთის მლოცველი“, ასევე იობიც „ღვთის მლოცველია“, მაგრამ ტყვეების მშველელი კი არა. ეს ფუნქცია კიქიაშვილმა სამართლიანად მიაწერა ერეკლეს, რომელიც „პირველ არის ღვთის მლოცველი, მეორე მშველელია ტყვისა“.

„მოკლედ თქმული“ მესტვირული ლექსის საილუსტრაციოდ იოანე ბატონიშვილს მოყავს ლექსი „ეო, მეო, აქეთ მომხედო“<sup>1</sup>.

„ეო, მეო, აქეთ მომხედო!  
რას მოგიტოხრობ სიყვარულსა, ყური მომიგდო,  
არვინ არის უფროს ღვთისა, მოდი, ადიდეო,  
ღვთისა სიტყვა კაცთა ზედა, სიტყვის მომსმინეო!  
გზას, რომელსა მიხვიდოდე, წინ დაიხედო,  
ფათერაკსა და საფრხესა არსად ჩავარდეო,  
ასეთ ნურას მოივაკრებ, ბოლოს დაზიანდეო!“<sup>2</sup>

აღნიშნული მესტვირული ლექსი ვარიანტია დ. გურამიშვილის სახელით ცნობილი ლექსისა „სიტყვა ესე ღვთისა“. ამ უკანასკნელს ავტორისეული შენიშვნაც აქვს: „სიტყვისასიტყვად შეწყობილი და სწავლა საყვარლისა, ღვთისა და კაცისა ძისა, ყრმათათვის სიმღერად — „ეო, მეო, ქალო ქალთა-მზეო“-ს სანაცლოდ სათქმელი“.

1. ეო, მეო, აქეთ მომხედო;  
რას მომიტოხრობს სიყვარული, ყური დაუგდო!
2. არავინა არს უფროსი ღვთისგან უდიდეო,  
ღვთის სიტყვასა — კაცთა ძესა — სიტყვას მისმენდეო...
3. გზასა, რომელსა ხვიდოდე, წინ დაიხედო,  
ფათერაკიანს საფრესა არცად ჩავარდეო.

<sup>1</sup> კალმასობა, გვ. 295.

<sup>2</sup> იქვე.

4. თავს ასეთზე ნუ იხარებ, ბოლოს ინანდეთ;  
ასეთს ნურას მოიეპურებ, რომ დასზიანდეთ...!

გამორკვეულია, რომ იოანე ბატონიშვილი „დავითიანს“ არ იცნობდა და, მაშასადამე, არ შეეძლო იქიდან გადმოეტანა „მოკლედ თქმული“ მესტიერული ლექსი. ისიც ცნობილია, რომ დ. გურამიშვილი ქმნიდა ხალხურის სანაცვლო ლექსებსა და სიმღერებს<sup>2</sup>, მაგრამ გარდა ამ შემთხვევისა, სხვაგან არსად არ ამბობს „სიტყვისა სიტყვად შეწყობილო“, ამის მიხედვით ჩვენ შეიძლება დავასკვნათ, რომ დ. გურამიშვილი არა მარტო სანაცვლოს ქმნიდა, არამედ ზოგჯერ პირდაპირ სესხულობდა ხალხური პოეზიიდან.

ქართულ ფოლკლორში სხვადასხვა სახის საფერხისო ლექსი მოიპოვება. „კალმასობაში“ ფიქსირებულია ორი ასეთი საფერხისო ლექსის ნაწყვეტი. სამწუხაროდ, მათი შესრულების წესის შესახებ ავტორი არაფერს გვამცნობს,<sup>3</sup> იგი პირდაპირ ფაქტს აღნიშნავს: „ფერხისული გვარი ლექსები არის ამას ზედა:

„ყოლად-წმინდა ღვთის-მშობელმან ქვეყნის შენება ინება,  
ცასა უბოძა ღრუბელი. წვიმისა ჩამოღინება,  
დედამიწასა ბალახი. ქვევიდამ ამოღინება,  
არაულო. ვალი ვალალო!“

ყურადღებას იპყრობს ამ საფერხისო ლექსის მსგავსება დ. გურამიშვილის „დინართან“. ეს უკანასკნელი კი „პატარა ქალო თინაოს“ სანაცვლოდ შეუქმნია ავტორს:

„ვაქოთ ვადიდოთ ვინაო? ღმერთი მაღალთა შინაო,  
ვინცა შეამკო ქვეყანა. ღამე ღღედ განაბრწყინაო:  
ზღვით, კმელით, ხითურთ ბალახით, მთა ბორცვი აღმოფინაო.

<sup>1</sup> დ. გურამიშვილი, დავითიანი. აღ. ბარამიძისა და ს. იორდანიშვილის რედაქც., 1931 წ., გვ. 15.<sup>2</sup>

<sup>2</sup> მ. ხ. ჩიქოვანი, ქართული ფოლკლორის... 1949, გვ. 109.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 102.

<sup>4</sup> კალმასობა, გვ. 295.

ყოველი ნივთისაგანი მამოგან განაჩინაო:

ჩვენ კაცი — ჩიწა და წყალი — შეგვზილა, აღგუადგინაო.<sup>1</sup>

აქ შინაარსობრივ მსგავსებასთან ერთად სიტყვიერი დამთხვევაც არის:

„კალმასობა“: „დღამიწასა ბალახი, ქვევიდან ამოღინება“;

გურამიშვილი: „ბალახით მთა ბორცვი აღმოფინაო“.

საფიქრებელია, რომ დ. გურამიშვილის ეს ლექსი მესტიერეთა რეპერტუარში შედიოდა. სხვათაშორის ამ ლექსის თავდაპირველი სათაურიც „საზანდრული“<sup>2</sup> ყოფილა. ივ. ჭავჭავაძის ცნობით, გუდა-სტვირს მესხეთსა და აქარაში ჭიმონი ანუ ჭიბონი ეწოდება.<sup>3</sup> „საზანდარი ამ საკრავის შედარებით ახალი და ჭალაქური, თანაც შეუფერებელი სახელია“<sup>4</sup>. დღეს კახელი მთქმელებისათვის „მესაზანდრე“ „მესტირის“ სინონიმი.<sup>5</sup> ვინაიდან მესტიერეთა რეპერტუარის ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილს სასულიერო ლექსები შეადგენდა, ხოლო როგორც კ. კეკელიძე წერს: „მშვენიერი, ლამაზი, პირდაპირ მომხიბლავი ფორმით დ. გურამიშვილმა ხელი შეუწყო საზოგადოებაში რელიგიურ-კლერიკალური აზრების გავრცელებასა და პოპულარიზაციას“<sup>6</sup>, რა თქმა უნდა, მესტიერეები ამ ფაქტს გვერდს ვერ აუვლიდნენ. ამგვარად, დ. გურამიშვილი არა მარტო უშუალოდ სესხულობდა მესტიერული რეპერტუარიდან, არამედ თვითონაც ამდიდრებდა მას.

XIX საუკუნის გარიყრაჟზე ალექსანდრე ჭავჭავაძემ მისცა სანქცია მესტიერულ პოეზიას ქართულ ლიტერატურაში. „ერთხელ, — მოგვითხრობს ალ. ორბელიანი. — ვკითხე ალექ-

<sup>1</sup> დავითიანი, გვ. 176.

<sup>2</sup> დავითიანი, გვ. 312. „ამის შემდეგაც თავდაპირველად ყოფილა „საზანდრული“ (რედ. შენიშვნა).

<sup>3</sup> ივ. ჭავჭავაძის ცნობილი ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები, გვ. 194.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 195.

<sup>5</sup> ფ. არქ. № 30690.

<sup>6</sup> კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. II, გვ. 607.

სანდრე ჰავჰავაძეს — კნიაზო, თქვენი ლექსები რომ ასე განასხვავეთ და სხვა სუბუქი ანუ ლბილი წყობილება რომ იცით, საიდან შემოიღეთ ამგვარი მოლექსეობა? იმან სიამოვნებით გაღიმებულმა მიპასუხა: — სწორედ გეტყვი, ჩვენი ბლიაძეებისაგან შემოვიღე (მესტვირეებისაგან). კარგად იცით, მე ბევრს ფრანციტულს წიგნებს ვკითხულობ, ჩვენი მესტვირეების მარტივს ყბედობას, ევროპიული სიამოვნება მიეწეო და აქედან გაკეთდა ისეთი ლექსები. აი ეს არის მიზეზი, სხვა არაფერი (იხ. საქ. ლიტ. მუზეუმი, ხელნაწ. № 58)<sup>1</sup>.

ალ. ჰავჰავაძის ეს განცხადება გადაჭარბებულად რომ არ მოგვეჩვენოს, აქვე მოგვყავს პოეტის თანამედროვე, ვილაც ზაქარია მესტვირის ავტობიოგრაფიული ცნობები, რომელიც ჩაუწერია ალექსანდრე ჯამბაკურ-ორბელიანს 1858 წელს<sup>2</sup>.

ალ. ჯამბაკურ-ორბელიანის ჩანაწერის მიხედვით, მესტვირე ზაქარია მოგვითხრობს:

„იმ ჩვენს სოფელში ერთი საუცხოვო მესტვირე იყო, ავეყვ იმას და ასე კარგად ვისწავლე, მართლა საუცხოვოდ. მე ეს იმისაგან არ ვიკმარე, გავსწიე და მთელი ქართლ-კახეთი შემოვიარე. სადაც გამოჩენილი მესტვირე ვნახე ანუ მომღერალი, იმათი ხმები სულ ვისწავლე და ბოლოს ჩემი საკუთარი ბევრი დაუმატე. ასეთი მომღერალი და მესტვირე შევიქენ, რომ საკჭრგელი ამ ყოფით ოთხ წელიწადში შემოვიარე ქართლ-კახეთი... იმერეთშიაც ერთი წელიწადი დავყავი“... საინტერესოა ზაქარიას შემოქმედებითი მუშაობა მესტვირული ხმებისა და სიმღერების გაუმჯობესებისათვის... „ამ ჩემს სტვირს

---

<sup>1</sup> ალექსანდრე ჰავჰავაძე. ი. გრიშაშვილის რედაქციით, თბ., 1940, გვ. 7—8.

<sup>2</sup> ს. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერების განყოფილება S—1634, გვ. 66—73; მ. ჩიქოვანი „ახალბურთე სიტყვიერების შესწავლის პრობლემა XIX საუკუნეში“, ლიტერატურული ძიებანი, ტ. VI, 1950 წ., გვ. 240—243.

თორმეტი სხვა კმა ჩაუმატე, რომელიც სულ თოთხმეტი იყო ზოგი საღამურისა და ზოგი სხვა და სხვა კმის ხაკრაფი მაღალი და მდაბალი, შეწყობილი კმები, რომელსაც ვინ მოსთვლეს რომ რავდენს შეწყობილისა კმებსა დავაკრევიანებდი ხოლმე მეტად საუცხოვოდ. ეს ამბავი მეფის ირაკლისკა მოესხენებიათ. მაშინვე ებრძანებინა ჩემი მიყვანა. მიმიყვანეს... სტვირის დაკვრა მიბძანა, მოვყევი: საუკეთესო კმები დაუკარ და ზედ დავძახე. ასე მოეწონა ბატონს მეფეს, რომ სიამოვნის ცრემლები გადმოყარა. კარგახანი დაუკარ და ბატონსაც დიდად იამებოდა. ბოლოს გავწყვიტე. ბატონმა დიდი მადლობა მიბძანა და შევერცხლილი თოფიც მაჩუქა უირიმისა.—ჩემი გამოსვლის დროს მიბძანა: მე ბევრი საქმე მაქუს, თორემ არ გაგიშვებდიო, მაგრამ მაგ ჩემს თოფს გაუფრთხილდი, როცა საჭირო იყოს, მოდი და მამულისათვის შემსახურეო. შე, ეს რომ ბძანა, თაყვანი ვეც და წამოველ. იქიდგან შემოვიარე ყოველი ჩუენი ქვეყნა. ბოლოს იმერეთში გადაველ და ქუთაისს მეფე სოლომონს ვიახელ. იმასაც ისე მოეწონა ჩემი სიმღერა და სტვირის დაკვრა, როგორც მეფე ირაკლის, რომელმაცა ეს საუცხოვო ლურჯი ჩერქეზული იაბო მიბოძა და ჩემს საჯდომად მყავს“. ზაქარია სტვირზე სხვადასხვა საცეკვაო ხმებს ამღერებდა. იგი ამ მხრივ ვირტუოზულ შემსრულებლად გვევლინება: „ჩემს სტვირში გამომყვანდა ყოველი კმა. ბოლოს ფერხულისათვის დაუკარ ჩემგნით გაკეთებული ახალი კმა, რომელშიაც მოძახილი, ბანი, დვრინი, თქმა და სხვა წვრილი კმები სულ ხტვირში გამაწყვანდა: ასე კარგად, რომ გეგონებოდათ ბევრი დედაკაცი და კაცი ერთად იმღერისო, სულ თავ თავის შეწყობილს მშვენიერს კმას ამბობენო“.

ზემო ნათქვამიდან ჩანს, რომ ა. ორბელიანს, რომელსაც აინტერესებდა ქართული ხალხური სიმღერების შესწავლა,<sup>1</sup>

<sup>1</sup> იხ. ა. ჭამბაკურ-ორბელიანი, „ივერიელების გალობა, სიმღერა და ლილინი“. „ცისკარი“, 1861 წ. გვ. 146.

შეხვედრა ჰქონია ზაქარია მესტვირესთან და მისი ბიოგრაფია ჩაუწერია. ირკვევა, რომ სტვირზე კარგ მესტვირეს, ახალი ხმის „გამოყვანა“ შეეძლო, ზაქარიას ფერხულისათვის საკუთარი „კმა“ შეუქმნია. მას სტვირზე „გამოყავდა“ მოძაბილი, ბანი, დვრინი, თქმა და „სხვა წვრილი კმები“.

„ამ ჩემს სტვირს თორმეტი სხუა კმა“ ჩაუმატეო, „ზოგი სალამურისა და ზოგი სხუა და სხუა კმის საკრავი, მაღალი და მდობალი“-ო. ზაქარია ნამდვილი შემოქმედია: „სადაც გამოჩენილი მესტვირე ვნახე ანუ მომღერალი, იმათი ხმები სულ ვისწავლე და ბოლოს ჩემი საკუთარი ბევრი დაუმატეო“. ზაქარიას სალექსო რეპერტუარზე ა. ორბელიანი არაფერს ამბობს, მაგრამ უნდა ვიფიქროთ, რომ იგი ფლობდა მესტვირული პოეზიის ყველა საუკეთესო ნიმუშს. ზაქარია მესტვირე აღმოსავლეთ საქართველოდანაა. ის ამბობს: „მე შემოვიარე ყოველი ჩოჩინი ქვეყნები, ბოლოს იმერეთში გადაველ“... „იმერეთშიაც ერთი წელიწადი დაეყავი, მერე ვთქვი: წავალ ჩემს სოფლისაკენ“-ო.

ა. ორბელიანი თავის წერილში „ივერიელების გალობა, სიმღერა და ლილინი“ საყურადღებო ცნობებს გვაწვდის საქორწილო წეს-ჩვეულებათა შესახებ მესტვირულ ტრადიციასთან დაკავშირებით. იგი წერს: „მეფე-დედოფალს ეკვლესიიდან ჭვარდაწერილებს რო გამოიყვანდნენ, მომღერალნი მაყრულის სიმღერით წამოუძღვებოდნენ მექორწილებით და და სალხინოს სახლში შემოიყვანდნენ მღერით, იქ მხიარული ლხინი უნდა გამართულიყო, სხტა და სხტა სოფლიურის სიმღერებით და ლილინებით. თან თუ მესტვრე ეყრდნობოდათ, იმის სტვრის დაკვრას რთქვას დაიწყებდნენ, ქალნი და კაცნი, და თუ მესტვრე არ ეყოლებოდათ, როკვს სიმღერა: იმღერებდნენ მომღერალნი და იმ ხმაზედ ჰყვებოდნენ დიახ კარგათ. ამასთან თუ მესტვრით იყო ხოლმე ქორწილი, ის მესტვრე შრავალს ქებას შეასხამდა მექორწილებს, სხტა და სხვს სიმღერის ხმებში, რომელიცა ამისათვის მიიღებდა საჩუ-



ქარსა ყველასაგან<sup>1</sup>.<sup>1</sup> ქვემოთ, შენიშენაში, ავტორი წერს: „მესტკრესა ახლა ბლიაძეს ეძახიან, მაგრამ ბლიაძე გვარია და არა მესტკრე. რადგან საგანგებო მესტკრე ყოფილა რომელიმე ბლიაძე, იმისი სახელი ნესტკრისათვის დაურქმევიათ“.<sup>2</sup>

ა. ორბელიანის აღნიშნულ ცნობებს დიდი მნიშვნელობა აქვს მესტვირული პოეზიის ტრადიციის გასათვალისწინებლად საქართველოში. მაგრამ სანამ ამ საკითხს შევეხებოდეთ გავეცნოთ ხალხურ თქმულებას სტვირის წარმოშობის შესახებ, სტვირის სხვადასხვა სახეებსა და ნაწილებს.



ეროვნული საკრავის შესახებ შეუძლებელია რაიმე სახის თქმულება არ არსებობდეს მის შემქმნელ ხალხში. ქართული ხალხური თქმულება სტვირის შექმნასა და წარმოშობას უკავშირებს ფარნაოზ მეფეს, ზოგი მთქმელი ერეკლე მეფეს, ზოგი კი მწყემსების ცხოვრებას. ერთი სიტყვით, თქმულებები და ლეგენდები საქართველოს ფარგლებს არ სცილდებიან.

<sup>1</sup> „ცისკარი“, 1861 წ., № 1. გვ. 146.

<sup>2</sup> ბ ლ ი ა ძ ე ბ ი ც ხ ვ რ ბ ე ნ ს ო ფ. ყვიბისში, ახალდაბაში (ბორჯომის რ.), არგვეთში (სახხერეს რ.) და სხვაგან. აღმოსავლეთ საქართველოში ბლიაძეები გადმოსული არიან ზოგი ეერტყვიქალიდან (ხარაგოულის რაიონი), ზოგი ბეკმიდან (სურამის ახლო) და სხვ. ამჟამად არც ყვიბისში და არც არგვეთში არ ახსოვთ, რომ ბლიაძე მესტვირე ყოფილიყოს. მხოლოდ ახალდაბელი 103 წლის ნიკალა ნინიკას-ძე ბლიაძე ასეთ ცნობას გვაწვდის: „ვამჩნობია, ბლიაძეები მესტვირეები იყვნენო, მე არ მოვსწრებივარ. მეფობა რომ ყოფილა, მაშინდელი ამბავია, იმათთან ყოფილა, მერე მიეტოვებინათ, აღარ ყოფილიყვენ, ამჟამად ბლიაძე არავენ არის მესტვირე“ (იხ. ფ. არქ. № 32062; აგრეთვე № 32053, 32087); თვით ა. ორბელიანიც ამბობს: „...საგანგებო მესტვირე ყოფილა რომელიმე ბლიაძე“-ო, ე. ი. მისი თანამედროვე მესტვირე ბლიაძე ორბელიანს არ ახსოვს, მაშასადამე, მე-19 საუკუნის პირველი ნახევრიდან ბლიაძეების გვარში მესტვირული ტრადიცია შესუსტებული ჩანს, იგი შემდეგ, თანდათან სულ ქრება.

ცნობილი ფარახეთელი მესტირე ზაქარია ეოაძე გადმო-  
გვცემს:

ცეცხლზე მლოცავი ფარნაოზ ხელმწიფე წელიწადში ერთ-  
ხელ მთელ სამეფოს შეკრებდა, ყრიდა კენჭს და ვისაც ერ-  
გებოდა, მას შესწირავდა საღმრთოდ. კეხჭი ერგო დედისერთა  
ვაჟს. კენჭის ყრის დღიდან ექვსი თვის შემდეგ ამორჩეულს  
პიიყვანდნენ სამსხვერპლოზე და დასწვავდნენ. ვაჟის ძმობ-  
ლების მწუხარებას საზღვარი არ ჰქონდა. ერთ საღამოს ვაჟის  
ძამას სიზმარში გამოეცხადა უფალი, დაუხატა სტვირი და  
უთხრა: ამისთანა დასაკრავი გააკეთე, წადი ფარნაოზ ხელ-  
მწიფესთან, დაუკარი და შვილს გაჩუქებსო. ამ კაცმა ექვს  
თვეში კარგად ისწავლა სტვირზე დაკვრა, მივიდა ფარნაოზ  
ხელმწიფის კარზე და დაუკრა სტვირი, გახარებული მეფე-  
დედოფალი გამოეგებნენ უცნაურ მემუსიკეს, გაუხარდათ,  
მოეწონათ სტვირიც ხმა და თვით სტვირი. დედოფალმა მეფეს  
ჰკითხა: ასე ძალიან რომ გაგახარა ამ მესტირემ, რას აჩუქე-  
ბო. მეფემ უპასუხა: რასაც მთხოვსო. მესტირემ გააგრძელა  
დაკვრა, თვალცრემლიანი მწუხარე ხმით მღეროდა იგი, ბო-  
ლოს მრავალყამიერი უთხრა და შეწყვიტა სიმღერა. მესტი-  
რემ სთხოვა მეფეს, დაეთმო მისთვის ერთადერთი შვილი,  
რომელიც ცეცხლზე დასაწვავად იყო გამზადებული. პირვე-  
ლად მეფე ყოყმანობდა, მაგრამ ბოლოს მომღერალს თხოვნა  
შეუსრულა. გახარებული მამა და შვილი შინ დაბრუნდნენ.<sup>1</sup>

საგულისხმოა, რომ მთქმელი სტვირის წარმოშობას უკავში-  
რებს პირველ ლეგენდარულ ქართველ მეფე ფარნაოზს.  
მეორე მთქმელი, ზაქარიასთან შედარებით, დიდ ნახტომს  
აკეთებს და ამ საკრავის წარმოშობას მეფე ერეკლეს სახელს  
უკავშირებს.

სილნალში მცხოვრები მესტირის ვანო ბურდილაძის თქმით  
სტვირი ასე გაჩნდა: ცუდი ამინდი დაუდგა მეცხვარეს. ცხვა-

1 ფ. არქ. № 31670.

რის არ ისვენებდა. რითი დავაყენოთ? სალამური ექირა ხელში, მეორე სალამურიც გაუკეთა და ორივემ ერთად ტკბილი სიმ-  
ლერა თქვა. დაუტრა მეცხვარემ, ცხვარი გაჩერდა. გათენდა  
მეორე დილა, ცხვარი მშვიდობით გადაჩა. მერე სალამურს  
გულა გაუკეთეს იმ მეცხვარეებმა და ასე გაჩნდა სტვირი.<sup>1</sup>  
იმავე მთქმელის გადმოცემით, ამ საკრავს მეფე ერეკლე<sup>2</sup>  
მისცა გავრცელებისა და არსებობის სანქცია: „მეფე ერეკლე  
გახდა ავად. ერთმა უთხრა: შენი წამალი არაფერი არ არის.  
მესტვირეა ერთი, მეცხვარე, ის მოგარჩენს და გაგართობსო.  
მოარჩინა მეფე. მას უკან გასცა ბრძანება: იყოს შენი სახელი  
ქვეყანაზეო, ამის შემდეგ იარსება მესტვირემ“<sup>3</sup>.

ერთი თქმულების მიხედვით: შაჰ-აბაზი შემოესია საქარ-  
თველოს, მეფე ერეკლე<sup>3</sup> განსაცდელში ჩავარდა. კახეთსა და  
იმერეთს აცნობეს, რომ ერთი პირი გვექონდეს სამთავესო.  
დანიშნულ იქნა ბრძოლის დღე. ეს დღე მეფის დავალებით  
მესტვირემ აცნობა კახელებს, ქართლებსა და იმერლებს<sup>4</sup>.

ამ თქმულებას საფუძველი უსათუოდ რეალურ სინამდვი-  
ლეში აქვს. განუწყვეტელი ომების ქარცეცხლში მყოფი  
ქართველი მეფეებისათვის მოხეტიალე მესტვირეებს საპატიო  
სამსახურის გაწევა შეეძლოთ. გავიხსენოთ, თუ რა უთხრა მე-  
ფე ერეკლემ ზაქარია მესტვირეს: „მაგ ჩემს თოფს გაუფრ-  
თხილდი, როცა საჭირო იყოს, მოდი და მამულისათვის მე-  
მსახურეო“. მესტვირეები არა მარტო მომლერალ-მუსიკო-  
სების როლში გვევლინებოდნენ, არამედ ისინი ღრმა პატრი-  
ოტული იდეების მატარებელნიც იყვნენ. მეტად დამახასიათე-  
ბელია, რომ ფარახეთში მცხოვრებმა 81 წლის მესტვირე  
ზაქარია ვერაძემ, რომელმაც ორი შვილი დაკარგა დიდ სამა-

<sup>1</sup> ფ. არქ. № 31550.

<sup>2</sup> ფ. არქ. № 31551.

<sup>3</sup> ერეკლესთან შაჰ-აბაზის დაკავშირება ანაქრონიზშია.

<sup>4</sup> ფ. არქ. № 31551.

მულო ომში, საუბარში განაცხადა: „ათი შვილი რომ მყოლოდა და ათივე დამკარგოდა, არ ვინაღვლიდი, რახან იმ უწმინდურებმა (ფაშისტებმა, ა. ც.) არ შემოადგეს აქ ფეხიო“.

ლერწამი გადამწყვეტ როლს ასრულებს სტვირის გამართვის დროს. ზაქარიას სიტყვებით რომ ვსთქვათ, „ლერწმის ჩამომავლობა უკრავს შტვირს“. ზაქარია სტვირის ნაწილების აღწერისას გადმოგვცემს: „ლერწმები დამკვრელები არიან, ორივე ერთდამავე სიგრძისა და სისხოსია, ბუდიდან აქვს გაკეთებული და შეერთებულია დედანთან. შეერთების ადგილას სანთლით არის ამოგლესილი, იგი უერთდება გუდას“<sup>1</sup>. ლერწმის შესახებ კი ზაქარიამ ასეთი თქმულება ჩაგვაწერია: ცეცხლზე მლოცავი ხელმწიფის დროს დაქვრივებულ ქალს ცოლად მისი მაზლი შეირთავდა. ამ ბოროტებას წინ აღუდგა მართლის მთქმელი იოანე, რომელიც ამბობდა: „არ ერგება ძმას ძმის ცოლი ვითარცა და“. ერთი დაქვრივებული ქალი, რომელსაც მაზლზე სურდა გათხოვება, მაგრამ ხელს უშლიდა იოანე, მივა ხელმწიფესთან და მოახსენებს: იოანე ეწინააღმდეგება შენს ქადაგებაში არსებულ კანონებსო. მეფის ბრძანებით იოანეს მოსჭრეს თავი და მინდორზე დააგდეს. მოჭრილი თავი არც დალპა, არც არათფერი მიეკარა ახლოს, იგი დღეში სამჯერ იძახოდა: არ ერგება ძმას ძმის ცოლი ვითარცა დაო. ხელმწიფე ერთხელ შეხვდა მოკვეთილ თავს. იოანეს თავმა სიმართლე კვლავ განიმეორა, იგი ტბაში ჩააგდეს, ტბაში ჩაგდებული მოჭრილი იოანეს თავის პირიდან ამოვიდა გასაოცარი სილამაზის ლერწამი. „ხოდა ის ლერწმის ჩამომავლობა უკრავს ეხლა შტვირსო“, — ამბობს ზაქარია<sup>2</sup>.

ბოროტების წინააღმდეგ ბრძოლა და ჭეშმარიტებისათვის თვალის გასწორება მესტვირული პოეზიის ძირითადი დამახასიათებელი თვისებაა. სტვირის წარმოშობის შესახებ არსე-

<sup>1</sup> ფ. არქ. № 31656.

<sup>2</sup> ფ. არქ. № 31671.

ბულ თქმულებებში აკვეთრადაა ხაზგასმული და მხატვრულად გააზრებული სიკეთისა და ბოროტების ურთიერთ ბრძოლა.

თ. რაზიკაშვილის მიერ ქართლში ჩაწერილ „სამი დის“ ზღაპარში ერთგვარი ეტიმოლოგიური ძიება გვხვდება სტვირის როგორც ხალხური საკრავის წარმოშობის შესახებ<sup>1</sup>.

უფროსი დები ვერაგულად უღალატებენ უმცროს დას, დასტოვებენ მას ვაშლის ხეზე, ჩაიცვამენ მის ტანსაცმელს, წაართმევენ ხის ძირას .დატოვებულ ბავშვს და გაუდგებიან გზას. „დედამ,— გადმოგცემს მთქმელი,— იმდენი იტირა, იმდენი იტირა, რომ ცრემლად და სისხლად ჩამოიშალა მიწაზედ, სადაც მისი სისხლი და ცრემლი მოხვდა, ისეთი ლერწამი მოვიდა, როგორც ტყე, ათასნაირი ყვავილი და ბალახი გაიშალა. ერთხელ პატარა ბიჭმა წაიყვანა ძროხა და იმ ვაშლთან მივიდა. მოტეხა ერთი ლერწამი, ფრჩხილით გააკეთა სტვირი, დაუკრა და დაუკრა. სტვირი უკრავდა და თან იძახოდა:

სტვირო, სტვირო,  
რასა სტვირო?  
მე დედაშენი ვშავდები,  
შენ ჩემი შვილი ბრძანდები!

სტვირი სულ ამას იძახოდა. ვაჟმაც მიიკრა გულში სტვირი და აღარ იშორებდა გულიდამ“. ბოლოს მოთხრობის მიხედვით მოღალატე დები ისჯებიან და სიკეთე იმარჯვებს ბოროტებაზე.

ია კარგარეთელმა „მოკლე პოპულარულ სამუსიკო ენციკლოპედიაში“ გამოაქვეყნა თქმულება სტვირზე. თქმულების მოკლე შინაარსი ასეთია: უხსოვარ დროს ჩინეთში ცხოვრობდა ერთი მეფე, მან ბრძანება გასცა: გამოეგონებინათ ისეთი მუსიკალური ინსტრუმენტი „რის მსგავსიც არა იყოს რა

<sup>1</sup> ქართული ზღაპრები, თ. რაზიკაშვილის მიერ ქართლში შეკრებილი, თბილისი. 1909 წ. გვ. 46--49.

ჩემს სახელმწიფოში და მისი ნახვით და მოსმენით ჩემი ქვე-  
შევრდომი აღივსებოდეს სიკეთით და სიამოვნებითო“.

ერთმა მეცნიერმა, რომელსაც სახელად ლინგლუნი ერქვა, მოინდომა მეფის ბრძანების შესრულება, იგი მოშორდა მან-  
ლობებს და დასახლდა ბუნების წიაღში. მისი ქონის ახლოს  
ყოველდღე ორი პატარა ჩიტი მოფრინდებოდა და ისე ტკბი-  
ლად მღეროდა, რომ ლინგლუნის გაოცებას საზღვარი არ  
ჰქონდა. „ლინგლუნმა ბევრჯერ ინატრა ჩიტების ხმა მის-  
სმენასთან განუყრელი ყოფილიყო, მაგრამ როგორ და რა  
გზით?“ ლინგლუნმა იქვე, წყლის პირას, ლელი გამოს-  
ჭრა, ერთი თვალი ააჭრა, ჩაბერა და ხმა ამოაღებინა. „შემ-  
დეგ ამისა მოკრიფა ბალახი ხოუ, გამოფშვნიტა და ხოუს შავი  
გორველა მარცვლები ჩაუშვა ლერწამის ტარში; რაოდენიც  
ივსებოდა ლერწამი ხოუთი, იმდენი ხმა მალლა და მალლა  
იწვედა. ამოაჭრა მეორე თვალი ლელს, ამოიღო მეორე ხმა,  
მეორეს მოჰყვა მესამე, მესამეს მეოთხე და ამნაირად ლინგ-  
ლუნმა გააკეთა სტვირი“. ლინგლუნმა ეს გამოგონება მიარ-  
თვა მეფეს. კარგარეთელი ბოლოს ასკვნის: „ამის შემდეგ გა-  
ვრცელდა ქვეყანაზე სტვირი და აი, ჩვენამდისაც მოაღწია ამ  
საკრავმაო“.<sup>1</sup> მეორე ადგილას, განსვენებული მკვლევარი  
წერს: „ჩინეთში გამოგონილი სამუსიკო იარაღები დღესაც  
მოიპოვებიან საქართველოში: ერთს ამისთანა სამუსიკო ია-  
რაღზე — სტვირზე, რომელიც ჩვენში ჩინეთიდან შემოვიდა,  
საუბარი გვექნება ამ წიგნის ბოლოშიო“,<sup>2</sup> და ეს ბოლო, ჩვენს  
მიერ ზემოაღნიშნული ლეგენდაა. თავისთავად ცხადია, რომ  
ამ ლეგენდას არავითარი ქართული საფუძველი არ გააჩნია.  
ლინგლუნი და სხვა მისთანანი, უცხოა ქართული ხალ-  
ხური თქმულებისათვის. ამ თქმულებაზე დამყარებით სტვი-

<sup>1</sup> ია კარგარეთელი, მოკლე პოპულარული სამუსიკო ენციკლოპე-  
დია, თბილისი, 1933 წ., გვ. 118, 119.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 47, 48.

რის ჩინეთიდან შემოტანის მტკიცება, რა თქმა უნდა, კრიტიკას ვერ გაუძლებს.

სტვირის თავდაპირველი ბუნება მარტივი იყო. გულა-სტვირი, რომელთანაც დაკავშირებულია მესტვირული პოეზიის ტრადიცია, უფრო რთული აგებულებისაა, ვიდრე ჩვეულებრივი სტვირი, რომელიც, თითქმის, ყველა ქართველ მწყემსს გაუკეთებია. ამის შესახებ ია კარგარეთელი სამართლიანად შენიშნავს: „ალბათ ყველა ჩვენგანს გაუკეთებია სტვირი, ზოგს ასკილისაგან, ზოგს ლელისაგან, ლერწამისაგან, ყანის ლეროსაგან, დუდგულისაგან და სხვ“.<sup>1</sup> აქედან ცხადი ხდება, რომ გულა-სტვირის საფუძველი უნდა ვეძიოთ არა უცხოეთში, არამედ ადგილობრივ, ჩალის, ლელის, დუდგულის, ლერწმის და სხვა სახის სტვირად გამოყენების ჩვეულებაში. საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების შესაბამისად ვითარდებოდა ეს პრიმიტიული საკრავი. გულა-სტვირებზე დამკვრელების ერთი ნაწილი ჯერ ასკილის ან ლერწმის სტვირზე სწავლობდნენ დაკვრას და შემდეგ გადადიოდნენ გაუმჯობესებულ გულა-სტვირის დაკვრაზე. წინამძღვრიანთკარელი მესტვირე ვასო გულბათაშვილი მოგვითხრობს, რომ მან 28 წელიწადი მწყემსობაში გაატარა. „მე, როგორც მწყემსმა, ჯერ ასკილის სტვირზე, უგულოდ, ვისწავლე დაკვრა, მერე გაემართე სტვირი გუდითო“<sup>2</sup>. პირველ ხანებში „ძალიან მიჭირდა გუდის გამოყენება. ჩაუბერავდი, თითების აყოლება მავიწყდებოდა, თითებს ავაყოლებდი, ჩაბერვა დამავიწყდებოდაო“<sup>3</sup>. ახალსოფელში (საგურამო) მცხოვრები მიხა ზაქარიას-ძე ყველაშვილი გვამცნობს: „მე ვაკეთებდი ასკილის სტვირს და იმას ვუკრავდი — მწყემსობის დროს, ბავშვობისას; გულა-სტვირი არ მქონდაო“<sup>4</sup>.

<sup>1</sup> იქვე, გვ. 118.

<sup>2</sup> ფ. არქ. № 32021.

<sup>3</sup> იქვე.

<sup>4</sup> ფ. არქ. № 32012.

სტვირად იყენებდნენ შვრიას ან სვილას,<sup>1</sup> აგრეთვე მაგარი-  
ჩალის ღეროსაც<sup>2</sup>. მიხ. ჩიქოვანის ცნობით ქისტაურში და  
იყალთოში ბავშვები აკეთებდნენ ასკილის სტვირს. „ასეთი  
სტვირი სალამურისაგან იმით განსხვავდება, რომ მას ენა არა  
აქვს. ასეთი სტვირის გაკეთება შეიძლება პურის მწვანე ღე-  
როსაგან და თიხისაგანაც. ამნაირ სტვირს გულა არა აქვს და  
აქაურები მას არც იცნობენ ამ სახით. რასაც ჩვეულებრივ  
სტვირს ვუწოდებთ, მას აქ საზანდარი ეწოდება. მესაზანდრე-  
ები ამ უბანში ადგილობრივნი არ არიან“<sup>3</sup>.

ზემოთქმულიდან ცხადი ხდება, რომ საქართველოში, უფ-  
რო მეტად მწყემსთა შორის, გავრცელებული ბალახის, ლე-  
ლის, ჩალის, დუდგულის, ლერწმის, თიხისა და სხვა სახის  
სტვირი არის ის საფუძველი, საიდანაც განვითარდა გულა-  
სტვირი.

სტვირი ან გულა-სტვირი, როგორც ერთ-ერთი უძველესი  
საკრავთაგანი, გვხვდება ინდოეთში, ანტიკურ რომში, ინგ-  
ლისში, შოტლანდიაში, ირლანდიაში, პოლანდიაში, საფრან-  
გეთში, რუმინეთში, ლიტვაში, რუსეთში, უკრაინაში, ბელო-  
რუსიაში. ეს საკრავი გავრცელებული იყო აგრეთვე ბოშებსა-  
და ქურთებს შორის.

სტვირის სახელწოდება იტალიურად—*Cornamusa* ან *piva*;  
ინგლისურად—*bagpipe*, გერმანულად—*Dudelsack*, *Sackpfeife*,  
ფრანგულად—*missette*, *kornemuse*, უკრაინულად *дуда* ან  
*Коза*, აგრეთვე *Лира* (малороссийская лира) რუსულად—  
*волынка*.

რუსული სახელწოდება დაკავშირებულია *Волынь*-თან, სა-  
დაც ეს საკრავი საფიქრებელია შეტანილ იქნა რუმინეთიდან.

საქართველოში ამ საკრავს ვხვდებით რაქაში, ქართლში,  
კახეთში, ფშავში, აჭარაში. აჭარაში სტვირს ეწოდება „ქიბო-  
ნი“, „ქიმონი“ ან „თულუმი“.

<sup>1</sup> პურის ბალახი (მთქ. შენიშვნა).

<sup>2</sup> ფ. არქ. № 30832, კახეთი, სოფ. აკურა.

<sup>3</sup> ფ. არქ. № 31991.



ინდურ სტვირზე რეზერვუარად, გუდის ნაცვლად. იყენებდნენ გოგრას (კვახს). სტვირებს შორის არსებობს მსგავსებაც და განსხვავებაც: ყველა სტვირი შედგება ორი სალამურისაგან. დაკერის წესი და საშუალება ერთი და იგივეა, მაგრამ განსხვავება ის არის, რომ ზოგ სტვირზე ორივე სალამური შეიცავს ნაჩვრეტების თანაბარ რაოდენობას, ხოლო ზოგან ერთ სალამურზე მეტი ნაჩვრეტებია, ვიდრე მეორეზე. ჩვენი სტვირი მიეკუთვნება მეორე კატეგორიას: მარცხენა სალამურზე ექვსი, მარჯვენა სალამურზე სამი თვალია (ნაჩვრეტი) ამოჭრილი.

განსხვავებას ვამჩნევთ აგრეთვე ზომასა და ფორმაშიც. სტვირი უმეტესად დამოუკიდებელი, ცალფა, „საიუ“ საკრავია. მათ რიცხვს ეკუთვნის აჭარული კიბონიც, რომელზეც უმთავრესად საცეკვაო მუსიკას ასრულებენ.

რაჭული და ქართლ-კახური სტვირი არსებითად სიმღერის თანმხლები საკრავია, ე. ი. მისი ფუნქციაა აკომპანიმენტი.<sup>1</sup>

როგორც ვხედავთ, სტვირი და გუდა-სტვირი მეტად გავრცელებული ყოფილა ევროპასა და აზიაში. სტვირი არ არის რთული საკრავი. ამდენად, ამა თუ იმ ქვეყანაში სტვირის არსებობა არ ნიშნავს მის აუცილებლად სხვა ქვეყნიდან შემოტანას, იგი შეიძლება დამოუკიდებლადაც წარმოშობილიყო. საგულისხმობია ის გარემოება, რომ Curt Sachs-ს თავის ლექსიკონში მოხსენებული აქვს Stwirl როგორც ქართული ინსტრუმენტი, რომელიც იგივეა, რაც Mysette ან არაბული Rüdqara და გავრცელებულია მრავალ ხალხთა შორის.<sup>2</sup>

---

<sup>1</sup> ეს ცნობა ელ. ვირსალაძის თხოვნით გადმომცა გ. ჩხიკვაძემ, რისთვისაც უღრმეს მადლობას მოვახსენებთ.

<sup>2</sup> ხალხური ჰოეზია, კუთაისი, 1934 წ., გვ. 284. შტრ. Curt Sachs, Real-Lexikon der Musikinstrumente... Berlin, 1913 წ., გვ. 362.

გულა-სტვირის აღწერილობა ცნობილია სამეცნიერო ლიტერატურაში<sup>1</sup>, მაგრამ ისე სრულად და დაწვრილებით არა, როგორც ეს ქვემოთ არის წარმოდგენილი. ფარახეთელი მესტიერე ზაქარია ერადის გადმოცემით სტვირი შემდეგ ნაწილებსაგან შედგება.

1. გულა. გულა უნდა იყოს ცხვრის. ცხვარს წმინდა ბალანი აქვს, დიდხანს არ ცვივა და სულიც არ გამოდის. თხას მსხვილი ბალანი აქვს და სული გაუვა, ხბოს ტყავი ძალიან მაგარია,— არ ვარგა გუდიათვიო. გულა სძლებს ორ წელიწადს, კარგი მოვლით სამ წელსაც გასძლებს. თუ ხმარებაშია მას წამალი არ უნდა, თუ შენახულია — ჩრჩილის წამალს ვუკეთებთ.
2. ჩასაბერავი — ჩასაბერავს ხრეკოს ვეძახით, ჩასაბერავად ვხმარობთ დუდგულას. იგი უნდა იყოს ორი ჩარქეი, ნახევარი არშინი.
3. პეპელა — თხელი მეში, ჩასაბერავის ქვემოთ არის მიმაგრებული, გულა რომ გაიბერება, სულს ჩასაბერავიდან უკან არ გამოუშვებს.
4. სტვირის ბუდე — ამისათვის ვიყენებთ ცაცხვს, მასში ჩაწყობილია დედნები. ბუდე შეიძლება ძეწნისაც იყოს. იგი მტკაველი და ოთხი ვერშოკია.

---

<sup>1</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები, გვ. 191; ია კარგარეთელი, მოკლე პო. სამუსიკო ენციკლოპედია, გვ. 22; დ. არაყიშვილი, Еще о песне Грузинской области Рачи. (Доклад читанный на XXIII научной сессии Академии Наук ГССР, 27 ноября, 1946 г.) მისივე. О грузинских музыкальных инструментах... (сб. Труды музыкально-этнографической комиссии, т. II, Москва, 1911 г. стр. 193).

II. Евляхов. О народных песнях и певцах в Грузии. „Кавказ“ 1950 г. № 65.

В. Корганов. Кавказская музыка. Тифлис, 1908 г., стр. 30.

ჯ. ნოლაიძელი. აჭარის ხალხური სიტყვიერება. წიგნი მეორე; ბათუმი; 1940 წ., გვ. IV.

5. **დედნები დუდგულასი უნდა იყოს.** დედნები მტკაველი და ერთი ხელის დადებაა. დედანი ორია, ერთი და იგივე სიგრძისა და სიმსხოსი. დედნებს სულ ცხრა თვალი აქვს; მარჯვენა დედანს სამი, მარცხენას უქვსი.
6. **სალტეები.** სალტე თითბერის შეიძლება იყოს, ექვსი სალტე აქვს სტვირს. ამ სალტეებით დედნები მიმაგრებულია ბუღეზე.
7. **ლერწმები.** სტვირს ორი ლერწამი აქვს. ეს ლერწმები დამკვრელები არიან, ორივე ერთიდაიმავე სიგრძისა და სიმსხოსია. ლერწმები ბუდიდან აქვს გაკეთებული და შეერთებულია დედანთან, შეერთების ადგილი სანთლით არის ამოგლესილი, ლერწმები უერთდება გუდას. ლერწამი უნდა იყოს სამი ვერშოკი. თუ გამოდგა, ოცდახუთ წელს ივარგებს.
8. **საშვენებელი თვალეები მიმაგრებულია სალტეებთან.** ზუთ სალტეს აქვს თითო, ერთს კი ხუთი, ე. ი. სულ ათი. უკანასკნელ სალტეს, გუდასთან ახლოს რომ არის, დიდი სალტე ეწოდება.
9. **წკებლა (წკებლები).** სტვირს სამი წკებლა აქვს, ერთი დედნებს შუაზე აფარია დიდი სალტიდან ბოლო სალტემდის, ორი კი დედნების გვერდებზეა მიმაგრებული, წკებლები სიმაგრისათვის აქვს სტვირს.
10. **ყანწი.** ყანწი ჯიხვის უნდა იყოს, მაგრამ ძნელი საშოვნია, ისე ხარის (ხუთი, ექვსი წლის) რქა გამოდგება. მოყვანილი უნდა იყოს, ყანწის ბოლო გაჭრილია ისე, რომ დედნებს არგოს.
11. **ყანწის სალტეები.** სალტედ უნდა თითბერი, ხუთი სალტე აქვს ყანწს. ეს განის სალტეებია.
12. **ყანწის თვლები უნდა იყოს 22.** თვლები ყანწს ერთ მხარეზე აქვს — საიდანაც მოხრილია.

13. ყანწის სიგრძის სალტე არის ოთხი. სამი სალტე, მოხრილი რომ არის იმ მხარეზე აქვს, მასზე თვლებია მიმაგრებული, ერთი სალტე ყანწის ზურგზე ბოლომდის გაყვება, იგი განის სალტის დასამაგრებელი საშუალებაა.
14. ძეწკვი ოცდასამი მაინც უნდა იყოს, მიმაგრებულია ყანწის ბოლო სალტეზე. ძეწკვი სილამაზისთვის არის საჭირო. (მთქმელის შენიშვნა: „ფარნაოზ ხელმწიფეს რომ უნდა დეეწვა გლეხის შვილი და ის გლეხი რომ ტიროდა, იმის ცრემლების სურათია ეს ძეწკვი“).
15. სტვირის ნემსი. საბანე თვლებს სანთელს დავაგლესავთ, ამ სანთელს როცა ფრჩხილებით ვერ ვაცლით, ნემსით ამოვიღებთ, ნემსი მიმაგრებულია ყანწზე თასმით, ხოლო ყანწიდან იგივე თასმით ბუდეზე.
16. საბანე თვლები. საბანე თვალი უნდა ქონდეს ერთი ან ორი. საბანე თვალი გაკეთებულია მარჯვენა დედანზე — ბოლოში.
17. შიგნითური პატარა ყანწი ხარის რქისაგან არის გაკეთებული, თავი აქვს მოჭრილი საბერავის სარგოთ, ფსკერი დაცობილია ხით, რომლის ნაპირზე ფისია დასხმული. რათა სული არ გაუვიდეს. შუა ადგილზე გაჭრილია სამგან—სულის გამოსაშვებად. ყანწის შიგნით ფსკერზე ბამბაა დადებული. ჩასაბერავიდან რომ ვბერავთ, ნერწყვი ჩადის, იმ ნერწყვს ბამბა შეიშრობს, უნერწყვო პაერი გამოვა ყანწის შუა გაჭრილი თვლებიდან და გულაში დაგროვდება. ნერწყვისაგან დაწმენდილი პაერი გუდას არ გააფუტებს. დილიდან საღამომდის თუ ვუჭრავდით, მაშინ საღამოს ბამბას გამოვიღებდით, გაეწურავდით და ისევ ჩავდებდით.

სტვირი მორუგებულია ცხვრის ტყავის წინა მარცხენა ფეხზე, ჩასაბერი კი წინა მარჯვენა ფეხზე, უკანა ფეხები მოჭრილია და ორივეს ერთად მოჭერილი აქვს ბა-

წარი (ზაქარიასეული გუდა). ასევე კისრის ნაწილსაც მოჭერილი აქვს თოკი შიგნიდან, უკანა, ღუმის მხარის ნაწილებს კი გარედან.

18. ჩანთა (ჩიხოლი), ამაში ინახავენ გუდას<sup>1</sup>.

ასეთია აღწერილობა იმ გუდა-სტვირისა<sup>2</sup>, რომელიც ამჟამად აქვს ფარახეთელ მესტიერე ზაქარია ერადეს.

ყველა ზემოაღნიშნულიდან ცხადია, რომ უალრესად ეროვნული საკრავის სტვირის შესახებ გავრცელებული თქმულებები ადგილობრივი, ქართული ხასიათისაა. ეროვნულმა საკრავმა საუკუნეების განმავლობაში ეროვნული თქმულებები შექმნა. ასეთი თქმულებები არ არსებობს საზანდარზე, ზურნაზე, გარმონზე და სხვა არაქართულ საკრავებზე. მეორე მხრივ, უდავოა, რომ გუდა-სტვირის შექმნის ისტორია მწყემსთა ცხოვრებაში გამოყენებული სხვადასხვა სახის პრიმიტიული სტვირების არსებობით არის შეპირობებული.

საქართველოს ყველა კუთხეში იცნობენ მესტიერეს. ამ სახელს ქართველი ისე არ ახსენებს, რომ რომელიმე მესტიერული ლექსიდან რამდენიმე სტრიქონი ზეპირად არ მოაგონდეს. არცერთი სხვა საკრავი ისე არ არის შესისხლხორცებული ქართულ საწესჩვეულებო სანახაობებთან და ზეპირსიტყვიერებასთან, როგორც სტვირი. იგი თავის გამოხატულებას მოულობს ზღაპრებში, ხალხურ ლექსებსა და სიმღერებში. გამოცანებსა და ანდაზებში. ყოველივე ეს იმას მოწმობს, რომ მესტიერულ ტრადიციას საქართველოში დიდი ხნის ისტორია აქვს და ამ მომენტის გათვალისწინება ჩვენს მიერ ზემოაღნიშნულ ისტორიულ ცნობებს უფრო გააღრმავებს და განამტკიცებს.

1 ფ. არქ. № 31656.

<sup>2</sup> გუდა-სტვირი პირველად ნახსენები აქვს თეიმურაზ პირველს „ლეილ-მაჰნუნთან“... „ქრენ ათასფერნი მუტრიბნი არ ცუდი გუდა-სტვირები“ (იხ. თეიმურაზ პირველი, თხზულებათა სრული კრებული, აღ. ბაჩაშვილისა და გ. ჯაკობიას რედაქციით, თბ. 1934 წ. გვ. 37, § 98).

„ერთი მამაშვილის არაკში“<sup>1</sup> ვკითხულობთ „მამამ გაიგონა, რომ ჩემი ქალი ხელმწიფის შვილსა ჰყავსო, აილო სტვირი და მივიდა ხელმწიფის კარზე და მოახსენა ხელმწიფეს: საზანდარს არ ინებებთო?“. საგულისხმოა, რომ მესტვირისა და მესაზანდარის სინონიმობა ზღაპრებშიაც თვალნათლივ ჩანს. ჩვეულებრივ, ზღაპრებში ცნობილია ასეთი მოტივი: მზეთუნახავს სიცილის დროს პირზე ვარდი ეშლება, ტირილის დროს კი ცრემლების მარგალიტები სცვივა.<sup>2</sup> საჭიროა ქალის ეს თვისება გამომჟღავნდეს. ხშირად ამას ქალის დედა ახერხებს: „ულიტინა დედამ ქალს, ქალმა გაიცინა და პირიდან სულ ვარდი და.ია გადმოეშალა“<sup>3</sup>; მაგრამ ზოგჯერ მესტვირეც. მეფე მესტვირეს ავალებს მოუძებნოს შვილისათვის საცოლე, „მაინც სოფელში დადიხარო“ (ზღაპრებშიაც ხაზგასმულია მესტვირის მოხეტიალე ბუნება). მართლაც, ერთ ქორწილში მესტვირემ ნახა ქალი: დაუკრა სამგლოვიარო, ამ გოგოს თვალმარგალიტი გადმოსცვივდა თვალებიდან, დაუკრა სალხინო: გოგოს „ია და ვარდი ამეედინა თვალიდან“. დაბრუნდა მესტვირე. მეფეს მოახსენა: „ისეთი ქალი ვნახე, რომ დედამიწის ზურგზე უკეთესი არ მოიპოვებარ. იგი შევრთოთ მენს შვილსაო. მივიდნენ და წამოიყვანეს“.<sup>4</sup>

ზოგჯერ სტვირი გამოყენებულია როგორც საჩუქარი, რომელსაც მეფე უბოძებს დავალების შემსრულებელ გმირს. „როსტომიანის“ ერთ-ერთ ლექსნარევ პროზაულ ვარიანტში ვკითხულობთ: „ვინც ღორებთან საბრძოლველად წავა, იმისთვის აღმითქვამს:

---

1 ხალხური ზღაპრები, კახეთსა და ფშავეში შეკრებილი თედო რაზიკაშვილის მიერ. თბილისი, 1909 წ. გვ. 107.

2 იქვე, გვ. 109.

3 იქვე, გვ. 109.

4 მთიულეთი. სოფ. კიკანი. მთქელი ენო კიკაძე. 1946 წ. ფოლკლორული ექსპედიციის (ხელმძღვ. ელ. ვირსალაძე) მასალებიდან.

ასი ტაიკი რჩეული, სტვირი თავსახურაინი,  
ჩემი საწუთროც მისია, ვინც მათზე წავა ხმლიანი“.<sup>1</sup>

საფიქრებელია, რომ ამ შემთხვევაში, ყვირო-სტვირი იყოს ნაგულისხმევი, რადგან გმირები მესტვირობას არ მისდევდნენ.

საინტერესო ცნობას მესტვირული ტრადიციის შესახებ მესტვირული ლექსები იძლევა. მაგალითად, ხშირია შემთხვევა, როდესაც ერთ პატარა ლექსში დაცულია მესტვირის გვარი და სახელი, სტვირის შეკაზმვისათვის დახარჯული თანხის რაოდენობა, დღესასწაულზე წასვლა, გასამრჯელოს გაცემა და ა. შ. აი ეს ლექსიც:

„ციხისძირიდან წამოველ მე გძელიშვილი ანდრია,  
ქალაქში მოქალაქესა კარგი ქორწილი ჰქონია,  
ვიშოვნე ხუთი მანათი შავაკზმინე სტვირია,  
აფხავის წმინდა გიორგში დავალულუნე სტვირიც,  
ბევრი ქალი ვათამაშე მარიაში და თინიაც,  
ყველამ კარგათ გამისტუმრა, მოჩხრიკა ჯიბის ძირია,  
ზოგმა პლუტმა ავაზაკმა, იმან მარიდა პირია“...<sup>2</sup>

შემდეგ მოთხრობილია სტვირის დაკარგვით გამოწვეული მწუხარება, მაგრამ მწუხარება სიხარულით იცვლება: „გათენდა მესამე დილა, ვიპოვნე ჩემი სტვირია“ — ამბობს ალტაცებული მესტვირე. მესტვირე და მესაზანდრე სინონიმებად გვევლინება ლექსებშიაც: „აქ შაზანდარი გიახლათ, სტვირი დაუკრა ქრელი“-ო, ამას მოსდევს ცნობილი მესტვირული დალოცვა:

„სულ შენი საყმო გამხდარა კარი და ბელაქანია,  
გუნებაში ჩავიცინე, — შიგაქვს ჯიბისკენ ხელია,  
ამოიღე და მაჩუქე, უნდა ვიყილო ცხენია.  
აგრე მოგიყვები ქებასა, როგორც საყდარში მღვდელია,  
ქალაქს სიონი გწყალობდეს და მცხეთას მონასტერია.“

<sup>1</sup> თ. ბეგიაშვილი, ქართული ფოლკლორი, თბილისი, 1941 წ. გვ. 116.

<sup>2</sup> ბ. უმეცაშვილი, ხალხ. სიტყვიერება, წიგნი I, გვ. 273.

გაქოსა და გადღეგრძელოს, მოგცეს ადამის დღენია.  
უწინ შენ მოგაკვლევინოს შენზე მოსული მტერია;  
კისერი გაქსქელებია, ვერას დაგაკლებს მტერია;  
ლამაზი ქერა უღვაში ლოყაზე გადაგფენია,  
აწეთნაირათ იცინი, შენ ხარ ქალების მტერია“.<sup>1</sup>

ეს ლექსი ჩაწერილია კახეთში სოფ. ვაჩნაძიანში ა. ჯანდიერის მიერ 1870 წ.<sup>2</sup> აქ ჩანს მესტვირული ტრადიციის სახოტბო ხასიათი. მესტვირე აქებს მსმენელებს და გასამრჩელოდ ფულს ითხოვს, რადგან შორი მთიდან გადმობვეწილს სურვილი აქვს შეიძინოს ცხენი.

მესტვირული ტრადიცია იმდენად ძლიერი იყო ჩვენში, რომ მისგან შეიქმნა ახალი გვარი მეატვირიშვილი, რომელიც ერთ-ერთ ლექსში ძველი მესტვირის“ სახელწოდებითაც არის მოხსენებული. აღიდებულმა ლიახვმა 10 კოდი პური წაართვა მესტვირიშვილს, თითქოს ღალა ემართა მისი! გულ-მოკლული მესტვირე ლიახვს ასე შესჩივის:

„შე ლიახვო, რას მერჩოდი, შე კაბუკისა კალაო.  
იქ ბატონს ვემსახურები, შენ აქ მოგართვი ღალაო,  
ციციშვილის ნაჩუქრები მომაქ ათი კოდი პური,  
ისიცი, ლიახვო, წამართვი, დამაგდე წყალწაღებულ-  
ვგავ გეყოფა, ლიახვო — წახვალ და დაიკვებები.“  
„გავტარცვე ძველი მესტვირე, ველარ მიჰქონდა ფეხები“.  
მაცადე, ვნახო ლიახვო, გებევოდნენ კოლოები,  
შიგ ბანაობდნენ ბიჭები და უნიფხო გოგოები!  
წავალ და შევებვეწები ქალაქ ლაყვერდის სიონსა!  
ჩემი ათი კოდი პური იქ მამე საიქიოსა“.<sup>3</sup>

საფიქრებელია, რომ ციციშვილმა მესტვირიშვილს მესტვირეობისათვის აჩუქა 10 კოდი პური, სხვაგვარი გამართლება ამ საჩუქარს არა აქვს. მესტვირეები პირდაპირ ამღრებდნენ, ისანი მსმენელებისაგან გასამრჩელოს მოითხოვდნენ, მათი პრეტენზიები მანეთსა და შაურს შორის ქანაობდა:

<sup>1</sup> იქვე გვ. 268.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 511.

<sup>3</sup> პ. უ მ ი კ ა შ ვ ი ლ ი, გვ. 238.



„შენი კირიმე შენია, ჯიბეს გაიკარ ხელია,  
ან ამოიღე აბაზი, ან უხალთუნი ჭრელია“,<sup>1</sup>  
„ან აბაზი ამოიღე ან უხალთუნი ჭრელია,  
ნუ ამოიღებ შაურსა, ჯორის ნალივით ბრტყელია“.<sup>2</sup>

„შაური მესტვირეებმა იმდენი ატრიალეს, რომ ის „დაამარ-  
ცხეს“:

„შენი კირიმე, შენო, აბრეშუმს გიგავს წვერიო!  
სალექსოდ ნურას დაზოგავ, ჯიბეს გაიკარ ხელიო;  
ან ამოიღე აბაზი, ან უხალთუნი ჭრელიო,  
შაურს-კი ნუ ამოიღებ, უსუსურია, თხელიო,  
მარჯვენა ხელი გაუხმეს ვინც მაგას დაქერა კვერიო!“<sup>3</sup>

რაც შეეხება ნატურით ანაზღაურებას, მესტვირულ ლექ-  
სებს ამაზედაც მეტად საინტერესო ცნობები დაუცავს. ერთ  
ლექსში ვკითხულობთ:

„ელია. მელია, ბულბული მგალობელია,  
ეტუობა ჩენი გიორგი უხვი და მწყალობელია,  
ტანათ ლომი და პირათ მზე, ტკბილი სიტყუების მთქმელია,  
შენ დიდი ჯამი მონახე, ხორბალს მოჰკიდე ხელია“.<sup>4</sup>

მესტვირეები ცდილობდნენ სტვირის ღვთიური ჩამომავლო-  
ბის დასაბუთებას. ამ მომენტზე მკვეთრადაა ხაზგასმული  
რამდენჯერმე, მესტვირე ამბობს:

„მე რომ ღმერთმა გამაჩინა, კვეა გონება დამატანა,  
ხელში მომცა ჭრელი სტვირი, ამ სოფელში დამატარა,  
საცა მიველ ზედ დამედო. დიდი იყო თუ პატარა“.<sup>5</sup>

<sup>1</sup> იქვე. გვ. 268.

<sup>2</sup> იქვე. გვ. 268.

<sup>3</sup> ფშაური ლექსები, შეკრებილი დ. ხიზანიშვილის მიერ, 1887 წ.  
23-255.

<sup>4</sup> ფ. არქ. 15 21223. „მესტვირული“. მთქმელი ვ. ლალიშვილი, ჩამწერი  
ქს. სიხარულიძე, 1939 წ. 19/VII.

<sup>5</sup> ძე. საქართველო, ტ. 111, გვ. 150.

სტვირის შესახებ ქართველებს საგულისხმო გამოცანაც შეუქმნიათ. გამოცანაში ხაზგასმულია მესტვირის მოხეტიალე ბუნება:

„პირი ხისა, სული ღ ჟ თისა, მას მუცელი ჰქონდა ცხვისა,  
სოფელ-აოფლად დადიოდა, პატრონს უკუყვირდა კირსა“.<sup>1</sup>

საზნდარ მიხას სულს საიქიოში აწონვას უპირებენ, მაგრამ ანგელოზებმა უცოდველად ჩათვალეს იგი და პირდაპირ წარუდგინეს მეფე-დედოფალს, „მოდის მიხა მომღერალი“—ო და ჯამით ღვინო მიართვეს. ლექსების თქმით, მიხას ალტაცებაში მოჰყავს ყველა.<sup>2</sup>

ცნობილია, რომ ძველ დროში, უზბეკეთის სახალხო მომღერლები ბახშები თავიანთ ხელოვნებას ზეციური შთაგონების ნაყოფად თვლიდნენ. თითქოს მომავალ მომღერალს, უბრალო მწყემსს, რომელსაც ადრე არ გააჩნდა სიმღერის ნიჭი, დაეძინება სადღაც მინდორში, ხის ძირას, სიზმარში მას გამოეცხადება უცნობი, წმინდანის სახით, რომელიც დააჭიღოებს ნიჭით და უბრძანებს იმღეროს.<sup>3</sup> მსგავსი თქმულება არსებობს პირველ ანგლო-საქს პოეტ კედმონზე, უსწავლელ მწყემსზე, რომელმაც უზბეკელი ბახშის მსგავსად, პოეტური ნიჭი ზეციდან მიიღო.<sup>4</sup> როგორც ჩანს, პოეტური ნიჭის ზეციური ჩამომავლობა საერთო მოტივი ყოფილა სახალხო თქმულებებისათვის.

სტვირი არა მარტო ლექსებში, ზღაპრებსა და გამოცანებშია შესული, არამედ ანლაზებშიც. მაგალითად:

---

<sup>1</sup> მ. ხ. ჩიქოვანი, ახალი საარქივო მასალები, ლიტერატურული ძიებანი, ტ. 111, 1947 წ. გვ. 169.

<sup>2</sup> ხალხური პოეზია, ქუთაისი, 1934 წ. გვ. 252.

<sup>3</sup> В. Жирмунский. Х. Зарифов. Узбекский народный героический эпос. Москва. 1947 г., стр. 26.

<sup>4</sup> Корш, Всеобщая история литературы. т. II, стр. 130.

მესტირის ცოლს ჰკითხეს, შუშპარი იციო და  
ჩემს დღეში \*მაგის მეტი რაღა გამიკეთებია მე დაღონებულსაო“.<sup>1</sup>

ერთი სალხინო-სასიმღერო ლექსი ასეთ შედარებებს შეი-  
ცავს:

„სიმღერას ბანი ამშვენებს, ხანდოსა, წალკოტსა ვაშლი წითელი,  
ხანდოსა...  
ფერხულსა ქალი ლამაზი, ხანდოსა, კაბა ჩაეცვას წითელი, ხანდოსა...  
ვაეკაცსა თოფი და ხმალი, ხანდოსა, მოემწითუროს კისერი, ხანდოსა...  
მესტირეს კარგო ლექსები, მოწყენილთ გულის გამშლელი,  
ხანდოსა...“<sup>2</sup>

---

<sup>1</sup> პ. უმიაშვილი, ხალხური სიტყვიერება, გვ. 464.

<sup>2</sup> პ. უმიაშვილი, გვ. 348.

თ ა ვ ი II  
მესტვირული პოეზიის ტრადიცია  
საქართველოში

1. მესტვირული პოეზიის გავრცელების არე

ამჟამად გულდა-სტვირი შემორჩენილია ქართლში, მესხეთში, ფშავში, რაქასა და აჭარაში, მაგრამ, როგორც აკად. ივ. ჯავახიშვილი წერს, „წინათ-კი მთელ აღმოსავლეთ საქართველოშიც ყოფილა გავრცელებული“.<sup>1</sup> მართლაც, საქართველოში არ არის ისეთი კუთხე, სოფელიც კი, სადაც, მესტვირეთა შესახებ რაიმე ცნობა არ იყოს დაცული, ან მესტვირული პოეზიის რომელიმე ნიმუშის ნაწყვეტი არ იცოდნენ მოქმედებმა. ამის მიზეზი მესტვირეების მოხეტიალე ბუნებაცაა. „ჩვენი დროის მესტვირე თავის გუდიანი სტვირით აუცილებელი სტუმარია დღეობებისა... აქ მესტვირე თავისი სტვირით ხან ერთ გაშლილ სუფრას ეწვევა, ხან მეორეს, ენა მისი წყლიანობს და მასპინძლის ქებას საზღვარი არა აქვს. ასე გადადის მესტვირე ერთი სუფრიდან მეორეზე და შემდეგ ერთი სოფლიდან მეორე სოფელში“;<sup>2</sup> ერთი კუთხიდან მეორე კუთხეში.

ქართული მესტვირული პოეზიის ტრადიციის გავრცელების არე მოიცავდა მთელს საქართველოს და ზშირად სცილდებოდა მის ფარგლებსაც. მესტვირეთა ერთმა ნაწილმა კარ-

---

<sup>1</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართ. მუსიკ. ისტ. საკითხები, თბილისი, 1938 წ. გვ. 190.

<sup>2</sup> ია კარგარეთელი, მოკლე პოპულარული სამუსიკო ენციკლოპედია, გვ. 32.

გად იცოდა რუსული, სომხური, ოსური, თათრული და აფხაზური ენები. იყვნენ ისეთი მესტვირეები, რომლებიც სტვირზე ამღერებდნენ რუსულად, ოსურად, თათრულად და სომხურად. ამდენად, ქართველი მესტვირეების ერთი ნაწილი პირველ ინტერნაციონალურ მომღერლებად გვევლინებიან. განთქმულმა ფარახეთელმა მესტვირემ ზაქარია ერადემ ერთი თვალის გადავლებით, არა სრულად, მაგრამ მაინც აღადგინა მეხსიერებაში ის ადგილები და სოფლები, სადაც რამდენჯერმე ყოფილა თავის გუდა-სტვირით. ასეთი ადგილებია: სიღნაღი, ნუკრიანი, ბოდბისხევი, არბო, მირზაანი, ცხრამუხა, საციციანო, ბორჯომის ხეობა, ზესტაფონი, ოზაანი, პრასიანი, საქობო, ანაგა, ვაჭირი, კარდანახი, წნორი, ბაკურცინე, გურჯაანი, ახალსოფელი, შილდა, ყვარელი, ჭიკაანი, ენისელი, გრემი, შაქრანი, ბაბანეული, პანკისი, ახმეტა, თიანეთი, ფშავ-ხევსურეთი, დუშეთი, მქადიჯვარი, სამთავისი, გორი, ხანდაკი, დუისი, ერთაწმინდა, ხვამლევი, ხიდისთავი, ვარიანი, ვაყა, ნაბახტევი, ოძისი, სატიო, დუმაცხარი, შაქ-შაქეთი, ბერძენაული, ავლევი, ფცა, ლოლეთი, დირბი, ჩხარის, ბაღდათის, ოზურგეთის, ფოთის, ზუგდიდის ყოფილი მაზრები და სხვ. მას უვლია დღეობებში ლაშარსა და ლომისაში, გერიჯვარში, სარკის წმინდაგიორგში, წვერის წმინდაგიორგში, ბოლნისის წმინდაგიორგში, გუმბრში, წალკაში თელეთობას, მცხეთობას, ალავერდობას, შუამთაში — ღვთისმშობლობას... მეჭვრისხევეში — უსანეთობას... — ყველგან ნამყოფი ვარ, ამბობს ზაქარია, საქართველოში ოთხმოცი დღეობა იყო, სოფელი ლხინობდა, სტვირით დავდიოდი. „იმთ ქვე უხაროდათ და მეც ქვე დასაჩუქრებულს გამომიშობდნენ, რა დღეობა გინდა მეშტვირე იქ იყო; ჩვენს ფარახეთში 120 მეშტვირე იყო, წვედილოდით თითო დღეობაში ორი და სამი, სოფელი არ შეწუხდესო, სხვები კიდევ სხვაგან წვედილოდნენ, ასე დავერიგებოდი“.<sup>1</sup> მესტვირეები გარდა

1 ფ. არქ. № 31654.

ღრმად მოხუცისა ან კოკლისა, ფეხით მოგზაურობდნენ. „მეშტვირეები, — გადმოგვეცემს ზაქარია, — ფეხდაფეხ დაედიოდით, ცხენით არ შეიძლებოდა, სახლში შევიდოდით ხშირად, ის გარეთ დაგერჩებოდა, ქვე მოგვეპარავდნენ. არ მახსოვს ისეთი მეშტვირე, რო ცხენით ევლოს.“<sup>1</sup> თუმცა იმავე ზაქარიას ცნობით, სახედრით დადიოდა მესტვირე ექვთიმე არჩვაძე, რადგან მოხუცი იყო; აგრეთვე ჯორით დადიოდა ხრეთელი მესტვირე მამუკა ჩუბინიძე.<sup>2</sup> ჯარიანული მესტვირე გოგია-შვილი დოდე, როდესაც მოხუცდა, ხან ჯორით დადიოდა, ხან ჯორს ორთვალაში შეაბამდა და ისე მგზავრობდა.<sup>3</sup>

დაუღეგარი მესტვირე სად არ ამოყოფდა თავს. მას ყველგან გულუხვად ხვდებოდნენ. „ათი წელიწადია კახეთში არ ვყოფილვარ, ამბობს ზაქარია ერაძე, მაგრამ რომ ჩავიდე. ყველგან მიცნობენ“. საქართველოს გარეთ ზაქარია სომხეთში ყოფილა.<sup>4</sup> ზაქარიას ნაცნობი მესტვირეებიდან ბიკია ბურდილაძე ბაქოში დადიოდა სტვირით, მიხეილა ერაძე კი გროზნოში<sup>5</sup>. ზაქარია, ნიკო ერაძესთან ერთად. სამესტვირეოდ ყოფილა დუშეთში, „ვაკე იმერეთში“ და სომხეთში, შიუნა ბურდილაძესთან ერთად — ერწო-თიანეთსა და ხევსურეთში: ლუკა ტოგონიძესთან ერთად ლეჩხუმში; ბიკია ბურდილაძესთან ერთად საწერეთლოში და სხვ.<sup>6</sup> ზაქარიამ და ლუკა ტოგონიძემ თუშებთან სტვირის დაკვრით შეაგროვეს თხუთმეტრ ფუთი მატყლი, ალვანიდან თელავამდე ურმით ჩამოიტანეს და გაყიდეს.<sup>7</sup> იმავე მგოსნებმა რუისში, ურბნისში და დირბში ათი ფუთი ხორბალი შეაგროვეს და გორში გაყიდეს<sup>8</sup>. მეს-

<sup>1</sup> იქვე.

<sup>2</sup> იქვე. № 31709.

<sup>3</sup> იქვე. № 32025.

<sup>4</sup> იქვე. № 31654.

<sup>5</sup> ფ. არქ. № 31654.

<sup>6</sup> იქვე. № 31655.

<sup>7</sup> იქვე. № 31655.

<sup>8</sup> იქვე. № 31655

ტვირეები დადიოდნენ აგრეთვე საიალლო საძოვრებზე მყოფ მწყემსებთან. მაგალითად, ზაქარია და ლუკა იყვნენ შუაფხოს საძოვრებზე, ხანდოსკალის მეცხვარეებთან და სხვ. თიანეთში ყოფნის დროს ზაქარია შეხვედრია ვაჟა-ფშაველას.<sup>1</sup>

ზაქარიას ცნობით, განთქმული მესტვირე ანდრია ნადირაშვილი სამეგრელოშია დასაფლავებული.<sup>2</sup> ცხმორელმა მესტვირემ სოფრომ კობერიძემ იცოდა რუსული, ოსური და თათრული ენა, დადიოდა ვლადიკავკაჟში და ოსეთში, ხანდახან კი ქართლ-კახეთში; იგი სტვირზე მხოლოდ ქართულად უკრავდა.<sup>3</sup> მესტვირე ანდრია ბურდილაძემ იცოდა „კაი მეგრული, აფხაზური და ოსური, ხშირად დადიოდა სამეგრელოში და აფხაზეთში. „სუფთა ქვეყანაო“, იტყოდა თურმე. 12 წელიწადს სალიგვერდაში (ოსეთში) ცხოვრობდა.<sup>4</sup> 60 წლის ბიძინა დავითის-ძე ერისთავის თქმით სეველი მესტვირე მიხეილ გძელიშვილი „სტვირზე შაირებს მეგრულადაც და თათრულადაც ამბობდა“.<sup>5</sup> სოფ. შარდომეთში მცხოვრებ ალექსანდრე ზურაბის-ძე გოგშელიძის გადმოცემით, მას ფარახეთელი რესტვირეები შეხვდა სუხუმის მახლობლად ანასტასოვკაში.<sup>6</sup> ზაქარიას ცნობით, მესტვირე ბიჭია ბურდილაძემ იცოდა რუსული, სომხური და თათრული.<sup>7</sup> ამას მხარს უჭერს ბერელი მთქმელის 72 წლის ივანე როსტომის-ძე ციხისელის ცნობა იმის შესახებ, რომ მას ბაქოში ბიჭია ბურდილაძე სწვევია (ივანე მებურედ ყოფილა იქ). ბიჭიას მონაწილეობა მიუღია წარმოდგენაში. ერთ რუსთან უმღერია რუსულად. „ბიჭია შტვირზე ამღერებდა თათრულად, რუსულად, ქართულად.

<sup>1</sup> იქვე, № 31658.

<sup>2</sup> იქვე, № 31710.

<sup>3</sup> ფ. არქ. № 31717.

<sup>4</sup> იქვე, № 31725.

<sup>5</sup> იქვე, № 31772.

<sup>6</sup> იქვე, № 31775.

<sup>7</sup> იქვე, № 31732.

თათრულად თვითონ უბნობდა „<sup>1</sup> ამას მხარს უქერს 57 წლის ფარახეთელი ვასილ ერაძის ცნობა, რომ ბიჭია „სტვირზე რუსულადაც და ქართულადაც უკრავდა... რუსული სიმღერები თბილისში ისწავლა“<sup>2</sup>.

აქვე შევნიშნავთ, რომ მესტვირული ტრადიცია ძლიერი იყო ქალაქებშიაც. იმავე ვასილ ერაძის გადმოცემით, ბიჭია და ნესტორ ბურდილაძეები თბილისში გადასახლდნენ საცხოვრებლად და იქ „ორივე ერთად დადიოდნენ მეშტვირეებად“, ესწრებოდნენ დღეობა-დღესასწაულებს.<sup>3</sup> აგრეთვე მესტვირეები მონაწილეობდნენ მტკვრის სანაპიროზე გამართულ ღრეობაში, რომელიც უმთავრესად ზაფხულობით ეწყობოდა. 1889 წლის 13 სექტემბერს დავით ერისთავს უბის წიგნაკში ასეთი ექსპრომტი ჩაუწერია:

«Не сазандар, не мествире,  
Но я в Тифлиси, на Куре».<sup>4</sup>

მეტად საგულისხმოა შემდეგი ფაქტიც. როგორც ცნობილია, 1829 წელს ა. პუშკინი თბილისში ჩამოვიდა, მტკვრის სანაპირო ბაღში ქართველმა ინტელიგენციამ შესანიშნავი საღამო მოუწყო სასურველ სტუმარს. საღამოზე ა. პუშკინი ხშირად აწყვეტინებდა თანამოსაუბრეებს სიტყვას, რათა „ქართული თამაშისათვის თვალ-ყური ედევნებინა ან რმერელი მესტვირის შაირისათვის ყური ეგღო“.<sup>5</sup>

80 წლის უფლისა დიმიტრის-ძე ერაძის გადმოცემით, ფარახეთელი მესტვირეები: პეტრია, ანდრია, სესიკა და ზაქარია ბურდილაძეები გადასახლდნენ ოსეთში (სალიგვერდას),

<sup>1</sup> იქვე, № 31771.

<sup>2</sup> იქვე, № 31771.

<sup>3</sup> ფ. არქ. № 31771.

<sup>4</sup> საქართველოს ლიტ. მუზ. ხელნაწერი № 1948 (4).

<sup>5</sup> კ. ი. ს ა ვ ო ს ტ ი ა ნ ო ვ ი, მოგონებებიდან (ე. „რუსკი ვესტნიკი“, 1938 წ.) იხ. კრებული — ა. პუშკინი საქართველოში. თბილისი. 1938 წ. გვ. 121. ცნობაზე მიმითითა დოკ. ლ. ასათიანმა.



სადაც 3-4 წელი დაყვეს, მერე ისევ გადმოვიდნენ ფარახეთში. ისინი იქ „ჯერ ქართულად უკრავდნენ. ოსური რომ ისწავლეს, ოსურად უკრავდნენ და ამღერებდნენ“. <sup>1</sup> უფლისა ერპის ცნობით, პეტრია სამესტვირეოდ დადიოდა ქართლში, კახეთში, სამეგრელოში, გურიაში და სხვ. <sup>2</sup> სტეფანე ერადემ „იცოდა რუსული, მეგრული და აფხაზური. სულ აფხაზეთში იყო, სომხეთშიაც დადიოდა“, აგრეთვე რუსეთშიაც <sup>3</sup>.

რაჭული მასალების მონაცემებს ქართული მესტვირული პოეზიის ტრადიციის გავრცელების არის შესახებ მხარს უჭერს კახეთსა და ქართლში მოპოვებული ცნობები. თელავის რაიონის სოფ. აყურის მცხოვრები, 110 წლის ონოფრე ხალაძის თქმით, მას კახელი მესტვირე არც გაუგონია და არც ახსოვს, „მესტვირეები რაჭველები იყვნენ“. ისინი მას უნახავს ალავერდობას — ალავერდში, სვეტიცხოვლობას, თეთრგიორგობას. ისინი უნახავს გურჯაანში, ველისციხეში, პირადად იცნობდა გიორგი ბურდილაძეს და როსტომ მაჩაიძეს. <sup>4</sup> სოფ. ომალოს (პანკისის ხეობა) მცხოვრები 71 წლის მიტო სტეფანეს-ძე წინწალაშვილის თქმით, მესტვირეები იმერლები იყვნენ, ისინი ომალოშიაც ყოფილან, „ალავერდში ხომ ხშირად იყვნენო“, შემოგხედავდნენ და შენ შესაფერ ლექსს იტყოდნენ... ისინი ყველაფერს იღებდნენ-ო“. <sup>5</sup> ფშაველი მესტვირე გიორგი ბეწინიკას-ძე ბუწაშვილი ალავერდში ალავერდობას შეეჯიბრა რაჭველ მესტვირეს. <sup>6</sup> სიღნაღის რაიონის სოფ. ბოდბეში მცხოვრები 80 წლის თედო ქახოს-ძე ცორიკაშვილს ადგილობრივი მესტვირე არ ახსოვს და არც გაუგონია, მას უნა-

---

<sup>1</sup> არქ. № 31777.  
<sup>2</sup> იქვე, № 31791.  
<sup>3</sup> იქვე, № 31788.  
<sup>4</sup> ფ. არქ. № 30332.  
<sup>5</sup> იქვე, № 31398.  
<sup>6</sup> იქვე, № 31402.

ხავს რაკიდან ქიზიყში ჩამოსული მესტვირეები, ისინი დადი-  
ოდნენ სოფელში და აგროვებდნენ პურს და ფულსაო<sup>1</sup>.

სილნალში მცხოვრები განთქმული მესტვირის ვანო (ივანე)  
მაქსიმეს-ძე ბურდილაძის გადმოცემით, სვანებს თითქოს ადრე  
არ ენახათ სტვირზე დაკვრა: „ერთხელ, — გადმოგვცემს  
ბურდილაძე, — მე და ოქრუა ერანძე სვანეთში გადავედით,  
იმათ სტვირი არ ენახათ, სანთლები აანთეს და ისე შეგვეგებ-  
ნენ, დიდი პატივი გვცეს, ხუთი თუმანი ვიშოვეთ, იქ სტვირ-  
ზე ქართულად ვამღერებდით“.<sup>2</sup> ხევსურები იცნობდნენ,  
როგორც გუდიან, ისე უგუდო სტვირს. პირველს საწანდარს  
უწოდებდნენ, მეორეს — ჩვეულებრივ სტვირს, მაგალითად:

„კირჩლამ თქვა ბაბურაულმა ..დაკვრა ვისწავლე სტვირისი...  
ქალ-ზალსა მუკვეითასა ხან არ მივე ძილისი“.<sup>3</sup>

ანდა:

„გადმაავლიეს გომბორი ნალარაითა, სტვირიოთა“.<sup>4</sup>

სხვაგან:

„ათას ფერ სამრები აქვ გართული, როგორც სტვირია“.<sup>5</sup>

კიდევ:

„მე მესაზანდრე ვერა მჭობ, ვერც ბოდორმელი ბერიო“.<sup>6</sup>

საგულისხმოა, რომ ხევსურებისათვის ცნობილი ყოფილა სა-  
წანდარული კილოს თავისებურება, „ამაგის მალექსებელსა“  
„თქვენისა გამარჯვებისა ლექს უთქვამს საწანდარულია“.<sup>7</sup>

სოფ. საბუეში მცხოვრები 69 წლის იორდანე გიორგის-ძე  
გოდერძიშვილის გადმოცემით მესტვირეები იმერლები ყუ-  
ნენ, „ისინი ყველგან დადიოდნენ: ყვარელში, ახალსოფელში,

<sup>1</sup> ფ. არქ. № 31500.

<sup>2</sup> იქვე, № 31549.

<sup>3</sup> ა. შ ა ნ ი ძ ე. ხალხური პოეზია, ხევსურული, თბილისი, 1931 წ. გვ. 333

<sup>4</sup> იქვე, გვ. 328.

<sup>5</sup> იქვე, გვ. 184.

<sup>6</sup> იქვე, გვ. 243.

<sup>7</sup> იქვე, გვ. 188.

შილდამი, საბუეში, გრემში, ენისელში, ნაფარულში, ალ-  
ვანში, ახმეტაში, და ვინ იცის კიდევ სად“.

სოფ. წინამძღვრიანთკარში (მცხეთის რაიონი) მცხოვრე-  
ბი მესტვირე ვასილი თედოს-ძე გულბათაშვილი: გადმოგვ-  
ცემს, რომ „რაჭველი მესტვირეები მოდიოდნენ ჩვენთან აქ  
სოფელში... ერთმა რაჭველმა მესტვირემ 7 ლერწამი მომიტა-  
ნა საჩუქრად“-ო. ვასილი ზოგჯერ ეჯიბრებოდა სტვირის და-  
კრაში რაჭველ მესტვირეს.<sup>1</sup> გორში მცხოვრებ, 78 წლის,  
დარჩო მცხელიის-ძე ფალელაშვილს გორისჯვრობის დღეობის  
დროს მრავალჯერ უნახავს იმერელი მესტვირეები.<sup>2</sup>

ილია ჭავჭავაძის სიყრმის მეგობარი კობტა აფხაზი გად-  
მოგვცემს: ილიას „მეტისმეტად უყვარდა ბაასი გლუხკაცებ-  
თან, მეტადრე მოხუცებულებთან. ჰკრეფდა და აგროვებდა  
ზღაპრებს, ანდაზებს, გამოცანებს. უყვარდა მესტვირეები და  
სიამოვნებით უგდებდა ყურს“.<sup>3</sup>

66 წლის მიხეილ ალექსის-ძე ბლიაძე, სოფ. ყვიბისში  
(ბორჯომი) მცხოვრები, გადმოგვცემს, რომ „აქ რაჭველი  
მესტვირეები მოდიოდნენ, საზანდარი რო მოვიდოდა ხალხი  
შემოეხვეოდა“.<sup>4</sup> ახალდაბაში მცხოვრებ, 103 წლის ნიკალა  
ნინიკას-ძე ბლიაძეს ახსოვს, რომ ახალდაბაში რაჭველი მეს-  
ტვირეები მოდიოდნენ და სტვირს უკრავდნენ.<sup>5</sup>

ხაშურში მცხოვრები 69 წლის ესტატე მერაბის-ძე რატი-  
ანი მესტვირეებად რაჭველებს ასახელებს, ისინი მას ბევრ-  
ჯერ უნახავს ხაშურში.<sup>6</sup>

კითათურაში მცხოვრებ 64 წლის სოლომონ ნარიმანის-ძე  
ლუეჯვა და საჩხერის რაიონის სოფ. საირხეში მცხოვრები 74

<sup>1</sup> იქვე, № 32021.

<sup>2</sup> ფ. არქ. № 32051.

<sup>3</sup> ილია ჭავჭავაძე. ტ. 1, 3. ინგოროყვას რედაქციით, 1951 წ.  
გვ. XXVII.

<sup>4</sup> ფ. არქ. № 32053.

<sup>5</sup> იქვე, № 32062.

<sup>6</sup> იქვე, № 32083.

წლის სიმონ მალხაზის-ძე ლაშხი მესტვირეებად რაჭველებს ასახელებენ, ისინი მათ მრავალჯერ შეხვედრიან.<sup>1</sup>

ქართული მესტვირული პოეზიის ტრადიციის გავრცელების არის დასადგენად რაჭველ მესტვირეებზე ყურადღება იმიტომ გავამახვილეთ, რომ ქართლური, ფშავეური და აჭარული მესტვირული ტრადიცია ადგილობრივი ხასიათისაა, ამჟამად მაინც. ამ კუთხის მესტვირეები, განსაკუთრებით ფშაველები და აჭარლები, არ ეწეოდნენ მოხეტიალე ცხოვრებას, ეს პროფესია შემოსავლის წყაროს არ წარმოადგენდა მათთვის.

ზემოაღნიშნულიდან ცხადი ხდება, რომ ქართული მესტვირული პოეზიის ტრადიციის გავრცელების არე მოიცავდა მთელს საქართველოს და, ხშირ შემთხვევაში, სცილდებოდა მის ფარგლებსაც. ამ ტრადიციის მატარებელნი ფლობდნენ სხვადასხვა ენას, ამდენად, მესტვირეთა ერთი ნაწილი, აშულებზე აღრე პირველ ინტერნაციონალურ მომღერლებად გვევლინებიან საქართველოში.

## 2. ოსტატ შემკირღობა

მესტვირულ პოეზიაში შემავალი რეპერტუარის ათვისება და გუდა-სტვირზე დაკრის ხელოვნების კარგად შესწავლა დამწყები მესტვირისაგან, განსაკუთრებულ ნიჭთან ერთად, გულმოდგინე შრომასაც მოითხოვდა. როგორც ირკვევა, საქართველოში მესტვირული პოეზიის ძლიერი ტრადიცია სკოლის მოვალეობას ასრულებდა ახალგაზრდა მესტვირის დაოსტატების საქმეში. 12—15 წლის ბავშვი მიებარებოდა სახელგანთქმულ მესტვირეს, წლების განმავლობაში დადიოდა მასთან, სწავლობდა სტვირზე დაკვრას, ითვისებდა რეპერტუარს და ეცნობოდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეს, ეზმარებოდა თავის ოსტატს ტვირთის ზიდგაში, უფროხილდებოდა

---

<sup>1</sup> იქვე, № 32084, 32085.

სიმთვრალის დროს, სამაგიეროდ ოსტატი მას აძლევდა გასაპრჯელოს.

როდესაც ოსტატი შეატყობდა შეგირდს მომწიფებას, აბარებინებდა გამოცდას. ეს გამოცდა ამნაირად წარმოებდა: ჯერ შეიყვანდა გლეხის ოჯახში, დაალოცვინებდა ამ ოჯახს, ოსტატი კი შორიდან უყურებდა. გლეხის ოჯახიდან გადაიყვანდა დღეობაზე, მაგალითად, წაიყვანდა მცხეთაში — მცხეთობას ან ალავერდში — ალავერდობას და იქ, ზღვა ხალხში, საბოლოოდ ფორმდებოდა შეგირდი ოსტატად. ბოლოს, ოსტატი შეგირდს აყიდვინებდა ერთ თუნგ ღვინოს, დალოცავდა აღზრდილს, უყიდდა სტვირს და ამის შემდეგ შეგირდი იწყებდა დამოუკიდებელ მესტვირეობას.

რაქველი მესტვირე ზაქარია ერთე გადმოგვცემს: „მე ვიყავი 12 წლის, როდესაც მამაჩემმა მეშტვირეს მიმაბარა. შეგირდად ვიყავი ხუთ წელიწადს... ორი წლის შემდეგ მაძლევდა მესამედს. ხუთი წლის მერე შტვირი ვიყიდე და მისი ნასწავლი ლექსებით ფულს ვშოულობდი... შეგირდად რომ ვიყავი, ხურჯინს უზიდავდი, რომ დათვრებოდა ვუდარაჯებდი:— ძაღლებს არ დაეგლიჯა. იმასთან დავდიოდი... შუა გიორგობის თვიდან მარტის გასვლამდის... მარტის შემდეგ ჩემს ოჯახში მივდიოდი და ვმუშაობდი, ჩემი მასწავლებელიც მუშაობდა, ზაფხულში სარც ის დადიოდა შტვირზე... მაქამემს... საქართველოში<sup>1</sup> მისაქციელი რომ არის, იქ შეესწავლა მეშტვირეობა, ორი წლის მერე ოსტატი თვითონ აძლევდა პერანგის ფულს“<sup>2</sup>. ზაქარიას ცნობით, კიკო ერთდეს მეორე შეგირდიც ყავდა: ფარახეთელი გიგო, მაგრამ ის ადრე გარდაიცვალა<sup>3</sup>.

ცნობილი ფარახეთელი მესტვირე ლუკა ბეროს-ძე ტოგონი-

1 „საქართველოში“ მთქმელი გულისხმობს ქართლს, ასევე სხვა რაქველი მთქმელებიც.

2 ფ. არქ. № 31654.

3 იქვე.

ძის შესახებ ზაქარია ერთდე გადმოგვცემს: ლუკას მამა „საწყალი კაცი იყო, ლუკა გააბარა შეგირდად გიორგი მაგრაქველიძესთან... გორგისთან მეშტვირობას ორ წელიწადს სწავლობდა, ოსტატი ფულს აძლევდა ლუკას — თვეში ხუთ მანათს, ორი წლის მერე თვითონ დადიოდა“.<sup>1</sup>

ზაქარია ერთდეს, ამ გასაოცარი მეხსიერების მოხუცს, არა მარტო ფარახეთელი მესტვირეების ოსტატ-შეგირდობა ახსოვს, არამედ ქართლელებისაც; „ქართლში — გადმოგვცემს ზაქარია — გიორგი ქებაძეს შეგირდად ყავდა პეტრია კეხიჯვრელი, მასთან ერთად ერთი წელიწადი იყო, ქებაძე თვითონ აძლევდა პეტრიას თვეში ხუთ მანეთს: პეტრია გაყვებოდა, გიორგი რო ლაპარაკობდა, ის ყურს უგდებდა, ლექსებსა და შტვირის დაკვრას სწავლობდა, წიგნი არც გიორგიმ იცოდა და არც პეტრია<sup>2</sup>... ოსტატი შეგირდს ჯერ გლეხისას მიიყვანდა, დოუჟარი, აბა რავა იტყვიო, უთხარი ლექსი რაც იციო... გლეხისას პირველად იმიტომ მიიყვანდა, რომ არ შერცხვებო, პატარა ხალხი იყო, თვალს უკეთ გატეხსო... შემდეგ ქალაქში წაიყვანდა, მერე დღესასწაულებში წვევილოდნენ, იქაც ამღერებდა, ბოლოს მისცემდა ხელში შტვირს და ეტყოდა: „დაუჟარ და იარეო“<sup>3</sup>. ზაქარია მეტად საყურადღებო ცნობას გვაწვდის არა მარტო ოსტატ-შეგირდობაზე, არამედ პირველი ფარახეთელი მესტვირის შესახებაც. „გორში რო იყო ალექსი<sup>4</sup> ოქრომჭედელი და მეშტვირე, იმას მიებარა შეგირდად ფარახეთელი დათინა ბურდილაძე, მასთან ის იყო ორი წელიწადი. ეს დათინა იყო პირველი მეშტვირე ჩვენთან და მაგან ასწავლა მერე ყველას. ალექსი თვითონ აძლევდა დათინას თვეში 4 მანეთს, შტვირი თვითონ ალექსიმ გაუყეთა, იმისთანა შტვირი იყო, რომ ზარასავით უკრავდა“.<sup>5</sup>

<sup>1</sup> იქვე.

<sup>2</sup> „სად იყო წიგნი, ათაში ერთმა თუ იცოდა“ (მთქმელის მენიშენა).

<sup>3</sup> ფ. არქ. № 31655.

<sup>4</sup> ამის შესახებ იხ. ივ. ჯავახიშვილი, ქართული მუსიკის ისტორიის ძირით. საკითხები, 1938 წ., გვ., 190.

<sup>5</sup> ფ. არქ. № 31655.

ზოგჯერ სპეციალურ გამოსაშვებ საღამოს უმართავდნენ შეგირდებს. იმავე ზაქარიას გადმოცემით, გიგოლა ტაბახმელელის შეგირდი იყო სოსიკა ჯარიაშნელი, რომელსაც შეგირდობაში ორი წელი დაუყვია, ოსტატი მას თვეში სამ მანეთს აძლევდა. ჯარიაშნელი გიგოლას ასე დაულოცნია: „დალოცვილი იყოს ის სოფელი, რომელიც შენ დალოცოვო, სულ მზიარულად იქნენ, სადაც შენ შტვირი დაუკრაო, მერე შენ დაგლოკოს ღმერთმაო. შეგირდი რო გაათავებდა ვადას, — უმატებს ზაქარია, — ერთ თუნგ ღვინოს იყიდდა, ოსტატს დაალოცვინებდა თავს, თვითონაც დალევდა და ოსტატიც“.<sup>1</sup>

ზაქარია ერაძის გადმოცემით, სეველი ანდრია ნადირაშვილის შეგირდი იყო მიხეილ გრძელიშვილი;<sup>2</sup> დარჩია ნადირაშვილს მესტვირეობა შესწავლილი ჰქონდა დათინა ბურდილაძისაგან.<sup>3</sup> ამავე დათინასაგან შეუსწავლია სტვირის დაკვრა სოფრომ კობერიძეს,<sup>4</sup> თაზია ბურდილაძისაგან — შაქარა მაისურაძეს,<sup>5</sup> გრიგოლ ბურდილაძისაგან ოქრუა რთველაძეს,<sup>6</sup> დათინა ბურდილაძისაგან ექვთიმე არჩვაძეს, წყალობა მაცაბერიძესაგან გიორგი გეწაძეს<sup>7</sup> და ა. შ.<sup>8</sup>

80 წლის უფლისა დიმიტრის-ძე ერაძის ცნობით, კიკო ერაძე შეგირდად იყო სესიკა ბურდილაძესთან. სესიკა მას ტანისამოსის ფულს აძლევდა, წელიწადში ხუთ თუმანს, შეგირდობის ვადა ორი წელიწადი იყო. შემდეგ, რომ ისწავლა, ამ-

---

<sup>1</sup> ფ. არქ. № 31655.

<sup>2</sup> იქვე, № 31710.

<sup>3</sup> იქვე, № 31712.

<sup>4</sup> იქვე, № 31717.

<sup>5</sup> იქვე, № 31718.

<sup>6</sup> იქვე, № 31720.

<sup>7</sup> ფ. არქ. № 31720.

<sup>8</sup> იქვე, № № 31723, 31725, 31727, 31728, 31729, 31730, 31731, 31732, 31769, 31770.

ხანაგად ოქრუა ერაძესთან დადიოდაო.<sup>1</sup> იმავე უფლისა ერაძის განცხადებით, სტეფანე ერაძეს მესტვირეობა სესიკა ბურდილაძისაგან ჰქონდა შესწავლილი,<sup>2</sup> ვანია ტოგონიძეს სვიმონა ტოგონიძისაგან<sup>3</sup> და სხვ.

სიღნაღში მცხოვრები, 71 წლის მესტვირე, ივანე მაქსიმეს-ძე ბურდილაძე გადმოგვცემს: „მესტვირეობა მე შესწავლილი მაქვს თამაზა ბურდილაძისაგან. იგი ჩემი მეზობელი იყო, 12 წლის მივებარე, ის მაშინ ასი წლის იქნებოდა. მასთან შეგირდად ვიყავი წელიწადნახევარს, შეგირდობაში არაფერს არც ის მაძლევდა და არც მე ვაძლევდი. მას ვეხმარებოდი ტვირთის ზიდვაში. თამაზასთან ერთად ვიყავი ქართლში, თელავის მაზრაში და ქიზიყში. წელიწადნახევარში შევისწავლე სტვირის დაკვრა,... გამოცდა ჩამაბარებინა ალავერდში — ალავერდობას: — აბა, ყოჩაღად იყავი, ხალხს პატივი ეციო, ის თვითონ შორიდან მიყურებდა, მე კი ვუკრავდი. ამ დროს დავამღერე „იობის ლექსი“, „აბრამის ლექსი“, „არსენას ლექსი“, „რძალდედამთილის ლექსი“ და სხვა. თამაზამ მომიწონა. ალავერდში თამაზას შტვირზე ვუკრავდი, როცა დაინახა, რომ კარგად ვუკრავდი, დამლოცა, ალავერდში ხუთი მანეთი ვიშოვე... შემდეგ წავედით გორიჯვარში, აქ საბოლოოდ გამომცადა, ის შორიდან მიყურებდა, მე ვაქებდი ხალხს, ოსტატს ძალიან მოეწონა,... მითხრა: მე რომ შენ გასწავლე, შენც ეცადე, რომ სხვას ასწავლოვო, გორში მიყიდა შტვირი, და წავედი ჩემთვის“<sup>4</sup>. ფშაველი მესტვირე გიორგი ბეწინიკას-ძე ბუწაშვილი გადმოგვცემს: „მესტვირეობა მე ვისწავლე მწარეა ზურაბაულისაგან. იგი იყო კარგი დამკვრელი, ყველაფერს აუბნებდა სტვირზე... ორი სტვირი ჰქონდა და ერთი მე მაჩუქა, თვითონ აკეთებდა სტვირს... გუდად ვიყენებდით თხისა და

<sup>1</sup> № 31778.

<sup>2</sup> იქვე, № 31788.

<sup>3</sup> იქვე, № 31794.

<sup>4</sup> იქვე, № 31549.



ბოჩოლას ტყავს... მწარეა საქონელს უდგა, მეც მასთან ამხანაგად ვიყავი, ბინა გვერდ-გვერდით გვექონდა... ასე ვიყავით ორ წელიწადს. სტვირი ორივეს გვექონდა, დაკვრა სამ თვეში ვისწავლე“.<sup>1</sup>

მეორე მთქმელი გრიგოლ ივანეს-ძე ჩეკურიშვილი, 68 წლისა, იცნობს ორ ფშაველ მესტიერეს: ბერიძე წელაურს და მამუკა გამიაშვილს, ახასიათებს ამ მესტიერეებს და დასძენს: „თვით მეც ვუკრავდი სტვირს 2—3 წელიწადი, სტვირის დაკვრა ვისწავლე ბერიძე წელაურისა და მამუკასაგან. სტვირის დაკვრა შევისწავლე ორ-სამ თვეში“.<sup>2</sup>

სოფ. მუხრანში მცხოვრები 76 წლის ყოფილი მესტიერე სვიმონ ქიტესას-ძე ლეთისიაშვილი გადმოგვცემს: „მესტიერეობა მასწავლა ჩემმა სიმამრმა დიმიტრი ჭალელაშვილმა, ის წილკნიდან იყო, მესტიერეობა მას იქვე — წილკანში ჰქონდა შესწავლილი. ამხანაგები ვიყავით მე და დიმიტრი. მე ვიქნებოდი 17—18 წლისა, დიმიტრი—40 წლის, იმას სტვირი ჰქონდა, საქონელს რომ დავდევდით, ვუკრავდი და ვსწავლობდი. ის გულმოდგინედ მიხსნიდა, მასწავლიდა, სტვირს დაშლიდა მერე მე გამამართვინებდა, თუ შეცდომას დავუშვებდი, გამისწორებდა. ბერიკაზე რომ მოგიხდეს წასვლა, თუ გაგიფუქდა და ვერ ააწყვე სტვირი, გამოგადებენ ბიჭებიო, ყოჩაღად მოიქეციო. მასთან წელიწადი ვიყავი, შევისწავლე ყველაფერი კარგად, ბერიკაზე რომ წავიდოდით, ის გამომყვებოდა თან. თუ შეცდომა მომივიდოდა, გამისწორებდა. ის ცნობილი მესტიერე იყო, მას ყველგან იცნობდნენ. ჩემს მეტი მას მოსწავლე არ ყოლია“.<sup>3</sup>

სოფ. წინამძღვრიანთკარში (მცხეთის რაიონი) მცხოვრები მესტიერე ვასილ თედოს-ძე გულბათაშვილი გადმოგვცემს, რომ მან შეასწავლა სტვირის დაკვრა სოფ. ზაქაროში მცხოვ-

<sup>1</sup> ფ. არქ. № 31402.

<sup>2</sup> იქვე, № 31401.

<sup>3</sup> ფ. არქ. № 32010.

რებთ იორდანე დორეულს და მიხეილ მოხევიშვილს, სოფ. ახატანში მცხოვრებ ლექსო ღარიბაშვილს, ივლიანე ღარიბაშვილს, ვანო ახატნელს, კოლია ოქროპირიძეს და სხვ.<sup>1</sup>

რაჭული, კახური, ფშაური და ქართლური ქასალების მიხედვით დასტურდება, რომ საქართველოში არსებობდა მესტვირეთა შორის ოსტატ-შეგირდობის ძლიერი ტრადიცია, რომელიც სკოლის მოვალეობას ასრულებდა. ამდენად, ქართული მესტვირული პოეზიის მატარებელი გარკვეული წესის მიხედვით მოქმედებდნენ და მესტვირის სამოქმედო ასპარეზზე გამოსვლას, მის მომზადებას შემთხვევითი ხასიათი არ ჰქონდა. ოსტატსა და შეგირდს შორის გულთბილი, მამა-შვილური დამოკიდებულება არსებობდა. ერთ ბედში მყოფთ, ერთი სოციალური წრის წარმომადგენლებს, ერთი მიზანი ამოძრავებდათ: სრულყოფა არჩეული პროფესიისა და ამით როგორც საკუთარი ეკონომიური პირობების, ისე მსმენელთა სულიერი მოთხოვნების დაკმაყოფილება. ოსტატები არჩევდნენ ისეთ მოსწავლეებს, რომლებსაც ნამდვილი მიწწრაფება ჰქონდათ მესტვირეობისადმი. რეპერტუარის ათვისება შეგირდობისას როდი მთავრდებოდა. ხანგრძლივი მოღვაწეობის გზაზე მესტვირეები ხშირად ხვდებოდნენ ერთმანეთს და ამხანაგდებოდნენ, ორი, სამი, ოთხი, ხუთი... და ზოგჯერ თორმეტიც<sup>2</sup> კი ერთად მძდიოდა სახალხო დღეობაზე. ეწყობოდა მესტვირეთა შეჯიბრება, ერთიმეორისაგან სწავლობდნენ უცნობ ნაწარმოებებს. ზაქარია ერაძე გადმოგვცემს, რომ მან კიკო ერაძისაგან შეისწავლა „დალოცვები“, „იესო ქრისტეს ლექაი“, „იობის ლექაი“, „გლახას ლექაი“ და „ედემის ლექაი“; ნიკო ერაძისაგან კი „სიკვდილ-სიცოცხლის ლექაი“, გრიგოლ ბურდილაძისაგან — „აბრამის ლექაი“.<sup>3</sup> თვით ზაქარია ერაძემ ლუკა ტოგონიძეს ასწავლა „სიკვდილ-სიცოცხლის ლექაი“.

<sup>1</sup> იქვე. № 32021.

<sup>2</sup> ფ. არქ. № 31655.

<sup>3</sup> იქვე, № 31655.

ბიკია ბურდილაძეს კი „ხორველას ლექსი“ და სხვ.<sup>1</sup> ივანე ბურდილაძეს, გარდა თავის მასწავლებლისაგან შესწავლილი ლექსებისა,<sup>2</sup> სიღნაღელი მეჩონგურებისაგან უსწავლია „მიხას ლექსი“, „სტირზე ამ ლექსის დამღერება ძალიან უხდება“.<sup>3</sup> ამგვარად, მომავალი მესტიერე მასწავლებლისაგან სწავლობდა რეპერტუარის აუცილებელ ნაწილს და შემდეგში, თანდათან, სრულყოფდა მას.

თუ ჩვენ თვალს გადავავლებთ სსრ კავშირის ხალხთა შემოქმედებას. ვნახავთ, რომ უზბეკური ეპიკური ჰომეების — დასტანების შემსრულებელი. ბახშები, რომლებიც სიბებიან საკრავ ინსტრუმენტზე (კობუზა, დომბრა) ამღერებდნენ. რეგულარულად ზრდიდნენ მთქმელ-მომღერლებს და მათ თავისებური მომღერალთა სკოლა ჰქონდათ: „ჩვენთვის ცნობილი ყველა ბახში გამოსულია რომელიმე მასწავლებლის სკოლიდან... ჩვეულებრივ, ის მომღერლები, რომელთაც შეგირდები ჰყავთ, ყიშლაკებში მოგზაურობისას თავიანთ მსმენელთა შორის თვითონ გაიკითხავდნენ ზოლმე: ხომ არაა ადგილობრივ ახალგაზრდებში ვინმე ნიჭიერი და სიმღერით დაინტერესებული ყმაწვილიო. თუ ახალგაზრდა იმედის მოსცემი იყო. მომღერალ-მასწავლებელს იგი შინ მიჰყავდა აღსაზრდელად. გამოჩენილ მთქმელ-მასწავლებლებს რამდენიმე ასეთი შეგირდი ჰყავდათ ზოლმე, ჩვეულებრივ უღარიბესი ოჯახიდან გამოსულნი. სწავლება გრძელდებოდა ორი-სამი წლის განმავლობაში და იყო უფასო. მასწავლებელი სასამელსაჭმელს აძლევდა და არა იშვიათად აცმევდა კიდევ თავის შეგირდებს, რომელნიც თავის მხრივ, ეხმარებოდნენ მას ოჯახში“<sup>4</sup>. სათანადო საფეხურების გავლის შემდეგ. მასწავლე-

<sup>1</sup> იქვე, № 31655.

<sup>2</sup> იქვე, № 31569, 31564, 31570, 31571.

<sup>3</sup> იქვე, № 31562.

<sup>4</sup> В. Жирмунский, Х. Зарифов. Узбекский народный героический эпос. Москва, 1947 г., стр. 35-36.

ბელი მოწათეს უწყობს ერთგვარ სახალხო გამოცდას. გამოცდა შეიძლება მოეწყოს მასწავლებლის სახლში ან მოწათეს სოფელში ან სხვა სოფელში, სადაც არიან ისეთი მოხუცები, რომლებიც კარგად ერკვევიან დასტანების შესრულების შეფასებაში. „დადებითი შეფასების შემთხვევაში ახალგაზრდა მომღერალი იღებს ბახშის წოდებას, სწავლა დამთავრებულად ითვლება და მას უფლება აქვს იმღეროს დამოუკიდებლად“<sup>1</sup>.

პროფესიული დახელოვნებისა და სწავლების ელემენტები, რომელნიც დამახასიათებელია უზბეკური ბახშებისათვის, უეჭველად ისეთი მოვლენაა, რომელიც ფართოდ იყო გავრცელებული მთელ რიგ ხალხთა ცხოვრებაში. მაგალითად, ცნობილია სკოლა ძველი ბერძნული რაპსოდებისა, რომლებიც ასრულებდნენ ჰომეროსის ციკლის პოემებს. ასევე ცნობილია ძველი ირლანდიის ფილიდებისა და ბარდების სკოლა, ჟონგლიორებისა საშუალო საუკუნეების საფრანგეთში, სკოლა ბრმა გუსლიარებისა, რომლებიც ასრულებდნენ სამხრეთ სლავურ ეპოსს და არსებობდა სერბთა შორის მეთვრამეტე საუკუნეშიც. დაწვრილებითი ცნობები არ არის შენახული რუსი სკომოროხებისა და გერმანელი შპილმანების პროფესიული სწავლების შესახებ. სსრ კავშირის ხალხთა ცოცხალ ეპიკურ ხელოვნებაზე დაკვირვებასა და მის შესწავლას შეუძლია შუქი მოპოვინოს შორეულ წარსულში ეპიკური პოეზიის განვითარებას.<sup>2</sup> ამ მიმართულებით ქართული მესტიური პოეზიის ეპიკური რეპერტუარიც სპეციალურ შესწავლას შიითხოვს.

ცნობილია, რომ ტრუბადურებისათვის მე-14 საუკუნემდე არ არსებობდა სპეციალური საზოგადოება, სკოლა<sup>3</sup>. ამდენად

<sup>1</sup> იქვე.

<sup>2</sup> В. Жирмунский и Н. Зарифов, „Узбекский народный героический эпос“, стр. 38.

<sup>3</sup> К. А. Иванюв, Трубадуры. труверы и миннезингеры, 1901 г., стр. 26.

ისინი ქართველი მესტვირეებისა და უზბეკელი ბანშების მსგავსად საზრდოობდნენ ტრადიციით: „ახალგაზრდა ტრუბადურები სწავლობდნენ მოხუცებთან, ყურს უგდებდნენ ყველაზე ცნობილ მომღერალთა სიმღერებს“.<sup>1</sup>

ამგვარად, ქართველ მესტვირეებში არსებობდა სწავლების ოსტატ-შეგირდობის წესი, რომელიც სკოლის მაგივრობას ასრულებდა და 'მესტვირული პოეზიის განვითარებას კანონზომიერი გზით წარმართავდა. დროთა განმავლობაში გამომუშავებული რეპერტუარი მესტვირეს საშუალებას აძლევდა დროზე პოეტური ენით გამოსმაურებოდა ხალხის ყოველდღიურ ქირ-ვარამს.

### 3. მესტვირეთა პროფესიულობა

ცნობილია, რომ მთქმელების, ე. ი. შემსრულებლების სამი ჯგუფი 'არსებობს: 1. შროფესიული, 2. ნახევრადპროფესიული და 3. მოყვარული. პროფესიული მთქმელები ისტორიულად გვიანდელი მოვლენაა, მათ „ძირითად მოსაქმეობას ზეპირსიტყვიერების გავრცელება-გადმოცემა შეადგენს. ამ ჯგუფის წარმომადგენელთა საარსებო წყარო შესრულებაა... აედები, ბარდები, ჟონგლიორები, 'ტრუბადურები, სკომოროხები, მუშაითები, აშულები პროფესიული მთქმელები არიან“.<sup>2</sup> მთქმელთა მეორე ჯგუფის, ე. ი. ნახევრადპროფესიული მთქმელების ძირითად საქმიანობას შეადგენს მიწათმთქმელება, მესაქონლეობა ან ხელოსნობა, 'საერთოდ ფიზიკური შრომა, „ქართველი მესტვირე, მუტრიბი და მეჩონგურე, უკრაინელი კობზარი, ბერძენი რაპსოდი ნახევრადპროფესიონალები არიან“.<sup>3</sup> მთქმელთა მესამე ჯგუფს ეკუთვნიან ფოლკლორის მოყვარულები, „ამ ჯგუფში შეიძლება მთელი მოსახლეობა

<sup>1</sup> Тамбо. СТР. 27.

<sup>2</sup> შიხ. ჩიქოვანი, ქართული ხალხური სიტყვიერების ისტორია. გვ. 63-64.

<sup>3</sup> იქვე.

მოვაქციოთ, დიდი და პატარა, ქალი თუ კაცი".<sup>1</sup> ამჟამად ჩვენ მესტვირის მდგომარეობა გვაინტერესებს. მესტვირის ნახევრადპროფესიულობაზე სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული აზრი ინტუიტურია.<sup>2</sup> ჩვენ შევეცდებით საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მოპოვებული მასალების მიხედვით საბოლოოდ დავადგინოთ მესტვირის ნახევრადპროფესიულობა.

რაჭველი და ქართლელი მესტვირეების უმრავლესობა დაკავშირებული იყო, უმთავრესად, სოფლის მეურნეობასთან. მათი ცხოვრების ძირითადი წყარო ფიზიკური შრომა იყო. ასეთ მესტვირეთა უმრავლესობა ნაყმევი იყო. ქართლში აღრიცხული 49 მესტვირედან ყველა სოფლის მეურნეობასთან იყო დაკავშირებული. ქართლში არ ახსოვთ არც ერთი მესტვირე, რომელსაც მარტო შემსრულებლის პროფესიით (მესტვირეობით) ეცხოვროს. ასევე ფშავში. ჩვენს მიერ აღრიცხული 82 რაჭველი მესტვირე ყველა ფიზიკურ შრომასთან არის დაკავშირებული, ამათგან უმრავლესობა სოფლის მეურნეობასთან, ხოლო ნაწილი პურის ცხობასთან ან ხელოსნობასთან და ა. შ.

ფარახეთელი მესტვირის ზაქარია ერაძის გადმოცემით გაზაფხულზე და ზაფხულში მესტვირეები თავიანთ სახლებში მუშაობდნენ, სამესტვირეოდ ქირნახულის დალაგების შემდეგ. შემოდგომითა და ზამთრობით მიდიოდნენ.<sup>3</sup> ზაქარიას ამ ცნობას ადასტურებს სოფ. სევაში მცხოვრები 60 წლის ბიძინა ერისთავის განცხადებაც იმის შესახებ, რომ მესტვირეებს „ოჯახი ჰქონდათ, სამესტვირეოდ მიდიოდნენ ზამთრობით. ზაფხულობით ბრუნდებოდნენ. მარტო მესტვირეობით რომ ეცხოვროს. ასეთი მესტვირე არ მახსოვს“.<sup>4</sup> სოფელ აკურაში

<sup>1</sup> იქვე.

<sup>2</sup> ალ. ლონტი, ქართული შაირები, თბილისი, 1941 წ. გვ. 89—90: „მესტვირე უნდა მივიჩნიოთ ხალხური პოეზიის ნახევრადპროფესიულ შემსრულებლად“.

<sup>3</sup> ფ. არქ. 31654.

<sup>4</sup> იქვე, № 31772.

მცხოვრები 110 წლის ონოფრე ჩალაძის ცნობით მესტვირეები „მოდოდნენ შემოდგომობით“.<sup>1</sup> ომალოელი მთქმელი მიტოვნიწალაშვილი (71 წლის) შენიშნავს: მესტვირეები „ჩამოდოდნენ შემოდგომობით“.<sup>2</sup> ამასვე ადასტურებს სოფ. ბოდბეში მცხოვრები 80 წლის თედო ცორიკაშვილი.<sup>3</sup> სოფ. საბუეში მცხოვრები 71 წლის იორდანე გოდერძიშვილის გადმოცემით: „ისინი (მესტვირეები-ა. ც.) დადოდნენ შემოდგომიდან მოყოლებული ზამთრობით, საცა დაულამდებოდათ იქ ათენებდნენ“.<sup>4</sup> სოფ. ყვიბისში მცხოვრები 66 წლის მიხა ბლიაძის თქმით, რაჭველი მესტვირეები „უფრო შემოდგომას მოდოდნენ“.<sup>5</sup> გორში მცხოვრებ 78 წლის დარჩო მიხეილის-ძე ფალელაშვილის გადმოცემით, იმერეთიდან გადმოსული მესტვირეები მას უნახავს აღდგომას, კვირაცხოვლობას, ბარბარობას. უსანეთობას და ლომისობას.<sup>6</sup> მრავალი მსგავსი ცნობის დასახელება შეგვიძლია, მაგრამ ზემოაღნიშნულიდანაც ჩანს, რომ სამესტვირეო პერიოდი მტკიცედ იყო განსაზღვრული, ე. ი. მესტვირე, ძირითადი სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების დამთავრების შემდეგ, აიკიდებდა გუდა-სტვირს და გაუდგებოდა გზას შორეული სოფლებისაკენ. იყვნენ ისეთი მესტვირეები, რომლებიც ქალაქებში (თბილისში, სიღნაღში, ქუთაისში) პურს აცხობდნენ ან რაიმე სხვა ხელობაზე მუშაობდნენ, ისინი დასვენების დღეს სტვირით დაივლიდნენ ქალაქის ეზოებს, ხანდახან კი ახლო-მახლო სოფლებსაც ეწვეოდნენ. მათთვის, რა თქმა უნდა, სამესტვირეო პერიოდი წლის რომელიმე დროით არ იყო განსაზღვრული.<sup>7</sup> ჩვენს ხელთ არსებული მასალების მიხედვით ირკვევა, რომ ქართველ მეს-

<sup>1</sup> ფ. არქ. № 30832.

<sup>2</sup> იქვე, № 31398.

<sup>3</sup> იქვე, № 31500.

<sup>4</sup> იქვე, № 30662.

<sup>5</sup> იქვე, № 32053.

<sup>6</sup> იქვე, № 32051.

<sup>7</sup> ფ. არქ. № 31549.

ტვირთა უმრავლესობას ჰქონდა სახლ-კარი, სახნავ-სათიბი, ვენახი, ყაედა ძროხა, ცხვარი, ცხენი, ხარი, ღორი და ა. შ.<sup>1</sup> ივანე ბურდილაძის გადმოცემით ერთი მესტვირე იყო ბათლო-მე ვრაძე, რომელიც მხოლოდ მესტვირეობით ცხოვრობდა. მას მარტო ერთი ქოხი ჰქონდა, არც მიწა, არც ვენახი, არც ხარი, არც ძროხა არაფერი არ გააჩნდაო.<sup>2</sup> მაგრამ ეს საქმის ვითარებას არ ცვლის. მხედველობაში უნდა მივიღოთ აგრეთვე საქართველოს სპეციფიკური პირობები. ჩვენში არ იყო დიდი საქალაქო ცხოვრება. თანაც, მესტვირეების სამოღვაწეო არე არ იყო ისეთი ფართო, როგორც სკომოროხების, აედების, ბარდების, ჟონგლიორებისა და სხვ.

მიუხედავად ამისა, ჩვენ შორსა ვართ იმ აზრისაგან, თითქოს, ისტორიულად საქართველოში არ უნდა ყოფილიყვნენ ერთეული პროფესიული მესტვირეები.

მე-17 საუკუნის მეორე ნახევარში დაწერილ ქართულ ორიგინალურ პოემა „სიბილიანაში“ ნათქვამია:

„აწ ბრძანა მეფემ წინ დასეთ, ვინც კაი საზანდრებია“.

დასხდნენ და მალა დაუკრეს ხმა ტყბილად ალამბრებია...

ჩანგსა კვრიდნენ და გულს. ქამანჩას. ჩონგურებს და დამბურასა...

ზურნასა და დაბდაბასა. სტვირი უნმობს ხმა შვიდ-რეასა“<sup>3</sup>.

აქედან ჩანს, რომ სამეფო კარზე ყოფილან სპეციალური დამკვრელები, მათ შორის, სტვირისაც. ამ შემთხვევაში მესაზანდრის (ე. ი. მესტვირის) პროფესია გარკვეულია, გამორიცხებულია მისი ნახევრადპროფესიულობა. ქაბუა ბესიკს მესტვირე

---

<sup>1</sup> ფ. არქ. № № 31702-დან № 31745-მდე, № 31778-დან № 31782-მდე. და № 31798.

<sup>2</sup> იქვე, № 31549.

<sup>3</sup> ქ. კეკელიძე, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან. 11, თბილისი, 1945 წ. გვ. 155, შდრ. „ერთი მესტვირე მოვიდა, ერთი გუდით შვიდს სტვირს უკრავდა: ორს სათითებში ჰქონდა, ხუთს არა-ზილი და ბოხი შეეწყო, ორდანოს მსგავსი იყო“ (იხ. ს. ორბელიანი, მოგზაურობა ევროპაში, ს. იორდანიშვილის რედ. თბილისი, 1940 წ. გვ. 125).



ბლიაძეს ადარებს.<sup>1</sup> შეიძლება ვიფიქროთ, ერეკლეს სამეფო კარზე იყო ვინმე ბლიაძე, რომლის პროფესიას მესტვირეობა შეადგენდა.

სამეფო კარზე მყოფი ერთეული მესტვირის პროფესიულობა საერთო ვითარებას მაინც ვერ შეცვლიდა, რადგან, მესტვირული პოეზია, მესტვირეობა, ფართო მშრომელი მასების კუთვნილებაა და მათთვის, ამ წრიდან გამოსული მესტვირეებისათვის. ეს საქმიანობა იყო დამატებითი შემოსავლის წყარო.

ამგვარად, ქართველი მესტვირეები, ძირითადად, ნახევრადპროფესიული მთქმელ-შემსრულებლები იყვნენ და სამესტვირეოდ, უმთავრესად, შემოდგომასა და ზამთარში დადიოდნენ.

მესტვირეები უღარიბესი სოციალური წრიდან იყვნენ გამოკლებულნი. რაქველი მესტვირეების უმრავლესობა ყმა გლეხები იყვნენ. ზაქარია ერაძეს არ ახსოვს ისეთი მესტვირე, რომელსაც ბატონი არ ყოლოდა.

რაჭის ცხოვრებაზე დაწერილ ერთ-ერთ კორესპონდენციაში ვკითხულობთ: „კაცები.... მიდიან სხვაგან, ფულის საშოვნელად, მთელი ოჯახის მომვლელად და მიწის მუშაკად ზდება ქალი...“ ზაქარია ერაძე გულისტკივილით აღნიშნავს, რომ „სკოლა შორიდან დამინახავს, თორემ შიგ არ ვყოფილვარო“.<sup>2</sup> სხვა ადგილას იგივე ზაქარია მწარედ იგონებს: „წიგნი არც გიორგიმ იცოდა, და არც პეტრიამ (მესტვირეებია — ა. ც.). სად იყო წიგნი, ათასში ერთმა თუ იცოდა“.<sup>3</sup> ზაქარიას ცნობით „თვითონ მესტვირე მესტვირეს ასწავლიდა და ასე გადადიოდა ლექსი... წიგნის კითხვა სრავინ არ ვიცოდით, სხვისაგან გაგონილ ლექსებს ვსწავლობდითო“.<sup>4</sup> ადგილობრივი თავადი-შვილები ბოროტად იყენებდნენ ხალხის სიბეჩავეს. „ერთი

<sup>1</sup> ბ ე ს ი კ ი, თხზულებათა სრული კრებული, ალ. ბარამიძისა და ვ. თოფურიას რედაქციით, თბილისი, 1932., გვ. 010.

<sup>2</sup> ფ. არქ. № 31657.

<sup>3</sup> იქვე, № 31655.

<sup>4</sup> იქვე, № 31654.

ნასწავლი თავადიშვილი იყო ჩვენთან — გადმოგვცემს ზაქარია — წერილი რო მოგვივიდოდა ქალაქიდან, მას წავაკითხებდით, — წაგიკითხავთ თუ ერთ დღეს მომეხმარებითო, ჩვენც ვეხმარებოდით“.<sup>1</sup>

მესტვირეებს საზოგადოების ზედა ფენა ცუდი თვლით უყურებდა. „ჩვენს სოფელში, — გადმოგვცემს ზაქარია, — ჩვენ — მეშტვირეებს, ვისაც ეხარბებოდა, „თხოველები“<sup>2</sup> ხართო, ასე გვეძახდნენ; ვინც მოკეთებები იყვნენ, იმათ უხაროდათ, რადგან მეშტვირე მალე შოულობდა ფქვილს, ფულს და მიჰქონდა საწყალ ოჯახში“. მესტვირეობა რაჭველებისათვის იყო არა თავისთავადი მოვლენა, როგორც ქართლელი ან ფშაველი მესტვირეებისათვის, არამედ დამატებითი შემოსავლის წყარო. ისინი იძულებულნი იყვნენ ეს ხელობა შეესწავლათ, მათ საამაყოდ არ მიაჩნდათ თავიანთი ხელობა. ზაქარიას ცდა. შურსა და მტრობას მიაწეროს ის არასახარბიელო რეკლამა, რომლის ადრესატი თვითონაც არის, საქმის ვითარებას ვერ ცვლის. ბაყილოვანში (პანკისის ხეობა) მცხოვრები, 60 წლის, მიხეილ ჭრელის-ძე ციხელაშვილის გადმოცემით, „მესაზანდრეები მოდიოდნენ ჩემს ბალობაში. როგორც ეხლა მთხოვრებია, ისე იყვნენ ისინიო“.<sup>3</sup> ბარელი 72 წლის მთქმელი ივანე აროსტომის-ძე ციხისელი საინტერესო დეტალს გადმოგვცემს: „ერთხელ ფარახეთში ვიყავი დღეობაში, ბთავარ ანგელოზობას, მარკოზა გრძელიშვილის ოჯახში. მარკოზა იყო მეშტვირე. ძმაც მეშტვირე ჰყავდა, ლუკა ერქვა სახელად. ლუკას ძმამ უთხრა: დოუჟარჲ შტვირიო, იმან არ დოუჟრა, ირცხვინა და უთხრა: — სტუმართან რად მარცხვენო, რა ხელობა არის ესაო. რომ ეტყოდნი ვინმეს მეშტვირე ხარო, გაგლანძღავდა“.<sup>4</sup>

<sup>1</sup> ფ. არქ. № 31654.

<sup>2</sup> იგულისხმება მათხოვრები.

<sup>3</sup> ფ. არქ. № 31481.

<sup>4</sup> იქვე, № 31776.

საზოგადოების ერთი ნაწილის თვალსაზრისს მესტვირე ასე  
გადმოგვცემს:

„ჩემი ხელობა ეს არის, ვილაპარაკებ ბევრსაო,  
სოფელში დავიარები, ხალხი მეძახის ყბედსაო,  
ზოგი მეძახის სულელსა, ზოგი კეუაზედ თხელსაო“<sup>1</sup>.

ერთი მთქმელი აშკარად აცხადებს:

„მესტვირისა გულა შერცხვეს“ მენადირის აბჯარიო,  
გუთნის დედა დაილოცოს, მუცელი აქვს მაძლარიო“<sup>2</sup>.

კონსტანტინე აბაშიძის წერილში, რომლის აღრესატი როს-  
ტომ წერეთელია, უარყოფითად არის გამოხატული მაღალი  
საზოგადოების დამოკიდებულება მესტვირული პოეზიის მი-  
მართ: „შენი შვილი რომ რუსეთიდან დაბრუნდა, — სწერს  
კონსტანტინე როსტომს, — ჩვენ ყველანი სიხარულით მივე-  
გებეთ: გვეგონა, რომ ოჯახს ფეხზე დააყენებდა და ჩვენც,  
მისიანებს, ბევრად გვარგებდა, მაგრამ მის ნაცვლად, რომ  
სამსახურში შესულიყო და წინ ბიჯი წაედგა, ან ადვოკატო-  
ბით სხვებსავით მოეხვეჭა რამე, ეგ დალოცვილი მესტვირე-  
ობას გამოუდგა და ლანძღვით ქვეყანა გადაიკიდა“<sup>3</sup>.

ამგვარად, ეკონომიური სივიწროვე აიძულებდა რაჭველ  
გლებს ხელი მოეკიდა ასეთი საჩოთირო საქმისათვის. თვითონ  
მას დამამკირებლად მიაჩნდა თანასოფლელების თვალში თა-  
ვისი ხელობა. სწორედ ამით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ  
რაჭველი მესტვირეები ადგილობრივ დღეობებსა და დღესას-  
წაულებში იშვიათად იღებდნენ მონაწილეობას. ვასილ ერ-  
აძის თქმით, ბიჭია და ნესტორ ბუდილაძეები სამესტვირეოდ  
„აქ, ადგილობრივ რაქაში, არ დადიოდნენ“<sup>4</sup>. ისინი მიისწრა-  
ფოდნენ შორეული კუთხისაკენ, სადაც მათ არ იცნობდნენ.

<sup>1</sup> ძველი საქართველო. ტ. 111, განყ. 11, მესტვირული, გვ. 148.

<sup>2</sup> ფ. არქ. № 23—61.

<sup>3</sup> კვალი, 1893 წ., № 34. მოგონება. (მარგანეცის გამო).

<sup>4</sup> ფ. არქ. № 31771.

ამ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა ამა თუ იმ კუთხის ეკონომიურ სიმდიდრეს, მაგრამ ისიც ცნობილია, რომ სამეგრელოს, გურიისა და იმერეთის ზემეტესი ნაწილი არა ნაკლები მწირი და მოუსავლიანი იყო, ვიდრე რაჭა, მიუხედავად ამისა, რაჭველი მესტვირეები იქ ჰაინც მიდიოდნენ.

საქართველოში განთქმული მესტვირეების ბლიაძეების შესახებ ერთ ლექსში ნათქვამია:

„ბლიაძისა კარზედო მტერს ნუ დაღამდესო!  
კადი ვთხოვე. ვერ მიშონა. ქერქი ეღვა გამზედო.“<sup>1</sup>

ქართლ-კახეთი ეკონომიურად უფრო ძლიერი იყო, ვიდრე საქართველოს სხვა რომელიმე კუთხე. მუხრანელი მესტვირის, 76 წლის სვიმონ ქიტესას-ძე ღვთისიაშვილის გადმოცემით, მისი მასწავლებელი დიმიტრი ჭალელიშვილი „სტვირით მართო ბერიკაზე დადიოდა, მას არ უვლია საშოვნელად რაჭველები რომ დადიან ისე. ჩვენ წესად არ გვქონდა გარდა ბერიკას მეტი სხვაგან სტვირით წავსულიყავით... ერთი-ერთმანეთში დაედიოდით-ო“.<sup>2</sup> მუხრანელი მესტვირის ასეთ აწეულ ტონს თავისი საფუძველი უსათუოდ მუხრანის ნოყიერ და ბარაქიან ველებში აქვს.

ამასვე ადასტურებს წინამძღვრიანთკარის მესტვირე ვასილ გულბათაშვილის ცნობა, იმის შესახებ, რომ „ჩვენი მესტვირეები ფულის გულისთვის არ დადიოდნენ, როგორც რაჭველი მესტვირეები. ისინი პირდაპირ საშოვნელად არიან წამოსულნი, ზოგს უჭირს, ზოგს წესად აქვს გადაქცეული, თავისი ხელობა უნდა გამოიყენოს“.<sup>3</sup>

ჩვენს მიერ აღრიცხული ქართლელი და ფშაველი მესტვი-

1 ძველი საქართველო, ტ. 1, გვ. 77.

2 ფ. არქ. № 32010.

3 ფ. არქ. № 32021.

რების უმრავლესობა მწყემსებია.<sup>1</sup> მწყემსობის დროს აქვთ შესწავლილი ეს პროფესია. ერთ მესტიურულ ლექსში ნათქვამია:

„რათ უნდა მეცხვარეს სტვირი-ჭამანჩა!  
მას უნდა ჰქონდეს საესე დამბაჩა“<sup>2</sup>.

სევასტი გაჩეჩილაძე თავის „მოგონებაში“ გადმოგვცემს: „მესტიურები... უმეტეს ნაწილად, მწყემსობის დროს, დრო ბევრი ჰქონდათ, დროის მოსაკლავად შეისწავლიდნენ ძველი მწყემსებიდან ხალხურ ლექსებს, მერე თავისასაც უმატებდნენ ხალხურ ლექსს, სხვის ნათქვამს გააშალაშინებდნენ, ან თავისას უმატებდნენ, ასრულებდნენ და ბოლოსდაბოლოს გამოდიოდა კოლექტიური ნათხზი, ათასი ენა-პირით გასწორებული და გაფაქიზებული“.<sup>3</sup>

მესტიურებზე გასამრჯელოს გაცემა ხდებოდა როგორც ფულადი (შაური, ორი შაური, აბაზი, მანეთი, ხუთი მანეთი. ათი მანეთი და ა. შ.), ისე ნატურის სახით (ფქვილი, მარცვლეული, ყველი, ლობიო, კაკალი, მატყლი, ტანსაცმელი და სხვ.).

ყველა ზემოაღნიშნულიდან შეგვიძლია დავასკვნათ: ქართული მესტიურული პოეზიის მატარებელნი ნახევრად პროფესიონალებია, ისინი უღარიბესი სოციალური წრიდან იყვნენ გამოსულნი. მესტიურებზე გასამრჯელოს გაცემა ხდებოდა როგორც ფულადი, ისე ნატურის სახით.

როგორც აღვნიშნეთ, მესტიურები დაჩაგრული, უუფლებო სოციალური წრიდან იყვნენ გამოსული, მაგრამ მათ წორის მაინც არსებობდა სოციალური განსხვავება. ეს განსხვა-

---

<sup>1</sup> ამის შესახებ იხ. ფ. არქ. № № 32010, 32012, 31402. 64 წლის სიფხაიზოდან ბაყილოვანში გადმოსული დავით ლუბიანურის განცხადებით „ფშაველებს მესტიურობა სამწყემსოში ჰქონდათ შესწავლილი“ (ფ. არქ. № 31457).

<sup>2</sup> ძვ. საქართველო. ტ. 111, გვ. 222.

<sup>3</sup> ს. გაჩეჩილაძე. მოგონებანი, ფ. არქ. № 14198. 54 წლის იოსებ ანდრიას ძე ჩანადირის თქმით (მისაქციელი) „მესტიურები უმეტესად მელორეები არიან“ (იხ. ფ. არქ. № 32039).

ვება ეკონომიური ხასიათისაჲ იყო. რაჲველი მესტვირეები უფრო ღარიბები იყვნენ, ვიდრე ქართლელები. ქართლელი მესტვირეების უმრავლესობა თავიანთ პროფესიას არ იყენებდა დამატებითი შემოსავლის წყაროდ. ისინი განუყრელი თანამგზავრები იყვნენ ბერიკაობის, ყეენობის, დღეობა-დღესასწაულების, მაგრამ მათ წესად არ ჰქონდათ, როგორც რაჲველ მესტვირეებს, წლის განსაზღვრულ დროს წასულეყვნენ საიესტვირეოდ და ნძებნათ დამატებითი შემოსავალი.<sup>1</sup> ანდენად. მათთვის აუცილებელი არ იყო მრავალფეროვანი რეპერტუარიც. სწორედ ამიტომ ქართლელი მესტვირეების უმეტესი ნაწილი გუდა-სტვირზე ბერიკულს (სათამაშოს, საცეკვოს) უკრავდა. სტვირზე აყოლებით ეპიკური ლექსების და დალოცვების თხრობა რაჲველი მესტვირეებისათვის არის დამახასიათებელი, რადგან ყველა რაჲველი მესტვირე თავის პროფესიას ეკონომიური პირობების გასაუმჯობესებლად იყენებდა.

რაჲველი გლეხი გაურბოდა დედინაცვლად ქცეულ მშობლიურ კუთხეს. ნიადაგის სიმწირეს ზედ ერთვოდა მიწის სიძვირეც. „საზოგადოდ, რაჲქაში მეტად საგრძნობია მიწის სივიწროვე მკიდრო დასახლების გამო, მაგრამ მიწის სიძვირე უფრო შესამჩნევია იქ, სადაც ვაზი ხარობს (რადგან ყველგან არ იზრდება ეს მცენარე) და მოჰყავთ საუკეთესო ღვინო. ეს არის რიონის პირად მდებარე სოფლებში... ამ სოფლებში ქცევა მიწის ფასი არა იშვიათად აღის 500—600 მანეთამდე“<sup>2</sup>.

ზაქარია ერაძე თანასოფლელ მესტვირეებს ასეთი სიტყვებით ახასიათებს: „ყველას ჰქონდა თავისი ქოხი, მაგრამ საწყლები იყვნენ. ახალწელსა და აღდგომას სხვაგან იმზირებოდნენ. ვინც მათ გაიკითხავდა, მადლობას უხდიდნენ“<sup>3</sup>.<sup>3</sup> ამავე ზაქარია:ს გადმოცემით „ერთი მესტვირე არ ყოფილა ისეთი, რომ ბატონი არ ყოლოდეს. გლეხის ოჯახიდან ბატონს ორი

<sup>1</sup> ფ. არქ. № 32010; № 32021.

<sup>2</sup> „კვალი“. 1895 წ. გვ. 13, „რაჲვის ცხოვრება“.

<sup>3</sup> ფ. არქ. № 31654.

კაცი გაყავდა შინამოსამსახურედ. ერთი სულ მუდამ ბატონთან რჩებოდა, მეორე კი ხვანათესავაზე ეხმარებოდა. მესტვირედ უმეტესად გამოდიოდა ის, ვინც სახლში რჩებოდა. ბატონთან შინამოსამსახურედ მომუშავე მესტვირეს მხოლოდ იმ შემთხვევაში შეეძლო სამესტვირეოდ წასვლა, თუ ამ მესტვირის ოჯახი შემცვლელ მოსამსახურეს მიესცემდა ბატონს“.<sup>1</sup>

რაქიდან ქართლ-კახეთში ჩამოსული მესტვირე ფლობდა დიდძალ სასიძღვრო რეპერტუარს. მას პასუხი უნდა გაეცა განსხვავებული წრისა და სხვადასხვა განწყობილების მქონე მსმენელთა ყველა მოთხოვნილებაზე. ამ გარემოებამ ხელი შეუწყო მესტვირეებს შეექმნათ მზა ფორმები. საკმარისი იყო მესტვირეს მსმენელთა შორის ვისიმე სახელი გაეგო, რათა მისთვის არაჩვეულებრივი ქება შეესხა. სამართლიანად შენიშნავს სევასტი გაჩეჩილაძე, რომ „როგორც ვიცით, რაქაში გამოჩენილი მესტვირე, თითქოს სკოლაში, თავის გარშემო თავს უყრიდა მოღვექსეობის ცოდნის მსურველ ვაჟებს, საიდანაც ხალხური ლექსებით დატვირთული მესტვირეები გამოდიოდნენ“.<sup>2</sup>

ქართლელ და რაჭველ მესტვირეებს შორის კარგი ურთიერთობა არსებობდა. ისინი ხშირად ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს, მაგრამ ეს შეჯიბრება ყოველთვის მეგობრული იყო.<sup>3</sup> ზაქარია ერადის გადმოცემით, რაჭველ მესტვირეებს სასურველ სტუმრად თვლიდნენ ქართლელი მესტვირეები და განსაკუთრებულ პატივს სცემდნენ, ეხმარებოდნენ ერთმანეთს გუდასტვირის სხვადასხვა ნაწილის (ლერწამი, რქა, გუდა და სხვ.) მოპოვებაში, ურთიერთს აცნობდნენ ახალ რეპერტუარს და ა. შ.

<sup>1</sup> ფ. არქ. № 31658.

<sup>2</sup> ს. გაჩეჩილაძე, მოგონებანი, ფ. არქ. № 14198.

<sup>3</sup> ფ. არქ. № 31654.

#### 4. მესტვირეების მონაწილეობა საფინანსო-სახსრულ საზღვარსა და სახალხო მემკვიდრეობაში

ჩვენ ზემოთ შევხებით თეიმურაზ II, დ. გურამიშვილის, ა. ორბელიანის და სხვათა ცნობებს მესტვირეთა მონაწილეობის შესახებ სხვადასხვა სახის საწესჩვეულებო დღესასწაულში.

აღნიშნულ ისტორიულ ცნობებს ავსებს კახეთში, ქართლში, იმერეთსა და რაჭაში მოპოვებული მასალები.

სოფ. წინამძღვრიანთქარში მცხოვრები მესტვირე ვასილ გულბათაშვილის ცნობით, „მესტვირეებს ქორწილში იწვევდნენ ხშირად... ქორწილში ვყოფილვარ წილკანში, მუხრანში, ბიწმენდში, ახატანში, საყდრიონში, თოლენჯში, ახალსოფელში, არაშენდაში, საგურამოში. ბევრმა მაძლია ფული, მაგრამ არ გამომირთმევია. მე არ დავდიოდი ფულის საშოვნელად, თავის სურვილით თუ ვინმე მომცემდა, გამოვართმევდი. ზაქაროში ვიყავი ქორწილში, იქ იყო აგრეთვე აქაური მომღერალი ქალი მარიამ ბიტარაშვილი. მე ქორწილის დროს ფულს არ ვიღებდი, იმას მეექუჩებინა და მეორე დღეს მომიტანა“<sup>1</sup>. სოფ. მისაქციელში მცხოვრები 54 წლის იოსებ ანდრიას-ძე ჩანადირის განცხადებით: „ჩვენთან იყვნენ მესტვირეები, ისინი დადიოდნენ ქორწილებში... ჩვენ თვითონ ვაძლევდით საჩუქარს — ფულს, ერთ ქორწილში, ძველ დროს, კარგ მესტვირეს შეიძლებოდა სამი თუმანი ეშოვა“<sup>2</sup>. წილკანში (მცხეთის რ.) მცხოვრები 60 წლის ანდრია მოსიკას-ძე ჭალელიშვილის ცნობით ქორწილში ვინც მესტვირეს წაიყვანდა, ფულს აჩუქებდა.<sup>3</sup> ფშაველი მესტვირე გიორგი ბუნაშვილის

1 ფ. არქ. № 32021.

2 იქვე, № 32039.

3 იქვე, № 32042.



თქმით: „ქორწილში სტვირით მივდიოდი, საცეკვაოს  
უკრავდი, დასალოცავსაც დავუკრავდი, ასე ვლოცავდი:

დიდება ღმერთსაო, თასი ვიგდე ხელსაო,  
ჯალაფობა ამოუწყდეს, ნეფევე, შენსა მტერსაო,  
შენ თორმეტი შვილი მოგცეს, ერთს არ დაგიკლდესაო,  
თუ კარგა ვერ დავილოცე, კარში გაჰაგდეთაო.

მესტვირეს, ქორწილი რომ გაიშლებოდა, აჩუქებდნენ წინ-  
დებს, დიდი თასი იყო — ჭიხვის რქა, იმით დააღვეინებდნენ  
გამოლოცვის საღვებრძელოს. სხვა საჩუქარს მესტვირეება  
არ იღებდნენ“.<sup>1</sup>

ზემობოდბელი 80 წლის თედო ქახოს-ძე ცორიკაშვილის  
ცნობით, მას წინათ უნახავს ორი-სამი მესტვირე ერთად ქორ-  
წილში. ისინი, ხალხს ართობდნენ. მესტვირეს ზოგი ასაჩუ-  
ქრებდა, აძლევდა აბაზს, ხუთ შაურს, ათ შაურს, მანეთს.  
„ფულს სტვირის პირში ჩაუგდებდნენ“.<sup>2</sup> ერთ ხალხურ ლექს-  
ში მესაზნდრე იკვებნის:

„სანამ ვიყავ ახალგაზრდა, ვიყავ კობტა საზნდარი,  
შვირების გამომთქმელი ვიყავ განთქმული მაყარი“.<sup>3</sup>

გამორკვეულია, რომ უძველეს სანახაობათა შორის ბერი-  
კაობას განსაკუთრებული ადგილი ეჭირა და მთელს საქარ-  
თველოში იყო გავრცელებული. იგი დაკავშირებულია განა-  
ყოფიერებისა და შვილიერების კულტთან, თავდაპირველად  
„ბერიკობა ღვთაებათა სადიდებელ, საკულტო. წესმსახურების  
აღმნიშვნელი უნდა ყოფილიყო“.<sup>4</sup> ბერიკაობის შესახებ ჩვენ

<sup>1</sup> იკვე, № 31402.

<sup>2</sup> ფ. არქ. № 31500.

<sup>3</sup> ხალხური პოეზია, ქუთაისი, 1934 წ. გვ. 251.

<sup>4</sup> ლ. ჭანელიძე, ქართული თეატრის ხალხური საწყისები, თბილისი,  
1948 წ. გვ. 357.

ზიტყვას არ გავაგრძელებთ,<sup>1</sup> მხოლოდ აღვნიშნავთ, რომ სტვირი ამ ტრადიციის განუყრელი თანამგზავრი იყო. მაგალითად, თბილისის სატიოს უბნის ბერიკაში შედიოდა: „ღორი, პატარძალი, ნეფე (სიძე), მღვდელი და სხვა ბერიკები წყებლებით ხელში, მესტირე“<sup>2</sup>. ასევე ზემო იმერეთისა<sup>3</sup> და აჭაროს მებერიკეებში.<sup>4</sup> თანდათან ბერიკაში სხვადასხვა სახის საკრავი შემოდის: ჩონგური, დაფა, ზურნა, დაირა და ბოლო დროს გარმონიც,<sup>5</sup> მაგრამ, როგორც სამართლიანად შენიშნავს დ. ჭანელიძე, „ძველათ ბერიკები დაფა-ზურნას კი არა, სტვირს იყენებდნენ და მესტირეც ბერიკათა დასტის შემადგენლობაში შედიოდა. ზოგან, მაგალითად, წინამძღვრიანთკარის ბერიკობაში, მესტირეს იმდენად დიდი როლი და მნიშვნელობა ჰქონდა, რომ ის ბერიკობის გამგებლად ითვლებოდა“<sup>6</sup>. ჩვენს ხელთ არსებული მასალების მიხედვით ირკვევა, რომ ბერიკაში ყველა მესტირეს არ შეეძლო მონაწილეობის მიღება, ხოლო ბერიკობა უმესტირეოდ ქართულ მთქმელებს ვერ წარმოუდგენიათ. ბერიკობას შეუქმნია სპეციალური მესტირული. ბერიკულის დაკვრისას სტვირს სხვანაირად სჭიროდა მომართვა — მაღალ ხმაზე უნდა დაეყენებიათ. ბერიკულის დაკვრა დიდ ჯათას მოითხოვდა. ზაქარია ერაძის

1 ამის შესახებ იხ. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ნ. 1. 1928 წ. თბილისი, გვ. 62. დ. ჭანელიძე, ქართული თეატრ. ხალხ. საწყისები, გვ. 345—466; მიხ. აბრამიშვილი ძე, ქართული თეატრი, ქუთაისი, 1925 წ. გვ. 9—11; მიხ. ჩიქოვანი, ქართული ფოლკლორი, გვ. 357. ს. მაკალათია, მესხეთ — ჯავახეთი, თბილისი, 1938 წ. გვ. 108. მისივე, მთიულეთი, თბილისი, 1930 წ., გვ. 136. მისივე, ხევი, თბილისი, 1934 წ., გვ. 190. მისივე, ფშავი, თბ. 1934 წ., გვ. 164; გ. წერეთელი, ბერიკობა, ეურნ. „კვალი“, 1893 წ. № 5 და სხვ.

<sup>2</sup> დ. ჭანელიძე, ქართული თეატრ. ხალხ. საწყისები, გვ. 357.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 369.

<sup>4</sup> იქვე.

<sup>5</sup> იქვე, გვ. 466 და 426.

<sup>6</sup> დ. ჭანელიძე, ქართული თეატრის ხალხური საწყისები, თბილისი, 1948 წ. გვ. 425—426

ცნობით „ბერიკაობა ქართლში იცოდნენ... ბერიკაობას ეწოდებოდნენ ქართლელი მესტვირეები, რაჭველები არ ეწოდებოდნენ. ამას დიდი ჯაფა უნდოდა, სტვირს დიდ ხმაზე უნდოდა გამართვა, ამისათვის ჩვენ არ ზვეცალა. მე მინახავს და დავსწრებივარ ბერიკაობას, მხოლოდ მე არ დამიკრავს სტვირზე. არც ჩემს ამხანაგებს—ფარახეთელებს, ბერიკაობაში მინახავს ქართლელი მესტვირე დუდა... სხვებიც დადიოდნენ, მაგრამ მე არ მინახავს.“<sup>1</sup> მეორე ადგილას, დუდას დახასიათებისას ზაქარია აღნიშნავს: „კაი შტვირის დაკვრა იცოდა, ლექსი კი ცოტა... ბერიკაზე უფრო დადიოდა, ბერიკულს უკრემდა, საქართველოში ბერიკულს უძახიან სათამაშოს, სამეგრელოში „ოსხაპურს“.“<sup>2</sup> იმავე ზაქარიას ცნობით: მოხისელი მესტვირე თევდორე ჯაბნიაშვილი „ბერიკულს უკრემდა. მონაწილეობდა ბერიკაში და დღესასწაულებში“.<sup>3</sup> ზაქარიას ეს განცხადება დასტურდება ქართლის მასალებითაც. მუხრანში მცხოვრები 76 წლის, სვიმონ ქიტესას-ძე ღვთისიაშვილი გადმოგვცემს, რომ მას სტვირზე დაკვრა მისმა სიმამრმა დიმიტრი ქალელაშვილმა ასწავლა. დიმიტრი გულმოდგინედ უხსნიდა და ასწავლიდა სტვირის დაშლა-აწყობას, რადგან „ბერიკაზე რო მოგიხდეს წასვლა, თუ გაგიფუჭდა სტვირი და ვერ ააწყვე, გამოგაგდებენ ბიჭებიო“. სვიმონი კატეგორიულად აცხადებს, რომ „ჩვენ წესად არ გვქონდა ბერიკას მეტი სხვაგან სტვირით წავსულიყავით“.<sup>4</sup> მთქმელი შემდეგ გადმოგვცემს ბერიკის რაობას. ნიმუშისათვის მოგვყავს მთლიანად. „ბერიკა რვა კაცისაგან შედგება, ერთი მესტვირე, ერთი ლორი, ორი ბერიკა, ერთი კეკელა, ერთი თათარი და ორი ღვდელი. ბერიკები ახალგაზრდა ვაჟები იყვნენ, მოთამაშეებს დაგლეჩილი ეცვათ. ქუდზე ჭინჭილები და ვარდები ჰქონდათ გაკეთებული, ვინც ლორს ანსახიერებდა, ლორის თავი

<sup>1</sup> ფ. არქ. № 31655.

<sup>2</sup> იქვე. № 31706.

<sup>3</sup> იქვე. № 31708.

<sup>4</sup> ფ. არქ. № 32010.

ჰქონდა გაკეთებული, კეკელა ბიჭი იყო ქალად გამოწყობილი, იგი ღორს ეთამაშებოდა, ორივეს ხელში ხელსახოცი ეჭირათ და ათამაშებდნენ. თათარი და მღვდელი კეკელას მტრები იყვნენ, ისინი კოცნიდნენ კეკელას. კეკელას იცავდა ბერიკა, ბერიკა გამოუდგებოდა და გააგდებინებდა ხოლმე. თამაში ერთ კვირას გრძელდებოდა, ორშაბათიდან შაბათამდის. მესტვირე უკან მისდევდა, ის უკრავდა, დანარჩენები თამაშობდნენ. ბერიკაობის დროს მარტო სტვირს უკრავდნენ. ბერიკები აგროვებდნენ ღვინოსა და არაყს. ღამე დასხდებოდნენ და ქეიფობდნენ. სტვირზე ლექსს არ ამღერებდნენ. ჩვენ ლექსი არ გვიმღერია. მე არასოდეს სტვირზე ლექსი არ დამიმღერებია. სხვას კი დაუმღერებია ჩემს დაკრულ სტვირზე... ლექსები არც ჩემმა სიმამრმა იცოდა.<sup>1</sup> იმავე სვიმონის ცნობით მუხრანელი მესტვირე მიხა ამირაშვილი მხოლოდ ბერიკაზე დაჰყავდათ ბიჭებს, სხვაგან არსად არ დადიოდა. სტვირზე ლექსებს არ ამღერებდა.<sup>2</sup> როგორც ჩანს, ქართლში იყვნენ ისეთი მესტვირეები, რომლებიც მარტო ბერიკულს უკრავდნენ, სხვა სახის დღესასწაულებში არ იღებდნენ მონაწილეობას. 95 წლის მუხრანელი გიორგი ივანეს-ძე ხუციშვილის გადმოცემით მესტვირე მიხა ამირაშვილს ჰქონდა გუდა-სტვირი „ლექსებს არ ამღერებდა, ლექსები არც ერთმა აქაურმა მესტვირემ არ იცოდა. ზეიდან<sup>3</sup> რომ მოდიოდნენ, იმათ იცოდნენ ლექსები. ჩვენებური მესტვირეები ბერიკაზე დადიოდნენ ერთ კვირას, მერე სახლში მუშაობდნენ. იმ ერთ კვირას სულ ღვინო და თამაში იყო.“<sup>4</sup>

მუხრანელი მესტვირეების შესახებ მოპოვებული ცნობები იმიტაც არის საგულისხმო, რომ აქ დაცული უნდა იყოს მეს-

---

1 ფ. არქ. № 32010.

იქვე.

3 იგულისხმება რაჰველები.

4 ფ. არქ. № 32019.

ტვირული ტრადიციის თავდაპირველი ბუნება, ე. ი. როდესაც ის დაკავშირებული იყო კულტმსახურებასთან (მაგალითად, ბერიკობა), რომელმაც შემდეგში გართობის ხასიათი მიიღო და მისი თავდაპირველი დანიშნულება თითქმის გაუგებარი გახდა.

დ. ჯანელიძეს 1939 წელს წინამძღვრიანთკარში მცხოვრები მესტირე ვასო გულბათაშვილისაგან საინტერესო ცნობები ჩაუწერია ბერიკობის შესახებ. 1948 წელს, ე. ი. 9 წლის შემდეგ, ჩვენ შევხვდით ვასილ გულბათაშვილს და დაწვრილებით შევისწავლეთ ამ მესტირის რეპერტუარი. საინტერესოა ამ ორი ცნობის ერთმანეთთან შედარება.

დ. ჯანელიძე თავის შრომაში ერთგან კატეგორიულად წერს: „ზოგან, მაგალითად, წინამძღვრიანთკარის ბერიკობაში, მესტირეს იმდენად დიდი როლი და მნიშვნელობა ჰქონდა, რომ ის ბერიკობის გამგებლად ითვლებოდა“<sup>1</sup>. რა თქმა უნდა, ეს ასე არ არის. ამას თვით მკვლევარიც გრძნობს და სხვა ადგილას შენიშნავს: „ვასო გულბათაშვილი ბერია მესტირეა. მისი სიტყვით, ბერიკობაში მესტირე ბერიათა წინამძღოლია და ბერიათა თამადასთან (მეთაურთან) ერთად ბერიკობას ხელმძღვანელობს“<sup>2</sup>.

ამ შემთხვევაში მთქმელის ნდობა და მისი უადმონაცემის განზოგადება სახიფათოა, რადგან მესტირეს, როგორც ზემოთ ვთქვით, თუ კარგად არ დაუკრავდა, დასიდან გამოადგებდნენ, იგი ბერიკობის ერთ-ერთი წევრი იყო, როგორც სხვა დანარჩენი, ხოლო თამადა (მეთაური) მებერიკეთა ბატონ-პატრონად ითვლებოდა. მას ემორჩილებოდა ყველა წევრი. თამადას შეეძლო მებერიკეები შეეცვალა, დასიდან გამოეყვანა და ა. შ. დ. ჯანელიძეს მოჰყავს გულბათაშვილისეული ბერიკობის ასეთი სახე: „ნეფე-დედოფალი თამაშობენ, ცეკვავენ. მესტირე წრის თავში დგას. ღორის მომვლელი „ემ-

<sup>1</sup> დ. ჯანელიძე, ქართული თეატრ. ხალხ. საწყისები, გვ. 425.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 447.

ტერება“ დედოფალს. ღორს სცემენ სახრეს, რომ მისმა „მომვლელმა“ დედოფალს არ აკოცოს: ღორი გააგდებს ღორის თავს (ე. ი. ნიღაბიდან გამოვა) და დაეჭიდება დედოფლის ქმარს და მოჰკლავს. დედოფალი დაიწყებს ტირილს. მოიყვანენ მესტვირეს, რომელიც ტირილის ჰანგზე უკრავს და დედოფალი და სხვანი სტვირის აყოლებით ტირიან. დანარჩენები ბანს ეუბნებიან. მესტვირე და დედოფალი ტექსტის მთქმელები არიან, დანარჩენები კი ბანით ენმარებიან“.1 იმავე გულბათაშვილისაგან ჩვენს მიერ ჩაწერილი ცნობის მიხედვით ბერიკას შემადგენლობა ასეთია: 1. მესტვირე, 2. კეკელა, 3. კეკელას მომვლელი (ე. ი. ქმარი). 4. მღვდელი. 5. დიაკვანი, 6. თათარი, 7. თამადა, 8. ხალხის მომვლელი (თვალის მკურელი) 9. მზიდავები; მზიდავად სამი კაცი იყო გამოყოფილი (ღვინო-არყის შემგროვებელი, პურის მზიდავი და კვერცხის შემნახავი). ზოგჯერ მზიდავებად მეტის გამოყოფა შეიძლებოდა. რომელ სოფლიდანაც დაიწყებდნენ მებერიკეები, ერთი კვირის შემდეგ, იმავე სოფელში ბრუნდებოდნენ, ამოარჩევდნენ კარგ ოჯახს და იქ, შეგროვილი პურ-მარილით, გამართავდნენ ქეიფს. ქეიფის დროს იყო სტვირის დაკვრა, უკრავდნენ აგრეთვე ჩონგურსა და დოლს. გულბათაშვილის გადმოცემით, კეკელას ქმარი რომ მოკვდებოდა, „გადავაფარებდით თეთრს, როგორც მკვდარს, მოვუსხდებოდით გარ შემო, სტვირს დავეუკრავდი, ქალი კი სტიროდა თავის ქმარს სტვირზე აყოლებით. თუ წესიერად ჩატარდებოდა ბერიკა, კეკელა აუცილებლად დაიტირებდა ქმარს. ამ დროს ხალხი მოქუჩდებოდა და უყურებდა ტირილს“.<sup>2</sup>

ტირილის სცენა, რომელიც ბერიკობას დაუცავს, მეტად საგულისხმოა. ჩვენ ქვემოთ ვნახავთ, რომ მესტვირეები ზოგჯერ ტირილშიაც მონაწილეობდნენ თავიანთი მუსიკალური ინსტრუმენტით.

1 დ. ჭ ა ნ ე ლ ი ძ ე, ქართული თეატრ. ხალხ. საწყისები. გვ. 448.

2 დ. არქ. № 32021.

ჩვენს მიერ აღრიცხულ 50 ქართულ მესტვირეთა უმრავ-  
ლესობა მესტვირე-მებერიკეები იყვნენ. ისინი პირველ რიგ-  
ში ბერიკულს სწავლობდნენ. მაგალითად: სანდრო გელაშვი-  
ლი და გიორგი პეტრიაშვილი (მისაქციელი),<sup>1</sup> ტატო ბეჭაური  
და თედო რომელაშვილი (წინამძღვრიანთკარი),<sup>2</sup> კოსტა რუ-  
სიაშვილი (ნატახტარი)<sup>3</sup>, მიტრო ჩილინდრიშვილი, იოსება  
ცოციაშვილი, მიტრო ჭალელიშვილი, სონკა ზაქაიძე, დუდა  
ბუჩუკური, სონკა ქაფიაშვილი, ღვთისო ციხელიშვილი (წილ-  
ჯანი)<sup>4</sup> და სხვ.

60 წლის წილკნელი მიტრო მოსიკას-ძე ჭალელიშვილის  
ოქმით: მესტვირეები ბერიკაზე დადიოდნენ, ბერიკობის  
დროს მოივლიდნენ შემდეგ სოფლებს: ლამისყანას, ქსოვ-  
რისს, ოკამს, თეზს, მუხრანს და სხვ. ბერიკა მთელი კვირა  
გრძელდებოდა... ბერიკას ყავდა 1. თამადა, 2. მესტვირე, 3.  
თათარი, 4. მღვდელი, 5. კეკელა, 6. ღორი და სხვები. კეკელას  
კაბას ჩააცმევდნენ, დაუკრავდნენ სტვირს და კეკელას უნდა  
ეთამაშნა. მესტვირეს, ბერიკა რომ გათავდებოდა, კეკელას  
კაბას აჩუქებდნენ, გუდისტვის მინდაო. ბერიკა რომ დამ-  
თავრდებოდა, კალოზე შეიყრებოდნენ ორი-სამი სოფლს მე-  
ბერიკეები და მოკლავდნენ ვითომ ღორს (ბერიკას მოთამა-  
შეს), ამ დროს მესტვირე დაუკრავდა სატირელს, ბიჭები  
აყოლებდნენ სტვირზე და ტიროდნენ.<sup>5</sup>

ბერიკობის შემდეგ ერთ-ერთი უძველესი სანახაობა იყო  
ყენობა, რომელიც საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში  
სრულდებოდა. აკადემიკოს ივ. ჯავახიშვილის გამოკვლევით  
„სვანური „მურყვამობა“ და საქმისაჲ“-ს ჩვეულება, იმგვა-  
რადვე, როგორც ყენობა, სქესობრივი განაყოფიერებისა,

<sup>1</sup> ფ. არქ. № 32039.

<sup>2</sup> იქვე, № 32038

<sup>3</sup> იქვე, № 32040.

<sup>4</sup> იქვე. № 32043. 32044. 32045, 32046 32047, 32048, 32049.

<sup>5</sup> ფ. არქ. № 32042.

შვილიერებისა და საერთოდ მოსავლიანობის მფარველი ღვთა-  
ების კვირიას თაყვანისცემისა და ღღესასწაულის ნაშთია“.<sup>1</sup>  
ღროთა განმავლობაში როგორც ბერიკობამ, ყეენობის ტრა-  
დიციამაც ცვლილებები განიცადა. ამ ტრადიციის შესახებ  
საყურადღებო მოსაზრებები და საინტერესო მასალებია გად-  
მოცემული დ. ჭანელიძის შრომაში, მაგრამ ავტორი უმთავ-  
რესად ეყრდნობა მე-19 საუკუნის ჟურნალ-გაზეთებში მო-  
თავსებულ ცნობებს, სადაც მეტწილად ქალაქური ყეენო-  
ბაა აღწერილი. „ყეენობაში, — წერს დ. ჭანელიძე, — მემუსი-  
კეთა საამქროები და დასტები იღებდნენ მონაწილეობას. ამ  
სანახაობაში გამოყენებას პოულობდა როგორც საკრავიერი  
(საყვირები, ზურნა, ჩონგური, ფანდური), ისე ხმიერი მუსი-  
კაც“.<sup>2</sup> საქართველოს სხვადასხვა სოფლებში დაცული ცნო-  
ბების მიხედვით. ყეენობის დროს, როგორც ბერიკობისას.  
სტვირიც იყო გამოყენებული. ღროთა განმავლობაში კი მას  
ენაცვლებოდა სხვა სახის საკრავები, და ბოლო დროს, რო-  
გორც ეს დ. ჭანელიძის მასალებიდანაც ჩანს, ყეენობიდან ეს  
საკრავი განუღვენია ზურნას, საყვირსა და გარმონს.<sup>3</sup>

ფშაური მესტვირული ტრადიციის ახლო გაცნობისას ირ-  
კვევა, რომ ყეენობის დროს მესტვირე აუცილებელი იყო.  
თიანეთელი (ამჟამად ცხოვრობს ბაყილოვანში, პანკისის ხეო-  
ბა) 66 წლის სისო სოსიკას-ძე ბუწანკალური იცნობდა ორ  
ფშაველ მესტვირეს გიორგი ჭინჭარაულს და ზაქარია იარა-  
ჯულს. იარაჯულის შესახებ მთქმელი გადმოგვცემს: „ის... თა-  
ვის სოფელშიაც მინახავს და ჩემს სოფელშიაც ყეენობის  
დროს, უკრავდა სტვირს და ხალხი თამაშობდა. ყეენობა ასე  
ვიცოდით: ერთი სოფლიდან მეორე სოფელში მიდიოდა ხალ-  
ხი, მიყავდა თავისი ყეენი. ყეენი მორთული იყო განსაკუ-

<sup>1</sup> ი. ვ. ჭავჭავაძის შვილი, ქართველი ერის ისტორია. ნ. I, თბილისი,  
1928 წ. გვ. 69.

<sup>2</sup> დ. ჭანელიძე. ქართული თეატრის ხალხური საწყისები გვ. 344.

<sup>3</sup> ბოლო დროს გარმონსაც იყენებდნენო (იქვე. გვ. 329).



თრებით. თავზე დაგრეხილი ბალახი ჰქონდა შემოვლებული, შიგ ბალახზე ქათმის ფრთები იყო წამოცმული, თითოეულ სოფელს თავისი ფალავანი ჰყავდა. ყეენები თავიანთ ფალავნებს გამოიყვანდნენ, აკიდებდნენ, ხალხი წრეში იყო ჩამწკრივებული, მესტიერე უკრავდა სტვირს — საჭიდაოს. იმასაც კი აძახებდა მესტიერე, რომ „გადააგდე“, „გადააგდეო“, რომელიც გაიმარჯვებდა, იმ ფალავანს შეისვამდა მხარზე თავს ივე ხალხი და წაიყვანდა სოფელში. მესტიერე წინ მიუძღოდა სტვირის დაკვრით<sup>1</sup>. სიღნაღელ მესტიერე ვანო ბურდილაძეს, გიორგი ბურდილაძესთან ერთად, მონაწილეობა მიუღია ქართლში ბერიკობასა და ყეენობაში<sup>2</sup>. სტვირით ყეენობაზე დადიოდა ქსოვრისელი (მცხეთის რ.) მესტიერე ილიკო ლონიშვილი<sup>3</sup>. წინამძღვრიანთკარის მესტიერე ვასო გულბათაშვილი ყეენობის დროს გამართულ ჭიდაობაში თავისი სტვირით იღებდა მონაწილეობას: „ყეენობაზე ჩვენი ბიჭები წავიყვანე, — ამბობს გულბათაშვილი, ეს იყო ერწოში, იქ მოჭიდავე მზად დახვედრიათ, თავიანთი მესტიერით (ის მესტიერე დალაქიშვილი ყოფილა), — ჩვენ რომ მივედით, ერთი ჩვენი მოჭიდავე ამოარჩიეს... რაკი ჩვენი მოჭიდავე ამოარჩიეს, ბიჭებმა დაიძახეს: ჩვენი მესტიერე სად არიო. იმათმა მესტიერემ ყურები ცქვიტა, მე სტვირი შინელში მქონდა დამალული, გადმოვიდნენ მოჭიდავეები, ის უკრავს ერთნაირს, დავიწყე დაკვრა, იმათ მესტიერემ შამომხედა ცერად, ყანწი ამომიკრა სტვირს, უნდოდა მოეშალა ჩემი სტვირი, მე ავიცდინე“<sup>4</sup>. ვასო გულბათაშვილის გადმოცემით ყეენობა არის ერთი დღესასწაული ყველიერის ორშაბათს, ყეენობა ერთ დღეს გრძელდება. როგორც ჩანს ყველიერის ერთი კვირა ორშაბათიდან კვირამდე ბერიკობას ეთმობოდა, ხოლო მეო-

<sup>1</sup> თ. არქ. № 31460.

<sup>2</sup> იქვე, № 31547.

<sup>3</sup> იქვე. № 32009.

<sup>4</sup> იქვე. № 32036.

რე კვირის პირველი დღე, ყველიერობის დასასრული, ორშაბათი — ყეენობას; ამ შემთხვევაში გამონაკლისია მოხეურა ყეენობა, რომელიც ოთხ დღეს გასტანდა თურმე<sup>1</sup>; 60 წლის წილკნელი ანდრო ჭარელიშვილის თქმით ყეენობის დღესასწაულზე მესტირე კიდეცა მღეროდა, კიდეც სათამაშოს უკრავდა<sup>2</sup>.

ქალაქში მცხოვრებ მთქმელებს არ ახსოვთ, რომ ყეენობის დროს მესტირე ყოფილიყო. მაგალითად, გორელი მთქმელის, 78 წლის, დარჩო მიხეილის-ძე ფალელაშვილის გადმოცემით, ყეენობის დღეს დაფა-ზურნა იყო<sup>3</sup>. სტირი, რომელიც საუკუნეთა განმავლობაში თან ახლდა უძველეს ქართულ სანახაობათა შესრულებას, პირველ რიგში, ქალაქიდან დაფა-ზურნამ განდევნა, შემდეგ კი დოღმა და გარმონმა სოფელშიაც შეავიწროვა.

ფარახეთელი ზაქარია ერაძის ცნობით, რაჭაშიაც იმართებოდა ყეენობა: „საქართველოში რო ბერიკობა იცოდნენ, აქ იმას ყეენობას ეტყოდნენო“... „ყეენს სიმინდის ტარო ეჭირა ხელში, გლეხი რო ღვინოს, ყველსა და პურს გამოიტანდა, ყენი მოფშენიდა მარცვალს და აჩუქებდა გლეხს: — ქუთაისის დოვლათი მომიცია შენთვის, რახან პატივი გვეციო. სხვასთან რომ მივიდოდნენ, იმას ცხინვალის დოვლათს აძლევდნენ. სხვებს გორისას და ა. შ. სოფელში გარმონით დადიოდნენ, საღამოს ქეიფზე დაიბარებდნენ მესტირეს“<sup>4</sup>. ამ ცნობაში თვალნათლივ ჩანს ყეენობის აშკარა სამეურნეო დანიშნულება და მესტირის შეცვლა მეგარმონით.

როგორც ცნობილია, ყეენობა იმართებოდა გაზაფხულზე ყველიერის დასასრულს, ორშაბათ დღეს, რომელსაც „წმინ-

1 დ. ჭ ა ნ ე ლ ი ძ ე. ქართული თეატრ. ხალხ. საწყისები, გვ. 315.

2 ფ. არქ. № 32042.

3 ფ. არქ. № 32051.

4 იქვე. № 31655.

და ორშაბათს<sup>1</sup>; ხან „შავ ორშაბათს“<sup>2</sup>, ხან „დიდ ორშაბათს“<sup>3</sup>, ან ყეენობის ორშაბათს<sup>4</sup> უწოდებდნენ. ეს სახელწოდება ტაბუირებულია, ამიტომ მეტად საგულისხმოა ამ სახელწოდების ზაქარია ერაძისეული ეტიმოლოგია: „შაჰ-აბაზს რომ აუღია საქართველო, ქიზიყში 3—4 წლის ბავშვები მოუგროვებია. შეუბამს კვერი და დაუწყია მათი გასრესა. ბავშვების დედები გააფთრებულნი შემოხვევიან ამ ჯოჯოხეთურ მიდამოს. შაჰ-აბაზს უბრძანებია ბ.ეშვების დედებისათვის მოეკრათ ძუძუები და ბავშვებთან ერთად გაესრისათ. ბრძანება შეასრულეს. კვერზე თვით შაჰ-აბაზი შეჰდა „მოიქცია გვერდზე ქუდი და თქვა: „საქართველო სულ ჩემიაო, კაცს ვერავინ წამართმევსო, ყმაწვილთა კალოს გავლენავ და ძუძუს დავჭრი დედებსო“. ეს ამბავი შავ ორშაბათს ყოფილიყო, შავ ორშაბათს რომ ვუქმობდით, მაგ ხალხს ვგლოვობდით — ყველიერის მეორე დღეს“<sup>5</sup>.

ზემო თქმულიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ მესტიერული ტრადიცია ორგანულად იყო შერწყმული ქართველი ხალხის უაღრესად ეროვნულ სანახაობებთან — ბერიკობასა და ყეენობასთან. ბერიკობა და ყეენობა კი, როგორც გამორკვეულია. დაკავშირებული იყო კულტმსახურებასთან, შვილიერებისა და განაყოფიერების, დოვლათიანობის ღვთაებასთან, რომელმაც დროთა ვითარებაში ცვლილებები განიცადა. მაშასადამე, მიუხედავად იმისა, რომ სტვირი IX—X საუკუნეზე უადრეს ძეგლებში არ გვხვდება, უნდა ვივარაუდოთ, იგი არსებობდა მანამდე, სანამ ქართული დამწერლობა გაჩნდებოდა. ამაზე მიუთითებს ისიც, რომ ქართველ ტომთა

<sup>1</sup> Мислѣнниця у грузин, газ. „Кавказ“, 1846 г. № 6.

<sup>2</sup> გაზ. „ივერია“, 1888 წ. № 49.

<sup>3</sup> დ. ჯანელიძე, ქართული თეატრის ხალხური საწყისები, 1948 წ., გვ. 314.

<sup>4</sup> газ. „Кавказ“, 1889 г. № 40.

<sup>5</sup> ფ. არქ. № 31655.

წინაპრების ხეთა-იბერების ხელოვნებაში „კერხანიშის სასახლის (მე-9-10 საუკ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე) ბარელიეფზე გამოხატულია ერთი მხრივ: რქისებურ სტვირზე დამკვრელი კაცი და დიდ დაფდაფზე დამკვრელი სამი კაცი, ამათ პირდაპირ მუსიკოსები, რომელნიც სხვადასხვა საკრავზე უკრავენ“<sup>1</sup>.

მესტვირული ტრადიცია დაკავშირებული ყოფილა მთელ რიგ სხვა საწესჩვეულებო მოქმედებასთან. მაგალითად, გონჯაბის შემდეგ, სალამოს, იმართებოდა ლხინი, სადაც მესტვირეს თამადად აყენებდნენ და მრავალ „ხელმწიფურ ლექსებს“ დაამღერებინებდნენ სტვირზე<sup>2</sup>. საინტერესოა ამ წარმართულ საწესო ჩვეულებაში სავედრებელი სიტყვები, რომელსაც ზაქარია ერაძე ასე გადმოგვცემს:

მწამს ერთი ღმერთი, მამა ყოვლისა შემოქმედი,  
მპყრობელი ციხა და ქვეყნისა,  
ჰეი, უფალო და მეუფეო გვაღირსე ნამი,  
ვიყოთ შენი მავედრებელი,  
მოგვეცი სასმელი და საჭმელი,  
ნუ გამოგვიღევ ცხოვრების წყაროსა<sup>3</sup>.

ზაქარიას არ ახსოვს, რომ ძეობას სტვირით დასწრებოდეს, მაგრამ ნათლობაში კი ბევრჯერ მიუღია მონაწილეობა. ნათლობის შემდეგ გამართულ ქეიფში მესტვირე სუფრის დამამშვენებელი ყოფილა, ფულს მესტვირეს ნათლია აჩუქებდა. ლუკა და ზაქარია ნათლობას დასწრებიან შქმერში, ბაჯისხევიში და ცხმორში; გოგია მანისურაძის ოჯახში (ბაჯისხევი) ნათლიას 15 მანეთი უჩუქნია მათთვის<sup>4</sup>.

<sup>1</sup> დ. ჯ ა ნ ე ლ ი ძ ე — ქართული თეატრის ხალხური საწყისები, გვ. 7 შტრ.  
Контено и Захаров. Хетты и хетская культура, М.—Л. 1924 г. стр. 34, Курт Закс. „Музыкальная культура Сирии“, сб., муз. культура древнего мира, под редакцией Грубера, Л., 1937 г., стр. 71.

<sup>2</sup> ფ. არქ. № 31655.

<sup>3</sup> იქვე.

<sup>4</sup> იქვე.

„განსაკუთრებით ყვავილით ავადმყოფებთან“ დავდიოდითო — გადმოგვცემს ზაქარია. ფოთში ყვავილით ავადმყოფთან მიწულ ზაქარიას დაუმღერებია; „იავ-ნანა ბატონებო, იავ-ნანინაო, დედაშენს შემოუთვლია წამობრძანდით მშვიდობითო, იავნანინაო“<sup>1</sup>.

ფშაველი სისო ბუწანკალური მოგვითხრობს, რომ ფშაველები „კოპალეს ეხვეწებოდნენ, ავადმყოფი მოგვირჩინეო, თუ ვინმე იყო იმისი ნათესავეები პურისჭამას გამართავდნენ, მესტვირეს დაპატიებდნენ, დაუპატიებლად მესტვირე არ მოვიდოდა, დაუკრავდა სათამაშოს, ითამაშებდნენ, მესტვირეს არაფერს მისცემდნენ, წესი არ იყო“<sup>2</sup>.

ცნობილია, რომ ზოგიერთ ერში მიცვალებულის ტირილს სანახაობის ხასიათი ეძლეოდა. „მოსკოვის „საეკლესიო კრება 1551 წ. თავის უკმაყოფილებას აცხადებს, რომ მიცვალებულის სულის მოხსენების დროს ესწრებოდნენ „სკომორონები“ და იწყებდნენ ცეკვა-თამაშსა და სიმღერას“<sup>3</sup>. საქართველოში ასეთი ფაქტი არ ყოფილა, თუმცა, ზაქარია ერადის ცნობით, მესტვირე პავლე ერადე აფხაზეთში დასწრებია ზკვდრის დატირებას, დაუკრავს სტვირი, ფულიც უჩუქებიათ<sup>4</sup>. ლუკა ტოგონიძესთან ერთად ზაქარია გურიაში დასწრებია მოხუცი ქალის დატირებას, სტვირზე დაუმღერებიათ სამგლოვიარო ლექსები<sup>5</sup>. ხევსურეთში (სოფ. ხორხელში) ზაქარიას და მის მამას კიკოს სტვირზე დაკვრით დაუტირებიათ დათვის მიერ მოკლული მონადირე<sup>6</sup>; სოფ. ჭიბრევში ლუკა და ზაქარია საგანგებოდ დაუბარებიათ ირადი მაჩაიძეს დასა-

1 ფ. არქ. № 31655.

2 ფ. არქ. № 31480.

3 მ. ი. ხ. ა. ბ. რ. ა. მ. ი. შ. ვ. ი. ლ. ი., ძველი ქართული თეატრი, ქუთაისი, 1925 წ. გვ. 15.

4 ფ. არქ. № 31655.

5 იქვე.

6 იქვე.

ტირებლად. „მივედით,— გადმოგვცემს ზაქარია,— დოუქარით  
შტვირი და ვუთხარით (ჭირისუფალს):

„მითი გული ნუ დაგწუდებათ, ყველა იქ მიმავალი ვართ,  
აქ არავინ არ დარჩება. წაბძანდი და მოგეწევი, ცოლი ქმარსა ეუბნება,  
როდესაც აღვირს დასცემენ, ყოველი გვაში აღდგება,  
ზე აბია ანგელოზი, ღჭერთი ლოცვაზე დადგება,  
ყოველ კაცს გამწესებულსა თავის სიმაართლე დახედება.  
ნეტაი იმას. ამ სოფლით ვისაც სიმაართლე გაჰყვება.  
მწიერს ვაჰმევე, მწყურვალს ვასმევე, თუ ნწყურვალეს წყალი ხედება,  
უფრო მაღლად მოგვიხდება.  
ღმერთმა აცხონოს ირადე იმისი სული და ყელი.  
ყაყაო აყვაეებულა, ვარდი მოდის გასაშლელი,  
აბრამის წინ გონუსკენოს, იმისი სული და ყელი,  
მისი სულის სახსენებლად. თქვენ გამყოფოთ კარგად. მთელი,  
სალხინოთ გამოგიბრუნოს უფალმა წუთისოფელი...  
ადამის ძეს აგვაგებენ, ჩვენ აგვაგებენ თიხასა,  
მოვერიდოთ შარის კრეფას და მბეზღრობას სხვისასა,  
ჩვენც ისე დავიხოცებით. როგორცა ვხედავთ სხვისასა,  
გადაბრუნდებით მოგვედებით, თავზე გვაყრიან მიწასა,  
ათასი ბევრი ვეცადოთ, რალას გვევიგებთ მცისასა,  
ჭურდი თავისას იპარავს, ვერ მოიპარავს სხვისასა.“<sup>1</sup>

ზემოაღნიშნული მაგალითების განზოგადოება საფრთხი-  
ლოა, თუმცა, როგორც ჩანს, მესტვირეებს ასეთი შემთხვევისა-  
თვის მზად ჰქონიათ სათანადო რეპერტუარი. ზაქარიას ეს  
ცნობა და აგრეთვე ბერიკობის დროს კეკელას ქმრის დატირე-  
ბა სტვირზე აყოლებით, მიგვითითებს იმაზე, რომ, ოდესღაც,  
შორეულ წარსულში, მესტვირეები მონაწილეობდნენ,  
მკვდრის დატირებაში.

ვაჟა-ფშაველას ცნობით მესტვირეს (მესაზნაღრეს) არამც  
თუ დასაფლავების დღეს, არამედ, შემდეგაც უშლიდნენ სო-  
ფელში სტვირის დაკვრას. მოთხრობა „ერთგულ მეგობარში“  
ვაჟა გვამცნობს: „სწორედ იმ დღეს, რა დღესაც ბერიძე დაა-  
საფლავეს, სოფელში საზანდარი გაჩნდა საიღამიღაც. თან პა-

<sup>1</sup> ფ. არქ. № 31615.

ტარა ჯორჯა დაჰყვანდა მოხუცებულს<sup>1</sup>, ზედ ტილოსა და შალის პარკუქანები აეკიდა, რომლებშიაც საზანდროში აღებულს ფქვილს აგროვებდა. იმედიც ჰქონდა ამ დღეს ეშოვნა რამ და სტვირიც გაეჩალებინა, მაგრამ მოტყუვდა. მოტყუვდა მხოლოდ იმაში, რომ სტვირი არაეინ დააკრევირა სოფელში, თუმცა-კი თეფშებით ფქვილს ყველა აძლევდა, სადაც-კი ეზოში მიდგა თავის ჯორჯათი და გაამზადა ასაქლერებლად სტვირი, ყველგან ხმა შემოესმა მკმუნვარე ოჯახის პატრონისა: „სოფელში მიცვალეულია, ლხინი არ იქნება!“ საზანდარს უკვირდა, გაცეებული იყო: იმას ყველა სახლში მიცვალეული ეგონა ჯერ და მერე სთქვა თავისთვის, იქნება გარდაცვალეული ყველას ნათესავი იყოვო... მერე ერთს მგზავრს ჰკითხა და იმან აუხსნა: „აქ ეგეთი ჩვეულებაა, ძმობილოვო“<sup>2</sup>. საყურადღებოა ის ფაქტი, რომ მესტვირეს, ტრადიციის თანახმად, „თეფშებით ფქვილს ყველა აძლევდა“, მიუხედავად იმისა, რომ სოფელი გლოვობდა და სტვირის დაკვრა არ შეიძლებოდა.

ასევე საინტერესო ცნობას გვაწვდის ვაჟა-ფშაველა სხვაგანაც. დრამა „მოკვეთილის“ მე-4 მოქმედებაში<sup>3</sup> ვკითხულობთ: „შუშანა: დაუქარ, საზანდარო, დაუქარ და ერთი კარგი შაირი დაამლერე!

ხალხი: დაუქარ, დაუქარ, თუ არა და სტვირს დაგიმტვრევთ!

საზანდარი: (ჰბერავს გუდას, უკრავს სტვირს და თან დამლერის):

შაირი ვიცი იმდენი,  
როგორც ვარსკვლავი ცაზედა,  
თითონ რაჰველი გახლავარ,  
მთიდან გადმოველ მთაზედა;

<sup>1</sup> შდრ. „მამუკა ჩუბინიძე დადიოდა ჯორით“, ფ. არქ. № 31709.

<sup>2</sup> ერთგული მეგობარი, ვაჟა-ფშაველა, ტ. V მოთხრობები და პიესები, თბილისი, 1936 წ. გვ. 143—149.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 418—420.

დამიხვედა კარა ლეკისა.  
როს დავსდექ ქართლის გზახედა.  
მიკივლეს: ტყვედ წამოგყვეო,  
თორემ თავს მოგჭრით წაშხედა!  
რადა, შატონო, ვუთხარი,  
ნეტა მიწყრებით რახედა?!  
ლაშარის ჯვარში მივდივარ,  
ბატონს ვეახლო კარხედა,  
ვალბინო ფშავლის შვილები,  
ფარ-ხმალი შეენით ტანხედა.  
არ გამიგონეს, იწყინეს,  
მეც ხელი ვიკარ ხმალხედა,  
თორმეტი მოვკალ. ბელადსა  
სისხლი ვადინე ყბახედა.  
ხმალს კი სისხლისა, რომ გითხრათ,  
წვეთი არ ეკრა ფხახედა.

(ხალხში სიცილი ისმის)

**შუშანა:** ყოჩაღ, საზანდარო, ყოჩაღ, რაკი ხმალზე სისხლი არ ეკრა, უთუოდ სულ გაგიყლექტია ლეკები. აბა საკარგ-ყმოდ არაყი გერგება. აბა, ჰა, დალიე, შეგერგება! (აწვდის ყანწს).

**საზანდარი:** (ართმევს ყანწს) კი დავლევ... გაცოცხლოსთ და გადლენძელოსთ ყველა, შაგეწით წმინდა ლაშარი — ჯვარი და წმინდა თამარ-დედოფალი...

**შუშანა:** (ადგება, მიუახლოვდება (საზანდარს, ა. ც.) და კაფიას ამბობს. შენ მარტო სტვირი დაუქარ ძმობილო? (საზანდარი სტვირს უკრავს და შუშანა დამღერის უკან ხელეგ დაწყობილი).

ვინა სთქვა გაგვითავდება,  
ლაშარს ვართ განა რაქასა?!  
ვენაცელე ლაშარიჯვარსა,  
იმის ხმალს, იმის მაქასა,  
ყველას უხვს აძლევს წყალობას  
და ტანზე აცმევს ფარჩასა...  
სამოცის ცხენის კახური  
აქვე გვიდგია დარბაზსა,



თორმეტი კოდი ლუდითა  
გაგება უნდა ამასა.  
მოხუცმა კაცმა გაჭობე  
აღარ გაჩუქებ აბაზსა!”

ხალხი მესაზანდრეს თხოვს სათამაშო დაუკრას.

— „ქვე რავა არ დოუკრავ, თუ იცეკვებ“ — ამბობს მესაზანდრე და უკრავს. მოხუცი შუშანა ცეკვავს.

შუშანა ამთავრებს თამაშს, იწყება ლუდის სმა, ცოტა ხნის შემდეგ შუშანა გულქანს თხოვს იცეკვოს.

გულქანი: (საზანდარს) ეე, ძმობილო, სტვირის პატრონო, დაუკარ! (საზანდარი უკრავს, გულქანი თამაშობს, თამაშობას რომ გაათავებს, გადახტება და ქალებს ეფარება)“.

დღეობა-დღესასწაულებში, როგორც აღვნიშნეთ, ეწყობოდა მესტვირეთა ურთიერთ შეჯიბრება. ზაქარია ერადის ცნობით, მესტვირეთა შეჯიბრება ეწყობოდა შეკვეთით, თავადი ან ვინმე „დიდი“ კაცი გვეტყოდა: „გეეჯიბრეთ და ვინც აჯობებს, იმას მივცემ თუმანსაო. ჩვენც, ხან ვაგინებდით ერთმანეთს, ხან ისე ვლექსობდით, ხალხი ირგვლივ შემოგვეხვევოდაო“.<sup>1</sup> ზაქარიას გადმოცემით ნიკო დადიანი ხშირად აჯიბრებდა ერთმანეთს მესტვირეებს.<sup>2</sup>

ალავერდობას — ალავერდში ყოფილა ცამეტი ფარახეთელი მესტვირე ერთად. „იმდენი მლოცავი იყო ალავერდში მისული, — ამბობს ზაქარია, — რომ ერთმანეთს ვერ ვპოვულობდით. მაქსიმე ჭავჭავაძემ (კახელი თავადიშვილი) შეგვაჯიბრა ორი მესტვირე: კიკო ტოგონიძე და მე, სხვები ქვე გვიყურებდნენ... ერთმანეთის გინება ვერ გავბედეთ, თავადიშვილი იყო

<sup>1</sup> ფ. არქ. № 31654.

<sup>2</sup> იქვე.



ბოლოს მთქმელი დასძენს: „აჯობა ყე მანანამ მეშტვირეებს და მეშტვირეები წავიდნენ. ეგ შაირი კი ქვე ისწავლეს“<sup>1</sup>.

ზაქარია ერაძისეული მანანასა და მესტვირის შეჯიბრების ვარიანტი შეიცავს 35 რვაპარცვლოვან სტრიქონს (ოთხი მანანას პასუხი და ექვსი მესტვირის). მთქმელი ასეთ შენიშვნას აკეთებს: „ანდრია ნადირაძე განთქმული მესტვირე იყო, მანანა მულაძე იყო ჭერამიდან (კახეთი), აქიდან იქ ჩავიდა ანდრია და მანანას შეეჯიბრა“-ო<sup>2</sup>. ფარახეთელი უფლისა ერაძის ვარიანტში მანანა შეცვლილია ანაბაჯით. ანდრია ნადირაშვილის ბიოგრაფიული ცნობების ჩაწერისას უფლისამ ჩაურთო: „ერთი ქალი ყოფილა კახეთში ანაბაჯი, ეჯიბრებოდა მეშტვირეებს, თვითონ ის ქალი შტვირზე არ უკრავდა, გამოთქმით ჯობნიდა მეშტვირეებს. თუ აჯობებდა, შტვირს დაატოვებინებდა, თუ არ აჯობებდა, თვითონ აჩუქებდა რამეს. ერთ დროს ბევრი შტვირები მოკრიფა, ვერ აჯობეს თურმე, მეშტვირეები შეეხვეწნენ ანდრიას: იქნება აჯობო და ის შტვირები დაგვიბრუნოვო. წავიდა ანდრია, მივიდა წყაროსთან, ის ქალი იქ დაუხვდა, ქალმა მოაძახა შორიდან:

მეშტვირე მოდის ეგერა, რა გამაჩნია რა მაქო,  
სამი წლის ნაქვრივალი ვარ ჩუბე მიწაზე დამაქო...

„ბოლოს, მთქმელის გადმოცემით, წავიდნენ სახლში და ილექსეს ბევრი. აჯობა ანდრია, დაიბრუნა შტვირები და მიუტანა მესტვირეებს“<sup>3</sup>.

მანანასა და მესტვირის შეჯიბრება ცნობილია ბაყლოვანში (პანკისის ხეობა) მცხოვრებ 60 წლის მიხეილ კრელას-ძე ციხელაშვილისათვისაც<sup>4</sup>, ასევე კახეთის სხვა კუთხე-

1 ფ. არქ. № 31776.

2 იქვე, № 31668.

3 ფ. არქ. № 31798.

4 იქვე. № 31481.

შიაც<sup>1</sup>. თავის „მოგონებაში“ სევასტი გაჩეჩილაძე წერს: „შა-  
ირით გაჯიბრება ხდებოდა თურმე წინ დროს საზანდარსა და  
მანანას შორის. მანანა ქალი ყოფილა და ერთობ დაუზოგავი  
სიტყვით მებრძოლი. საზანდარი ეტყოდა მანანას:

ბოსტანში გადავიხედე, ყაყაჩო გაფერტილაო,  
შენისთანა მოშაირე ტალახში გახეთქილაო.

მანანა მიუგებდა:

..მალა ისარი ავაგდე, წამოვიდა ლაპლაპითა,  
შენი მუცელი ავაესე გველითა და ბაყაყითა“.

ბრძოლა თანდათან მწვავედებოდა თურმე, ხალხი სიცილით  
იხოცებოდა. ეს დიდი გასართობი და ნამდვილი წარმოდგენა  
ყოფილა, ბოლოს მანანას უთქვამს... (სკაბრიოზული სტრიქო-  
ნები), ახლა კი გაქცეულა მანანა<sup>2</sup>. ჩანს, რომ მანანასა და მეს-  
ტვირის შეჯიბრს საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში იც-  
ნობდნენ. ამასთან ერთად ისიც ირკვევა, რომ მესტვირეთა რე-  
პერტურაში სკაბრიოზული შაირებიც შედიოდა. მანანასა და  
მესტვირის გაშაირების მზა ლექსები ხან ერთ ცნობილ მეს-  
ტვირეს მიეწერებოდა, ხან მეორეს (კოტაშვილი, კიჭიაშვილი,  
ნადირაშვილი), რაც იმას მოწმობს, რომ სწარმოებდა მესტვი-  
რული შაირების ციკლიზაცია მანანას გარშემო.

მესტვირეთა ურთიერთ შეჯიბრება უნდა გავიგოთ ფართო  
მნიშვნელობით. შეჯიბრება წარმოებდა აგრეთვე, თუ ვინ  
უფრო კარგად დაუკრავდა სტვირზე, ან ვინ უფრო კარგ  
ლექსს იტყოდა. მაგალითად, ფშაველი მესტვირე გიორგი ბუ-  
წაშვილი გადმოგვცემს: ერთხელ ალავერდობას ჩემმა ნათე-  
სავებმა სტვირი წამაღებინეს, ქეიფის დროს შეიძლება დაგვ-  
ჭირდესო. „იქ ვნახე ერთი რაჭველი მესტვირე, დათება ერ-

1 ფ. არქ. № 22382 და 30755.

2 ს. გაჩეჩილაძე, „მოგონებანი“, ფ. არქ. № 14198.

ქვა სახელად, მოვიდა ჩვენთან, დაუკრა სტვირი, ფული ვაჩუქეთ, მერე სტვირით გავეჯიბრეთ ერთმანეთს. იმან დაუკრა:

პატარძალო, პატარძალო, ქათმებს საკენკი დაუყარეო,  
დათვალე დათვალეო, ათილა არიო, მეთერთმეტე დაკარგულაო,  
უი, უო, ღმერთო, შენ კი მომამორე ჩემ დედამთილის წყევლასო...

მე დავუკარი და ვუთხარი:

დიდი ვარ ლაშარის ჯვარი, ცასა ვკიდივარ შიბითა,  
ხმელ გორზე მიდგა ალვის ხე, ასახდომი მაქ კიბითა,  
ბევრ-ბევრ მარგვალთ<sup>1</sup> მიარა, ვერვინ დამწონა შიშითა,  
სულძაღლმა ერისთვისშვილმა ამამიბრუნა ძირითა“, და სხვ.<sup>2</sup>

ამ ორ ლექსს ერთმანეთთან კავშირი არა აქვს. მაშასადამე, შეჯიბრება ხდებოდა თავიანთი ხელოვნების უკეთ გამოჩენის მიზნითაც და ამდენად გამორიცხული იყო შეჯიბრების კაფილური ფორმა.

ამგვარად, მესტვირეთა შეჯიბრება სხვადასხვა დღეობა-ღღესასწაულებში მესტვირული ტრადიციის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანია.

მესტვირეები ესწრობოდნენ შობის, აღდგომის, ახალწლის დღეობებს, ბაზრობებს, კიდაობას: ნახულობდნენ კალოზე პურის მღეწავებსა და ცხრა მთას იქით მყოფ მწყემსებს, მიდიოდნენ საკოლმეურნეო ფერმებში, ხანდიხან მოინახულებდნენ ქალაქის სამიკიტნოებს და ა. შ.

საბოლოოდ ჩვენ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ არ ჰქონია ქართველ ხალხს, ცოტად თუ ბევრად, ისეთი მნიშვნელოვანი სახალხო სანახაობანი და დღეობა-ღღესასწაულები, სადაც მესტვირე არ მონაწილეობდა და თავისებური სიახლე არ შექონდა მასში. ეროვნულ სახალხო სანახაობებსა და დღესასწაულებს ორგანიულად შეეთვისა და შეესისხლხორცა მესტვირული ტრადიცია; ეს ტრადიცია იმდენი ხნისაა, რამდენისაც ბერიკაობა, ყუენობა, ალავერდობა, სვეტიცხოველობა და ა. შ.

<sup>1</sup> ირგვლივ.

<sup>2</sup> უ. არქ. № 31402.

## თ ა ვ ი III

### მესტვირული პოეზიის თემატიკა

მესტვირული პოეზია ქართული ფოლკლორის მნიშვნელოვან უბანს მოიცავს. ამ პოეზიაში შემავალი ცალკეული ტექსტები მონოგრაფიულ კვლევასაც მოითხოვს, მაგალითად: „არსენას ლექსი“, „რძალდემთილიანი“, „აბრამიანი“ და სხვ.

ამჟამად ჩვენს მიზანს შეადგენს მესტვირეთა რეპერტუარის თემატიკური კლასიფიკაცია და ძირითად ხაზებში მისი განხილვა.

#### 1. საგვირო პატრიოტული თემატიკა

ამ ციკლის ლექსებსა და სიმღერებში მესტვირეები მოგვითხრობენ ცნობილ ისტორიულ პირთა შესახებ, უმღერიან ქარველი ხალხის თავდადებულ ბრძოლას მოძალადეებისა და დამპყრობთა წინააღმდეგ. აქებენ და აღიღებენ სოციალური ბოროტების წინააღმდეგ მებრძოლ სახალხო გმირებს.

მესტვირეთა რეპერტუარის უმეტეს ნაწილს შეადგენდა ისეთი ლექსები და სიმღერები, რომლებიც ცნობილი იყო როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში. ამას თვით მესტვირული პოეზიის სპეციფიკა მოითხოვდა. მესტვირეები მოხეტიალე ცხოვრებას ეწეოდნენ. მათ გუდასტვირზე უნდა დაემღერებინათ ისეთი ლექსები, რომლებიც საინტერესო იქნებოდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მცხოვრები მასებისათვის. ამასთან ერთად მესტვირეებს ხალ-

ხში გაქონდათ საკუთარი შემოქმედების ნიმუშებიც. მესტვირეთა წრეში შექმნილი ლექსებისა და სიმღერების გატანა ხალხში იმდენად ფართო მასშტაბის მოვლენა იყო, იმდენად ძლიერი და ხელშესახები, რომ მათ შეძლეს შეექმნათ საკუთარი პოეტური ფორმა, ზმა, რიტმი და კილო, რომელსაც დღეს მესტვირულს ვუწოდებთ.

მესტვირულ რეპერტუარში შემავალი ისტორიული ციკლის სიმღერებიდან აღსანიშნავია თამარ მეფისა და ერეკლე მეორის 'ცხოვრება-მოღვაწეობის ამსახველი ლექსები.

პროფესორი ალ. ხახანაშვილი არჩევს რა თქმულებებს თამარ მეფის შესახებ, წერს: „Отметим в полном виде одну песнь о Тамаре со слов местноре (певца)“<sup>1</sup> ქვემოთ გადმოცემულია ცნობილი ხალხური თქმულება თამარ მეფეზე:... მთელი ქვეყნის დიდებულები ეახლნენ თამარს და მორჩილება განუცხადეს. გათავხედებულმა მოძალადეებმა მის წინ მუხლი მოიყარეს.

ერთხელ, ნადირობის დროს, თამარის საყვარელი მიმინო ლიახვის მეორე მხარეზე გადაფრინდა, იგი უკან არ ბრუნდებოდა. დაღონდა თამარი. ერთი გულადი მოყმე გადაეშვა ადიდებული ლიახვის ტალღებში. ტალღებმა შთანთქქეს შეუპოვარი ჭაბუკი. თამარმა ბრძანა: იქ, სადაც გაქცეული მიმინო იჯდა, ააშენონ ციხე ლიახვში დაღუპული მოყმის სახელის უკვდავსაყოფად<sup>2</sup>.

მესტვირეები მღეროდნენ ცნობილ ხალხურ ლექსს თამარ მეფის შესახებ — „თამარ მეფე და ხონთქარი“<sup>3</sup>, მაგრამ უფრო მეტი რაოდენობით ერეკლე მეორეზე შექმნილმა მესტვირულმა ლექსებმა და სიმღერებმა მოაღწიეს ჩვენამდე.

<sup>1</sup> Х а х а ш и в. Очерки по истории Грузинской словесности. Выпуск первый, Москва. 1895, стр. 82.

<sup>2</sup> იქვე. გვ. 63.

<sup>3</sup> ფ. არქ. № 31402.

განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს „მესტვირული ლექსი თბილისის აღებაზედ“. ამ ვრცელი ლექსის ადრინდელი ჩანაწერი ლენინგრადის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში ინახება<sup>1</sup>. პირველად ეს ლექსი დ. ჩუბინაშვილმა გამოაქვეყნა<sup>2</sup>. ლენინგრადში დაცულ ხელნაწერსა და დ. ჩუბინაშვილის მიერ გამოაქვეყნებულ ტექსტში მითითებული არ არის ლექსის ჩამწერისა და მთქმელის ვინაობა. ეს ლექსი სხვა სათაურით („ხოჯახანი წამოვიდა“) ლ. ჩერქეზიშვილს კახეთში ჩაუწერია 1871 წელს<sup>3</sup>. ამ ლექსის ახალი ვარიანტი („საქართველოს გადაცემა რუსებზედ“) ჩაწერილია ქართლში 1872 წელს<sup>4</sup>. ამ ვარიანტს შემოუნახავს მთქმელის გვარი: „ქებაძე ამის მთქმელია, ახაროს ქვეყანაზედა ამ წიგნის წამკითხველია“. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ შემოადინიშნული ლექსის („მესტვირული ლექსი, თბილისის აღებაზედ“) მთქმელი ქართლში განთქმული მესტვირე გიორგი ქებაძე იყო.

„მესტვირული ლექსი თბილისის აღებაზედ“ ეხება 1795 წლის ტრაგიკულ ამბავს და რუსეთთან საქართველოს შეერთების ჰუმანიტარული საკითხს. ერეკლე II-მ მიერ მიღებული გადაწყვეტილება ხალხის ინტერესებიდან გამომდინარეობდა. საერთოდ, მესტვირულ პოეზიაში საქართველოს რუსეთთან შეერთება ყოველთვის დადებითად არის შეფასებული. აღნიშნულ ლექსში მთქმელი კონკრეტულად მიუთითებს საქართველოს დაუძღურების მიზეზებზე. 1795 წლის ტრაგედიის წინა დღეებში, წაყვლად მხარდაჭერისა და ხელის შეწყობისა, თავადები ძირს უთხრიდნენ მოხუცი მეფის გამარჯვების საქმეს.

<sup>1</sup> იხ. ИВАН, №, 156, გვ. 127. ამ ლექსის ფოტოპირი ჩამოიტანა პროფ. მ. ი. ხ. ჩიქოვანმა და გადასცა საქართველოს ლიტერატურული მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებას.

<sup>2</sup> დ. ჩუბინაშვილი. ქრესტომატია. 1863, გვ. 103—138.

<sup>3</sup> ჯ. უ. მ. ი. კ. ა. შ. ვ. ი. ლ. ი., ხალხური სიტყვიერება. თბილისი, 1937. გვ. 108.

<sup>4</sup> იქვე. გვ. 567.



„დეეროვნენ თავადები, ერთად გააბეს მხარია,  
ხუთ-ხუთ მანეთს ქრთამს იღებენ,—ლარ გამოდის ჯარია“

დაპარცხებულ მეფეს შვილიშვილი იოანე ასე მიმართავს:

„შენ. პაპაჩემო ერეკლე. ვერ მოვიფიქრეთ ძალა,  
არა გვეყავს თუში, ხევსური. არცა კახელი ჯარია...  
ჩვენი ქალაქის წახდენსა უსამართლობის ბრალია“.

მთქმელის გადმოცემით, გაიგო თუ არა რუსეთის მეფემ  
ერეკლეს დამპარცხება, სწრაფად მაშველი ჯარი გამოაგზავნა:

„დაფიქრდა რუსთა ხელმწიფე, მუსლზე დაიკრა ხელი,  
ვაიპე. თბილო ქალაქო, საქმე მოგსვლია ძნელია,  
ხაზინა ბევრი დაქვარგე და მანათებიც ქრელია,  
ლენერლები დამიძახეთ, ჯარი შექყარონ ბევრია...  
ძაშინ ერთბაშად რუსები ჩვენს მეფე ერეკლეს შველიან.  
დაიჭირონ ვოჯა ხანი, ძაღლივით მოსჭრან ყელია“.<sup>1</sup>

ალ. ხახანაშვილის სიტყვით „მრავალ გადმოცემათა შორის  
ერეკლე მეფის შესახებ დარჩენილია ლეგენდა, რომ მეფე და  
ყვინი ქიდაობაში“ ერთმანეთს შეეჯიბრნენ“. შეჯიბრებაში  
ერეკლემ გაიმარჯვა. ამ ამბავთან დაკავშირებით შექმნილ  
ლექსს მესტირეები მღეროდნენ და საქართველოს სხვადა-  
სხვა კუთხეში ავრცელებდნენ<sup>2</sup>.

ეს ლექსი ერეკლე მეფის ხოტბას წარმოადგენს. პატრი-  
ოტული გრძნობით აღტყინებული მთქმელი ამბობს:

„ერეკლემ დასცა ყენი. მეფეა ქართველისაო.  
პატარა კახი მუდამ ეამ გამძლები არის მტრისაო,  
საითაც მიდის და მოდის, ლურჯაზე კონტად ზისაო...  
ვით სპარსეთიდან დაიხსენ ტყვენი მრავალნი ხნისაო...“

<sup>1</sup> პ. უშიკაშვილი, ხალხ. სიტყვიერება, გვ. 567.

<sup>2</sup> ალ. ხახანაშვილი, ქართული სიტყვიერების ისტორია, გამოცემა  
მესამე, თბილისი, 1919 წ., გვ. 136.

<sup>3</sup> ს. ჯანაშიას სახ. სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფი-  
ლება. S-200.

ბატონი ჩენი ერეკლე დღეს არის გამარჯვებული.  
მთელი სპარსეთი შეიძრა, არიან შეძრწუნებელი,  
ყარსიდან დარუბანდამდინ მტერი ჰყავს დამონებელი,  
სხვა არა თქმულა მეფეი მისეზრივ თავდადებელი...  
უძლიერესი მეფეთა, შემკული ყოვლისფრითა...  
სადაც რომ მტერი აღუჩნდა, დაიმორჩილა თვითაო“<sup>1</sup>...

მესტირეთა რეპერტუარში შემავალი ლექსების უმრავ-  
ლესობა, რომლებშიც ლეკიანობის დროინდელ ტრაგიკულ  
ამბებს გადმოგვცემენ. უმთავრესად ისტორიულ პირებს ეხე-  
ბა და ერთეული სახალხო გმირების თავდადებული ბრძო-  
ლის ეპოპეაზე მოგვითხრობს, მათ შორის პატრიოტი ქალე-  
ბის შესახებაც.

გავრცელებული მესტირული ლექსია მკადისჯვრელი გმირი  
დედაბრის ქრისტინეს შესახებ. „ახალი ისტორიის“ ავტორი  
წერს: „ხოლო წელსა 1751, ქკს: უმა: მოვიდა ნურალ-იბეგ  
აყარელი (ესე იგი ბატონი მუცალი) ფრიადითა მხედრობითა  
და მოადგა მკადისჯვარს; გარნა ერთმან მოხუცმან დედათა-  
განმან დაუწვა მათ შვიდი საფარი მიტანილი ციხესა ზედა.  
სძლიეს მუნ მეფეთა მათ და მოსწყვიტეს ფრიადი ლეკნი,  
და სირცხვილეთუი უკან იქცა სახლადვე თვისა“<sup>2</sup>.

ბაგრატ ბატონიშვილი ამავე მოხუცის შესახებ წერს: „ოი  
საკვირველი! ერთმა მოხუცმა დედათაგანმა მკადისჯვრელმან  
იხმარა სული მამაცობისა, გამოვიდა ციხით, რამდენიმე ლეკი  
მოკლა თვისითა ხელითა და რამდენიმე დაუწვა საფარი ხისა  
ლეკთა. ხოლო უკანასკნელ მოკლეს იგიცა. რომელსაც დღეს  
ქებასა მიუთხრობენ შაირითა მესტირენი“<sup>3</sup>.

---

<sup>1</sup> ალ. ხახანაშვილი, ქართული სიტყვიერების ისტორია, გამოც.  
მე-3, თბილისი. 1919, გვ. 136—137.

<sup>2</sup> დ. ბატონიშვილი, ახალი ისტორია, თ. ლომოურის გამოცემა,  
1941, გვ. 6.

<sup>3</sup> ბ. ბატონიშვილი, ახალი ისტორია, თ. ლომოურის გამოცემა,  
1942, გვ. 50.

ეს მესტირული ლექსი განსაკუთრებული ყურადღების ღირსია<sup>1</sup>.

სახალხო გმირებზე. მატინეებს ძუნწი ცნობები შემოუნახავს, ხოლო, როგორც სამართლიანად ამბობდა ილია, ჩვენი ისტორია არ იყო მარტო მეფეებისა და ომების ისტორია.

დაჩაგრული სოციალური წრიდან გამოსული მესტირეები ეძებდნენ ისეთ შემთხვევას, როდესაც მათ 'სოცეტურ იმპროვიზაციას ფართო გასაქანი მიეცემოდა. სწორედ აღნიშნული კონკრეტული შემთხვევა სწრაფად იქნა იმპროვიზირებული და გავრცელებული.

მჭადისჭვრელი გმირი დედაბერი მაგალითის მაჩვენებელი გახდა ლექების წინააღმდეგ საუკუნეთა განმავლობაში მებრძოლი მშრომელი მასებისათვის. მგზნებარე პატრიოტული გრძნობით გამსჭვალული მესტირე მოგვითხრობს:

„ნიკომა სთქვა: სარდალი ვარ, თუ რომ ჩემი გაიგება,  
შვიდი დღე და შვიდი ღამე, დაჯდა წვერი შაილება,  
თუ გორის ციხე ავიღეთ, ქართლი ჩვენი შაიქნება.  
მჭადის ჯვარს რომ მივატანეთ, საქმე მაშინ გაჰირდება,  
იქ რომ ბებერმა საქმე ჰქნა, ის არ უქნია სხვასაო,  
ორი ბელადი მოგვიკლა მთელ შაყრილ დაღისტანსაო,  
მესამე რა გამოვიდა, დახე იმ კეჟა მღგარსაო  
ესროლა თავის მაენი, მოარტყა შუა ძვალსაო,  
იმისი ჰამა ქელები, მჭადის ჯვარს ეღო თავსაო,  
ღმერთო, აცხონე ბებერი, წაეიდა თავის გზასაო“<sup>2</sup>.

ლექებთან ბრძოლის უშუალო მონაწილე ქებაძის<sup>3</sup> შესახებ მატინეში ნათქვამია: „და იტყვიან სოფლის მომღერალნი, ჩვენი ქებაძეც აქ არის, ბიჭნო მამაცად იყავით“<sup>4</sup> ჩანს, რომ

<sup>1</sup> მჭადისჭვრელი დედაბრის გმირობას საინტერესო სტატია უძღვნა პოეტ-კადემიკოსმა გ. ლეონიძემ, იხ. გაზ. „კომუნისტი“, 1941, 30 დეკემბერი.

<sup>2</sup> ხალხური სიტყვიერება. ე. თაყაიშვილის რედაქტორობით, ნ. 1, გვ. 181—182.

<sup>3</sup> ქებაძეები განთქმულ მესტირეებად ითვლებოდნენ ქართლში.

<sup>4</sup> ი. გედევანიშვილი (გარდ. 1821.), მიმოსვლა, 1892 წ. გამოც. გვ. 164.

მომღერალი-მესტვი.ეები ლეკების წინააღმდეგ ბრძოლაში უშუალოდ მონაწილეობდნენ.

ლეკების წინააღმდეგ ბრძოლის ამსახველი ლექსები ქართლ-კახეთსა და მთიულთა შორის შეიქმნა, რადგან ლეკები უმთავრესად აღმოსავლეთ საქართველოს აოხრებდნენ, მაგრამ ამ თემაზე შექმნილი ლექსები მესტვირეებმა დასავლეთ საქართველოშიაც გაავრცელეს.

მრავალ ვარიანტად არის ცნობილი მწყემსებრს უფროსის გიორგის გმირობის შესახებ შექმნილი ლექსი. მესტვირე ბურღილაძის გადმოცემით გიორგიმ მრავალი მოძალადე გამოასალმა სიცოცხლეს:

გიორგის გამოღვიძა,  
ვა, შენს გიორგისაო,  
ხელში ამოყვა ხანჯალი,  
ტარი კამბეჩის რქისაო,  
ურჯულოს დასცა ხანჯალი  
შაშვივით ალებს პირსაო<sup>1</sup>.

აღრიხნდელ ვარიანტში პირდაპირ ნათქვამია.

ურჯულოს ხანჯარი ჩასცა. შაშვივით ალებს პირსაო...  
შიგ ბევრი ლეკი აწყვია. ნახოცი გიორგისაო<sup>2</sup>...

აღნიშნულ ვარიანტებს კავშირი აქვს „ნათელაშვილი გიორგის“ ლექსთან, რომლის აღრიხნდელი ჩანაწერებში ცნობილია საქართველოს სხვადასხვა კუთხეში: ხევი, კახეთი, კავკავი, ფშავე, ქართლი, მარაბდა და სხვა<sup>3</sup>. ჩაწერის მითითებით ამ ლექსს საზანდარი (მესტვირე) ამბობს<sup>4</sup>. ამ ლექსის მიხედვით გიორგის ლეკებთან შებრძოლება ტრაგიკულად მთავრდება. გიორგიმ ხის ტოტებივით აკაფა ლეკები („ისე აკაფა ლეკები,

1 ფ. არქ. № 31558.

2 ხალხური პოეზია. 1934 წ. ქუთაისი, გვ. 209—211.

3 პ. უ მ ი კ ა შ ვ ი ლ ი. ხალხური სიტყვიერება, გვ. 558.

4 იქვე.

როგორც ტოტები ხისაო“), მაგრამ უთანასწორო ბრძოლაში თვითონაც დაეცა. („გიორგი უკვე დამარხეს, ნათელი დაადგესაო“).

განსაკუთრებით საგულისხმოა მესტირეთა წრეში შექმნილი ლექსები სოლაღასა და სოლომონ ბუტულაშვილის გძირობის შესახებ.

„სოლაღას ლექსი“ მრავალ ვარიანტად არსებობს. ამ ლექსის ვარიანტები ჩაწერილია ხევში 1890 წ., აჭარაში 1859 წ., კახეთში 1874 წ., ქართლში 1869 წ., იმერეთში 1888 წ. და სხვაგან<sup>1</sup>. ლექსის გამომთქმელად დასახელებულია მესტირე ხორგაძე:

„ეს მე გამოეთქვი ხორგაძემ სტირისა და ქასმანჩაზეა,  
ორმოცი ყურუში მომცეს, დავხარჯე დანიშენაზეა;  
ერთი ქურქიც ხომ მიბოძეს, ექნამდინ მესხა ტანზეა“<sup>2</sup>.

„სოლაღას ლექსში“<sup>3</sup> უდიდესი ექსპრესიით არის გადმოცემული ორთა ბრძოლა ჭირითის ტყორცნაში. შვიდი დღე-ღამის სიარულის შემდეგ სოლაღა ხონთქარის კარს მიადგა. ვეზირი მას ამცნობს:

„ხონთქარს ერთი არაბი ჰყავს,  
განთქმული ჰინდისტანზედა,  
ვინც იმას ეჭირითება  
ჯილას დაადგამს თავზედა“.

ვეზირს სოლაღა მორიდებით მოახსენებს:

„მე ჭირითისა რა ვიცი,  
გავზრდილვარ გურჯისტანზედა,  
არც ამისათვის მოვსულვარ,  
საჩივარი მაქვს კარზედა“.

1 პ. უმიკაშვილი, ხალხური სიტყვიერება, გვ. 560.

2 იქვე, გვ. 560.

3 ხალხური პოეზია, 1934, გვ. 101.

არაბთან შებრძოლება გარღვეული შეიქნა. სოლალა ვეზირს აფრთხილებს:

„ცხენი მომგვარეთ ისეთი,  
შეიდი წლის ნაბამ ხამხედა,  
შეიდი მეჭინიბეს ეჭიროს,  
ვერ იზაუთებდეს კარხედა,  
შეიდი ისარი მიბოძეთ,  
წამწამს იღებდეს თმაზედა“.

სოლალას თხოვნა მყისვე შესრულდა: „ორშაბათ დილა გა-  
თენდა, გავიდნენ მოედანზედა“.

„მორბის, მოჭეხის არაბი,  
ვით შავარდენი ფრთაზედა,  
მოატრიალებს ჯირითსა,  
იმ გაშავებულ მკლავზედა“.

ჯირითი დაიწყო. ელვის სისწრაფით იცვლება სურათები. გაიქცა სოლალა. არაბის გასროლილი სამივე ჯირითი მიზანს აცდა. ჯერი სოლალაზე მიდგა.

„ეხლა გაიქცა არაბი,  
სოლალა მისდევს კვალზედა,  
ერთი ესროლა სოლალამ  
დაასვა ბეჭის ფრთაზედა,  
არაბი ძირს გაღმოვარდა,  
ცხენი გარბოდა წყალზედა,  
შემოეხეიენენ მოლები  
ყურანს აბერტყენ თავზედა“.

განგმირული ამაყი მოჯირითის გაცოცხლება ყურანს არ შე-  
ეძლო. მიფემ ქედი მოიხარა ამ უჩვეულო გმირობის წინაშე  
და გამარჯვებული სოლალა უხვად დაასაჩუქრა. აღფრთოვანე-  
ბული მთქმელი გვამცნობს:

„თემში განთქმული სოლოლა,  
ცხენზე ზის არაბისასა,  
სამკლავე ჩაქვი აცვია,  
ხმალს ხმარობს ფოლადისასა,  
ისეთი სამართალი აქვს,  
ბეწვს შუა კყოფდა თმისასა“.

ქართველი ხალხის ისტორიული მტრის თურქეთის სამეფო კარზე სოლომონ ასეთი ბრწყინვალე გამარჯვება საბაბი გახდა ენაწყლიანი მესტვირისათვის შეეთხზა ჰეროიკული ლექსი გამარჯვებულ მოჭირითეზე და გაეცრცელებინა მთელს საქართველოში.

მესტვირეთა რეპერტუარში უფრო მეტი პოპულარობით სარგებლობდა „სოლომონ ბუტულაშვილის ლექსი“.<sup>1</sup> ფარახეთელი მესტვირის ზაქარია ერადის გადმოცემით, ეს ლექსი პატარძელში უყვარდათ ძალიან, რადგან სოლომონი ამ სოფლიდან იყო. ქართული მესტვირეებიდან სტვირზე ამ ლექსს გრიგოლატაბახმელელი (ღვინიაშვილი) ამღერებდა. თვით ზაქარიას ეს ლექსი მამისაგან აქვს ნასწავლი<sup>2</sup>.

ზაქარიას ამ ცნობას მხარს უჭერს აღნიშნული ლექსის აღმოსავლური ვარიანტები. ერთ კახურ ვარიანტში სოლომონზე ნათქვამია:

„ვაიმე, ბიჭო სოლომონ,  
რა მარცხი მოგედო წელსა,  
საგარეჯოს თვალის ჩინო  
ვილა ჩამოვიღის ჩვენსა“<sup>3</sup>.

სოფ. პატარძელი საგარეჯოს რაიონში შედის. პ. უმიკაშვილისეულ ვარიანტში სოლომონის შესახებ პირდაპირ ნათქვამია: „პატარძელს გავიღესო“<sup>4</sup>. ამგვარად, სოლომონ ბუტულაშვილი სოფ. პატარძელის მკვიდრი იყო. მისი გმირობის

<sup>1</sup> ფ. გოგიაშვილის გადმოცემით ეს ლექსი რამდენიმე ადგილას არის ჩაწერილი: „კახეთში 1869—1870 წლებში; ჩაწერილია ხევში 1870-სა და 1871 წელს; თბილისში 1863 წ.; თბილისურ ვარიანტს აქვს მინაწერი „ეს უველგან იციან საქართველოში“. ჩაწერილია ქუთაისში, რაჭაში 1871 წ. იმერეთში და სხვაგან (პ. უმიკა, ხალხ. სიტყვიერება, გვ. 558—559).

<sup>2</sup> ფ. არქ. № 31684.

<sup>3</sup> ხალხური პოეზია, 1934, გვ. 105. შრდ. ხალხური სიტყვიერება, ე. თაყაიშვილის რედ., გვ. 192.

<sup>4</sup> პ. უმიკაშვილი. ხალხ. სიტყვიერება, გვ. 76.

შესახებ მესტვრეები უმეტესად სოლომონის მშობლიურ კუთხეში მღეროდნენ.

უდაოდ ეს ლექსი შექმნილია მესტვირეთა წრეში, ლექსი ბოლომდე ინარჩუნებს მესტვირულ ფორმას და თანაც „არსენას ლექსის“ უშუალო გავლენას განიცდის.

სოლომონის გმირობის ამბავი სწრაფად გავრცელდა:

„ფეხმარდი იყო სოლომონ,  
მაგრად ედგა ზარბაზნებსა,  
გაქცევაში ქორსა ჰგავდა,  
სიმარღეში შავარდენსა“.

სოლომონი ხან თათრებს<sup>1</sup> ებრძვის, ხან კი ლეკებს<sup>2</sup>. მისი გმირობის შესახებ მართებელსაც მოახსენეს (ზოგი ვარიანტით სუმბათოვს<sup>3</sup>):

„ასოცი მოჰკლა სოლომანმ, დასწერის და გაგზავნესა,  
ქალაქში გამოაცხადეს, მართებელს მოახსენესა“.

გამარჯვებული სოლომონი „მოაჭირითებდა ცხენს“, მაგრამ გზაში ჩასათრებული მტრები სასიკვდილოდ დასჭრიან მას:

„მარმარაშვილი ლაზარე<sup>4</sup>  
ცხენს სიდავეს დაუქერსა,  
— ნუ გეშინია სოლომონ  
კიდევ ნახავ მამაშენსა.“

— მე მამაჩემს როგორ ვნახავ  
კრელად ვხედავ მაღლა მზესა,  
ბეჭებში თოფი მომარტყეს  
პირში კომლი გავარდესა“.

<sup>1</sup> ფ. არქ. № 31684.

<sup>2</sup> ხალხური პოეზია, 1934, გვ. 104.

<sup>3</sup> ხალხური სიტყვიერება, ე. თაყაიშვილის რედ., გვ. 191.

<sup>4</sup> ზოგი ვარიანტის მიხედვით „ბიძა ცაცოვა“ (პ. უმიკ. გვ. 77), „სოსია ცხვარიაშვილი“ (ფ. არქ. № 31684).



„საგარეჯოს თვალისჩინი“ მშობლიურ კუთხეში ჩამოასვენეს. მთქმელი მაღალი პოეტური სიძლიერითა და უშუალოდით აღწერს ამ სცენას:

„რა სოფელშიაც შევიდნენ, ის სოფელი დაბნელდესა,  
ქალაქში რომ შემოვიდნენ, სულ ღუქნები დაკეტესა,  
ტოლი და ტოლი ბიჭები აქეთ-იქით დაუდგესა,  
ვაიმე, ბიჭო სოლომონ, რა შარცხი მოგედო წელსა,  
საგარეჯოს თვალის ჩინო, ვილა ჩამოივლის ჩვენსა“.

მოყვანილი სტრიქონები შექმნილია დატყვევებული 'არსენას ქალაქში ჩამოტარების ცნობილი ეპიზოდის უშუალო გავლენით.

ულარიბესი სოციალური წრიდან გამოსული სახალხო მომღერლები პატრიოტიზმის მაღალ გრძნობას ნერგავდნენ მშრომელთა ფართო მასებში. პოეტურ ფრთებს ასხამდნენ სოციალური ბოროტების წინააღმდეგ მებრძოლ სახალხო გამირებს. მესტვირეების პატრიოტული კრედო გადმოცემულია სტრიქონებში:

„ერთ სიტყვას ისეთს გასწავლი,  
დასამარხავად კმარიყოს:  
არ მოეხმარო ქვეყნის მტერს  
თუ სადმე წყალმა წაილოს,  
ვინ იცის, ბედი გარისხდეს,  
ნაპირში სადმე გარიყოს,  
ღმერთს არ შესცოდო, არ იხსნა,  
ხელი ჰკარ მანვე წაილოს“.<sup>1</sup>

## 2. კლასთა ბრძოლის ასახვა

მესტვირეები დაჩაგრული სოციალური წრის წარმომადგენლები იყვნენ. ამიტომ სრულიად ბუნებრივად გაისმა მათ პოეზიაში მკვეთრი პროტესტი სოციალური ბოროტებისა და

<sup>1</sup> „მესტვირული საჯიბრო“, „კრებული“, 1897 წ. № 4, განყოფილება მესამე, გვ. 38—48.

კლასობრივი უთანასწორობის წინააღმდეგ. მაგრამ ყველა მესტვირე როდი იყო მაღალი კლასობრივი შეგნების მქონე. მესტვირეთა ერთი ნაწილი ნაკლებ ყურადღებას აქცევდა სოციალურ და კლასობრივ საკითხებს. სამაგიეროდ მოწინავე, მაღალი შეგნებისა და კლასობრივი თვალსაზრისის მატარებელი მესტვირეთა უმრავლესობა ' შესანიშნავად ახერხებდა მებრძოლი განწყობილებების შეტანას არა მარტო თავის ძირითად რეპერტუარში, არამედ სასულიერო ლექსებშიაც კი.

მესტვირეებმა თავიანთი კლასობრივი თვალსაზრისი მთელი სიმკვეთრით გადაშალეს „არსენას ლექსში“. ეს ლექსი შეიქმნა მესტვირეთა წრეში XIX საუკუნის 40—50-იან წლებში. მაგრამ არა იმ სახით, როგორითაც ჩვენ დღეს მას ვიცნობთ. ჩვენთვის 'ცნობილი „არსენას ლექსი“ შედგენილია მესტვირული და სახალხო ლექსებისაგან. იგი შეადგინა პ. უმიკაშვილმა და 'ცალკე წიგნად გამოსცა 1872 წელს. ამ გამოცემაში შემდეგში „კანონიკური“ სახე მიიღო, გავრცელდა ხალხში და გაბატონებული მდგომარეობა მოიპოვა. მან ერთგვარად დაჩრდილა ადრინდელი ვარიანტები.

ისტორიულ წყაროებში არსენას შესახებ ძუნწი ცნობებია დაცული. ამ წყაროების მიხედვით ძნელია ვიმსჯელოთ არსენას პიროვნების შესახებ. სამაგიეროდ მესტვირეებმა სამარადეოდ უკვდავყვეს მისი სახელი. ბატონ-ყმობის წინააღმდეგ მებრძოლ გმირს ისეთი სიძლიერით უმღერეს, რომ ათეული წლების განმავლობაში საქართველოს ყველა კუთხეში არსენობას ნატრობდნენ. ამ ლექსის მებრძოლი იდეა ალაფროთოვანებდა 'ორმაგი ჩაგვრის უღელ ქვეშ მგმინავ 'მშრომელ მასებს. XIX საუკუნის 60-იანი წლების საქართველოს ეროვნულ-რევოლუციური მოძრაობის უპოპულარეს მოღვაწეთათვის მესტვირეების მიერ გამოკვეთილი არსენას გმირული სახე გახდა მისაბაძი და შთამაგონებელი წყარო.

მესტვირული „არსენას ლექსის“ უდიდესი მნიშვნელობა ფართოდ არის ცნობილი მკითხველი საზოგადოებრიობისათვის.

მაგრამ მესტიურებმა შექმნეს სხვა ლექსებიც, სადაც ბატონ-ყმური ურთიერთობის საკითხი უფრო მკვეთრი კლასობრივი თვალსაზრისით არის გაშუქებული. ამ მხრივ საყურადღებოა 1872 წელს დ. მამაცაშვილის მიერ ქართლში ჩაწერილი სპხელგანთქმული მესტიურის გიორგი ქებაძის ლექსი<sup>1</sup>, რომელიც ეხება 1864 წლის ისტორიულ ამბავს — ბატონყმობის გაუქმებას საქართველოში. ქებაძის ამ ლექსს გამოჩენია ბიზმადელები იმერეთში, გურიაში, კახეთში და სხვაგან<sup>2</sup>. ქებაძის ლექსის მიხედვით ჩვენ შეგვიძლია ვიმსჯელოთ, თუ როგორ აისახა გლეხთა ცნობიერებაში 1864 წლის ისტორიული ამბავი.

ქებაძე მოგვითხრობს, რომ 1864 წელს ხელმწიფის ბრძანებით საქართველოში ბატონ-ყმობა გაუქმდა, მაგრამ ამ ბრძანებას თავადები არ ასრულებენ. მეფემ „დაბეჭდილი წიგნები“ გამოგზავნა საქართველოში. მთქმელის გადმოცემით ამ წიგნში ნათქვამი იყო:

„თავადებო, რას ჩადიხართ, ნეყურება მანდღვანა,  
ბევრსა ქერივსა და ობოლსა სევდით გულს შემოეყარა,  
სიობლე არ ეყოფოდათ, რომ სახლში არ წაგეყვანათ?“<sup>3</sup>

მეფის ბრძანება ძალაში შედის. განხორციელდა რეფორმა, მაგრამ რეფორმის შემდეგ გლეხები უარეს მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. „მემამულეებმა გაძარცვეს გლეხები“, გლეხებისათვის რჩებოდა იგივე მდგომარეობა, „რაც ბატონ-ყმობის დროს იყო, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ახლა გლეხი პირადად თავისუფალი იყო, აღარ შეიძლებოდა იგი გაეყიდათ ან ეყიდათ, როგორც ნივთი“<sup>4</sup>.

ბატონ-ყმობის გაუქმებით გამოწვეულ წუთიერ სიხარულს მალე ფრთები შეეკვიცა.

1 პ. უ მ ი კ ა შ ვ ი ლ ი, ხალხური სიტყვიერება, გვ. 576, № 329.

2 იქვე, გვ. 192, 194, 197...

3 იქვე. 193.

4 სკაევშირო კ. პ. (ბ) ისტორია, მოკლე კურსი, გვ. 5.

„ალარც ღმერთმა გაგვიკითხა, ხელმწიფეც ჩვენ აგვემტერა,  
თავადებმა სამსახური ახლა უფრო გააძნელა,“  
მეოთხედი სარჩო გვთხოვეს და მინდორში საბალახე,  
ტყეში სულ აღარ შეგვიშვეს, ასე მოხდა ჩვენი საქმე“<sup>1</sup>.

გურულ ვარიანტში მკვეთრად არის ნაჩვენები ის უფსკრუ-  
ლი, რომელიც ბატონსა და ყმას შორის არსებობდა და რო-  
მელიც რეფორმის შემდეგ უფრო გაღრმავდა.

„ფული არა გვაქვს თავი დაიხსნათ,  
ვერც შევძლებთ სხვაგან ვალებას,  
რა უნდა იყოს ჩვენი ცხოვრება,  
უფრო ვინატრებთ გარდაცვალებას.  
თუ მოვიშორებთ უწყალო ბატონს,  
მაშინ მოვრჩებით ამდენ წვალებას“<sup>2</sup>.

უწყალო ბატონების მოსპობასა და დასამარებას ემსახუ-  
რებოდა ქართველი ხალხის თავდადებული ბრძოლა სოცია-  
ლური უსამართლობის წინააღმდეგ. ხალხთა ეს ოცნება რეა-  
ლურ სინამდვილედ დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა  
რევოლუციამ აქცია.

ცნობილია, რომ ხალხურ შემოქმედებაში დაუნდობლად  
და მკაცრად არის გაკიცხული სასულიერო წოდება. ხალხურ  
შემოქმედებას სამღვდლო პირის არცერთი დადებითი სახე  
არ შეუქმნია. ასეა ეს მესტვირულ პოეზიაშიც. მესტვირეები  
თავისებური ჰუმორით ამათრახებენ სასულიერო პირებს,  
განსაკუთრებით სამღვდლოებას, რომელიც „მ კ ვ დ ა რ ს  
ა ფ ა ს ე ბ ს დ ა ც ო ც ხ ა ლ ს ყ ი დ ი ზ“<sup>3</sup>.

მთელ საქართველოში ცნობილია მესტვირეების მიერ შე-  
ქმნილი ჰუმორული ლექსი სამღვდლოების წინააღმდეგ:

„მე რომ ღმერთმა გამაჩინა, ასო-ტანი დამატანა,  
წამიყვანა მამაჩემმა, მღვდელს დიაკვნად მიმაბარა,

<sup>1</sup> პ. უ მ ი კ ა შ ვ ი ლ ი, ხალხური სიტყვიერება, გვ. 197.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 197.

<sup>3</sup> ფ. არქ. № 31555.

ვიყავ სამი წელიწადი, ვერ მასწავლა ანა-ბანა,  
იქიდან გამომიყვანა, მესაზნაღრეს მიმაბარა.  
ოხერი ციებ-ცხელება მკათათვეში შემეყარა,  
ისეთნაირად გამხალა, კილამ მღვდელი გაახარა,  
ის ჩვენი პეტრე ხუცესი გამორბოდა ჩქარა-ჩქარა,  
დღეაღმის ეკითხებოდა, მეშტვირე ხომ არ მომკვდარა?  
მე ხომ ღმერთმა მომარჩინა, ის თვითონ გარდაიცვალა,  
სუ ყველა შხამად წაარგო, რაც რომ ტაბლები დაჰამა“.<sup>1</sup>

ამ ლექსის ერთ ვარიანტს ჩამწერის მითითება ახლავს:  
„მესტვირე ამბობსო“<sup>2</sup> და შემდეგ დასაწყისი სტროფი  
ცალკეა გამოყოფილი. ამ სტროფში მხილებულია ხუცის  
გაუმადლობა.

„ხუცესმა უთხრა ხუცესსა, ალაპი არის უცხერსა.  
— მე წასვლა არ მეზარება თუ გამიძლებენ მუცელსა“.

ამას მოსდევს ზემომოყვანილი სტრიქონები „მღვდელს დი-  
აკვნად მიივებარე...“, გამოტოვებულია ზაქარიასეული „მე რომ  
ღმერთმა გამაჩინა ასო-ტანი დამატანა“. ზაქარია ერაძეს ეს  
ლექსი ქართლში გაუგონია. მართლაც, ჯერ კიდევ ადრე,  
თ. რაზიკაშვილს ჩაწერილი აქვს ამ ლექსის ქართლური ვა-  
რიანტი.<sup>3</sup> ახალი ვარიანტი ამ ლექსისა ჩვენ ჩავიწერეთ  
1948 წელს სიღნაღში მესტვირე ი. ბურდილაძისაგან<sup>4</sup>. რო-  
გორც ჩანს, მესტვირეებს საქართველოს ყველა კუთხეში გა-  
შუვრცელებიან ეს პატარა, მაგრამ მკვეთრი სატირული ხასია-  
თის ლექსი. ფარახეთელი მესტვირე ზაქარია ერაძე თავისი  
ვრცელი სასულიერო რეპერტუარის თხრობისას, როგორც გა-  
ქვევებულ ფორმას, ხშირად იმეორებდა ასეთს სტრიქონებს:

„მღვდელი უარესი იყო, ქრთამებს არ ზოგავს სხვისასა,  
ტაბლებით გასუქებული, სათბილოს ჰამდა ცხერისასა“.<sup>5</sup>

<sup>1</sup> ფ. არქ. № 31751. ფარახეთელი მესტვირის ზაქარია ერაძის რეპერტუ-  
არიდან.

<sup>2</sup> ფ. არქ. 10798.

<sup>3</sup> ძველი საქართველო, ტ. 111, განყ. მე-2, გვ. 81.

<sup>4</sup> ფ. არქ. № 31561.

<sup>5</sup> ფ. არქ. № 31664.

მესტირეები ზოგჯერ იყენებდნენ ისეთ ლექსებსაც, რომელთა შექმნაში მათ მონაწილეობა არ მიუღიათ. არამესტირული წარმოშობის ლექსების მესტირეთა რეპერტუარში გადმოტანა ხშირ მოვლენად უნდა მივიჩნიოთ. ამ მხრივ საყურადღებოა „მიხას ლექსი“, რომელიც შეიქმნა მესტირეების მონაწილეობის გარეშე, მაგრამ „არსენას ლექსის“ მძლავრი გავლენით. ეს ლექსი მესტირე ი. ბურდილაძემ სტირზე ააწყო, მაგრამ ფართო გავრცელება ვერ პოვა, რადგან „მიხას ლექსი“ დაახლოებით 1910 წლისათვის შეიქმნა, როდესაც მესტირული პოეზიის ტრადიცია შესუსტებული იყო საქართველოში. ამიტომ ეს ლექსი დასავლეთ საქართველოში უფრო გვიან გავრცელდა. სიღნაღში მცხოვრებ მესტირე ივ. ბურდილაძის გადმოცემით მას „მიხას ლექსი“ 20 წლის წინათ უსწავლია სიღნაღელი მეჩონგურეებისაგან. ვინაიდან სტირზე ძალიან უხდებოდა ამ ლექსის დამღერება, — გადმოგვცემს ბურდილაძე, — მალე შეუწყვე და მერე ვამღერებდი ბოდბისხევში, წნორში, ანაგაში და სხვაგანო...<sup>1</sup>

ქიზიყის პოეტურ ფოლკლორში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს სოციალური უსამართლობის წინააღმდეგ მებრძოლ მიხა ჭუჭულაშვილის სახეს. მიხა და მისი ამხანაგები (ლადო, პაგია) დაიღუპნენ 1905 წლის რევოლუციის შემდეგ. გამეფებული რეაქციის წყვილიაღში. როგორც არსენა, მიხაც „მდიდარს ართმევდა, ღარიბს აძლევდა“, მაგრამ იგი არ მიყვებოდა ბრძოლის უსისხლო გზას. მიხას ლოზუნგი იყო სისხლის სისხლითვე განბანვა. მოლაღატემ გასცა მიხას რაზმი, რომელსაც ას ორმოცი დრაგუნი დაესხა თავს. მიხას ამხანაგები დაუხოცეს. თვითონ მოახტა ცხენს და ალაზნისაკენ გაიკაფა გზა.

„ალაზნში რომ შევიდა, ცხენი პირქვე წაიქცესა,  
მამინა თქვა მიხამა: ვაი, დედი ჩემი ღმერთსა...“

<sup>1</sup> ფ. არქ. № 31562.

ამოიღო მაუზერი თავის გულში დაიცვამს,  
იქიდან წამოიღეს, :თუქურმიშას<sup>1</sup> წაიღესა.  
აქაც კარგი კაცი იყო, იქ ნათელი დაადგესა“.<sup>2</sup>

რეაქციის შავბნელმა ძალებმა განიზრახეს მიხას ხელში ჩაგდება, მაგრამ ხალხის საყვარელმა გმირმა მათ ხელში ჩაეარდნას თვითმკვლელობა ამჯობინა. ასე სწირავდნენ თავს ხალხის რჩეული შვილები უსამართლობის. წინააღმდეგ ბრძოლას.

### 3. საყოფაცხოვრებო ლექსები

მესტვირეთა რეპერტუარი მდიდარია საყოფაცხოვრებო თემატიკით. რა არ უნახავს მოხეტიალე მესტვირის გამჭირახ თვალს, რას არ მისწვდენია მისი მახვილი გონება. საქართველოში იშვიათად იქნება ისეთი ოჯახი, სადაც მესტვირე არ მისულიყოს და არ დაელოცოს ბედნიერი ნეფე, ახალშეძენილი პატარძალი, ცოლმოსაყვანი ქაბუკი, გასათხოვარი ასული, ოჯახის უფროსი, გლეხის ბარაქა.

„ნეფეო შენსა გვირგვინსა ოთხკუთხე ვჯარი სწერია.,  
წინ-წინ შენ მოგაკვლევინოს შენზედ მოსული მტერია“.

უმღეროდა მესტვირე ვაჟკაც ნეფეს.

რომელი ასული დაიშურებდა მესტვირისათვის საჩუქარს, როდესაც ის ასეთ უსაზღვრო ქებას მოისმენდა მისგან:

„გასათხოვარი ქალი ხარ, ზედ გდევს ანგელოზის ფერი,  
მკლავები ვარდის შტოს გიგავს, გაშლილი ხარ ვარდის ფერი,  
გამჩნემა ისიც ვიცოცხლოს, ვისაც გადახეიო ხელი,  
პირველ ვაჟიშვილი მოგცეს, ოქროს სკამზე დასაჯენი...  
აქ მოსულმა საზანდარმა ღიღინით ვიცი ბანიო,  
იმდენს დავლოცავ თამარსა, მალე ეშოვნოს ქმარიო,  
ოქროს სასახლე დეედგას, ალმასის დერეფანიო,  
გამართოს ბალი და ბაღა, ვენახი — დიდი ზვარიო“<sup>3</sup>.

<sup>1</sup> ახლანდელი წითელწყარო.

<sup>2</sup> ფ. არქ. № 31562.

<sup>3</sup> ფ. არქ. № 31654.

გამზადებულ ფორმაში მესტვირე ხშირად ცვლიდა ასულის სახელს და ამგვარად მას მზად ჰქონდა „უცოლოს შექება“:

„აქ მოსულმა საზანდარმა ღიღინით ვიცი ბანია,  
იმდენს დავლოცაე ვახტანგსა მალე ეშოვნოს ქალია...  
თუ ჩემი ნატერა ავიხდა ქორწილზე დამიბარია,  
ქალაქს ღუქნები გქონოდეს, ერევანს მთა და ბარია,  
ყველა შენ შემოგნატროდეს, კონტა მოსახლე არია“.

ყველაზე საუკეთესო სურვილები მოხეტიალე მუსიკოსს-გლეხის ოჯახში შეჰქონდა:

„ააშენოს ეს ოჯახი, ამ ოჯახში მბრძანებელი,  
ღოვლათი მოგცეთ გამჩენმა, სარჩო გქონდეთ ძველისძველი,  
საქონელი გაგიმრავლოს, ის ძროხა და ცხვარი ბევრი,  
განჯასა და ერევნისკენ ხელთ გეჭიროს მთა და ველი,  
მადლისგან საესე გამყოფოს და ცოდვისგან ცარიელი“<sup>2</sup>.

თანდათანობით, შეძენილი გამოცდილების შედეგად მესტვირეებმა ისეთი სრულყოფილი სახე მისცეს თავიანთ რეპერტუარს, რომ ნამდვილი მომღერალი გარანტირებული იყო ყოველგვარი მოულოდნელობისაგან. ამ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, უდიდეს როლს მზა ფორმებთან დაკავშირებული იმპროვიზაცია ასრულებდა.

საყოფაცხოვრებო თემატიკა უმთავრესად ასახავს ცალკე პიროვნების განცდებსა და მისწრაფებებს, მაგრამ ეს განცდები და მისწრაფებანი საზოგადოებრივი ურთიერთობის შედეგად არის წარმოშობილი.

მესტვირულ რეპერტუარში, საყოფაცხოვრებო თემატიკიდან კლასიკური გამოხატულება რძალ-დედამთილის მოტივმა პოვა. ამ თემაზე ხალისით უმუშავნიათ ჩვენს სახელოვან პოეტებს (მაგ. ბესიკი, „რძალ-დედამთილიანი“)<sup>3</sup>.

1 ფ. არქ. № 31658.

2 იქვე, № 31686.

3 იხ. ბესიკი, 1931 წ. თბილისი, გვ. 48.



მესტიური „პატარძლოს“ ადრინდელი ვარიანტი სევასტი გაჩეჩილაძეს მიერ იქნა ჩაწერილი სოფ. წევაში და დაიბეჭდა „ძველი საქართველოს“ I ტომში<sup>1</sup>. ეს ვარიანტი მოკლეა:

— პატარძლო! პატარძლო! — რაო, ბატონო? რაო, ბატონო?  
— დოუძახე! დოუძახე<sup>2</sup> — ჯუ, ჯუ, ჯუ, ჯუ, ჯუ, ჯუ, ჯუ, ჯუ:  
ერთი, ორი, სამი, ოთხი, ხუთი, ექვსი, შვიდი, რვა;..  
მეთერთმეტე დაკარგულა, თავქოჩორა ნაცარაო!  
— მოგიყენე წიწილებსა, გაატანე მელასაო?!  
— ღმერთო მალე მომაშორე დედამთილის მზერასაო“.

ეს მოკლე ვარიანტი იმდენად პოპულარული გამხდარა, რომ მას თანდათან მიმატებია სხვა, ცალკე არსებული რძალ-დედამთილის ურთიერთობის ამსახველი ლექსები. მაგალითად. ცალკე არსებობდა და ამჟამადც არსებობს ასეთი მესტიური სტრიქონები:

..ზემო სოფლიდან მოვდივარ, მოვეყე კარიკარ მღერასა,  
მრავალჯერ შემოვსწრებივარ რძალ-დედამთილის ძგერასა,  
რძალმა აჯობა დედამთილს, თავი უხალა კერასა,  
მამამთილი ღვას და ტირის, იწყევლის ბედისწერასა“<sup>3</sup>.

ბურდილაძისეულ ვარიანტში რძალ-დედამთილის ზემოაღნიშნული დიალოგის გაფართოებასთან ერთად, ეს ცალკე არსებული სტროფიც შესულა. ზაქარია ერაძისეულ ვარიანტში კი ეს ცალკე არსებული სტროფი თავისებურად არის გაშლილი, დამატებულია მაზლისა და რძლის დიალოგი:

„ქალაქიდან წამოვედი ამოვეყე ქარის ქროლასა,  
სხვაგან ბევრგან დავესწარი რძალ-დედამთილის  
ბრძოლასა,  
რძალმა აჯობა დედამთილს, თავი უხეთქა კერასა.

<sup>1</sup> ძველი საქართველო, ტ. 1, გვ. 75.

<sup>2</sup> ე. ი. წიწილებს (ჩაშწერის შენიშვნა).

<sup>3</sup> იხ. „საუნჯე“, ტ. 1, გვ. 215.

მობრძანდა უფროსი შვილი, — რძალო რა სტკივა  
 დედასა,  
 — არაფერი არა სტკივა, ხმელი პური არა ჰამა,  
 მე სად უშოვი წველასა?  
 იმისმა გაჩავერებულმა შემოვავლიქე კერასა,  
 „ავი პატარძლის ყოლასა სახადი სჯობს სახლშიო,  
 ჯამ-ჭურჭელი უტიროდა, წუნწუნხსა და ლაფშიაო,  
 იმისთანა პატარძალსა გაადგებენ კარშიაო“.<sup>1</sup>

უკანასკნელის, დედამთილის სიტყვების სხვაგვარი ვარიანტიც ყოფილა:

— ავი პატარძლის ყოლასა სახადი სჯობს სახლშიაო,  
 ჭოთანი წამოქცეულა, ციცხვი იცემს თავშიაო,  
 ჯამებს ფერხული დაუბამთ, გარეთ დერეფანშიაო,  
 ამისთანა პატარძალსა დიდი კეტი თავშიაო“.<sup>2</sup>

ყველა ამ ცალკეულ მოტივს თავი მოუყრია ერთი სათაურის ქვეშ და მიუღია დასრულებული სახე. ასეთი სრული სახით ჩვენ ის ჩავიწერეთ სიღნაღში მცხოვრები მესტვირჯი ეანო ბურდილაძისაგან. ეს ვარიანტი აქვე მოგვყავს მთლიანად:

„პატარძალო, პატარძალო. პატარძალო!  
 — ბატონო, ბატონო, ბატონო!  
 — ქათმებს დაუძახე. ქათმებს დაუძახე!  
 ჭუგი, ჭუგი დაუძახე, ჭუგი-ჭუგი დაუძახე.  
 — ჭუგი, ჭუგი, ჭუგი, ჭუგი.  
 — დათვალე, დათვალე, დათვალე!  
 — ერთი, ორი, სამი, ოთხი, ხუთი,  
 ექვსი, შვიდი, რვა, ცხრა, ათი,  
 მეთერთმეტე დაკარგულა წაუღია ნაცარაო,  
 გოგი დედამთილი მყავს ღმერთმა არ დააცალო.  
 — პატარძალო. პატარძალო, პატარძალო!  
 ქათმებს დაუძახე, ქათმებს დაუძახე, კარგა დაუძახე.  
 — ჭუგი, ჭუგი, ჭუგი, ჭუგი!  
 — დათვალე, დათვალე.

1 ფ. არქ. № 31704.

2 მ ი ხ. ჩ ი ქ ო ვ ა ნ ი, ქართული ფოლკლორი, გვ. 360.

— ერთი, ორი, სამი, ოთხი, ხუთი,  
 ექვსი, შვიდი, რვა, ცხრა, და ათი.  
 მეთერთმეტე დაკარგულა, წაუღია ძერასაო,  
 ღმერთო მალე მომავორე დედამთილის ცქერასაო.  
 — პატარძალო, პატარძალო, პატარძალო!  
 კარგა დაუძახე, კარგა დაუძახე, დათვალე, დათვალე.  
 — ერთი, ორი, სამი, ოთხი, ხუთი, ექვსი, შვიდი, რვა, ცხრა და ათი,  
 მეთერთმეტე დაკარგულა აღარ არის პეტერაო,  
 ჩემ დედამთილს მოეხვია ერთი მღვდელი ტერტერაო.  
 — პატარძალო, პატარძალო, პატარძალო!  
 — ბატონო, ბატონო, ბატონო!  
 — დაუძახე, დაუძახე, კარგა დაუძახე!  
 — ჭუგი, ჭუგი, ჭუგი, ჭუგი, ჭუგი!  
 — დათვალე, დათვალე დათვალე.  
 — ერთი, ორი, სამი, ოთხი, ხუთი, ექვსი, შვიდი, რვა, ცხრა, ათი,  
 მეთერთმეტე დაკარგულა, გადამხდარა ხნულშიაო,  
 შაო ძაღლო შენ მიაკედი ფინთ დედამთილს სულშიაო.  
 ეხლა იქიდან გამოველ გამოვეყვე ქარის ქროლასა,  
 კიდევ უარესს მოვესწარ რძალ-დედამთილის ბრძოლასა,  
 რძალმა აჯობა დედამთილს, თავი უხალა კერასა,  
 უფროსი მანლი კითხავდა რძალო რა სტიკვა დედასა?  
 — არაფერია ყმაწვილო, თავი დაუწყებს ძვერასა,  
 ის ხომ შრალად პურს არა ჭამს, მე სად ვიშოვნი წველასა.  
 მაშინა თქვა დედამთილმა:  
 — ავი პატარძლის ყოლასა სახადი სჯობს სახლშიაო,  
 იმისთანა პატარძალსა გააგდებენ კარშიაო“.<sup>1</sup>

ეს ლექსი საუკეთესო ნიმუშია იმისა, თუ როგორ ხდებოდა  
 ვარკვეულ თემატიკაზე შექმნილი სხვადასხვა მოტივების ცი-  
 კლიზაცია. ამ ლექსის ცალკეული ვარიანტები რომ არ გვქონ-  
 დეს ჩაწერილი, ძნელი დასაშლელი იქნებოდა მესტვირე ბურ-  
 დილაძის მიერ ციკლიზებული ლექსი. ზაქარია ერაძის ცნო-  
 ბით „პატარძალოს“ ავტორ-მთქმელი მესტვირე ვრიგოლა ტა-  
 ბახმელელია (ღვინიაშვილი). ფარახეთელებს მისგან შეუესწავ-  
 ლიათ ეს ლექსი.<sup>2</sup> „პატარძალო“ იმდენად პოპულარული ყო-

1 ფ. არქ. № № 31570.

2 ფ. არქ. № 31704.

ფილა, რომ იგი მესტვირეობის სინონიმიც კი გამხდარა: „პატარადალო, პატარადალოს რომ მღეროდნენ, ის ხალხი გაინტერესებდნენ?“ — რამდენჯერ უკითხავთ ჩემთვის საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. ამ ლექსს იცნობენ იმერეთში, ქართლ-კახეთში, ფშავეში<sup>1</sup>, ბოლბეში<sup>2</sup>, მეჯვრისხევეში<sup>3</sup> და სხვ.

კლასობრივი ჩაგვრა, ეკონომიური სივიწროვე, ჩამორჩენილობა — იყო უმთავრესი მიზეზი რძალ-დედამხილის კონფლიქტისა. ეს სოციალური მომენტები აღნიშნულ ლექსებში მკვეთრად არ არის ხაზგასმული. მესტვირეების მიერ წინ წამოწეულია უშუალო შედეგები — ტრაგიკომიკური ეპიზოდები.

პოპულარული ყოფილა მესტვირეთა რეპერტუარში აგრეთვე ლექსი „ჩვენ ვითხოვეთ ერთი რძალი“, სადაც მკაცრადაა დაგმობილი „გაუზრდელი“ პატარძლის ბრიყველი საქმიანობა:

„ჩვენ ვითხოვეთ ერთი რძალი ბრიყვი და გაუზრდელი,  
მოსაყვანათ რო წავედით ცხენს მოგიწყვიტა წელია,  
ხუთი — ცხრა პური შექამა, ერთი არ გადარჩენია.  
როცა სახლში მოვიყვანეთ, თურმე შაქარს მიაგებებს  
ბებერი დედაჩემია,  
დედაჩემს ხელზე უკბინა, ვით ნაქერვალი ცხენია,  
პუტპუტებდა დედაჩემი, გოუქრა გამომცემია,  
იმისთანა პატარძალი თქვენს მტერს არ გამოელია“.<sup>4</sup>

საყოფაცხოვრებო თემატიკიდან ყურადღებას იპყრობს დედისა და შვილის ურთიერთობა. შვილისადმი დედის სიყვარული უსაზღვროა. ზაქარია ერადის თქმით:

„შვილი დედამის ამჟგსა, ვერასდროს ვერ მოუტრჩება,  
ცხრა თვე სტონაქით ატარებს, მეთათ თვეს თუ აღგება,  
სამ წლამდის ძუძუს აწოვებს, კალთაზე არ მოშორდება,  
ამდენი ამაგის მკმნელსა, დედ-მამას რა ეკადრება“.<sup>5</sup>

<sup>1</sup> ფ. არქ. № 31402.

<sup>2</sup> იქვე, № 31500.

<sup>3</sup> იქვე, № 32052.

<sup>4</sup> იქვე, № 31704.

<sup>5</sup> იქვე, № 31675.

ამით მესტვირე ხაზს უსვამდა და მოაგონებდა ზოგიერთ შვილს თავის მოვალეობას მშობელი დედის მიმართ. მოვალეობის დავიწყება შვილს განუწყვეტლივ სატანჯველში აგდებდა. სწორედ ამას გულისხმობს სახალხო მთქმელი, როდესაც ამბობს:

„დედას ვუყვარვართ შვილები, დედა არ გვახსოვს  
შვილებსა,

იმითა გეტანჯავს გამჩენი სულ მუდამ გვაყოფილებსა“<sup>1</sup>.

განსაკუთრებული ძალით აისახა მესტვირულ პოეზიაში ცოლ-ქმრული ურთიერთობა. ჯანსაღ ოჯახს ზოგჯერ არღვევდა ხალხში განმტკიცებული ცრუ და მავნე ტრადიცია, რომელსაც დაუპირისპირდა მესტვირული პოეზიის შესანიშნავი ნიმუში „ცოლი გამიხდა ავადა“, სადაც მკვეთრი პოეტური საღებავებით არის გადმოცემული, თუ როგორ შეიძლება ცრურწმენის შედეგად გლეხის ბედნიერი კერა სწრაფად დაინგრეს:

„ცოლი გამიხდა ავადა, ცოლი მზე ამომავალი,<sup>2</sup>  
ღაფქეჲ და ბევრი ვიტირე, თავში ვიცემე მრავალი.  
ცოლი ქმარ-შვილის მალამო, სახლის იაზმა, გულისა,  
დამტირალ-შემბრალებელი, ობლისა, დაჩაგრულისა“<sup>3</sup> —

მოსთქვამს მესტვირე. მკითხავის რჩევით, „მკითხავმა მითხრა: წამლები არ გარგებს მოგიკვდებო... გავაზის წმინდა გიორგი, ალოცე, — მოგიჩაბებო“... გლეხი ურმით მიემგზავრება სალოცავად: „ჩემი ქალ-ვაჟიც შიგ ჩავსხი — მამის თვალი და ჩინია“, მაგრამ სანამ სალოცავს მიაღწევდნენ, ალაზანმა გლეხის იმედებს ცივი ტალღები შეაგება:

„ფონს დავციდი, მორევს ჩავევარდი, არსაით იყო შევლანი,  
ცოლ-შვილი, წაბლა ღვინია წყალმა დამიხრჩო ყველანი“.

<sup>1</sup> ხალხური პოეზია. 1934 წ. გვ. 3.

<sup>2</sup> ტექსტშია „ცოლი მზის ამომავალი“, ჩანს დამახინჯებული უნდა იყოს. „მზის ამომავალი“ უაზრობაა.

<sup>3</sup> ია კარგარეთელი, მოკლე პოპულარული სამუსიკო ენციკლოპედია. გვ. 33.

გლები გადაწყვეტს თითონაც თავი დაიხრჩოს, მაგრამ მენა-  
ვემ გადაარჩინა და ფილოსოფიური საუბარი გააბა მასთან:  
„აბა რასა შერები, რა საქნელია, — ეუბნება მენავე, — ჯერ  
შენ ყმაწვილი ხარ, ბევრსა ნახავ, კიდევ ბევრი რამ გადაგხდე-  
ბა, სიმღადრესაც შეიძენ, ცოლ-შვილსაც მოეწევიო, მხოლოდ  
თავი რომ დაიხრჩო, მაგითი წამხდარ საქმეს ველარ უშველი  
და დაკარგულს ველარას იპოვი, დაუხმე გულს, გენანებოდეს  
თავი, თორემაო:...

სიცოცხლეს ვერსად იშოვი, ცამდს რომ აპყო ხელია,  
ბელიც და უბედურებაც. გულია ფიცარზე სწერია“.

ასე მოსთქვამდა მესტვირე და სიცოცხლეს აყვარებდა  
ხალხს, უნერგავდა მომავლის რწმენას, გმობდა ცრუ და  
მავნე ჩვევებს, რომლებსაც უბედურების მეტი არაფერი მო-  
ქონდა გლებისათვის, ქება-დიდებას უძღვნიდა ქმარ-შვილის  
მალამოს, ოჯახის დედას.

მესტვირულ დალოცვებში მკვეთრად არის ხაზგასმული დე-  
დის საპატიო მოღვაწეობაზე, თანაც მოხდენილად არის ჩარ-  
თული ჯანსალი ჰუმორიც:

„ღმერთო. დალოცე თამარა. ყოველ ზაფხულ და ზამთარა,  
გიცოცხლოს ქმარი და შვილი, უმცროსები და პატარა.  
ნახო ვაჟების ქორწილი გოგოებით გაგახარა,  
დაბერდი მეუღლესთანა, როგორც აბრამი და სარა,  
გააკეთო ექვსი ვაჟი, მთლად ორი ბარიშნა კმარა.  
თუ არ მზითვი დაგიქდება. გაგიხდება ხათაბალა“<sup>1</sup>.

ზაქარია გადმოგვცემს: „მე და ლუკა ვიყავით ხანდოს ქა-  
ლაში<sup>2</sup> მეცხვარეებთან, ერთ მეცხვარეს სიმონა ერქვა სახე-  
ლად... დაგვაპტიყა სახლში და კაი პატივი გვცა. დაგვალოცვი-  
ნა ცოლ-შვილი და ცხვარი“<sup>3</sup>. სიმონას ცოლი ასე შეუქჩიათ:

1 ფ. არქ. № 31673.

2 მთიულეთშია.

3 ფ. არქ. № 31655.

„მასწავლე მისი სახელი, ნათულაზე ვერ დავესწარი,...  
კლავები ვარდის შტოს უგავს, გაშლილია ვარდის ფერა,  
მაგისტანა კობტა ქმარსა საიდან სად მოაგენი...  
იმ შენს ნამზითვსა ფულბსა, ცოტა რამე მოაკელი“<sup>1</sup>.

მესტვირეები განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდნენ სტუმარ-მასპინძლობას. აქებდნენ და აღილებდნენ გულუხვ წასპინძელს, კიცხავდნენ ძუნწებს. მესტვირეთა კრედო გადმოცემულია პეტრია საზანდარის სიტყვებით:

პეტრია საზანდარი ვარ, ლექსების გამომჩარხავი,  
აზნაურებში მავალი. ბეგრი თავადის მნახავი,  
პურად იაფის მაქები და პურად — ძვირის მძრახავი,  
თქვენი მტერი და ორგული სულ პირქვე დასამარხავი“<sup>2</sup>.

ერთი ქიზიყელი ბებრის სიძუნწე მესტვირეებს ასე გაულექსიათ:

„ქიზიყში ერთმა ბებერმა კარები დაგვიკეტაო,  
მაგრად დაკეტა კარები, ხელი მააღო ზედაო,  
შიგნიდან იგრე ამბობდა; თვალი კი დაგიდგებო,  
ქაფქირით გამოგვიტანა ქათმისა საკენკელია,  
დაკვარ ხელი, დაუბნიე. დღესაც იქავე ფენია“<sup>3</sup>.

„მესტვირის დარღში“ გაკიცხულია ძუნწი პატარძალი:

„...აქ რო პატარძალი ვნახე, წაუწყდა მამის ყელია!  
კალოზე გადავლისათვის ჯოხს წამამივლო ხელია,  
ჯერ ამხანაგსა მიცემო, მერე მე მომყო ხელია,  
თურმე იმასა რა ექნა, — ცეცხლში ჩაეკრა კვერია,  
მე იმას არ ვეცილები, ცეცხლი ჰამოს და გენია“<sup>4</sup>.

მთელს საქართველოში ცნობილია შესანიშნავი ლექსი „ქვე-ქვაქემ დამპატიეა“, სადაც მძაფრი ჰუმორით არის გადმომწილილი მესტვირის თავგადასავალი:

„ქვექვაქემ დამპატიე, ღვინო მასვა ტკბილიო,  
იქიღამა წამოვედი, მემერივა ძილიო,

1 იქვე. № 31655.

2 ძვ. საქართველო. ტ. 111, გვ. 150.

3 პ. უმიკაშვილი, ხალხური სიტყვიერება, გვ. 268.

4 ძვ. საქართველო, ტ. 111, გვ. 217.

ერთი ბარდი შემეწონა, იქ წაყვავი ცხვირიო,  
ერთ მელორეს ჩანეველო, მეეპარა შტვირიო,  
ჩემი შტვირის მომპარავსა დოუსივდეს ცხვირიო...  
იმის ცოლი დემენახოს დღეის წორზე ქვრივიო,  
ჩემი ძმისთვის შემეყვანოს, გემეწივოს ლხინიო,  
მზითევშიაც მოპყოლოდეს ჩემი ქრელი შტვირიო<sup>1</sup>.

უმრავლეს მესტვირეთა რეპერტუარში შედიოდა „მდიდრის ლექსი“. მასში დაგმობილია გამდიდრების მანიით შეპყრობილი ადამიანი, რომელიც ლოცვაზედაც კი არ დადის! „მე რალა ლოცვისა მცხელა, ათას-ორასი მუშა მყავს, იმას ვადგივარ თავზედა, დღეში ორ გროშს გლახას ვაძლევ, ქირით ვგზავნი ლოცვაზედა“<sup>2</sup>. კადნიერი მდიდარი მოაშთო უფალმა. ზაქარია ილიმეშა 'და განაგრძობს:

„მდიდარს ჭაქვი ჩააბეს. გადმოკიდეს ციხეზედა,  
მეტი ცოდვით ჭაქვი გაწყდა. დაკარდა შარა-გზაზედა“.

უწმინდურის გვამთან „არც ყვავი და არც ყორანი, არც კაჭკაჭი მივა ზედა“, ბოლოს სამი წლის კოკლი ლაზარე პატრიარქს მძადგება: „მდიდარს ვალირსოთ საფლავი, ნუ გდია შარა-გზაზედა“, მაგრამ დედამიწამ ცოდვილი აღარ მიიღო: „ცხრა-გან უქრიდენ საფლავსა, წერაქვი ტყდება ქვაზედა“. ბურღი-ლაძისეულ ვარიანტს ასეთი დასასრული აქვს:

„მდიდარს სული ამოხდა კვირა საღამოს ძალზედა,  
თრევი-თრევეთ წამოიღეს, ისე მიქონდათ გზაზედა,  
ჩააგდეს შავსა მიწაში, არავინ სწიროდა თავზედა“<sup>3</sup>.

უმიკაშვილისეულ ვარიანტში მდიდარი მიწამ არ მიიბარა, ზეზეურად დარჩენილი „აყროლდა ხორცი მდებარე, შედიოდა მატლი ზედა“<sup>4</sup>. თედო რაზიკაშვილის მიერ ქართლში ჩაწერილი

<sup>1</sup> იქვე, გვ. 217.

<sup>2</sup> ფ. არქ. № 31683.

<sup>3</sup> ფ. № 31554.

<sup>4</sup> ვ. უმიკაშვილი, ხალხური სიტყვიერება, გვ. 160.



ვარიანტის მიხედვით შარაგზაზე დაგდებულ მდიდართან „არც ყვავი მოვა ყიქალა, არც ყორანი მოვა ზედა“<sup>1</sup>.

ეს ლექსი არ გამოხატავს მესტირეთა მაღალ კლასობრივ თვალსაზრისს, თუმცა ბოროტება მკაცრად არის მხილებული და დაგმობილი. ამ შემთხვევაში დამნაშავეს ღმერთი სჯის. მესტირეთა კლასობრივი თვალსაზრისის ჩამოყალიბება ხდებოდა თანდათანობით, საზოგადოებრივი ურთიერთობის განვითარების შესაბამისად.

მესტირეთა რეპერტუარში შედიოდა ვრცელი ლექსი „ხორველა“. პ. უმიკაშვილის „ხალხურ სიტყვიერებაში“ დაბეჭდილი „ხორველას ლექსი“ 164 თექვსმეტმარცვლიან სტრიქონს შეიცავს<sup>2</sup>, ფარახეთელი მესტირე ზაქარია ერაძისეული ვარიანტი 62 რვა მარცვლიან სტრიქონს<sup>3</sup>, სიღნაღელი მესტირე ვანო ბურდილაძის ვარიანტი 34 რვა მარცვლიან სტრიქონს<sup>4</sup>, ხოლო სევასტი გაჩეჩილაძის მიერ წვევაში (ზემო იმერეთი) ჩაწერილი „ხორველას ლექსი“ კი 88 რვა მარცვლიან სტრიქონს<sup>5</sup>. აქედან ჩანს თუ როგორი მეტ-ნაკლები მოცულობით ყოფილა გავრცელებული ეს ლექსი. მისი გავრცელების არე ფართოა. უმიკაშვილის არქივში<sup>6</sup> ამ ლექსის რვა ვარიანტია დაცული, ზოგი რაქაში, ზოგი ქართლში, ზოგი თბილისში და ზოგი კახეთში ჩაწერილი<sup>7</sup>. ზაქარია ერაძე ასეთ კომენტარს უკეთებს „ხორველას ლექსს“: „ეს ლექსი მამაჩემისაგან მაქვს ნასწავლი, საქართველოშია მოგონილი. დიდი ხორველობა რო ყოფილიყო, მაშინ გამოეთქვათ“<sup>7</sup>.

<sup>1</sup> ძვ. საქართველო, ტ. 111, გვ. 35.

<sup>2</sup> პ. უმიკაშვილი, გვ. 219, 223.

<sup>3</sup> ფ. არქ. № 31685.

<sup>4</sup> იქვე, № 31559.

<sup>5</sup> იხ. „ხალხური სიტყვიერება“, ე. თაყაიშვილის რედ. გვ. 10, 12.

<sup>6</sup> პ. უმიკაშვილი, ხალხური სიტყვიერება, გვ. 578, 579 № 414.

<sup>7</sup> ფ. არქ. № 31685. ეს ლექსი მე-19 საუკ. 50-იან წლებში შექმნილა. ევლახოვი წერს: „თანამედროვე ამბებიდან მღერიან (მესტირეები—ა. ც) ხოლერის გამოჩენის შესახებო“ (იხ. „Книжки“, 1850 წ. № 65).

ზაქარია ერაძისეული ვარიანტის მიხედვით: „სამი ძმა იყო ხორველა“, მათ ანგელოზის თანდასწრებით დაადგინეს, რომ გაეჩინათ „შიშის ქარი“, რომელიც ადამიანს სწრაფად ამოხდიდა სულს. ამ გადაწყვეტილებით გაუდგნენ გზას. პირველად მოსრეს ჩეჩნები და თათრები, მერე ქისტები, შემდეგ „წიგნები სწერეს“ და თბილისში გამოაგზავნეს „ორ-სამ დღეში მანდ მოვლიან ვაი ხალხის განსაცდელსაო“. ერთი ორთაქალიდან მოვიდა, მეორე ავლაბრიდან, „საწყალი მებაღეები შიგ ქონებში გამოკვლესა“, ამოჭრეს დიდი ორმო და მკვდრები შიგ ჩაყარეს. გაკადნიერებული გეურქ-ალა ქვედა სართულში ჩაიკეტება, მაგრამ, სიტყვის თქმაც არ დასცალდა, ხორველამ სული გააფრთხობინა. ვ. ბურდილაძის ვარიანტის მიხედვით გეურქ-ალა:

„თრევით-თრევით წამოიღეს, ავლაბრის ხიდზე დადესო.  
მუშებმა წიხლითა სცემეს, ამდენი ცხოვრების პატრონი  
კიდევ პურსა ქამდა ხმელსო“.

საინტერესოა, რომ ქართული მესტვირეები მკაცრად ეპყრობიან ბურჯუაზიის წარმომადგენელთ. ბურდილაძეს ეს ლექსი შესწავლილი აქვს თბილისში. ამ გარემოებას თავის კვალი დაუმჩნევია მთქმელზე: „ავლაბრის ხიდზე დადეს, მუშებმა წიხლით ცემესო“, ეს სიახლე მთქმელის კუთვნილებათ. ზემო იმერული ვარიანტით ხორველა იმიტომ გაჩნდა, რომ

„ხალხი მთლად გაურჯულდა, ბარემ ყველა გაათორდესა.  
ნათლიობა აღარ არი, ვილა იტყვის მეზობელსა?!“

ამ ვარიანტის მიხედვით ორი წილი ქვეყნისა ქრისტემ დედა მარიამს აპატია, დანარჩენს მოუვლინა ხორველა, რომელმაც პირველად ჯარის „ასი როტა“ გაწყვიტა, შემდეგ თბილისში ცხრა ათასი სული ერთ დღეს დახოცა, გეურქ-ალა მეცხრე სარდაფში დაიმალა. მაგრამ ხორველამ იქაც მიუსწრო და მოკლა.

პ. უმიკაშვილისეული ვრცელი ვარიანტის შესავალი მისდევს ზემო იმერულს: ქრისტემ დედას ქვეყნის ორი წილი დაუთმო, მესამედის ამოსაწყვეტად დედა-შვილმა აგნელოზები გა-

მოგზავნეს. ეს ამბავი ნიკოლოზ ხემწიფეს აცნობეს, მაგრამ ვერაფერი გააწყო. თბილისს რომ მიუახლოვდნენ, წილი ყარეს, ერთს ქაშუეთი ერგო; მეორეს — ავლაბარი, მესამეს განჯისკარი, „გარშემოფარგლეს ქალაქი, კაცი აღარ გაუშვესა“.

ზემოაღნიშნულიდან ცხადი ხდება, რომ „ხორველას ლექსზე“ დიდხანს უმუშავნიათ ზევოლუციამდელ მესტვირეებსა და სახალხო მთქმელებს. მათ ამ ლექსის მრავალი ვარიანტი შეუქმნიათ, ზოგი ვრცელი და ზოგი მოკლე. „ხორველას“ ყველაზე მოკლე ვარიანტი ასეთია:

„ხორველამ სთქვა, ცასა წაველ, მსხალი მოვკამე მალათში,  
ახლა იქილამ გიახელ, ჩამოველ თბილის ქალაქში.  
შავხედუ გეურქ აღასა, მალლა ბძანდება ჩარდახში,  
ცეცხლივით შემოურბინე, შიგ ჩამოვაგდე სარდაფში,  
სუდარა ველარ მოსწრეს, შიგ შაახიეს ფარდაგში“.<sup>1</sup>

ამის მაგალითზე შეიძლება წარმოდგენა ვიქონიოთ, თუ როგორ ხდებოდა ეპიკური ლექსების შეკუმშვა.

საყოფაცხოვრებო თემატიკიდან ცალკე უნდა გამოიყოს სიკვდილ-სიცოცხლის, სულისა და ხორცის, ცისა და მიწის გაბაასება, სადაც მესტვირეების ერთგვარი ფილოსოფიური კრედოა გადმოცემული. ქართულ ლიტერატურაში გაბაასების ენარი ფოლკლორიდან მომდინარეობს<sup>2</sup>. ამდენად ფოლკლორის ყოველ ახალ მონაპოვარს ამ მიმართულებით მეტად საპატოო ადგილი უნდა დაეთმოს.

1873 წლის „კრებულში“ გამოქვეყნდა რაფიელ ერისთავის მიერ შეკრებილი „ძველებური მესტვირული ლექსები და მდაბიური ანდაზები“<sup>3</sup>. სადაც სხვა მესტვირულ ლექსთა შორის, სიკვდილ-სიცოცხლის გაბაასებას სათანადო ადგილი უჭირავს. გაბაასებას წინ უძღვის დიდაქტიური ხასიათის სტრიქონები; სადაც სიკვდილის გარდუვალობით შთაგონებუ-

1 ვ. უმიკაშვილი, ხალხური სიტყვიერება, გვ. 224.

2 მ. ჩიქოვანი, ქართული ხალხური სიტყვიერების ისტორია, გვ. 383.

3 „კრებული“, 1873 წ. № 7. გვ. 1—20.

ლი მთქმელი მსმენელს აფრთხილებს, რომ ადამიანი სიცოცხლეში სიკეთეს უნდა ემსახურებოდეს, რადგან სამარეში მხოლოდ კეთილი საქმე ჩაჰყვება:

„კაცი მანამ ცოცხალია, ნაშუს მისდიოს მუდამა, მოკვდების თანა ჩაჰყვების ხუთიოდ აღლი-სუდარა, იმასაც უკან მოჰხევენ, მეტი არ გაჰყვეს მუნდამა“.

ხალხმა დაუნდობელი ბრძოლა გამოუცხადა სიკვდილს. ეს ორთა ბრძოლა ადამიანის გაჩენის დღიდან დაიწყო და გრძელდება დღესაც. ყველაფერი ცვალებადია, უცვლელი მხოლოდ სიკვდილ-სიცოცხლის არსებობაა.

„სიკვდილმა უთხრა სიცოცხლეს: „შენ სიცოცხლე, ჩემო ყმაო, როცა მნებავს, ჩემი არის, შენი თავი ხელთა მყაო, არც ხელმწიფე გამაჩნია, არც ბატონი, არცა ყმაო!“...

ასე ამაყად მიმართავს სიკვდილი ყველაფრის შემქმნელსა და შემოქმედს სიცოცხლეს, მაგრამ ეს ცოტაა; სიკვდილი ემუქრება სიცოცხლეს, რომ ჯერ სიცხეს მოგცემ, ფერს შეგიცვლი, ჩამოგახმობ და ამით „ზეზეურათ დაგტანჯამო“, დაგაბრძავებ, დაგამუნჯებ, შენს ნათესავებსა და მეზობლებს შეეყრი, რათა შენი ტანჯვით თავზარი დავსცე, გაგაკვიროვო და შევაწუხო, ბოლოს კი „შენსას დაგმართამო“,

„შე გაჯობე სიცოცხლეო, ჰირიც ჰომავათა მყავო. წუთისოფელს მოგაშორებ, შავ მიწაში დაგმარხაო“.

სიკვდილი თითქოს ზეიმობს თავის გამარჯვებას, მაგრამ

„სიცოცხლემ უთხრა სიკვდილსა: — ნეტა სიკვდილო ვინ ხარო? იესოს პირით შეგრიხხამ, სახლში არ შეგიხიზნამო... შე ღვთის პირისგან წყეულო, ნეტა რას ამტეხიხარო“.

შენიშნავს თუ არა მოწინაამღდეგის სისუსტეს, სიკვდილი ნიშნის მოგებით მიმართავს:

„ამ ჩემ ბრძოლას ის გერჩიენა. თავდაბლობა მოგეთხოვნა, შენთვინ რაში გამოდგება. შენ. სიცოცხლე: ჩემთან ბრძოლა...“

1 ტექსტშია „ჩემი“.

თვის ტომიდან გამოგარჩევ, აღარა თქონ შენი ყოლა,  
გაგყრი ასეთს საყვარელსა, ვით შეკრული ვარდის კონა,  
სული ზეცას გავისტუმრე, ლეში მიწამ დაამპორა...  
სიცოცხლევ, სიკვდილს შამები, რატომ ხარ ქვეა თხელა?"

სიცოცხლე კვლავ ერთი ნაბიჯით იხევს უკან და უფალს იშვევს დასახმარებლად.

— „უღოთ ბევრს მოჰკლავ, სიკვდილო, თუ უფალ თავი განება,  
რომელიც კეთილ სულია, ის უფალს შეებრალება,  
ყოველი ქრისტიანობა, ლეთის ლოცვას დაეჩქარება“.

მაგრამ ლოცვა სიკვდილის გარდუვალობას არ ხსნის. შეუპოვარი სიკვდილი თავის პასუხში დასცინის სიცოცხლის უკანასკნელ სიტყვებს: „ბევრ ხატი დაიარე, სიკვდილისაგან არ გეფონა“.

ამ ვარიანტის მიხედვით სიკვდილი იმარჯვებს სიცოცხლეზე. სიკვდილი გარდუვალაია, სააქაოს რჩება სხეული („ლეში“), სული კი „ზეცას“ მიდის, სადაც ის მარადიულ სიცოცხლეს განაგრძობს. ქრისტიანული წარმოდგენა სხეულისა და სულის ურთიერთობის შესახებ ქართველი მესტვირეების მიერ არაერთხელ არის მნატვრულად დამუშავებული.

სიკვდილ-სიცოცხლის გაბაასების უმიკაშვილისეული ვარიანტი ძირითადად შინდევს რ. ერისთავის მიერ ჩაწერილ ვარიანტს, მაგრამ ზოგჯერ მისგან განსხვავდება. მაგალითად, როდესაც სიცოცხლე ცდილობს სიკვდილს დამარცხებას („თუ ღმერთსაც არ სწადიან, გაცრუებული წახვალო“)<sup>1</sup>, სიკვდილი ურყევი არგუმენტით უპასუხებს: „რამ შაქმნა ცა და ქვეყანა, სიკვდილიც იმან ინება“<sup>2</sup>. ამით სიცოცხლის ერთ-ერთი დასაყრდენი არგუმენტი მოხსნა სიკვდილმა, მაგრამ სიკვდილი ვერ სპობს საერთოდ სიცოცხლეს, რადგან ერთი თუ კვდება, მეორე იბადება, სიცოცხლე ცვალებადია, იგი მუ-

1 პ. უმიკაშვილი, ხალხური სიტყვიერება, გვ. 228.

2 იქვე, გვ. 229.

დამ მოქმედებაში მყოფია, სიკვდილი კი უცვლელი და მარადიულია.

ფარახეთელი მესტვირის ზაქარია ერაძის ნათქვამი სიკვდილ-სიცოცხლის გაბაასების მოკლე, დახვეწილი ვარიანტი ასეთი სახისაა:

„სიკვდილმა შემოგიფარა, სიცოცხლე ჩემო ყმაო.  
როცა ჩემი ნება არი, ყველას თავი ხელთა მყო,  
არ გაშაჩნია ბატონი, არც ნაცნობი არცა ყმაო.  
სიცოცხლემ უთხრა სიკვდილსა: — ვაი სიკვდილო რა ხარო.  
ამ ქვეყნიერად მოსულო, იმ ქვეყნიერის ლახვარო,  
არ გინდა დაპატიებება, სახლში ქურდულად შეხვალო,  
ჯეელებს ამოგეიხოცავ, დროულს კი შავგინახავო,  
ნუ დადიხარ უსამართლოდ. ეგრე ყრუ და ბრმა ხარო,  
თუ რომ ხვთის ნება არ არია გატრუებელი წახვალო.  
სიკვდილმა უთხრა სიცოცხლეს: სიცოცხლე რამ დგალონა,  
ათასი ბევრი ეცადო, ვერ გამოხვალ ჩემი წონა...  
ვაი რა ძნელი ყოფილა სიკვდილ-სიცოცხლის შებრძოლა“.<sup>2</sup>

ცნობილია, რომ ქრისტიანული სარწმუნოების თანახმად ადამიანი შედგება ორი ნაწილისაგან — სულისა და ხორცისაგან; გარდაცვალების შემდეგ, სული ტოვებს სხეულს და მიდის ზეცაში, სადაც განაგრძობს არსებობას. მაგრამ იქ ყველა სული როდი ცხოვრობს ერთნაირად; არის სული კეთილი და სული ცოდვილი. უკანასკნელს მარადიული სატანჯველი ელის. ამიტომ ადამიანი უნდა ცდილობდეს, სანამ ის ამ ქვეყნად ცოცხლობს, არა ავნოს სულს და სხვ. სული და ხორცი დაპირისპირებული ერთიანობაა. ერთ-ერთი უნდა დაიტანჯოს, რათა მეორემ ნეტარება იგრძნოს. ამდენად, მათი

---

<sup>1</sup> ქართლში, თედო რაზიკაშვილის მიერ ჩაწერილ მოკლე ქართულ ვარიანტში „სიკვდილ-სიცოცხლეზე“, ვკითხულობთ:

„სიკვდილსა ქრთამი ვაძლიე,

გორი, ატენი, წედისი,

არ დაიშალა მე მამკლა

გვერდ-უქცევარი წვერისი“ (ძვ. საქ. ტ. 111. გვ. 40)

<sup>2</sup> ფ. არქ. № 31666.

გაბაასება, ურთიერთ ყვედრება და პაექრობა ჩვეულებრივი ბოვლენა ტრადიციულ ქართულ ფოლკლორში. ფარახეთელ მესტიერე ზაქარია ერადეს ახსოვს სულისა და ხორცის გაბაასების მოკლე ვარიანტი:

„სული რო ხორცს გეცლება, ხორცი ეუბნება სულსა:  
— სულო ტკბილო, საყვარელო, მოდი კიდე ჩამობრუნდი!  
— მანდ მაინც არ ჩამოვალ, ფეხში შემიყარო ხენდი,  
ზევას მივალ, უნდა ვნახო, აქ სამყოფად აღარ უნდი“.

ამას მოსდევს მეტად ცნობილი, ღრმა შინაარსის შემცველი აფორიზმი:

„რა გააძლებს კაცის თვალსა, ზღვა ასვა და ქანოს ქვიშა,  
მაშინ გაძლა კაცის თვალი, მიწით ოუშეებენ პირსა“.<sup>1</sup>

ეს ორი სტრიქონი ფილოსოფიურად ხსნის ზემოაღნიშნული გაბაასების მთავარ აზრს იმის შესახებ, რომ ადამიანი ცდილობს გაიხანგრძლივოს სიცოცხლე, წუთით მაინც შეაჩეროს სულთან საბოლოოდ განშორება, მაგრამ ეს განშორება წლობითაც რომ გაგრძელდეს, ადამიანი მაინც უკმაყოფილო იქნება თავის საბოლოო ხედრის — სიკვდილისა.

აღნიშნული გაბაასების უფრო ვრცელი ვარიანტი ჩაწერილია ქართლში თედო რაზიკაშვილის მიერ შემდეგი სათაურით: „სულისა და ხორცის ბაასი“.<sup>2</sup> აქ ხაზგასმულია, რომ სული სიხარულით სტოვებს „მყრალ“ სხეულს, „რაც შენ სიმყრალეს მოვშორდი, პატარა მოვისვენეო“. ხორციც აღიარებს თავის „დანაშაულს“,

„მეც ბევრი ავი გიყავი, შენსა მტრობაში ვლამე,  
სანამ ცოცხალი ვიყავი, ყელამდე ცოდვით ავაშე“.

ამ ვარიანტში რელიგიური მოტივები იმონებს მთქმელს. უმიკაშვილისეულ „სულ-ხორცის გაყრაში“ მთქმელი ყურადღებას ამახვილებს ცოდვილებზე, რომლებიც ამ ქვეყნად პატიოსან ხალხს ავიწროებდნენ. „მეტადრე ცოდვილისათვის

<sup>1</sup> ფ. არქ. № 31667.

<sup>2</sup> ხალხ. სიტყვიერება, ე. თაყაიშვილის რედ. გვ. 200.

სულის ამორთმა ძნელია“.<sup>1</sup> სულისა და ხორცის გაბაასების ვარიანტი დაბეჭდილია ე. თაყაიშვილის „აღწერილობის“ 11 ტომში, სადაც ხორცისაგან სულის გაყრა ღმერთის მიერ დადგენილად არის გამოცხადებული: „სულისა და ხორცის გაყრა კაცისა ღმერთმან აღრიდოგან ინება“-ო<sup>2</sup>.

„ცისა და ქვეყნის გაბაასება“ მესტვირეთა ძირითად რეპერტუარში შედიოდა. გაბაასებას თავისებური შესავალი ახლავს, რომელიც დ. გურამიშვილის პოეტურ სამყაროში იღებს სათავეებს. ფარახეთელი მესტვირე ზაქარია ერაძე გადმოგვცემს:

„ქუა ვისწავლოთ მძებნელნო, მიყვეთ დავითნის მცნებასა,  
ჯერ მწარე ჭამე კვლავ-ტყბილი, ვინც სინჯავს გემოვნებასა,  
თავით სიმართლე სჯობია, ბოლო დროს დანანებასა,  
ობოლი გაზრდას მოელის, ღარიბი გამდიდრებასა,  
რუსეთში ასე სცოდნიათ, პურს ეძახიან „ხლებასა“,  
ცა და ქვეყანა შეიბენ, მოჰყვენ თავ-თავის ქებასა“.<sup>3</sup>

სიღნაღელი მესტვირე ვანო ბურდილაძე უფრო მოკლე შესავალს გვაძლევს:

„რუსეთში ეგრე იციან — პურს ეძახიან „ხლებასა“,  
ობოლი გაზრდას მოელის, ღარიბი გამდიდრებასა,  
ცა და ქვეყანა შეიბენ მოჰყვენ თავ-თავის ქებასა“.<sup>4</sup>

3. უმიკაშვილისეული „ცა და დედამიწის“ გაბაასების ვარიანტის შესავალი მოლიანად განსხვავდება ერაძისეული და ბურდილაძისეული ვარიანტებისგან. აქ ნათქვამია:

„იმ უფალმა ჭაგვიჩინა ჯერ ვაზი და მერმე სარი,  
ეგეთი უნდა შევკაზმით, როგორც რომ მორთული ქალი,  
ხანდიხან გაგვიგიჟდება ის ელია წინამძღვარი.  
ცაში ღრუბელი დაიძვრის და წამოვა ნიაღვარი,

<sup>1</sup> პ. უმიკაშვილი, ხალხური სიტყვიერება, გვ. 226.

<sup>2</sup> E. Takaishvili, Описание. т. II, стр. 293.

<sup>3</sup> ფ. არქ. № 31692.

<sup>4</sup> იქვე, № 31571.



ჩველი ყლორტი ჩამოჰყარა და დააგდო ხმელი სარი...  
წმინდა ელია ვახსენოთ, მას ეუნთოთ კელეპტარი.  
ელია რაღას გვიშველის, თუ რომ ღმერთი მწყურალათ არი“<sup>1</sup>.

ეს შესავალი ერთგვარ გამართლებას პოულობს ძირითადი ტექსტიდან. ჩვენ ზემოთ ვაჩვენეთ, თუ როგორი ურთიერთობა არსებობდა გურამიშვილის პოეზიასა და მესტვირულ პოეზიას შორის. შეიძლება გურამიშვილის „სწავლა მოსწავლეთას“ ზენოანეზნიშნული მესტვირული ვარიანტი, ამ შემთხვევაში, თავისთავად, ასამღერებლად, რიტმიზაციისათვის მიეკედლა ცისა და მიწის გაბაასებას.

აკაკის „კრებულში“ მოთავსებული „ცა და ქვეყნის ბაასი“ იწყება უშუალოდ, შესავალის გარეშე:

„ცა და ქვეყანა შეიბნენ, მოჰყვნენ თავთავის ქებასა“<sup>2</sup> და ა. შ. გაბაასების ძირითადი აზრია გვიჩვენოს ცისა და მიწის ურთიერთ უპირატესობა. მსმენელი და მკითხველი შეუხედე-ბელი ინტერესით მოელის, თუ რომელი მხარე დარჩება გამარჯვებული. ზაქარია გვამცნობს:

„ცა და ქვეყანა შეიბნენ, მოჰყვნენ თავთავის ქებასა,  
დედამიწამ უთხრა ცასა: — ქებით ნუ მეტყვი მაგასა,  
მე რომ მოსაველს მოვიყვან, შენ რას ნახავ იმის ფასსა?  
ახლა ცამ უთხრა მიწასა: — ქებით ნუ მეტყვი მაგასა.  
ისეთ სიციხეს გამოუშვებ, სულ დაგიწვავ მთა და ბარსა.  
ეხლა მიწამ უთხრა ცასა: — ქებით ნუ მეტყვი მაგასა,  
უადგილო ადგილასა გამოვადენ წყაროს წყალსა,  
ძირიდან სივრილეს მივეცემ, ყანას გოუქეთებ თავსა.  
მოვამრავლებ მოსაველსა, შევიწინაბავ ქვეყანასა“<sup>3</sup>.

ცა ემუქრება სეტყვით, მაგრამ დედამიწას ყავს ფუტკარი, რომელიც წმინდა სანთელს ჰქმნის. „მე ავანთებ კელაპტარსა, წმინდა ილიას ვახსენებ, სულ დაგიბნევ გზას და კვალსა“-ო.

1 კ. უმიკაშვილი, ხალხური სიტყვიერება, გვ. 232.

2 „აკ. კრებ.“, 1899წ., № 8, შდრ. „ხალხ. სიტყვიერება, 1934 წ. გვ. 196.

3 ფ. არქ. № 31692.

ცა, თითქოს, უკან იხევს, მაგრამ მოაგონდება, რომ მას მზე და მთვარე ახლავს: „მე რომ მზე და მთვარე მახლავს, შენ რას ნახავ იმის ფასსა?“ მიწა ამ კითხვას მოხდენილად უპასუხებს — „მზე და მთვარე მგზავრი არის მგზავრს ხომ ვერ დაუშლი გზასა“.

ბრძოლა თანდათან მწვავდება:

— „ეს მითხარი დედამიწავ, ქრისტე ღმერთი ცას არის თუ ქვეყანასა?“

— „აქამდის აქ ბრძანდებოდა, ეხლა წამობრძანდა ცასა“.

პაექრობა კულმინაციურ წერტილს აღწევს.

— „სად იყავი დედამიწავ მე რომ მაშენებდნენ ცასა“

— „შენ რომ გაშენებდნენ ცასა ძირიდან გიშლიდი მკლავსა“.

— უპასუხებს თავდაბალი, მაგრამ შეუპოვარი მეტოქე და „შვიდი ჩარეკით დასჯაბნა დედამიწამ მალა ცასა“. ზოგი ვარიანტის მიხედვით „სამი ჩარეკით აჯობა დედამიწამ ზეით ცასა“<sup>1</sup>. ზაქარია ერაძე ასეთ შენიშვნას უკეთებს აღნიშნულ გაბაასებას: „შტვირზე ამას ვამლერებდით, საცა ღამე დავდგებოდით. რაჭაში ერთი მოხუცებული კაცი ყოფილიყო, ეს ლექსი იმის მიერ არის გამოთქმული. იმას ესწავლებინა ბაბუა ჩემისთვის, ბაბუაჩემს მამაჩემისათვის, მამაჩემმა კი მე მასწავლა“<sup>2</sup>.

დედამიწა ჯობნის ცას, იგი ყველაფრის შემქმნელია, მასშია სიცოცხლე, სიყვარული, სიღამაზე, მშვენიერება... მღეროდნენ ამ ლექსს მესტირეები და ხალხს აყვარებდნენ ცხოვრებას, ქვეყანას, წუთისოფელს, მთა-ველებს, სახნავ-სათიბებს, ზვრებსა და საძოვრებს, ყველაფერ იმას, რაც ადამიანს ამ ქვეყანასთან აკავშირებს.

მესტირეებმა შესანიშნავი ლექსი შექმნეს გლეხის ეკონო-

---

<sup>1</sup> ჰ. უმიკაშვილი, „ხალხური სიტყვიერება“, გვ. 233, შდრ. ფ. არქ. № 31571.

<sup>2</sup> ფ. არქ. № 31692.

მიუბრუნდები ცხოვრების დიდ მოამაგეზე, მის მარჯვენა ხელზე —  
ხარზე. ზაქარია ერადე გადმოგვცემს:

„საწუთრო ქვეყანაზედა ღმერთი და ადამიანი დადგნენ ერთ  
სამართალზედა,

ადამიანის დარჩენა ვერაჲინ იღვა თავზედა,  
ადგა ხარმა დაიჩოქა, მალლა შეჰყვირა ცაზედა,  
ადამიანის დარჩენა მე დამაწერეთ ჯანზედა,  
მობრძანდა ქრისტე შეუფე სამჯერ აკოცა თვალებედა...  
საქმის ღღეს გამუშავებენ, ერთობ ძალიან-ძალზედა,  
ორი სანთელი ჩამოქნა, იმ ხარს აუნთო რქაზედა,  
როცა კვირა ღღე მოვიდეს, გაგიშვან იალაღზედა,  
ვინც კვირა ღღეს გამუშაოს. რისხვა მიაღღეს კარზედა“<sup>1</sup>.

მნიშვნაში ზაქარია საყურადღებო ცნობას იძლევა „ერთხელ მე და ლუკია მივდიოდით მეჯვრიხევეში უსანეთობის დღეობაზე. გზაზე, ერთმა მეგუთნემ, მოხუცმა კაცმა, გაგვაჩერა და გვითხრა: „ხარის ლექსი“ დაუკარითო. თხოვნა შევუსრულეთ. ღვინო დაგვალევინა, ფული სახნავში არ ექნებოდა და არ მოუცია“<sup>2</sup>. ეს ლექსი მესხეთში ჩაწერილია ვინმე მესხის მიერ<sup>3</sup>. მეორე უფრო სრული მესხური ვარიანტი ციკლიზებულია<sup>4</sup>, მასში შესანიშნავად არის გააზრებული ხარის როლი და მნიშვნელობა მშრომელი გლეხობისათვის; როგორც ციხე-ქალაქი დგას დედაბოძზე და ის აძლევს მას არსებობის საშუალებას, ასევე ხარი იყო პირველთაგანი, რომელმაც ადამიანის დარჩენა თავის თავზე იღვა და დედაბოძად შეუდგა გლეხის ეკონომიურ ცხოვრებას.

„ორშაბათობით აშენდა, ციხე-ქალაქი მთაზედა,  
ქვა შემოივლო გალავნათ, ცა დაიხურა თავზედა,  
სასახლე, სადარბაზეი დგას ოქროს ბოძობაზედა,

<sup>1</sup> ფ. არქ. № 31683.

<sup>2</sup> იქვე.

<sup>3</sup> ძვ. საქართველო, ტ. III. გვ. 271.

<sup>4</sup> ხალხური პოეზია. 1934 წ. გვ. 134, 135.

ადამიანის შენახვა ვერავინ იღვა თავზედა...  
ხარმა თქვა პირ-ნათლიერმა მე დამაწერეთ რქაზედა“<sup>1</sup>.

ამ ვარიანტის დასასრულს გადმოცემულია, რომ გუთნის დედა ბოროტად იყენებს თავის უფლებებს:

„...შემაბენ პირუბანელნი, სახრეს მიშენენ წელშია,  
გუთნი-დედისა ხენაშია, სახრე გამოძკრეს თავშია,  
დაჩოქილი შემოგბლავი მალა მეუფეს ცაშია“.

მაგრამ მეუფე უძლურია ციდან დახმარება აღმოუჩინოს მის ნათლულს.

„აქედან როგორ გიშველო, მეც მაგინებენ ცაშია,  
მე მაშინ მოგეშველები, რომ მოვლენ სამართალშია“.

როგორც ვხედავთ, მესტვირეთა რეპერტუარში შემავალი საყოფაცხოვრებო თემატიკა მრავალმხრივი და მრავალფეროვანია: ლექსები — დახვეწილი და ლაკონიური, შინაარსი საინტერესო და მიწიხიდევილი, შესრულება — მხიარული და მგრძნობიერი.

#### 4. სასულიერო ლექსები

სასულიერო-რელიგიური ლექსები რევოლუციამდეა შექმნილი. იგი გარდასულ. მკვდარი ჟანრების რიცხვს ეკუთვნის.

ქართული ხალხური სასულიერო ლექსები მესტვირეთა რეპერტუარის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი ყოფილა. საიქცნიერო ლიტერატურაში ეს საკითხი დღემდე არ გამხდარა ფართო მსჯელობის საგანი.

საღვთისმეტყველო წიგნების გავლენით კულტის მსახურთა მიერ ხალხში გავრცელებული ცალკეული ბიბლიური ეპიზოდების ერთი ნაწილის გალექსვა და საქართველოს სხვადა-

<sup>1</sup> ხალხური პოეზია. 1934 წ. გვ. 134. ვარიანტში იკითხება:

„ადამიანის ცოდვი ვერვინ იღო თავზედა, ადვა ხარმა მოახსენა მე დამაწერეთ რქაზედა“ (ფ. არქ. № 10806).

სხვა კუთხეში მისი გავრცელება მესტირეთა მოღვაწეობის ერთ-ერთ საქმედ უნდა მივიჩნიოთ.

ალორძინების ხანის ზოგიერთი პოეტი, როდესაც ბიბლიურ, უმთავრესად აპოკრიფულ თემებზე თხზავს ლექსებს, თავის ამგვარ მოღვაწეობას მესტირის საქმიანობას ადარებს, რაც იმას მოწმობს, რომ ასეთი საქმე მესტირეთა კუთვნილება ყოფილა ადრიდან. თანაც, ზოგიერთი პოეტის ლექსს მესტირის მსუბუქი და ნარნარი ლექსისათვის შეიძლება მეტოქეობა ვერ გაეწია და ამით „მესტირის სახელი“ გაეწვილებია.

დ. ბაგრატიონს (დაიბადა 1746 წ.) ვრცლად გაუღიქსია „შესაქმე“ და „გოდება ადამისი...“ თხზულების დასასრულს პოეტი წერს:

..მაშინ ოდეს საწუთრომან, მე სიციცხლე გამიწარა,  
ამით მწაღდა ჩემი მკვლელი, გულსა სევდა გამეგარა...  
აჲ მწერალი ავად თქმით, რად დაეშვერ მოსაწყინებლად,  
წამკითხველთაგან საგმობლად, თავისა მოსაყივნებლად.  
რად დამჭდარაო მესტირის სახელის შესაგინებლად  
და რაგინდ მპარძნოთ რამგამა, ვსჩხაბე დროს გასარბინელად<sup>1</sup>.

ამ სტრიქონებში შესაძლებელია ისმოდეს სინანულიც იმის შესახებ, რომ დ. ბაგრატიონმა თავისებურად გაღიქსა ბიბლიის კანონიკური ეპიზოდები.

ანტონ კათალიკოსი „მესტირეს და მეშაირეს“ უწოდებს მონაზონ პეტრე ჩხატარაშვილს, რომელსაც, ვინმე იოანე ჩხატარელის მსგავსად, 1725 წლის მახლობლად, დაუწერია ქობულეთში ქრისტიანობის გავრცელების და მერე თათართაგან აღმოფხვრის ისტორია<sup>2</sup>. ჩანს, რომ ქრისტიანულ-კანონიკური ტექსტიდან გადახვევა და აპოკრიფული თქმულებების თუ სხვაგვარი ქრისტიანული ისტორიის შეთხზვა არ იყო საპა-

<sup>1</sup> საქ. მუზ. ხელნაწ. განყ. S 350, გვ. 34. ხელნაწერზე მიმითითა დოკ. თ. ქ ყ ო ნ ი ა მ.

<sup>2</sup> კ. კეკელიძე. ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. 1, 1941 წ. გვ. 62.

ტიო საქმე. და მის შემთხვევლს მესტვირე-მეშაირეს უწოდებდნენ.

ქართული ფოლკლორის დიდი მოამაგე აკაკი წერდა: „არსად ისე გავრცელებული არ ყოფილა „მეზღაპრეობა“, „მესტვირეობა“, „მეშაირობა“, როგორც ჩვენში!... ძველი და ახალი აღთქმა სულ ერთიანად გალექსილი იყო და ტრიალებდა ჩვენს ხალხში. ვის არ გაუგონია ჩვენში საუცხოვო შაირები „აბრამზე“, „იობზე“, „სოლომონზე“ და სხვ.?<sup>1</sup> აკაკის ლოგოური მახვილი უსათუოდ მესტვირეებს ეცემა. შაირი, ამ შემთხვევაში, ფართო მნიშვნელობით ნახმარი სიტყვაა, რადგან სასულიერო ლექსები ვიწრო მნიშვნელობით გაგებულ შაირებს კი არ წარმოადგენენ, არამედ ეპიკურ, ლირიკულ-ეპიკურ და ლირიკულ ლექსებს.

ქართული სასულიერო ლექსების მიმართ სავსებით შეგვიძლია გავიმეოროთ ის აზრი, რაც გამოთქმულია რუსული სასულიერო ლექსების შესახებ: „თითქმის ყველა სასულიერო ლექსისათვის გარკვეულია პირველწყარო თუ არა, ყოველ შემთხვევაში, მონათესავე წიგნური წყარო მაინც. მაგრამ ამასთან ერთად, არ არის თითქმის არც ერთი სასულიერო ლექსი, რომელიც თავის წიგნურ წყაროს მონურად მისდევდეს“.<sup>2</sup>

ქართული ქრისტიანულ-რელიგიური ლექსების შემდეგი ყანრობრივი დაყოფა არსებობს: ეპიკური („ადამი და ევა“, „იობი“, „აბრამი“ და „სოლომონ ბრძენი“), ლირიკულ-ეპიკური („ჯოჯოხეთში ვინ არის“, „ნათლისმცემელი და გლახა“, „სულეთის ლექსი“) და ლირიკული („ნოე“, „ქრისტე“, „სიზმრათა ვნახე ედემი“ და სხვ.)<sup>3</sup>.

ფარახეთელი მესტვირე ზაქარია ერაძისეული „ადამ და ევას ლექსი“ კონტამინირებულია, მასში სხვადასხვა სახის აპოკრიფ-

1 აკაკის კრებული. 1897 წ., № 1, გვ. 1-2.

2 Ю. С. КОКЛОВ. Русский фольклор. Москва, 1941 г., стр. 286.

3 მ. ი. ხ. ჩიქოვანი. ქართული ფოლკლორი, გვ. 351.

ფულ თქმულებებს უჩენია თავი. ამ ლექსის მოკლე შინაარსი ასეთია: ზღვა დაშრა, ღმერთმა ხმელეთიდან აიღო ყვითელი მიწა, ჩაუბერა სული და ადამი გააჩინა. ადამის საკმელი იყო გაფტკენილი მწყერი, რომელსაც ზეციდან უგზავნიდა ღმერთი; ღმერთმა ადამს გვერდი გამოსჭრა და შექქმნა ევა, ცოლ-ქმარი ნეტარებით ცხოვრობდნენ ბაღში, „სიტუროფით და სილამაზით ღამე გაანათლეს ბნელიო“, — გადმოგვცემს მთქმელი. ღმერთმა ცოლ-ქმარს აუკრძალა ლეღვის ჭკმა, სამოთხის მკველად გველი დააყენა, თვითონ კი „სხვაგან წაბრძანდა, ხმელეთი აქვს დასავლელი“. ეშმაკმა მოატყუა გველი, შევიდა ედემის ბაღში, შეაცდინა ევა; აქამა აკრძალული ნაყოფი, ევას ნათელი ჩამოსცივდა. ევას შეცდომა ადამმაც გაიმეორა. ორივე ცოდვილს მოუსწრებს უფალი და განრისხებული ჯერ გველს დასწყევლის:

„აღარ შეარჩინა ხელი, აღარ შეარჩინა ფეხი,  
ცურადღეს თავის მუცლითა, კიდევ მისცა სატანჯველი,  
მიწა მისცა საკმელათა, კიდევ მისცა საზოგველი,  
საცა კაცი მისწვდებოდეს, არ გაეშვას მოუკველი“ —

შემდეგ, სამოთხიდან გამოაგდო ადამ და ევა, ევას ტანჯვად გაუხადა შვილის შეძენა, ავადმყოფ ევას ეშმაკი გამოეცხადებდა. იგი ადამს პირობას ჩამოართმევს, რომ ცოლს მოგიჩინო, ოღონდ „სანამ უკვდავი არ მოკვდეს და უშობი არ იშობოს, სული ჩამაბარე შენიო“. ადამი დათანხმდა, ხელი მოაწერა შეთანხმებას და მარმარილოს ქვაზე დაწერილი პირობა შუა ზღვაში შეინახეს. ზღვაზე მომავალი მარიამ ღვთისმშობელი დაამთქნარებს, მას იესო ჩაესახა. ოცდახუთ ქრისტეშობისთვის იესო დაიბადა, „ზღვისპირის მახარობელი“ იორდანე მობრძანდა იესოსთან, თან მოიტანა ადამისა და ეშმაკის მარმარილოს ქვაზე დაწერილი ხელწერილი: ქვა დაამსხვრიეს. პირველად მკვდელი აკურთხა უფალმა, გააკეთებინა რკინის ლომები და დაიწყეს ჯოჯოხეთის დანგრევა, ჯოჯოხეთის თერთმეტი კუთხე დააქციეს, მეთორმეტეს დაქცევა

ძნელი შეიქმნა, სატანა და სამოელის თხოვნით ეს მეტორ-  
მეტე კუთხე ღმერთმა დატოვა ცოდვილების საწამებ-  
ლად. ღმერთმა მრავალი ცოდვილი დასაჯა იქ. ბოლოს გუთ-  
ნისდედა დაიბარეს: „გუთნისდედა გუებნებით მაგ მტრელო-  
ბას დეესენი, ვისაც კარგი ჯერი მოაქ, მისთენა ხარ კაი  
მხვნელი“, თუ ასე გააგრძელებ, მაშინ „დაგადგამ რკინის  
უღელსა, შეგაგდებ ჯოჯოხეთშია, გამოშვება არი ძნელიო“.  
იოანე ნათლისმცემლის თხოვნით „იქ დალოცეს გუთნის-  
დედა, გამოგზავნეს მადლობელი, ბევრი ხნას და ბევრი თე-  
სოს, ხალხი შეინახოს ჩვენო“. ასევე დალოცეს დალაქიც,  
„ჩვენ დალაქი რას მოგეპარავს თუ არა ვართ მიმცემელიო“.<sup>1</sup>

დასასრულს ზაქარია ასეთ კომენტარს იძლევა:

„ამას შტვირზე ვამღერებდით, ყველა მეშტვირე მღეროდა. ამ  
ლექს ღამე ვიტყოდით, საცა დავდგებოდით. ბინით, ანდა თუ  
ვინმე გუთხოვდა დღეობაში, იქაც ვიტყოდით, ისე კი არა.  
რადგან დიდი იყო და დიდ ხანს მოუხდებოდით, მოვცდებო-  
დით, ეს ლექსი ქართლურია, ლუარსაბ ნეფის დროინდელია..  
რაქაში ასეთი დიდი ლექსები არ იცოდნენ, იქიდან არის ნას-  
წავლიო“.<sup>2</sup>

აღნიშნული „ადამ და ევას“ ვარიანტი ჩაწერილია რაქაში  
1875 წელს მესტვირე მიხეილ ერადის თქმით<sup>3</sup>. ამ ვარიანტში  
გამოტოვებულია ეშმაკისა და ადამის პირობის დადება, გუთ-  
ნის დედის, მჭედლის, მეწვრილმანისა და დალაქის შესახებ  
ერადისეულ ვარიანტში დაცული ცნობები, მაგრამ, სამაგიე-  
როდ, მოკლედ და მკაფიოდ არის გამოხატული მშრომელი მა-  
სების მორალური და ზნეობრივი ტენდენციები:

„დედ-შამის უპატიურსა გაუხვრიტეს ენის წვერი,  
ძმა ძმისა მოღალატესა ფიცხლად მისცეს სატანჯველი,

1 ფ. არქ. № 31679.

2 იქვე.

3 ვ. უ მ ი კ ა შ ვ ი ლ ი, ხალხ. სიტყვიერება. გვ. 569.



კისერზე შემოახვიეს ოცდახუთი ქრელი გველი!  
შიგ არის წისკელის ქუდი, პირში ჩრია სარეველი“<sup>1</sup>.

მესტვირეთა რეპერტუარში „აბრამიანს“ განსაკუთრებულა ადგილი ექირა. „აბრამიანის“ უამრავი ვარიანტი მოგვეპოვება. მე-18 საუკუნის ბოლო წლებისა და მე-19 საუკუნის დასაწყისის ხელნაწერის (S 1582)<sup>2</sup> 153—156 გვერდზე გადმოცემულია აპოკრიფული ხასიათის ლექსი აბრამზე, რომელიც ასე იწყება: „ერთსა ლექსსა მოგახსენებ, მაგრამ გვიან გათავდებაო“. აგრეთვე, S 2363 ხელნაწერში, — „სხვადასხვა ლექსთა კრებული“, რომელიც 1864 წელს არის გადაწერილი, მოთავსებულია (გვ. 27—30) ხალხური აპოკრიფული ლექსი აბრამზე და ისაკზე<sup>3</sup>.

„აბრამიანის“ გამლექსავად ხელნაწერის მიხედვით თითქოს, ვიღაც იოსები და ტერ-ასატუროვია სავარაუდებელი, მაგრამ, როგორც იოსების ბოლო ავტობიოგრაფიული სტრიქონებიდან ჩანს, ამ სტროფის ავტორი ვერ ჩაითვლება აბრამიანის ნარნარი და მსუბუქი, ნამდვილი ხალხური ლექსის ავტორად. საქმე ის არის, რომ აბრამიანი ხალხში მრავალი ვარიანტით არსებობდა, იგი ფართოდ იყო გავრცელებული და უმრავლესობამ ზეპირად იცოდა, იოსები ფიქსაციას ახდენს იმისა, რაც მას ხალხში გაუგონია, იგი ლექსის „გამლექსავია“ („გამლექსელსა ამ ლექსისაო“). 1890 წ. დავით გიორგობიანის ძიერ ჩაწერილ „აბრამიანს“ ქვეშ უწერია „მესტვირესაგან გაგონილიო“, ეს იმას ნიშნავს, რომ ჩამწერს ხალხში გაუგონია აბრამის ამბავი, ამდენად, ჩვენ არ შეგვიძლია გიორგობიანი „აბრამიანის“ ავტორად მივიჩნიოთ.

ფარახეთელი მესტვირის ზაქარია ერაძისეული „აბრამის ლექსი“ შეიცავს 95 თექვსმეტმარცვლიან სტრიქონს. აქ მთელი

<sup>1</sup> პ. უმიკაშვილი, ხალხ. სიტყვიერება, გვ. 138.

<sup>2</sup> დაწვრილებით იხ.—E. Такашвили, Описание, т. II, 1906 г. стр. 242.

<sup>3</sup> E. Такашвили, Описание, т. II, 1906 г. გვ. 265.

რიგი ახალი ეპიზოდებია შეტანილი, წირვიდან მომავალს, თეთრ ჩოხაში გამოწყობილ უფალს აბრამი შეხვდება, უფალი მას სთხოვს სადილი აჭამოს, მაგრამ აბრამი მკვახედ უპასუხებს:

„მე რომ სადილი გაჭამო, რა მალეში ჩამივარდება, ოქროს ქაპარი გარტყია, მთელ ხმელეთად დაფასდება, გაყიდვ და პური ქამე, სადილიც ბევრი მოგჩება“—ო.

უფალმა დასწყევლა კადნიერი მასპინძელი და აბრამის მეცხვარე იოველთან მივიდა. მეცხვარე შესანიშნავად უმასპინძლებდა უცნობს, სამაგიეროდ უფალი მას სანატრელ ბკდს სწევს, აბრამის ცხვარს რიყის ქვად აქცევს, იოველის ერთი ბერწი ცხვრისაგან კი ათას ხუთას სულ ცხვარს შექმნის. აბრამი მიხვდა თავის შეცდომას და ცდილობს მოინანიოს დანაშაული. ორმოც დღეს საქმელი არ ქამა. სტუმრის სახით უფალი კვლავ მოვიდა აბრამთან. გააცოცხლებს ხბოს, უშვილო სარას შვილს გაუჩენს. აბრამი აღუთქვამს უფალს, რომ შვილს საღეთოდ შესწირავდა შვიდი წლის შემდეგ. მართლაც, აბრამი პირობას ასრულებს, მაგრამ:

შვიდჯერ იქება შვილმა ცამ. ზედ მასკვლავი გედოყრება, გადმოხედა ქრისტე ღებრთმა. დახე, აბრამ რასა შერება, ერთი თოხლი გადმოკიდა ათასფერად აყვავდება;  
— ეს დაკალი. ეგ გაუშვი, შვილი ფეხზე დაგიდგება!  
აბრამი სახლში წამოვა შვილი გვერდით გამოყვება,  
ღვთის ხეწილი და ვედრება ეგრე კობტათ მოვიხდება,  
უფალი რომ ქრთამს იღებღეს, ეწვეანაც აღარ იქნება“!

ზაქარია ბოლოს ასეთ შენიშვნას აკეთებს: ამ ლექსს „ვამღერებდით შტვირზე, გლეხისას რო მივიდოდით, დაგვიდგამდნენ სკამს, დავჯდებოდით და ვიტყოდით. ქართული ლექსია, ლუარსაბ ნეფის დროს რომ მეშტვირეები ყოფილან, მაშინდელი

ნასწავლია, ნეფე ერეკლე სადაცა ცხოვრობდა, იქ არის გამო-  
თქმული, იქიდან არის ნასწავლი“<sup>1</sup>.

სიღნაღელი ვანო ბურდილაძისეული „აბრამიანი“ მოკლწა.  
აბრამ და სარას ღმერთმა ვედრება შეუსრულა. ცოლ-ქმარს  
გაუჩინა შვილი, ოღონდ 7 წლის შემდეგ საღმრთოთ უნდა  
შესწირონ და ა. შ..<sup>2</sup> „აბრამიანი“ ძირითადად ორ სიუჟეტური  
რკალისაგან შედგება. პირველი სიუჟეტური რკალი ასეთია:  
აბრამი ვერ იცნობს უფალს და უკმეზად ისტუმრებს, უფალი  
წიურს იძიებს ამაყი აბრამის წინააღმდეგ, ამდიდრებს აბრამის  
მეცხვარეს, აბრამს კი სატანჯველს მოუვლენს.

ამბავთა სიუჟეტური განვითარების მეორე ნაწილია: უშვი-  
ლო აბრამი და სარა ყოველდღე ღმერთს ევედრებიან; ღმერთ-  
მა ვედრება შეუსრულა ცოლ-ქმარს, მაგრამ 7 წლის შემდეგ  
შვილი მსხვერპლად უნდა შესწირონ უფალს, აბრამი პირობას  
ასრულებს. ღმერთი აპატიებს ერთგულ აბრამს ერთადერთ  
შვილს.

ხშირად ორივე ამბავი ერთად არის შერწყმული<sup>3</sup>, უფრო  
მეტად. „აბრამიანი“ ცნობილია მეორე სიუჟეტური რკალით.

მეტად თავისებურია ზაქარია ერაძისეული „აბრამიანის“  
დასასრული ნაწილი, რომლის მსგავსი სხვა ვარიანტებში  
არ გვხვდება. მექრთამეობით განაწამები მშრომელი ხალხი  
ზოგჯერ მიმართავდა „ყოვლისშემძლე“ ღმერთს, რომელიც  
იქ ცხოვრობდა, სადაც „უქრთამოდ სამართალია“;<sup>4</sup> „უფალი  
რო ქრთამს იღებდეს ქვეყანაც აღარ იქნებაო“, ამბობდა  
ზაქარია და ამით ხაზს უსვამს, რომ ეს ქვეყანა ისე იყო  
მოწყობილი, ღმერთის მეტი ყველა ქრთამს იღებდაო. ასეთი

1 ფ. არქ. № 31680,

2 იქვე, № 31563.

3 ვ. უმიკაშვილი, ხალხური სიტყვიერება, გვ. 139, აღ. ხახა-  
ნაშვილი, ქართული სიტყვიერების ისტორია, 1919წ., გვ. 103. ძვ.  
საქართველო, ტ. 111. 27. ფ. არქ. № 31563 და სხვა.

4 ფ. არქ. 31681.

დაბოლოვება ძეკარად ამხელს გაბატონებული წოდების მოხელეთა საქმიანობას, მათ მიერ შშრომელთა მოტყუებას.

„აბრამიანის“ შემდეგ მესტივირეთა რეპერტუარში განსაკუთრებული ადგილი „იობის ლექსი“ ეკირა. ფარეხეთელი ზაქარია ერაძისაგან ჩაწერილი „იობის ლექსი“ 69 თექვსმეტმარცვლიან სტრიქონს შეიცავს<sup>1</sup>. სიღნაღში მცხოვრები მესტივირე ვანო ბურდილაძისეული „იობის ლექსის“ ვარიანტი უფრო მოკლეა, შეიცავს 40 თექვსმეტმარცვლიან სტრიქონს<sup>2</sup>. სხვა ვარიანტებთან შედარებით<sup>3</sup> ყველაზე ვრცელი გიორგი ქებაძისეული „იობის ლექსის“ ვარიანტია<sup>4</sup>, რომელიც 95 თექვსმეტმარცვლიან სტრიქონს შეიცავს. არცერთი ვარიანტი ერთმანეთს არ ემთხვევა. თითოეულ მთქმელს თავისებურატენდენცია შეაქვს. ძირითადი, რაც „იობის ლექსის“ ყველა ვარიანტისათვის საერთოა, შემდეგია: იობს ჰყავდა ერთგული ცოლი, შვიდი ვაჟი და სამი ქალი, იყო მდიდარი და თავისი ღმერთის ერთგული მსახური. ეშმაკმა სანაძლეო დაუღო უფალს, რომ იობს შენზე ძვირს ვათქმევინებო. სანაძლეოზე უფალი დათანხმდა. იწყება იობის ტრაგედია: დაესოცა შვილები, გაუწყდა საქონელი, ცეცხლი წაეკიდა სახლს, მატლი დაესია მის სხეულს, მაგრამ თავის ღმერთზე ძვირი მაინც არ თქვა. ტანჯული იობი ღმერთმა ცოცხლად აიყვანა სამოთხეში და სამოთხის გასაღები ჩააბარა, „ცხონება და წაწყმედაი დღესაც იმას ეკითხვისაო“.

ზაქარია ერაძისეული ვარიანტის „იობის ლექსის“ დასაწყისი თავისებურ სარწმუნოებრივ ძიებას შეიცავს, მთქმელი სკეპტიკურად უდგება ქრისტიანულ დოგმას და აცხადებს „არვინ იცის სარწმუნოება, რა ჯობია მართლიგზისა, ძე მამა

<sup>1</sup> ფ. არქ. № 31665.

<sup>2</sup> იქვე. № 31564.

<sup>3</sup> იხ. ალ. ხახანაშვილი. ქართ. სიტყ. ისტ. გვ. 100.

<sup>4</sup> ბ. უმიკაშვილი. გვ. 140.

და სული წმინდა“ თუ სხვა. დასასრულს თავისებურ მესტირულ დალოცვას ურთავს:

„ამ შაირის გამგონესა მადლი შეეწიოს ღვთისა.  
ანგელოზები გწყალობდეთ ჯერ მიწის და მერე ცისაო“.

გიორგი ქებაძე, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, შემოქმედი მესტირე იყო და გარკვეული მსოფლმხედველობის მქონე. ამდენად, მეტად საინტერესოა „იობის ლექსის“ ქებაძისეული ვარიანტის შესავალი ნაწილი, რომელიც განსხვავებულია ყველა სხვა ვარიანტისაგან. მოგვყავს მთლიანად:

„დიდება და მადლი ღმერთსა, რომ ბრძანება იქნა ღვთისა,  
ხელი რომ ხმალ მოეკიდა, ომი მოხდა პირველ უმისა,  
აღმოსავლეთი დაბნელდა, დასავლეთი იგრავინისა,  
ათახთახდა დედამიწა, მთა და ბარი შეიძვრისა,  
მაშინ გასქდა დედაძიწა, ისევ მისცა პირი პირსა,  
უწინ იყო დიდი უამი, ძე გასწყვიტა ვაჟაკისა,  
დიდი გვალვა დაგვაყენა, შუქი დაგვაპირა მზისა,  
ხევაები სულ დააშრო, წყაროც აღარ მოდის მთისა,  
ხეს ფურცელი შემოუხმა, ფესვი შემოალა ძირსა,  
მინდვრებ ცეცხლი წაეკიდა, ძირი დასწვა ბალახისა,  
პირუტყვი გასწყდა შიმშილით, ეკიდება ნარის ძირსა,  
კაცის თვალი ხარბი არის, რა გააძლობს მიწის შვილსა?  
რაგინდ რომ ცხოვრება ჰქონდეს, კიდევ ეხარბება სხვისა,  
გადაბრუნდება, მოკვდება, მიწა ამოუყვებს პირსა,  
რასაც იშოვნის, ინახამს,— შეიქმნება ეშმაკისა,  
ამ დროს იმიტომ ჩავსცივიდით, თითონ ყიდდა მამა შვილსა,  
ნაშენობაც დაანგრის პირველ თამარ დედოფლისა.  
ვილას ახსომს პურადობა ადამს აქეთ იობისა“<sup>1</sup>.

ამას მოსდევს ეშმაკისა და ღმერთის დანაძლევება, ბოლოს კი ნათქვამია:

„ეს წიგნი დაბეჭდილია ამ გიორგი ქებაძისა,  
ამ ლექსის გამგონესა მადლი შეეწიოს ღვთისა“<sup>2</sup>.

<sup>1</sup> პ. უ მ ი კ ა შ ვ ი ლ ი. ხალხური სიტყვიერება, გვ. 140, 141.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 143.

როგორც ვხედავთ, შესავალში მთქმელი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ჟამიანობას, გვალვას, შიმშილობასა და ბუნების განრისხებას, რომელიც ანადგურებდა მოსახლეობას, მშრომელ მასებს, ზედ ერთოდა ადამიანთა ურთიერთ გაუტანლობა („თითონ ყიდდა მამა შვილსა“), სიხარბე, შური, მტრობა, პურძვირობა და ისტორიული წარსულისადმი უპატივცემლობა („ნაშენობაც დაანგრის პირველ თამარ დედოფლისა“). ეს შესავალი მთქმელს იმისათვის სპირდება, რომ იობის ტიტანური ამტანიანობისა და თავისი იდეისადმი უსაზღვრო რწმენის გამოვლენით მსმენელებს შთააგონოს, დაანახვოს ის კონტრასტი, რომელიც არსებობს შვილის გამყიდველ მამასა და თავისი ღირსების დასაცავად ბოროტების წინააღმდეგ უკანასკნელ წუთამდე მებრძოლი იობს შორის. ეს ფაქტი ერთხელ კიდევ ცხადყოფს იმ გარეწობას, რომ ბიბლიური წარმოშობის სასულიერო ლექსებში მშრომელ ხალხს შექონდა თავისი ტენდენციები. მიმზიდველ და მკვეთრ სიუჟეტებს, რომლებსაც ხალისით მიმართავდნენ ქართველი მესტვირეები, აღნობდნენ თავიანთ პოეტურ ქურაში, უკავშირებდნენ ყოველდღიურ საკირბოროტო საკითხებს და ავრცელებდნენ მთელ საქართველოში.

ღირიკულ-ეპიკური ჟანრიდან მესტვირეთა რეპერტუარში პირველ რიგში უნდა დავასახელოთ ლექსი „ნათლისმცემელი და გლახა“. ფარახეთელი მესტვირე ზაქარია ერაძისეული „გლახას ლექსი“ შედარებით მოკლეა, ვიდრე უმიკაშვილისეული „ნათლისმცემელი და გლახა“, ან თ. რაზიკაშვილის მიერ ქართლში ჩაწერილი „გლახა და ქრისტე“. აქ ძირითადი ამბავი ყველგან ერთნაირად არის გადმოცემული.

ზაქარია ერაძის ვარიანტის მიხედვით ერთ ქვეყანაში ცხოვრობდა უღარიბესი (გლახა) . ცოლ-ქმარი. იოანე ნათლისმცემლის რჩევით მეუფემ გლახას შვილი გაუჩინა. ერთი თვის შემდეგ იოანე და ქრისტე მივიდნენ გლახასთან შვილის მოსანათლავად. ქრისტემ მონათლა გლახის შვილი.

და თან აურაცხელი სიმდიდრით აავსო მისი ოჯახი. რამდენიმე წლის შემდეგ, ქრისტე მათხოვრის სახით მიადგა ნათლულის ოჯახს. პატივისცემის ნაცვლად ძაღლები მიუხიეს ნათლიას, მაშინ მან ყავარჯენი მიწას დაკრა და ყველაფერი გააქრო.

„ნათლიდელა-ნათლიმაჲ შიგ ორმოში ჩაკვიედესა,  
მათი თმა, მათი ქოჩორი დღესაც ბალახად ძოვდება;  
ნათლული ვერ გაიმეტა ანგელოზათ იხსენება;  
ამ შაირის გამგონესა ღმერთმა მისცეს გახარება“<sup>1</sup>.

ეს ბოლო სტრიქონები ვარიანტებში სხვადასხვანაირად არის გააზრებული, მაგალითად:

„ნათლული გამოიტაცა. დღესაც ცაში დაფრინდება, ანგელოზებში ითვლება.“

— მე იმას ვერ გავიმეტებ, მე მირონი მეწამება,  
ნათლიმამის წვერ-ულვაში მინდვრის ბალახად იქცევა,  
იმას საქონელი მოსძოვს, ჰეივანი შეიქმნება.  
ნათლიდელისა ფარჩები ენდროს ფოჩათ გადიქცევა,  
ვინც ამ ენდროს ამოიღებს, ხელი მკლავზედ შეახმება“<sup>2</sup>.

ანდა:

„თან ნათლული წეიყვანა,— ანგელოზთან იწერება.  
ნათლიდელის ძვალის სისხლი ენდრონებათ ითხრევნება,  
ნათლიდელის თმანი მისი მიწა-მოლათ გადიქცევა,  
იზრდება და არ ილევა, ისთევე ბევრი იზრდება.  
ამისა მოსმინარესა ყოვლა წმიდა შეგეწევა“<sup>3</sup>.

ლექსში „ჯოჯობეთში ვინ არის“ მკაცრად არის დაგმობილი ის პირები, რომლებიც მშრომელ ხალხს აწუხებდნენ და ბოროტებით ცხოვრობდნენ, მაგალითად: მეწისქვილე, მკვადელი, ფეიქარი, მღვდელი.

1 ფ. არქ. № 31659.

2 ძველი საქართველო, ტ. 111, გვ. 34.

3 3. უ მ ი კ ა შ ვ ი ლ ი. ხალხური სიტყვიერება, გვ. 146.

„წაიყვანეს და ჩააგდეს, საცა დულდა კუპრი ცხელი,  
დიდის ცოდოს ამლებელი: ჯერ მკვდელი, მერე მოვდელი!..  
ამხანაგის მოლაღატეს პირში სჩრია გველი კრელი“<sup>1</sup>.

ზაქარია ერადის გადმოცემით ჯოჯოხეთში შეუბრალებლად ისჯება ის, ვინც ლოცვას ყურს არ უგდებს, „ლოცვაზე მოლაპარაკეს გაუხვრიტეს ენის წვერი“; „ძმა ძმისა მოლაღატეს“ უარესი სატანჯველი არგუნეს. „ცოლ-ქმარს შუა მახეზლარეს ყბაში ძუა გაუყარეს“.

„ამხანაგის მოლაღატეს ყელზე ჩანოციდეს გველი,  
ძროხასავით აყვირებენ, არვინა ყავს მაშველელი“<sup>2</sup>.

ზაქარია მოხდენილად გვიხატავს ენის ორღესულ ბუნებას:

„ღმერთმა კაცი გაგვიჩინა, დაგვიმტკოცა ადამ ბრძენი.  
პირში მოგვცა ენა სველი, მახეზლარე ავის მქნელი,  
ენაა კაცის მოყვარე. ენაა შემძულებელი“.

ამავე ლექსში ზაქარია დიდაქტიკურ აზრებს გადმოგვცემს:

„მიწა ვართ. მიწად ვიქცევით. სულ ადამის მონაშენი,  
უნდა გვეწამდეს ერთმანეთი, ეს არის წუთისოფელი“<sup>3</sup>.

ერთმანეთის დანდობა და პატივისცემა ოდითვე მოდგამდა მშრომელ ხალხს, მაგრამ მათ მისწრაფებებს ფრთებს აკვეცდნენ გაბატონებული კლასები. ზაქარიას თქმით:

„ქურდი თავისას იპარავს, ვერ მოიპარავს სხვისასა,  
ქრისტესთან დააჩოქებენ, არ მამიპარავს. ფიცავსა, •  
მაშინ ფიცს ვინ დაუჭერებს, თოქს აბმენ კანაფისასა.  
ჯოჯოხეთში შაგდებენ. ვაი მის ცოდვის კითხვასა“<sup>4</sup>.

ამ ქვეყანაზე იმდენი ცოდვა ტრიალებს, რომ მთავარანგელოზიც გაკვირვებულია ამ ამბით:

<sup>1</sup> ფ. არქ. № 31673.

<sup>2</sup> იქვე.

<sup>3</sup> ფ. არქ. № 31674.

<sup>4</sup> იქვე.



„ახტატის! კალო შეიკვრის სულ რიცხვის სულის ყანთარი,  
კვირობს მთავარ ანგელოზი, ამდენი ცოდვა რათ არი?  
წმინდა გიორგი ბრძანდება, მოდი აეწონოთ რაც არი,  
აწონეს ცოდვა და მადლი, ამართეს მისი ყანთარი,  
მადლი დევს ჩალის ოდენი, ცოდვა დევს გორის ოდენი...“<sup>2</sup>

თითქმის არ მოიპოვება ისეთი სასულიერო ლექსი,  
რომელშიაც მშრომელ ხალხს თავის ტენდენცია, მიზან-მის-  
წრაფებანი არ ჩაექსოვოს. ეს მომენტი კანონზომიერი და  
აუცილებელიც იყო.

მძაფრ ლირიკულ ფერებში გადმოგვცემენ მთქმელები  
ქრისტეს ჯვარცმის, მკვდრეთით აღდგომის ეპიზოდს. ზაქარია  
ერაძე „ქრისტეს ლექსში“<sup>3</sup> ტრაგიკულ სურათს გვიხატავს:  
ბტრებმა შეიპყრეს ქრისტე, წაიყვანეს გოლგოთაზე, ამართეს  
ჯვარი და ზედ გააკრეს, ტანი და შუბლი ლურსმებით დაუ-  
ჩხვლიტეს, მაგრამ

„შუა ღამე რომ შეიქნა, მალა ზეცას წავიდესა.

წვეილდნენ და მოახსენეს თავისიანთ პილატესა

პილატე. არ გებრალებით, მკედარი ქრისტე მოგვეპარესა“.

რაბინებმა დაადგინეს თუ ის მართლა ქრისტე იყო, მოხარ-  
შული მამალი გაცოცხლდესო. დაკლეს სამი წლის მამალი,  
მოხარშეს ისე, რომ „ძვალი მბილად ჩავარდესა“, „იყო ღვთო-  
საგან ბრძანება“ და მამალიც უცოცხლდა.

ზაქარიას „ქრისტეს ლექსის“ ვარიანტი ვრცელია — 35  
სტრიქონს შეიცავს. უმიკაშვილის კრებულში ეს ლექსი  
შეკუმშული სახით არის შეტანილი:

„დალოცვილი ქრისტე ღმერთი სოფლიერათ გამოჩნდაო,  
ერთსა გორას დაიჭირეს, მეორე გორას დამარხესო.

იქ ლურსმნები აიტანეს, თურშე ყურით დააკრესო.

ქინძი, ძმარი მიუტანეს, — ქრისტეს წაშლათ წაადგესო, !

კვარე დილას რომ მივიდნენ, — ცარიელი ტილო ძევესო“.

<sup>1</sup> საერთო (მთქმელის შენიშვნა).

<sup>2</sup> ფ. არქ. № 31676.

<sup>3</sup> ფ. არქ. № 32682.

„არ გებრალეზი, პიტაღე, ჩვენი ქრისტე მოგვპარეს!  
არ გითხარით, თქვენ, მყრალეზო, თქვენ ვერ მოკლავთ გამჩენელსო“<sup>1</sup>.

ესეც ერთი ნიმუშია იმისა, თუ დროთა განმავლობაში როგორ ხდებოდა ვრცელი ლირიკული ლექსების შეკუმშვა და დახვეწა.

ზაქარია ერაძის რეპერტუარში ყურადღებას იპყრობს მაღალმხატვრული ოსტატობით შესრულებული და მკვეთრი შინაარსის ლირიკული ლექსი „ქრისტე რომ ქვეყნად მობრძანდა“. მძაფრი ლირიკული განცდებით გადმოგვცემს მთქმელი ქრისტეს ქვეყნად მოვლინებას და ცოდვილთა განკითხვის დასაწყისს. ეს ლექსი ნაკლებად არის ცნობილი, ამიტომ მოგვყავს მთლიანად:

„ქრისტე რომ ქვეყნად მობრძანდა, ხელა თა და ბარია,  
თან ახლდნენ ანგელოზები, უკრეს ბუკი და ზარია;  
კრებული შამოიკრიბა მას გადაავლო თვალია,  
ცოდვილი მოკანკალობდა, შიშით სტეოდა თავია,  
— უფალო იესო ქრისტე, მისმინე, შემიწყვილია,  
როდის მობრძანდი უფალო, რატო ვერ გაგიცნია.  
გმოოდა და არ გაქამე, შიშველ იყავ არ შეგმოსე.  
ტანი არ დაგიფარია,

გციოდა და არ გაგათბე, სახლში არ შევიყვანია,  
ნუ გამხდი საეშმაკოთა, სამოთხეს ჩამაბარია.  
ენა ეწოდა ცოდვილსა, არ ჰქონდა ცუარი წვალია.  
საიჭიოს აღსასრული იმდენად დიდი ვალია,  
ველარ ვიხმაროთ ხელები, არ გამოდგება ძალია,  
წანამკითხავნი<sup>2</sup> მოდიან, უქრთამოდ სამართალია,  
პეტრემ<sup>3</sup> დაკეტა სამოთხე, აღარსად გაჩნდა პავლია,  
ჩვენი ხმის გამგონებელმა იცოცხლოს დიდი ხანია.  
რაქიდან ილაპარაკოს ზაქარა საზანდარია“<sup>3</sup>.

ცოდვებისა და ავაზაკობის ბუდედ ქცეულ ქვეყანაში ვერ ეტევა სახალხო მთქმელი. მეორე ლექსში ზაქარია ერაძე

<sup>1</sup> პ. უმიკაშვილი. ხალხ. სიტყვ., გვ. 147.

<sup>2</sup> ბედის მწერლები (მთქმელის შენიშვნა).

<sup>3</sup> ფ. არქ. № 31665.

გვამცნობს, რომ ანგელოზებმა დაიბარეს „მირონცხებულები“, მაგრამ

„სულ არავინ არ გამოჩნდა, ქურდობენ და აკაცობენ, ნათესავს არ ზოგავენ, საქმე გვაქვს გაპირვებული“<sup>1</sup>.

ღმერთმა დასაჯა ბოროტება, შუადღე დაალამა:

„ეს რომ სოფლებმა გაიგეს, გვერთხნენ დედამიწასა.  
თუ შუადღე დაკვილამდა, ვაი ჩვენ ცოდვის კიბვასა“.

იქნებ მღვდელმა უშველოს ცოდვილებს, მაგრამ, მთქმელის გადმოცემით, „მღვდელი უარესი იყო, ქრთამებს არ ზოგავს სხვისასა“.

სოციალური ბოროტების ასე მკაცრად მხილება, სასულიერო ლექსში ჯანსაღი, კრიტიკული ტენდენციების შეტანა, სახალხო მთქმელების, განსაკუთრებით მესტვირეების დამსახურებად უნდა ჩაითვალოს.

## ნ. სასიმილო შაირები

ხალხური შაირი, როგორც ენარი, უმეტეს შემთხვევაში, ოთხსტრიქონიანი რითმიანი სასიმილო ლექსია, რომელიც გავრცელებულია სოფლისა და ქალაქის მოსახლეობის ფართო ფენებს შორის. ამასთან ერთად, შაირი შეიძლება იყოს ორ და ექვს სტრიქონიანიც. ეს განმარტება სავსებით შეეფარდება ქართული შაირების ბუნებას, რომელსაც რამდენიმე წლის წინათ საინტერესო მონოგრაფია ეძღვნა<sup>2</sup>.

მესტვირეთა რეპერტუარში შემავალი შაირების უმეტესობა არ ატარებს მესტვირულ ფორმას. უშუალო მითითება, რომ არ გვქონდეს, ფორმის მიხედვით, გაგვიძნელებოდა, ქვემოთ წარმოდგენილი შაირები მესტვირეთა რეპერტუარში შეგვე-

<sup>1</sup> ფ. არქ. № 31664.

<sup>2</sup> ალ. ლლონტი, ქართული შაირები. თბილისი, 1941 წ.

ტანა. მაგრამ ისიც შესაძლებელია დავუშვათ, რომ შაირი როგორც უძველესი ფორმა ხალხური პოეტური აზროვნებისა, მესტირეთა რეპერტუარში არსებობდა ადრევე, სანამ თვით დღეს ცნობილი მესტირული ლექსი მოიპოვებდა გაბატონებულ მდგომარეობას.

„შაირების შესასრულებლად უმთავრესად სიმებიანი ან ისეთი ჩასაბერი საკრავები იყო გამოყენებული, რომლებიც მუდამ ბერვას არ საჭიროებდნენ. ასეთი იყო სწორედ კიანური და სტვირი“<sup>1</sup>.

„აკაკის კრებულში“ მოთავსებულია ს. მერკვილაძის მიერ შეკრებილი 30-ზე მეტი „მესტირული საჯიბრო“ შაირი<sup>2</sup>. ამ შაირების თემატიკა მრავალფეროვანია. იგი შეიცავს საყოფაცხოვრებო მოტივებს, სოციალურ საკითხებს, სიყვარულისა და მეგობრობის თემას, სოფლების გაშაირებას, წუთისოფლისა და სიკვდილ-სიცოცხლის რაობას და სხვ. შაირების გამოგონებას და თქმას დახელოვნება სჭირდება:

„კავლელაშვილი ელია. შაირის გამოთქმელია,  
ჩაპკაცანის, ჩააჟკანებს, როგორც მწიროვლი მღვდელი“.

ან:

„შაირის თქმითა ვერ დამლი, ახლოს ნუ მომეკარები.  
წადი, სხვისაგან ისესხე, ადუ, მოძებნე კარები“.

შემდეგ:

„შაირებისა გამოთქმა შენთვის რა გასაჭირია“-ო,  
მიმართავს შემოქმედ მოშაირეს მოწინააღმდეგე.

აქვე შევნიშნავთ, რომ ს. მერკვილაძის მიერ ჩაწერილი „მესტირული საჯიბრო“ კითხვა-მიგების წესით კი არ არის შედგენილი, არამედ ნარევია მესტირეთა რეპერტუარში შემავალი შაირებისა, რომელთა შესაფერისად გამოყენება მესტირის ხელოვნებაზე იყო დამოკიდებული. მთქმელებისა-

<sup>1</sup> ალ. ლლონტი. ქართული შაირები. გვ. 105.

<sup>2</sup> „აკაკის კრებული“. 1897 წ. № IX. განყ. 111. გვ. 38—48.

თვის შაირი და ლექსი სხვადასხვა ოდენობაა, ისინი ერთმანეთს არ ჰფარავენ:

სამი სიტყვა გუშინ გითხარ, სამი ღღესა — გახდა ექვსი,  
შენთან ვერა გავყიდე რა, ვერც შაირი, ვერცა ლექსი“.

საყოფაცხოვრებო თემატიკიდან რძალ-დედამთილიანის მოტივის მესტვირულ შაირობაშიაც თავისი გამოხატულება უპოვნია:

„ეშმაკათა და ქაჭათა ჩამოვიარე გომზედა,  
რძალ-დედამთილი ჩხუბობდა ახლათ შედღვებილ დოზედა“.

ან:

„რძალმა აჯობა დედამთილს, თავი უხალა ქვაზედა,  
ქმარს მიუტანა ამბავი, გააგდებინა კარზედა“.

მესტვირეები შაირებშიაც ჰკიცხავენ პურძვირობასა და სიძუნწეს:

„არასოდეს არ ცხონდება უშვილო და პურა-ძვირი“.

გმობენ გულცივ მასპინძელსაც:

„ალაზანი დიღია, შიგ ბებერი ჰკიღია,  
პური ვთხოვე. არ მაქამა, ჩემი ცოდო ჰკიღია“<sup>1</sup>.

მკაცრად აკრიტიკებენ უქნარა დიასახლისს, რომელსაც

„სახლი ვერ გამოუგვია, მურტალია ოჯახქორი,  
ისე გღია ნაცარშია, როგორც მენახშირის ჭორი“<sup>2</sup>.

წყევლიან ობლების უპატრონოდ „დამყრელებს“:

„დედა ობლების დამყრელი, კაცის მკვლელს ედარებოდა,  
უბეში უქდა გველები, ძუძუებს ეტანებოდა“<sup>3</sup>.

<sup>1</sup> ძვ. საქართველო, ტ. 111, გვ. 217.

<sup>2</sup> აკაკის კრებ. 1897 წ. № IV, № 28.

<sup>3</sup> იქვე.

კიცხვენ ზოგერთი ქალის წინდაუხედავ მოქმედებას:

„გადმოვიარე ალესა, ფერხისა ება ქალებსა,  
ქალებმა ცილი დაშწამეს, ქურდობა დამაბრალესა“<sup>1</sup>.

მესტვირულ შაირებში ყურადღება გამახვილებულია სოცი-  
ალურ საკითხებზე:

„რა ვუთხრა ციციანთ სუფრას, თარხანიანთ გალობასა!  
რა გინდ სამართლით მოექცე, ნუ მოელი წყალობასა“<sup>2</sup>.

ცნობილი აფორიზმი:

„ათასად გვარი დაფასდა, ათიათასად ზრდილობა.  
თუ კაცი თავთ არ ვარგა, ცუდია გვარიშვილობა“<sup>3</sup>,

მესტვირულ შაირში ასეთი სახით შესულა:

„კაცი თუ ვარგა, ჭილაგი ნეტა რა საქებარია?  
თუ თვით არ ვარგა,—სუყველა ფუჭი და საცინარია“<sup>4</sup>.

მკვეთრად არის ხაზგასმული ძმობა-ერთობის იდეაზე:

„ბიჭნო. ყველასგან დევნილნო! ძმა-ძმას რად უწყევთ მტრობასო?  
ისა სკობს მხარი-მხარს მიკეთ. უფრო შეშენის ძმობასო“<sup>4</sup>.

ან:

„ვაი, ღედი ჩემის ღმერთსა, ხმა აგვირია ხველამა.  
ერთმანეთი შეგვაძულა სხვადასხვა მტრების ენამა“<sup>5</sup>.

მესტვირულ შაირებში თავისებური გამოხატულება უპოვნია  
სიკვდილ-სიცოცხლის პრობლემას:

„შენ სატიალო სიკვდილო, როდის მოგეცი პირობა?  
ცხენ ფრენით ჩამომირბინე, სულ დამიკარგე ზრდილობა...  
შენზე ქრთამი ვერ გავყიდე, ვერც დიდი კაცის შეილობა!“<sup>6</sup>

<sup>1</sup> ძვ. საქართველო, ტ. 111, გვ. 217.

<sup>2</sup> აკაკის კრება, 1897 წ. № IV, მესტვირული საჭიბრა, № 15.

<sup>3</sup> იქვე, № 38.

<sup>4</sup> იქვე, № 24.

<sup>5</sup> იქვე, № 37.

<sup>6</sup> იქვე, № 34.

ასევე:

„ამ ტიპლ წუთისოფელში. ბევრი ამბები ყოფილა —

ყველას ჰკლავს თითო რამ სევდა, ვინც კი ამ ქვეყნად შობილა“<sup>1</sup>.

ქართულ ფოლკლორში ცნობილია სოფლების გაშაირება, უფრო მეტად, უარყოფითი მხარეების ჩვენებით. მესტვირეთა რეპერტუარში შემავალი შაირების ერთი ნაწილი ამ საკითხს ეხება, მაგალითად:

„ეს რუისი რუისია, ანას იქით რუებია,  
შენისთანა მოშაირე ბევრი გამიბრუებია“<sup>2</sup>.

ან:

„ჩამოვიარე დირბია, სოფელი ვნახე დიღია. .  
ქერიე-ოხრის მოსაშველებლად არა სცოდნიათ რიღია“<sup>3</sup>.

ამ შემთხვევაში სოფლების დასახელება თავიანთი დამახასიათებელი ნიშნებით პარალელიზმის წარმოქმნის საშუალებაც არის.

„ძველი საქართველოს“ III ტომში მოთავსებულია თედო რაზიკაშვილის მიერ ქართლში შეკრებილი მესტვირული ლექსები და შაირები. აღნიშნულ ქართლურ შაირებში მეტად საგრძნობია მესტვირული ფორმა და უნდა ვივარაუდოთ, რომ მათი უმეტესი ნაწილი თვით მესტვირეთა წრეშია შექმნილი. მაგალითად, უდაოდ მესტვირის კუთვნილებაა შემდეგი სახის შაირები:

„ეს ჩვენი ბიჭი ზაქარა, თქვენი მიწა და მტვერია,  
გუშინა გორსა ვიახლა, შეაქყვიტინა სტვირია,  
ქალი ბევრი ათამაშა მარიკელა და თინია“<sup>4</sup>.

ან:

„წმინდა გიორგის კარებზედ დავალუღუნე სტვირია,  
ბევრი ქალი ვათამაშე, მარიამი და თინია“<sup>5</sup>.

<sup>1</sup> აკაიის კრ., № 30.

<sup>2</sup> აკაიის კრებული, 1897 წ., № IV, 6.

<sup>3</sup> იქვე, № 7.

<sup>4</sup> იქვე, № 8.

<sup>5</sup> ძვ. საქართველო, ტ. III., გვ. 148. № 1009.

მესტვირულ შაირებში წინ წამოწეულია სახოტბო და სატრფიალო თემატიკა. სახოტბო შაირებია:

„შენი გამჩენის კირიმე, რომ გილილინებს ყელია,  
ბეკები არსენას გოგავ. შენ რას დაგაკლებს მტერია“<sup>1</sup>.

ან:

„ოი შენ კი გენაცვალე, შენი დავარცხნილი თმისა.  
წვერ-ულვაში გამოგსვლია, ჭერ არა ხარ ოცი წლისა“<sup>2</sup>.

კიდევ:

„თქვენი კირიმე, ბიკებო, რომ გილილინებთ ყელია,  
მრავალი მოგიკამიათ ჭერ კალო მერე რთველია“<sup>3</sup>.

სატრფიალო შაირებიდან აღსანიშნავია:

„ჩემო მტერო, ჩემო მკვლელო, ჩემო კარის მებობელო!  
შენ რომ ცეცხლი მომიკიდე, ნეტა როდის მოვინელო“<sup>4</sup>.

ან:

„ეს სოფელი შამკობილა, გარეშემო ვარდებითა.  
აქ რომ ერთი გოგო არის, ვკვდები იმის ღარდებითა“<sup>5</sup>.

კიდევ:

„სულ ერთიან დავიარე კახეთი და კარდანახი.  
ვენაცვალე მეუფესა, შენ რომ თვალთ დაგინახი“<sup>6</sup>.

ზოგჯერ შაირებში მესტვირევებს ჩაუქსოვიათ მათი ტრადიციონისათვის დამახასიათებელი მომენტებიც, მაგალითად:

„შენი კირიმე შენია, ჯიბეს გაიკარ ხელია,  
ან ამოიღე აბაზი, ან უზალთუნი კრელია“<sup>7</sup>.

---

<sup>1</sup> ძვ. საქართველო, ტ. 111, გვ. 147, № 999.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 147, № 1007.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 147, № 1003.

<sup>4</sup> აკ. კრებ. 1897 წ., № 14, № 21.

<sup>5</sup> ფ. არქ. № 32025.

<sup>6</sup> ძვ. საქართველო, ტ. 111, გვ. 148, № 1015.

<sup>7</sup> იქვე, № 1010.



ან:

„ახალი გათათრებული თავზე წაიკრავ ტილოსა,  
ნამუსიანი კაცი ხარ, დაგვალევინებ ღვინოსა“<sup>1</sup>.

კიდეც:

„ოი, შენი კირიმეო, ყელი გამომიკიბეო,  
შენი ვერცხლის ქამარი წელზე შემომიკიბიერეო“<sup>2</sup>.

მესტვირულ ტრადიციასთან დაკავშირებული შაირები უშუალოდ მესტვირეთა წრეშია შექმნილი, ასეთია კიდეც, მაგალითად:

„აღომელო საზანდარო, ბედი ახსენე ღვთისაო,  
ან მაგ ქამანჩას დაუეარ. ან მაგ პატარა სტვირსაო“<sup>3</sup>.

ან:

„საზანდარო, საზანდარო, შენ პლუტო და აზარქალო,  
ვერ მითხარი კარგი ლექსი, „არ შოვიდა თავსა ქალო“<sup>4</sup>.

კიდეც:

„ზედა ველზედ ვიყავი, მგელი მომიხდა, კვიოდი.  
სად იყავ ჩემო ქამანჩავ, შე რომ ბატონთან ვჩიოდი“<sup>5</sup>.

სოფ. წინამძღვარიანთქარის მესტვირე ვასო გულბათაშვილის რეპერტუარში საბჭოთა სინამდვილის ამსახველ შაირებს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. მან სტვირზე დაამღერა:

„არაგვი აღიდებულა და შეერევა მტკვარშია,  
დახედე ჩვენსა ზაქესსა, როგორ ჩავვიდგა გზაშია,  
ქარხნები აგვიმუშავა, სინსთლეს გვაძლევს თვალშია“<sup>6</sup>.

ყველა ზემოაღნიშნულიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ მესტვირეთა რეპერტუარში შემავალი შაირების თემატიკა იყო მრავალფეროვანი. მესტვირული შაირები შეიძლება ორ ჯგუფ-

<sup>1</sup> იქვე. № 1014.

<sup>2</sup> ძვ. საქართველო, ტ. 111. გვ. 148. № 1004.

<sup>3</sup> ფშაური ლექსები, ტფილისი, 1887 წ. გვ. 19.

<sup>4</sup> პ. უმიკაშვილი, ხალხური სიტყვიერება, გვ. 268.

<sup>5</sup> იქვე. გვ. 268.

<sup>6</sup> ფ. არქ. № 32022.

ფად გავყოთ: 1. შაირები, რომლებიც მესტირეთა წრეშია შექმნილი და მესტირულ ტრადიციასთან არის შესისხლხორცებული; 2. შაირები, რომლებიც მესტირეების მიერ მესტირულ რეპერტუარშია შეტანილი სხვა შემსრულებელთა რეპერტუარიდან.

## 6. საბჭოთა თემატიკა მესტირულ პოეზიაში

„ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ დასაბამი მისცა ახალ ერას კაცობრიობის ისტორიაში — პროლეტარული რევოლუციების ერას“<sup>1</sup>. მან ძირფესვიანი გარდატეხა მოახდინა არა მარტო ქვეყნის ეკონომიურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში, არამედ სულიერ სფეროშიაც. სოციალისტური საზოგადოების შექმნამ ახლებურად წარმართა ზეპირსიტყვიერების განვითარება. განთავისუფლებულმა ხალხებმა შექმნეს შესანიშნავი ლექსები და სიმღერები ახალ ყოფაზე, ამ ყოფის შემქმნელ ადამიანებზე — **ლ ე ნ ი ნ ზ ე და ს ტ ა ლ ი ნ ზ ე**. „დღეს მკითხველი საზოგადოება იცნობს არა ერთ და ორ ისეთ ზეპირსიტყვიერ შედეგს, რომლის სრულფარდოვანი პარალელის მონახვა მწერლობაში არც ისე ადვილია“<sup>2</sup>.

ქართულ საბჭოთა ზეპირსიტყვიერების შექმნაში გარკვეული წვლილი მესტირეებმაც შეიტანეს. თავიანთი უკანასკნელი სიტყვა მათ სტალინურ ეპოქას უძღვნეს. ცნობილია, რომ XX საუკუნისათვის მესტირული პოეზიის ტრადიცია საქართველოში შესუსტდა. ამჟამად რამდენიმე მოხუცი მესტირე განაგრძობს ამ ხელოვნებას. მუსიკით დაინტერესებული ახალგაზრდები სკოლებში სწავლობენ. ბედნიერ საბჭოთა ახალგაზრდებს უკვე დიდი ხანია აცდათ თავიანთი მამების მწარე ბედი. ზაქარია ერაძეს, რომელსაც მრავალი მესტირე გამოუზრდია, ამჟამად არავენ ჰყავს შეგირდად. მოხუცი ამ

1. საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორია (მოკლე კურსი). გვ. 400.

2. მ. ი. ხ. ჩ. ი. კ. ვ. ა. ნ. ი, თანამედროვე ზეპირსიტყვიერების ზოგიერთი საკითხი, „ლიტერატურული ძიებანი“. ტ. VII. გვ. 269.

პდგომარეობით უკმაყოფილო როდია. ის შესანიშნავად გრძნობს იმ კულტურულ რევოლუციას, რომელიც საბჭოთა ქვეყანაში მოხდა. მესტირეები საუკუნეების ჯანმავლობაში ეძებდნენ მეორე ამირანს, ახალ პრომეთეს, რომელიც მოკლავდა მზის მიმტაცებელ გველვეშაპს და თავისუფლების ცეცხლს მოუტანდა მშრომელ ხალხს.

ხალხის ეს ოცნება დიდმა ოქტომბერმა, კომუნისტურმა პარტიამ რეალურ სინამდვილედ აქცია.

მოხუცი მესტირეების ყველაზე საუკეთესო სურვილები დიდი ბელადისადმია მიძღვნილი.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მესტირეები ტრადიციული ფორმით გადმოგვცემენ ახალ ყოფას. ამიტომ ხშირად არქაულად ჟღერს სოციალისტური სინამდვილის ამსახველი ზოგიერთი მესტირული სტრიქონი, მაგრამ იგი განუზომელი გულწრფელობითა და უშუალო გრძნობით არის ნათქვამი.

85 წელს მიღწეული ზაქარია ერადე თავის სულიერ განცდებს ასე გადმოგვცემს:

„ამ დალოცილმა ბელადმა,  
კარგი საქმე მოგვიყვანა,  
გადაადო ბატონ-ყმობა,  
გააერთა მიწა-წყალი,  
ყარგი გზები გაიყვანა...  
მოდის სწავლა-განათლება  
ხალხმა მითი გაიხარა“<sup>1</sup>.

რამდენი სიტბო, სიყვარული და გულწრფელი გრძნობებია ჩაქსოვილი მოხუცი მესტირის სიტყვებში:

„როდის ვნახავ ს ტ ა ლ ი ნ ს ა,  
მისი ნახვით გამახარა,  
მოკითხვას უთვლის ბელადსა,  
ჩვენი მესტირე ზაქარა“<sup>2</sup>.

<sup>1</sup> ფ. არქ. № 31655.

<sup>2</sup> იქვე.

მრავალ ჭირნახული მესტვირისათვის ყველაზე ახლობელი და მშობლიური სტალინის სახეა, რომლის გმირულ საქმიანობას ვერ შეედრება ვერც ერთი ზღაპრული გმირის თავგადასავალი.

ჩვენი ქვეყნის დიდი სამამულო ომი ფაშისტური გერმანიისა და იმპერიალისტური იაპონიის წინააღმდეგ... „იყო უსასტიკესი და უმძიმესი ყველა ომთაგან, რომელიც ოდესმე გადაუტანია ჩვენს სამშობლოს თავის ისტორიაში“<sup>1</sup>. ეს ომი იყო აგრეთვე ხალხის მთელი ძალების გამოცდისა და შემოწმების დიდი სკოლა. საბჭოთა ადამიანებმა ომისდროინდელი გამოცდა ბრწყინვალედ ჩააბარეს და დიდი სტალინის გენიალური მხედართმთავრობით მსოფლიო-ისტორიული გამარჯვება მოიპოვეს.

სამამულო ომის თემატიკამ ქართულ ფოლკლორში მკვეთრი გამოხატულება პოვა. ამაშიაც მესტვირეებმა თავიანთი წვლილი შეიტანეს. ზაქარია ერაძე და ლუკა ტოგონიძე ომის დროს, სპეციალურად მიუწვევიათ ქუთაისის ქართულ დივიზიაში სტვირის დამკვრელებად, ისინი აქ ოც დღეს დარჩენილან<sup>2</sup>.

პატრიოტული სულისკვეთებით გამსჭვალული მოხუცი მესტვირეები დიდი სამამულო ომის დროს სოფლიდან სოფელში, კუთხიდან კუთხეში, ერთი ქალაქიდან მეორე ქალაქში დადიოდნენ და მღეროდნენ სამშობლოსა და ბელადისადმი უსაზღვრო სიყვარულით გამსჭვალულ ლექსებს. განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ზაქარიასა და ლუკას მიერ შექმნილი მესტვირული ქება დიდ ბელადზე. ეს ქება კითხვა-პასუხის ფორმით არის შეთხზული; ეს კი ხელს უწყობს სიმღერის შესრულებაში ორივე მესტვირის მონაწილეობას:

---

<sup>1</sup> ი. ბ. სტალინი, სიტყვა ქალაქ მოსკოვის ამომრჩეველთა კრებაზე, 9 თებერვალი, 1946 წ. გვ. 7.

<sup>2</sup> ფ. არქ. № 31670.

ლ უ კ ა :

გორში დაბადებულია, მითომ არის ქართლი ჩემობს,  
მთელი ქვეყნის შვილი არი, მის სიდიდეს კერვინ დარობს.

ზ ა ქ ა რ ი ა :

— ეგ ხომ ჩვენი ს ტ ა ლ ი ნ ი ა, დილის მზესავით ანთია,  
მისი შემყურე თვალები უნდა გქონდეს მუდამ ღია.

ლ უ კ ა :

— წითელ ქალაქს, იმ დიდ ქალაქს, ურდო კარებს რო მოადგა  
ყველაზე დიდი ვაჟკაცი სკამიდანაც კი არ ადგა.

ზ ა ქ ა რ ი ა :

— ეგეც ხო ბელადი არი, შიშობისაგან შორე მდგარი.  
მოსკოვს სცივოდა ტყვიები, იმან მიუშვირა მხარი.

ლ უ კ ა :

— ბოროტ მდევს ჩასცა მახვოლი, ხალხის ჩაყლაპვის მდომელსა,  
მდევი წაიქცა, მებრძოლი ქვე დოუბრუნდა მშობელსა.

ზ ა ქ ა რ ი ა :

— ომი მოვიგეთ, ჰიტლერი აფართხალებდა ფეხებსა,  
არხევდა ჩვენი არმია ბერლინში წითელ დროშებსა.

ლ უ კ ა :

— ვიმღეროთ სოფლათ, ქალაქათ, დავალებოთ ჩვენი გულები

ზ ა ქ ა რ ი ა :

— ქოხით სიმღერა გამოდის შინ ჩამოსული ბიჭისა,  
ღედმამას ჰკოცნის, შესძახის: აწი აღარა გვიქირს რა!

ო რ ი ვ ე რ თ ა დ :

დავბერდით ზაქრო და ლუკა. თავზე დაგვადგა სითეთრე,  
ბელადის ქებას არ მოვშლით ის არის ქვეყნის სიკეთე...  
დავლიოთ, დავთვრეთ, რა უყოთ!.. დასცალეთ, ყანწი არ იდგმის,  
ულეინოთ ქება ვაჟკაცის ქართულ სუფრაზე არ ითქმის,  
სანამ პერანგი გვეზიდნოს, გვებეროს გუდის ყელშია,  
მშრომელთა ხალხის სიკეთე დიდი ბელადის ხელშია.

სიღნაღში მცხოვრები მოხუცი მესტვირე ივ. ბურდილაძე  
უმღერის განახლებულ კახეთს. მოწიწებით აქებს და ადიდებს

დიდ სტალინს. განსაკუთრებით საინტერესოა ბურდილაძის ერთი იუმორისტული ლექსი, სადაც ლაპარაკია ვერაჯი ჰიტლერის გაცრუებულ იმედებზე.

მესტირული პოეზია თავიდანვე ჯანსაღ და ოპტიმისტურ განწყობილებას ქადაგებდა მშრომელ მასებში. თავისი მებრძოლი იდეები მან ხალხის სამსახურში დააყენა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგაც.

## თ ა ვ ი IV

### არსენას ლექსი

სახალხო პოემა „არსენა“ მესტვირული პოეზიის კლასიკური ნიმუშია. სოციალური ბოროტების წინააღმდეგ მებრძოლმა მესტვირეებმა ამ პოემის შექმნით ერთგვარად შეაჯამეს მრავალსაუკუნოვანი მესტვირული პოეზიის ყველა საკვანძო საკითხი. ეს ჭეშმარიტად ხალხური ეპოსი იმგვარად ითქვა, რომ საქართველოს მშრომელი მასებისათვის მარაბდელი გმირის თავგადასავალი ყველაზე ახლობელი, მიმზიდველი და მისაბაძი გახდა.

არსენას ლექსში გამოხატულება პოვა მესტვირული პოეზიის საუკეთესო ტრადიციებმა. მისთვის დამახასიათებელია: კლასობრივი უთანასწორობის მკვეთრი ჩვენება, სიუჟეტის სიმძაფრე და სიმკვეთრე, დახვეწილი სტილი, მესტვირეთათვის დამახასიათებელი სტერეოტიპული თქმები, მაღალპოეტური შედარებები, აფორიზმები და სხვ.

არსენას ლექსის გამოცემებს (დღემდე მისი 60-ზე მეტი გამოცემა არსებობს)<sup>1</sup> ხალხი იტაცებდა, ზეპირად სწავლობდა, მღეროდა, ხელიდან-ხელში გადადიოდა, არსენობას ნატრობდა.

---

<sup>1</sup> განზრახულა გვაქვს არსენას ცხოვრება-მოღვაწეობას, „არსენას ლექსის“ გამოცემათა საკითხს, არსენას სახეს მე-19 საუკუნის ქართულ ლიტერატურაში (ილია, აკაკი. ყაზბეგი) ცალკე ნაშრომი ვუძღვნათ.

„თუ იაკობ გოგებაშვილის „დედა-ენამ“ ხალხს წერა-კითხვა ასწავლა, არსენას ლექსმა ამავე ხალხს წიგნის კითხვა შეაყვარა“<sup>1</sup>.

## 1. არსენას ლექსის შედგენილობა

„არსენას ლექსის“ პირველი ბეჭდური გამოცემა 1872 წელს გამოვიდა. გამომცემელ ნ. ყიფიანს გამზადებული ტექსტი, რომელიც სხვადასხვა ვარიანტიდან იყო შედგენილი, პ. უმიკაშვილმა მიაწოდა.

არსებობს ცნობა, რომ „არსენას ლექსის“ ყველაზე ადრინდელი ხელნაწერი ვარიანტი, თუმცა არა მთლიანად. მოთავსებული იყო თბილისის პირველი გიმნაზიის მოსწავლეთა ხელნაწერ ჟურნალ „კოკორში“ 1869 წელს. ამ ჟურნალის რედაქტორი ყოფილა გიორგი თუმანიშვილი<sup>2</sup>.

„არსენას ლექსის“ მრავალ ვარიანტად არსებობაზე მიგვითითებს ნ. ყიფიანის შემდეგი ცნობა: „არსენას ლექსი“, რომელსაც ეხლა ხელმეორედ ვბეჭდავთ ახალი დამატებით, არის შედგენილი სხვადასხვა ვარიანტებიდან ისე, რომ ზოგი ადგილი არის მოყვანილი ერთი ვარიანტიდან, ზოგი მეორედამ და ზოგი მესამედამ. ნამეტანი ნაწილი ვარიანტებისა მე მივიღე უფ. პეტ. უმიკაშვილისაგან“<sup>3</sup>.

ამავე საკითხზე პროფ. ს. ხუნდაძე წერდა: „ცნობებიდან ჩანს, რომ გავრცელებული ყოფილა, როგორც მესტიერეს შეთხზული სხვადასხვა ვარიანტები, აგრეთვე მთელი რიგი სახალხო ლექსებისა... ჩვენში ცნობილი და გავრცელებული „არსენას ლექსი“ არ არის სავსებით მესტიერული, მასში ცვლილება შეუტანია „შემდგენელს“ და გამომცემს პ. უმიკაშვილს, ცვლილების შეტანა ცენზურის მხრივაც დასჭირებია გამომცემს... შე-

<sup>1</sup> ქართული წიგნი, ტ. 1, გვ. XX. თბ. 1941 წ.

<sup>2</sup> არსენას ცხოვრება, თბილისი, 1941 წ. გვ. 72-73.

<sup>3</sup> „არსენას ლექსი“. 1 გამოც. 1872 წლის აპრილი. თბილისი, ნ. ყიფიანის წინასიტყვაობა.



საძლო არის შემდგემა კვლევამ და ვარიანტების აღმოჩენამ (ჩემის აზრით ვარიანტები უნდა ინახებოდეს პ. უმიკაშვილის არქივში) აღნიშნული „დედანი“ აღმოაჩინოს მესტვირულის ლექსისა და ამით აღდგენილ იქნეს ცენზურის მიერ დამახინჯებული ადგილი“<sup>1</sup>. სამწუხაროდ, პ. უმიკაშვილის არქივში არ აღმოჩნდა ეს დედანი. ამის შესახებ ფ. გოგიჩაიშვილი გვაუწყებს: „მისი (პ. უმიკაშვილის — ა. ც.) მასალებიდან „არსენას ლექსის“ 17 ვარიანტმა მოაღწია ჩემამდე, მათში ზოგი თვითონ პ. უმიკაშვილის ხელითაა დაწერილი, მაგრამ არ არის ის დედანი, რომელიც მან ვარიანტებიდან შეადგინა და საიდანაც პირველი გამოცემა დაიბეჭდა (პირველი — მის მიერ შედგენილი ტექსტის გამოცემა; ხოლო მანამდე, სახელდობრ 1872 წელს. ნიკ. ყიფიანმა გამოსცა პ. უმიკაშვილისაგან მიღებული მასალების საფუძველზე „არსენას ლექსი“ ორჯერ)“<sup>2</sup>.

მაშასადამე, ჩვენთვის დღეს ცნობილი „არსენას ლექსი“ შედგენილია უმეტესად მესტვირულისა და უფრო ნაკლებად სახალხო ლექსებისაგან, რომლის დედანი ჯერჯერობით უცნობია. აქედან ცხადია, „არსენას ლექსი“ ერთი რომელიმე მესტვირის კუთვნილება კი არ არის, არამედ იგი ციკლიზებული პოემაა, რომელიც მთლიანი სახით, სიუჟეტურად გამართული, თავიდანვე არ არსებობდა. თვით პოემის ანალიზი ცხადყოფს იმას, რომ „არსენას ლექსში“ ამბავთა სიუჟეტური განვითარება ერთმანეთთან ორგანულად არ არის დაკავშირებული და, ამდენად, აშკარად იგრძნობა შემდგენელის ხელი. მაგალითად:

1. ზაალ ბარათაშვილს არსენა სთხოვს გოგოს:

— „გოგო მე მომე, ბატონო, შენ კი არა წაგიხდება“<sup>1</sup>  
რა რომ შინიღან გავიდა, ბარათაშვილს გადემტერა“<sup>2</sup>.

<sup>1</sup> ს. ხუნდაძე. ნარკვევები. 1941 წ. გვ. 93-94, „არსენას ტიპი ქართულ მწერლობაში“.

<sup>2</sup> პ. უმიკაშვილი. ხალხური სიტყვიერება, 1937 წ. გვ. 555.

<sup>3</sup> არსენა და კაკო ყაჩაღი, პ. კეშელავას რედაქციით, 1939 წ. გვ. 45-46. (ქვემოთ ნაჩვენები იქნება გამოცემის გვერდები).

ამის შემდეგ ე. ი. „რა რომ შინიღგან გავიდა, ბარათაშვილს გადემტერა“, არსენას დიალოგი ბატონთან გრძელდება, რაც შეუსაბამობას ქმნის. აი, ეს დიალოგი:

— „ეს არაენა რა გაგვობდა. რა არის მაგისტანაო!

ბიკო არსენავ, რა მიყავ, ყმა იყავ მაგისტანაო!“

— მოგიტან თორმეტ თუმანსა, მოგიტოვლი ჩქარა-ჩქარაო“.

ეს რომ ზაალმა გაიგო, წარბი არ შეიხარაო;

— „თორმეტი აღარ მიგდია ბიჭები შენისთანაო?!“

— აბა თუ თორმეტიცა გყავს, — ადევ და მომყე თანაო“

2. არსენას ებრაელებთან შეხვედრის ამბავი პოემაში გადმოცემულია ორ ვარიანტად, ეს ვარიანტებია:

ა. „აღმასის წყალზე ურიებს აწვევლინა ბედის წერა-

გამოართვა ხახაშს ადლი, ოთხს კისერში ჩაადებსა,

— თუ კარგ ადათს არ დიქერთ, გაგწყდომიათ ხენა და თესვა,

ძალათ გაქმვეთ ღორის ხორცსა, კეფაზე დაგასხამთ წვენსა,

თუ ამას არ დამჭერდებით, ქართულად დაგპარსავთ წვერსა,

ქერივსა და ობლებს ატყუებთ, ნამეტნავათ პატარძლებსა!

მათი ადლი რომა ნახა, არსენას არ დაუჭდესა,

გატეხა და გადაადლო, — ფუ. გამქელი გაუწყდესა!

შინდის ცოხი გამოუქრა, რომელიც რომ გრძელი თქვესა;

შვიდი მტკავლით გაუზომა: მისხალი არ დააკლდესა!

თუ ამით არ გაყიდეთ. ვაი დელითქვენის ღმერთსა!

საცა რომ შემოგეყრებით, სუყველას გამოგჭრით ყელსა.

იმ საწყალმა ურიებმა სულ კანკალი დაიწყესა:

— „ჩვენ რომ ამითი გაყვიდით. რაღა დახლი დაგვიდგესა?

ისევ ჩვენი ფართალი ამ ჩვენ დუქნებში დაღუესა.

არსენა რომ დაიბადა, ჩვენი საქმე სულ წახლეა“ (გვ. 50, 51.).

თითქოს აქ დასრულდა ერთი სიუჟეტური რკალის გადმოცემა, მაგრამ ამას მოულოდნელად მოსდევს არსენას ანგარიშის გასწორება სხვა სახით:

ბ. — „საახალზე მომყიდეთ იმ თქვენი დედ-მამის მზესა“,

(ეს არსენა ეუბნება შეშინებულ ურიებსა.)<sup>1</sup>

<sup>1</sup> ეს სტრიქონი გამოცემლის (პ. კეშელავას) მიერ არის შეტანილი, რათა ორი განსხვავებული ვარიანტი შინაარსობრივად დაუწყვეტიროს ერთმანეთს, მაგრამ ამგვარი კავშირი წინააღმდეგობას ეერ ხსნის.

არა ღირდა ორ მანეთად ერთ თუმნად დააფასესა.  
მაშინ ჩვენი არსენაი თითო მუშტებს წაადებსა.  
დახედე, საახალუხეს სულ ტყვილადაც წაართმევსა.  
კიდევ იმათ ეუბნება: თქვენ ჯიბეში ფული ძევსა:  
ურიავ, ფულები მაშე, ვიცი საგძლად მაშინდესა!“..  
ამოიღეს და გადუგდეს თუთხმეტი თუმნის ოდენა.  
ხუთი თუმანი აიღო ათი უკან გაადევნა.

— ოღონდ დაგვეხსენ, არსენავ, გამოვაცხოვოთ სეფისკვერსა,  
ქართულად დავინათლებით, კარგა დავიპარსავთ. წვერსა,  
ძალათა ვკამთ ღორის ხორცსა, ზედ თავზე დავისხამთ წვენსა“.

(გვ. 51, 52).

უკანასკნელი, „ბ“ ვარიანტი არ არის „ა“ ვარიანტის ლოგიკური განვითარება, რადგან მოულოდნელია ლექსი „საახალუხე მომყიდეთ იმ თქვენი დედ-მამის მზესა“, ხოლო მით უფრო მოულოდნელია ვაჭრების მიერ საახალუხეს ათ მანეთად დაფასება:

აქ ჩვენ საქმე გვაქვს ერთი სიუჟეტური რკალის ორ ვარიანტად გადმოცემასთან. ხალხში, არსენას ებრაელებთან შეხვედრის ამბავი არსებობდა როგორც „ა“, ისე „ბ“ ვარიანტის სახით, შემდგენელმა ეს ორი ვარიანტი ერთმანეთთან მექანიკურად შეაერთა.

3. ფარსადანი არსენას უღალატებს. შეპყრობილი არსენა მოღალატეს ეუბნება:

— „ნათლიმამავ, ნუ მღალატობ. ნუ ჩამაგდებ მტრების ხელსა, ათასწილად სიკვდილი სჯობს იმათ ხელში განსაცდელსა! მე მღალატობ, ნათლიმამავ? იქ რას ეტყვი მადლა ღმერთსა? ჩემს მაგიერ სამართალსა ღვთისმშობელი გაგიჩენსა“.

აქ, თითქოს, დასრულდა ამბის განვითარების ერთი რკალი, მაგრამ ქვემოთ კვლავ მეორდება:

— „ნუ მღალატობ. ფარსადანო, ნუ ჩამაგდებ მტრების ხელსა, ორას თუმანს აქ გაჩუქებ, სამას თუმანს გომარეთსა. ფარსადანს ასე ეგონა: ჩინს მომცემენ ტემლაკებსა“.

(გვ. 56)

აქაც ერთი ამბავი ორ ვარიანტად არის გადმოცემული; პირველ შემთხვევაში მთქმელი ცდილობს ფარსადანზე რელიგიური გზით იმოქმედოს, მეორე შემთხვევაში კი — ფულის საშუალებით, ამ უკანასკნელში ფარსადანის ბუნებაც სწორადაა გაგებულნი. 1869 წლის „კოკორში“ მოთავსებულ „არსენას“ ვარიანტში ეს ადგილი ასეა გადმოცემული:

„ნათლიმამავ, რაზედ მალატობ შენი შვილის მომნათვლელსა.  
სამას თუმანს ვხლა მოგცემ, ორას თუმანს თრიალეთსა,  
თუ კიდევ შეგიკლდება. შეგისრულებ შეჭრუხვევსა.  
— შენი ფულები რათ მინდა, ჩინი ბევრი გამომივა  
დამკიდებენ ტეპლაკებსა“<sup>1</sup>.

4. ციხიდან გაქცეულ არსენას სჭირდება ცხენი. ერთი ვარიანტის მიხედვით გზაში სიძე-სიდედრს შეხვდება, არსენა მიმართავს სიდედრს:

— „თუ უკაცრავად არ ვიყო, დედი ჩამობრძანდი ცხენსა!  
მე ტყვე ვარ გამოპარული და ქვები ფეხებზე მატყენსა“.

(გვ. 63)

მეორე ვარიანტის მიხედვით:

„სამადლოს დუქანზე მივა, ფილიპეს ცხენს წაართმევსა.  
— თუ უკაცრავად არ ვიყო, მაგ ცხენზე აიღებ ხელსა.  
მე ტყვე ვარ გამოპარული და ქვები ფეხებზე მატყენსა“.

(გვ. 66)

ეს ორი სხვადასხვა ვარიანტი ძირითად ტექსტში შემდგენლის მიერ ხელოვნურად არის შეტანილი. „არსენას ლექსის“ ვარიანტებში ეს ორი მომენტი ერთად არ გვხვდება.

5. არსენამ მოლაღატე ნათლიმამას შეცოდება აპატივა:

„გამოუშვი ფარსადანი, არას ვერჩი ჰრადერსა...  
ფარსადანს მაინც არ მოვკლავ, თუ გინდ წინ დამიხედვსა“

(გვ. 69)

---

<sup>1</sup> არსენას ცხოვრება, 1941 წ., გვ. 77.

ამას მოულოდნელად მოსდევს მარტყოფის ხატობის ამბავი.

-ღეთაების მადლი გწყალობთ, მარტყოფის თავში სვენია,

იქ იყო მისი დღეობა, თითონაც გაიხელია,

სუმბათოვიც იქ მობრძანდა, ის ჩვენი ქალაქელია,

სუმბათოვსა და მაკაროვს თან შეეკაზმათ ცხენია...

რომ დაინახა არსენამ, პირჯვარი დაუწერია.

იმ სუმბათოვს ეუბნება:— ა, გამარჯობა შენია,

ქალაქში რომ შარს მიგდებდი, ახლა ხომ მოგასწარია!...

(გვ. 69, 70)

არსენა ერთს ხმალს წაართმევს, მეორეს კი „აპელატებზე  
ააღებინა ხელია“. ამას მოსდევს:

„ორი კვირა თონეთშია, ქეიფსა ბერსა სწევსა.

გამვლელსა და გამოძვლელსა სუყველას ღვინოს ასმევსა“

და ა. შ. (გვ. 71)

მარტყოფის ხატობის ამბავს არავითარი კავშირი არა აქვს  
არც წინარე და არც მომდევნო ამბავთან, ხოლო სტრიქონი —  
„ქალაქში რომ შარს მიგდებდი ახლა ხო მოგასწარია“ მიუ-  
თითებს იმაზე, რომ არსენას წინათ სუმბათოვ-მაკაროვთან  
კონფლიქტი ჰქონია, რომელიც პოემაში ნაჩვენები არ არის.  
ბტქმელიც მონაწილეობს აგრეთვე („თითონაც გაიხელია“),  
რაც სხვა ეპიზოდებში არ უკვხვდება. ეს მომენტიც „არსენას  
ლექსში“ შემდგენელის მიერ სხვა ვარიანტიდან შემოტანილად  
ჩანს.

6. არა ბუნებრივად არის ჩართული, არსენას მიერ სომეხი-  
სათვის ცხენის წართმევის ამბავი. შეშინებული ებრაელები  
ეხვეწებიან არსენას: ოლონდ ჩამოგვეხსენ და „ძალათა ვქამთ  
ლორის ხორცსა, ზედ თავზე დავისხამთ წვეენსა“-ო. ამას მოს-  
დევს სტრიქონები:

„გზას სომეხი მიდიოდა, არხეინად ნელა-ნელა!

არსენა რომ დაინახა, თავქვე ცხენი დააქენა,

წინიდან წამოურბინა:— საით მიბრძანდებით თქვენა?!“

-ეგ ქულაჯა გაიხადეთ, ეგ თეკა ჩაიცივით თქვენა.

ის ქულაჯა წამოისხა და ბეჭები დაიშვეენა.

ცხენი ჩრდილოში დააბა, თავათ იქვე მოისვენა“.

(გვ. 52, 53)

ქვემოთ კი სულ სხვა ამბავია მოთხრობილი: „ბრძანება შემოეთვალათ თბილისიდან უფროსებსა“ და სხვ.

7. „არსენას ლექსის“ ძირითადი ეპიზოდებიც არათანმიმდევრობით არის დალაგებული, შეიცავს შინაგან წინააღმდეგობას. მაგალითად, „შეურაცხყოფილი“ ზაალ ბარათაშვილი ქალაქში — გუბერნატორს აცნობებს:

— „გამივარდა ერთი ბიჭი, დამაქცია, დამანელა,  
ერთი კარგი გოგო მყავდა, წამართვა და გადმოიყენა,  
წამანდინა არსენამა... თუ რასმე მიშველით თქვენა“

(გვ. 47)

ამას მოსდევს ყაზახების მიერ არსენას შეპყრობის ცდა და ამ ცდის მარცხით დამთავრება. ეს ეპიზოდი გადმოცემული უნდა იყოს ზაალის წერილის საპასუხოდ გუბერნატორის მიერ გაცემული ბრძანების შემდეგ:

„ბრძანება შემოეთვალათ თბილისიდან უფროსებსა  
— ერთი კაცი აგრე ჩადის. ათასი რას შეიძლება?  
ასი ოქრო გაუჩინეთ, ვინც არსენას დაიქერსა“ და ა. შ.

(გვ. 53)

მაშასადამე, ზაალის წერილს უნდა მოსდევდეს თბილისში უფროსების მიერ გაცემული ბრძანება არსენას შეპყრობის შესახებ, ყაზახთა რაზმის მოქმედება და მისი დამარცხება. რაკი ყველა საშუალება არსენას წინააღმდეგ მარცხით დამთავრდა, ბუნებრივია:

— „ეს რომ ზაალმა გაიგო, ორთავ თვალთ შექნა ცრემლა.  
ნეტავი კაცი მანქენა იმ არსენას დამკვრელა.

ოქრო და ვერცხლი ვაჩუქო და ფულები ამოტელა“ (გვ. 49)

ამის შემდეგ კი მით უფრო ბუნებრივია არსენასთან მოლაპარაკება ნათლიმამის შეხვედრის ეპიზოდები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარეობს, რომ დღეს ჩვენთვის ცნობილი „არსენას ლექსი“ ერთ კომპოზიციურ მთლიანობას არ წარმოადგენს. იგი ციკლიზებულია. მიუხედავად ამისა, პოემაში მაინც ჩანს სიუჟეტის ძირითადი მაგისტრალური ხაზი.

ჩვენ პოემის ძირითად, ორგანულ და განუყრელ ნაწილად მიგვაჩნია ამბავთა შემდეგი განჯითარება: არსენას შეჭახება ზაალ ბარათაშვილთან და ქალის გატაცება, ზაალის წერილი გუბერნატორთან და გუბერნატორის ბრძანება არსენას შეპყრობის შესახებ. მღვეარი ყაზახების შეხვედრა არსენასთან და ყაზახების დამარცხება; ზაალის დაპირებანი და ფარსადანის მიერ არსენას მზაკვრულად შეპყრობა; არსენას ვაჟკაცობის შექება სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენელთა მიერ და არსენას ციხეში ყოფნა; ციხიდან გაქცევა და ფარსადანის დანაშაულის შენდობა; გიორგი კუჭატნელთან ბრძოლა და არსენას სიკვდილი.

მოდრავი სიუჟეტური ეპიზოდებია: არსენას შეხვედრა სომეხთან, ებრაელებთან, სიძე-სიდედერთახ, ფილიპესთან და მაკაროვ-სუმბათოვთან.

ზემოთ ჩვენ ვნახეთ, თუ რა წესით აწარმოებდნენ მესტერიები გარკვეულ თემაზე შექმნილი სხვადასხვა სახის ლექსების გადამუშავებას. ცნობილია, რომ დროთა ვითარებაში ხდებოდა ჟანრების ევოლუცია, „...სიუჟეტების ციკლიზაცია, მოკლე საგმირო სიმღერების გადაქცევა ეპიკურ პოემად“.<sup>1</sup> ეს ფოლკლორის ერთ-ერთი სპეციფიკური ნიშანია. არსენას ლექსითი ვერსიები ამის საუკეთესო დადასტურებას წარმოადგენს. ვფიქრობთ, რომ მსგავსი ვითარება უნდა გვქონდეს ამირანის, როსტომის, აბესალომ და ეთერის ლექსითი ვერსიების მიმართაც.

ჩვენს მიერ აღნიშნული წინააღმდეგობანი და დამატებითი ეპიზოდები ხელს არ უშლიან არსენას, როგორც ეპოქის დამახასიათებელი ტიპის მთლიანი სახით წარმოდგენას და გაგებას. ზოგჯერ პირიქით, ისინი ხელს უწყობენ უფრო ახლო გავეცნოთ სოციალური ბოროტების წინააღმდეგ მებრძოლი საყვარელი გმირის პიროვნებას.

---

<sup>1</sup> В. П р о н п, Специфика фольклора, Труды юбилейной научной сессии, Ленинград, 1946 г. стр. 157.

## 2. არსენას მხატვრული სახე

არსენა ისტორიული პიროვნება იყო. იგი ცხოვრობდა XIX საუკუნის 30-40-ან წლებში. ეს პერიოდი საქართველოს ისტორიაში ცნობილია გლეხთა მასობრივი მოძრაობის პერიოდად: 1804 წლის მთიულეთის, 1812 წლის კახეთის, 1819-1820 წლის იმერეთის, 1828-1829 წლის ქართლის, 1841 წლის გურიისა და სხვა გლეხთა აჯანყებანი, დროის ასეთ მცირე მონაკვეთში, მოწმობენ, თუ რაოდენ ჩაგვრასა და შევიწროებას განიცდიდნენ საქართველოს მშრომელი მასები. მებატონეთა მიერ გლეხთა აუტანელ ექსპლოატაციას ზედ ემატებოდა კოლონიური ჩაგვრა. გლეხთა უფლებები ფეხქვეშ იქნა გათელილი, 1807 წლიდან მათ აეკრძალათ ბატონზე სასამართლოში საჩივრის შეტანა, 1812 წლიდან ბატონებს უფლება მიეცათ ყმები ჯარისკაცად გაეგზავნათ ან გადაესახლებინათ ციმბირში, ხოლო 1841 წელს ოფიციალურად დაკანონდა ყმების გაროზგვა პატარა დანაშაულისათვის.

სწორედ იმ დროს, როდესაც გლეხები მძიმე ორმაგ ჩაგვრას განიცდიდნენ, მათ მოსარჩლედ ჩნდება მათივე წრიდან გამოსული არსენა ოძელაშვილი, რომლის სახეში გაერთიანდა ყველა კუთხის მშრომელთა საოცნებო თვისებები.

ნიჭიერმა მესტივირებმა და სახალხო მოღვაწეებმა „არსენას ლექსში“ ჩააქსოვეს მშრომელი ხალხის მწუხარება და სიხარული, სითამამე და ქედუხბრელობა, უძლეველობა და სილალე.

ქართულ ფოლკლორისტიკასა და ლიტერატურათმცოდნეობაში არსენას, როგორც სახალხო გმირისა და ტიპის, შესწავლის საკითხი ჯერჯერობით არ არის გადაწყვეტილი.<sup>1</sup>

<sup>1</sup> „არსენას ლექსის“ გარშემო ბევრი რამ დაიწერა, მათ შორის აღსანიშნავია: ს. ხუნდაძე „არსენას ტიპი ქართულ მწერლობაში“ („სოციალური ცხოვრება“, 1941 წ. თბილისი, გვ. 390—407); ვ. ბარნოვი, ქართული სიტყვიერების ისტორიის დაკვირვებები, რვეული პირველი, ტფილისი, 1919 წ. გვ. 46—50); А. Х а х а н о в, Очерки по истории грузинской словесности, выпуск первый, Москва, 1895 г., стр. 56-57; ს. მესხი, ნაწერები. ტ. 1, თბილისი, 1904 წ. გვ. 58-66; პ. კეშელავა, არსენას ლექსი და კოლონიალი, თბილისი, 1939 წ. გვ. 1—41; მ. ი. ხიქოვაძე, ქართული ფოლკ-



არსენა თავის ეპოქის დიდი სახალხო გმირია, მისი ბრძოლა სოციალური ბოროტების — ბატონ-ყმური წყობილების წინააღმდეგ მესტიერული „არსენას ლექსის“ მიხედვით, შეპირობებულია მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოს სოციალ-ეკონომიური და პოლიტიკური პირობებით. ამ პერიოდის გლეხთა გამოსვლებს ჯერ კიდევ სტიქიური ხასიათი ჰქონდა, მათ არ გააჩნდათ გარკვეული რევოლუციური პროგრამა.

საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებასთან ერთად, 70—80-იან წლებში, არსენას ვარიანტები უფრო პკვეთრ რევოლუციურ შინაარსს იღებს, მიუხედავად იმისა, რომ მესტიერულ ლექსში არსენას მოქმედება დამძიმებულია რელიგიური ჰუმანიზმის იდეებით, იგი მაინც მკვეთრად უპირისპირდება მაშინდელ გაბატონებულ საზოგადოებრივ ურთიერთობას, ბატონ-ყმური წყობილებას სიმახინჯეს.

პოემაში ამბის განვითარება მქაფრი დინამიკით მიმდინარეობს, ელვის სისწრაფით იცვლება სურათები.

მრისხანე მებატონე ზაალი უარს ეუბნება არსენას გოგოს მიცემაზე. არსენამ გაიტაცა თავის სატრფო, ზაალი იძულებული შეიქნა საქვეყნოდ გამოეცხადებინა „წამახდინა არსენამა“-ო.

შეურაცხყოფილი ბარათაშვილი, გუბერნატორის დახმარებით, ყაზახებს გზავნის არსენას შესაპყრობად. ყაზახებს გზაზე შეხვდებოთ არსენა. არსენამ ექვსს თოფები წაართვა, მიწით დაუტენა და შემდეგ კი „სულ ცხვრებივით გადმოდენა“, მაგრამ, სხვა მხრივ, არაფერი დაუშავებია მათთვის, სისხლი არ დაუღვრია. დამარცხებული ყაზახები ბატონს მოახსენებენ:

„უზარბაზნოდ არ იქნება თქვენი არსენას დაქერა,  
ან არის დევი. ლომ-გმირი, ან არის რკინის მკვნეტელა“.

უკიდურესობამდე მისულმა მებატონემ „ორთავ თვალთ

ლორი, წიგნი პირველი, თბილისი, 1998 წ., გვ. 17—21; მისივე, ქართული ხალხური სიტყვიერების ისტორია გვ. 184 და სხვ.

შექმნა ცრემლა, — ნეტავი კაცი მაჩვენა იმ არსენას დამკვერელა, ოქრო და ვერცხლი ვაჩუქო და ფულები ამოტელა“ (გვ. 49).

ოწყება ფარსადანის ბნელი საქმეები. ფარსადანი შეძლებულ გლეხთა წრიდანაა გამოსული, მისთვის საჭირო არ არის იმდენად ფული, რამდენადაც ჩინი — „ტემლაკები“ ან რაიმე სხვა სახის ჯილდო. „ფარსადანს ასე ეგონა ჩინს მომცემენ, ტემლაკებსაო“, — ამბობს მთქმელი. ფარსადანმა დაათრო შვილის ნათლია, იარაღაყრილი არსენა თორმეტმა მეცხვარემ ძლივს დაიმორჩილა. პოემაში მაღალი პოეტური ოსტატობით არის გადმოცემული არსენას ქალაქში „ჩამოტარების“ სცენა. ქართველები, რუსები, ოსები, სომხები აქებენ და აღიბებენ მათ საყვარელ გმირს. უფროსის წინაშე არსენა ამაყად აცხადებს:

„მართალია გავარდნილი დავდიოდი მშვიტ ველა.

მაგრამ მდიდარს თუ ვართმევდი, მიყვარდა ღარიბის კმევა“ (გვ. 59).

საციმბიროდ განწესებული არსენა სირაჯებმა და მიკიტნებმა გადაარჩინეს. თითქოს დადგა მოღალატე ფარსადანის უკანასკნელი დღე, მაგრამ არსენა მოქმედებს გარკვეული პრინციპით, რომელიც გამორიცხავს სისხლის დაღვრას:

— „თხუთმეტ წელს ყაჩაღა ვარ, კაცის ცოდვა არა მძევსა, ახლა მოვკლა ნათლიამა, ბოლოს სული წამიწყდესა“.

ამბობს არსენა და შემდეგ კი მიმართავს ნათლიდელას:

— „გამოუშვი ფარსადანი, არას ვერჩი არაფერსა; ვაპატიებ ნათლიამას, ჯერ მირონს და მერე ღმერთსა“

(გვ. 69).

არსენას ჰუმანიზმი კულმინაციურ წერტილს აღწევს გიორგი კუჭატნელთან შეჯახების მომენტში. არსენა აქაც არ ღალატობს დასახულ მიზანს და გიორგის გასაგმირად მომართული ხანჯალი

„პირით რომ ვერ გაიმეტა, ყუით გადაუკრა ცხენსა, ხმალი ვადაში გადუტყდა, ის ცარიელი დარჩესა“

(გვ. 74).

კუქატნელმა მარჯვენა ხელი მოსჭრა არსენას, ცხენიდან გადმოვარდნილი გმირი მწარედ ამოიკვნესებს: „ვერ გაგიმეტე გიორგი, ვაი დედიჩემის ღმერთსა“. ერთ ვარიანტში ვკითხულობთ: „შეეცოდა გიორგი, ასწავლა ფული, საცა ეუფლებოდა, საწამლებლათ, წადი ის მაინც ამოიღეო, ოხრათ არ დარჩესო: ზოგი შენ მოგინდება, მაინმარე, მაირჩინე, ზოგი კიდე დაარიგე საწყლებზე და ლატაკებზე“<sup>1</sup>.

არსენას ჰუმანიზმი მარად მოქმედებაშია, იგი არ არის ღროისა და სივრცის მიხედვით შეზღუდული.

„თხუთმეტ წელს ყაჩაღად დადის, კაცის ცოდვა არ აწევსა;  
სადაცა ტიტველსა ნახავს, ჩოხას იხდის და აცმევსა“ —

ამბობს ხალხი არსენაზე. ყველა მშრომელის სურვილს მთქმელი ასე გამოხატავს:

„სადაც წაბრძანდ-წამობრძანდე, არსენა გაგიმარჯველსა!  
მაძლარს ართმევ, მშოიერს აძლევ ღმერთი როდი წაგახდენსა“

(გვ. 64).

არსენა დაჩაგრულთა მეგობარია. მასში განსახიერებულია გლეხობის შინაგანი გამბედაობა და უძლეველობა. იგი ყოვლის შემძლეა, საკმარისია აქეთ-იქით გაჰკრას წვიპურტებიც კი, რომ ყველგან სამართლიანობა დამყარდეს. არსენა წარმოდგენილია ისე, რომ, თითქოს, ის მთელი ქვეყნის მფლობელი იყოს და ამ თავის სამფლობელოში თავისუფლად დააბიჯებდეს. მისთვის საჭირო არ არის სისხლის ღვრა, რადგან ყველაფერი მის სურვილს უნდა დაექვემდებაროს. იგი აბობოქრებული ზღვაა, რომელსაც, თუ მოინდომა, შეუძლია ყველაფერი წალეკოს და რამდენადაც უძლეველია იმდენად თავდაბალია, ჰუმანიზტი და საუკეთესო ადამიანური თვისებებით შემკული. უმიკაშვილის სიტყვებით რომ ვთქვათ, არსენაში „გამოითქვა შეგნებითი ღრმა სიყვარული სიკეთისა და ამ სიკეთისათვის

1 ფ. არქ. № 22382.

თავის დადება“<sup>1</sup>, ხოლო ილია ჭავჭავაძე ზაქროს პირით ამბობს: „გლუხეკაცის ბედი, კირი და ლხენა შვილსავეთ კალთით უტარებიაო“.

მესტვირულ „არსენას ლექსში“ მკაცრად არის დაგმობილი მატყუარა ვაჭრები, ანტიპათიურად არის გამოხატული სომეხთა ბურჟუაზია, მაგრამ რუს მოხელეთა მიმართ მესტვირე, საერთოდ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სიმპათიურად არის განწყობილი. რუსი მოხელე ასე მიმართავს არსენას: „რაც შენი ამბავი მომდის, რათა ქენ, ჩემო არსენა“, ან „შე წუწყო და მამაძაღლო, რათ იქერდი ე მაგ ტყვესა, ერთი გავარდნილი კაცი, ტყეში ეფარება ხესა“.

უნდა აღინიშნოს, რომ ოფიციალურ ლიტერატურასა (ილ. ჭავჭავაძე, ალ. ყაზბეგი, ს. შანშიაშვილი) და 90-900 წლებში შექმნილ „არსენას ლექსის“ ვარიანტებში არსენას ბრძოლა სოციალური უსამართლობის წინააღმდეგ ნაჩვენებია კლასთა ბრძოლის შეურიგებელი ფორმებით.



„არსენას ლექსის“ ვარიანტებიდან ზოგი ახლოა ძირითად ტექსტთან, ზოგი კი დაშორებულია.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის ფოლკლორის განყოფილების საარქივო მასალებში № 10877-ით დაცული „არსენა“ წარმოადგენს ნოველისტური ტიპის ზღაპარს... ეს ვარიანტი დღემდე არსებული ყველა ვარიანტებისაგან როგორც ფორმით, ისე შინაარსითაც განსხვავდება. ამ ვარიანტში ვკითხულობთ:

---

<sup>1</sup> „კრებული“, 1872 წ. № 7, გვ. 67, „არსენას ლექსის“ გამოცემის გამო.

„არსენა იყო პატარა მწყემსი ბიჭი. გაიხედა და ერთი ბატონი ფაიტონით მიდიოდა გზაზე. ერთი გლეხი კი ურმით მოდიოდა. ამ გლეხსა (ერთ ალაგში ტალახი იყო), გაუტყდა ურმის ღერძი, ურემზე მარილი ედო, სახლში მიჰქონდა“. გლეხმა დახმარება სთხოვა შემთხვევით იქ გამოვლილ ბატონს, მაგრამ ბატონმა დახმარების ნაცვლად მათრახით სცემა მას — „შენთვის მცალიაო? საქეიფოდ მივდივარო“. არსენა დაინახავს თუ არა ასეთ უსამართლობას, ბატონს დაეწევა, გააჩერებს, ცხენებს წაართმევს, ეტლს კლდეზე გადასჩეხავს და ეტყვის: „წადი ეხლა და სადაც შენი თქვა, იქ ჩემიც დაიტრაბახეო“.

არსენა გადახტა ტყეში, მოსჭრა ღერძი, გაუყარა ურმის თვლებს და ურემი ტალახიდან ამოიყვანა. შემდეგ კი „თავისებურად დაუკრა მეცხვარული სალამური და წავიდა, შეუყარა თავი ცხვარსა და შეაქურჩა სერზე“.

შეურაცხყოფილი ბატონი ქალაქში უფროსს მოახსენებს მომხდარ ამბავს, გამოგზავნეს ორი ყაზახი, დაიჭირეს არსენა და შეაგდეს ციხეში, მაგრამ ციხეში ის დიდხანს არ დარჩენილა. „ჩერ კელის ნგრევა დაიწყო არსენამ, მაგრამ; ვერ გავიდა, მერე აანგრია ჭერი და გადაიხედ-გადმოიხედა იქითაქეთ, არცერთ მხრიდან არავინ დაუნახავს. გადახტა ციხიდან. ის დღე იყო და ის დღე, გაიქცა არსენა“.

არსენა შეიქნა 16 წლის, შეჯდა ბატონისათვის წართმეულ ცხენზე და გასწია თავის სახლისაკენ; „უნდა ვნახო ჩემი მეზობლებიო. ზაალ ბარათაშვილი ჩამჯდარა ფაიტონში ცოლით, მოახლით და მობრძანდება ქალაქში. დაინახა არსენამა და დაუდგა გზაზე. ბატონის ცოლმა უთხრა ბატონსა: გაქეული მწყემსი რო არი, ეგ არის ნამდვილად, გავგაფუქებს და გავიქცეთ უკანო, მაგრამ არსენას ლურჯას სად გაუსწრებდნენ ისინი. მეეწია და გააჩერა, შეეკითხა ბატონს — შენ ვინ ხარო? — ზაალ ბარათაშვილი გახლავარო.— ეგ ვილა

არის? — ჩემი კნენა არის. — ეგ ვილა არის! — ჩემი მოახლე არის. — მიბრძანდი აბაო“.

რამდენიმე დღის შემდეგ არსენა მიდის ბატონთან და სთხოვს მოახლე გოგოჯ ცოლად: „გოგო მომეცი ბატონოვო, შენ არაფერი შოგივა ამითაო... თუ არ გემეტება, ფულად მომყიდეო, თორმეტ თუმანს მოგცემო“. ამის შემდეგ თხრობა ტრადიციული ტექსტის მიხედვით იწყება, ალაგ-ალაგ ლექსებით, მაგრამ განსხვავება მაინც საგრძნობია, რადგან ამ ვარიანტში არ გვხვდება ის სცენები, რომლებიც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, „არსენას ლექსია“ კომპოზიციის ორგანულ ნაწილს არ შეადგენენ. თავისებურია ამ ვარიანტის დასასრული ნაწილიც: „მოიტანეს ძველ ბოგაზე მკედარი არსენაი, დაასაფლავეს ხიდ გაღმა. დღესაც იქ მარხია, ჩემი თვალითა მაქვს ნახული, გათაღეს მარმარელოს ქვაი და დაადეს. მოიყვანეს მერე მესტვირეები და გამოათქმევინეს ლექსი:

„არსენა რო დაიბადა, დაბადებით დეწერა.  
უკვარდა პური და ლენო. გზებზე სუფრის გადფენა.  
თექვსმეტი წლის რომ შეიქნა ულუაშები დომშენა,  
შეჯდა თავის ლურჯა ცხენზე, გააქენ-გამოაქენა“

აქედან ჩანს, რომ მთქმელი „არსენას ლექსის“ ტრადიციულ ტექსტს იცნობს. ყურადღებას იპყრობს აგრეთვე აღნიშნული ინსტიტუტის ფოლკლორული არქივის № 22382-ით დაცული „არსენას ლექსი“, რომელიც ჩაწერილია 1930 წელს კახეთში. ამ ვარიანტის მთქმელი ტრადიციულ ტექსტს არ უნდა იცნობდეს, რადგან დარღვეულია მესტვირეული შაირის ფორმა, ხასიათდება არქაიზმით და, რაც მთავარია, სიტყვების განვითარება ბუნებრივი გზით მიმდინარეობს, ე. ი. წინააღმდეგობებს არ შეიცავს. ამ ვარიანტში თავისებურია შესავალი ნაწილი, არსენას ფარსადანთან დამოკიდებულება და დასასრული.

შესავალში მთქმელი მოგვითხრობს პირად განწყობილებებზე, სილარიბზე, ავადმყოფობაზე, რომ მას არაფერი გააჩნია და კარზე მოსულ მესტვირეს ვერ გაუმასპინძლდება. მთქმელის ცნობით არსენას „მეტსახელად“ იოსები ჰრქმევია.

ამის შემდეგ გადმოცემულია არსენას ღა ზაალის კონფლიქტი, არსენას მიერ მოახლის გატაცება, ნათლიმამის მიერ არსენას დატყვევება, არსენას გაქცევა ციხიდან და მოლაღატე ნათლიმამის დასჯა. ეს უკანასკნელი მომენტი, ყველა ვარიანტისაგან განსხვავებით, ასეა აღწერილი: „ნათლიდელას ეძახის არსენა: ნათლიდელა შავად იყო დათალხული, რადგან გაეგოთ არსენას გამოსვლა. იკითხა ნათლიმამა. უთხრეს მოკვდაო. — აბა, კიბე მომიტანეთო, შეიხედა სხვენში, მიაფურთხა და წამოვიდა, ამით მოკლა ფარსადანი“. აქაც იგრძნობა ნოველისტური ზღაპრის გავლენა მთქმელზე.

საქართველოს აკად. ს. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებაში (H 552) დაცულია „არსენას ლექსი“, რომელიც ძირითადად ტრადიციულ ტექსტს მიყვება, მაგრამ მთქმელი თავიდან ბოლომდე ვერ ახერხებს ლექსად თქმას და ალაგ-ალაგ პროზაულ გადახვევებს მიმართავს.

ვარიანტების მიხედვით, სხვადასხვა კუთხეში, არსენას სახე განუწყვეტლევ იცვლება. „ჩვენ, — წერს პ. კეშელავა, — მოგვისმენია ბავშვობისას ისეთი ვარიანტი, რომელიც დღემდე ჩაწერილი არ შეგვხვედრია. ამ ვარიანტის ერთ ნაწილში მთქმელება გურიიში ხდება. არსენა თავად გურიელის მიერ შევიწროებულ გლეხს გამოესარჩლება: გურიელის ოჯახის აწიოკების შემდეგ გლეხს გაათავისუფლებს და თან წაიყვანს ახალციხეში“.<sup>1</sup>

---

<sup>1</sup> არსენა და კაკო ყაჩაღი, გვ. 28.

ერთ ვარიანტში<sup>1</sup>, რომელიც ჩაწერილია ფოთის მეხუთე კლასის მოსწავლე ფ. რამიშვილის მიერ 1910 წელს ე. სეფერთელაძის თქმით, არსენა გამოყვანილია როგორც ტყვეების წყიდველი და გამყიდველი<sup>2</sup>. ცნობილია, რომ ბათუმიდან და განსაკუთრებით ფოთიდან კონსტანტინეპოლში მიჰყავდათ აუარებელი ქართველი ტყვე. „საქართველოში — წერს ზ. კიკინაძე — მონობა ანუ ბატონ-ყმობა ყველგან იყო, მაგრამ ეს ისე, როგორც ქართლსა და სამეგრელოში იყო, ასე დანარჩენს კუთხეში არ ყოფილა... მეგრულ მებატონეებს თავიანთ ყმებისაგან წელიწადში ოსმალეთში 10.000 ყმაწვილი, გოგო და ვაჟები გაჰყავდათ და ყიდდენ იქ ოსმალზედ“.<sup>3</sup>

ზემოაღნიშნულ ვარიანტში, არსენას შემპყრობი, რომლის სახელი 'არ არის ნაჩვენები, როცა არსენას მიიყვანს უფროსთან, დასძენს:

„ბატონო მოსამართლე, ესაა კაცის კლედი,  
ესაა ტყვის მყიდველი, ესაა გამყიდველი“.

არსენა უპასუხებს:

„ბატონო მოსამართლე, არცა ვარ ტყვის მყიდველი, არცა ვარ  
გამყიდველი,  
ერთი გოგო მევიხმარე, იგიც სიბრძოვეთ ვქენი“.

გლახთა რევოლუციურ გათვითცნობიერებასთან ერთად არსენას მოქმედებას ახალი ელემენტები ემატება, მას სცილდება რელიგიური ჰუმანიზმის ნიშნები და მალღდება რევოლუციურ შეგნებამდე. მესხეთ-ჯავახეთში გ. გოგოლაძის მიერ

<sup>1</sup> ფ. არქ. № 138.

<sup>2</sup> მსგავსი ვარიანტი დაბეჭდილია ა. ლონტიას -გურულ ფოლკლორში“ 1937 წ. გვ. 79.

<sup>3</sup> ზ. კიკინაძე, საქართველოს ბატონ-ყმობის ფაქტური მასალები, ტომი IV, გვ. 201—203.



1930 წელს ზ. გოგოლაძის თქმით ჩაწერილ ლექსში — „ყაჩაღი არსენა“<sup>1</sup> ვკითხულობთ:

„არსენას აქებენ ყაჩაღსა, დიას მართალი არიო,  
სამართალს ძებნა დაუწყო, გამოანტვრია კარიო,  
გლებობაც შეახალისა, მოწმინდა ნალველ-ძმარო;  
ბატონები რისთვის გვინდა, გამოუხუროთ კარიო,  
სიკვდილის ღირსნი არიან, ამოწყდეს მათი გვარო,  
და გადაყაროთ ხრამებში, როცა აღიღდეს მტკვარო!“

### 3. „არსენას ლექსის“ გავლენა ფირალის ეპოსზე

„არსენას ლექსის“ გავლენა ფირალის ეპოსზე ბუნებრივია. ხალხის საყვარელი გმირი არსენა ყველა კუთხეში არსენობას იწვევდა, ხოლო ამ პოემის მაღალი და დახვეწილი პოეტური ფორმა კი, ზოგჯერ შეგნებით, ზოგჯერ ქვეშეცნეულად, ახალი არსენების მეხოტბეთა პოეტურ აპერცეპციაში ღრმად იჭრებოდა.

ფირალის ეპოსის ამსახველ ლექსებსა და „არსენას ლექსს“ შორის, მიუხედავად მათი მსგავსებისა, შემდეგი სახის განსხვავება არსებობს: 1. „არსენას ლექსი“ საერთო ქართული მოვლენაა, ამაში სათანადო წვლილი ამ ლექსის თავიდანვე ბეჭდური გზით გავრცელებას მიუძღვის. ფირალის ეპოსის ამსახველი ლექსები კი თითქმის ყველა ლოკალიზებულია. 2. სოციალური უსამართლობის წინააღმდეგ მებრძოლ არსენას მოქმედებაში რელიგიური ჰუმანიზმის მომენტები იჩენს თავს მაშინ, როდესაც საფირალო მოძრაობის ამსახველ ლექსებში სისხლის ზღვა დგას. ეს მოვლენა გასაგები იქნება, თუ გავითვალისწინებთ, რომ საფირალო მოძრაობა და მისი ამსახველი ლექსები დაკავშირებულია მე-19 საუკუნის 90—900-ან წლებთან, როცა გლებთა რევოლუციური შეგნება, 40—50-ან წლებთან შედარებით, დიდ სიმაღლეზე იდგა. 3. „არსენას ლექსის“ პოეტური ფორმა მესტირულია,

<sup>1</sup> ფ. არქ. № 11441.

ფირალის ეპოსის ამსახველი ლექსებისა კი არა, მაგრამ ამ უკანასკნელზე დიდ გავლენას ახდენს როგორც ფორმის, ისე შინაარსის მხრივ, „არსენას ლექსი“.

ფირალობა გლახთა მოძრაობის ერთ-ერთი ფორმაა. იგი გამოწვეული იყო გარკვეული პოლიტიკური და ეკონომიური მიზეზებით და არა რომელიმე კუთხის მცხოვრებთა ტემპერამენტით, მათი შინაგანი ბუნებით, როგორც ეს ბურჟუაზიულ ისტორიკოსებს სურთ წარმოგვიდგინონ.

ფირალის ეპოსზე „არსენას ლექსის“ გავლენა საგრძნობია არა მარტო იქ, სადაც ბატონყმური წესები მთელი თავისი სისასტიკით მძვინვარებდა, მაგალითად, გურიაში, არამედ იქაც, სადაც ბატონ-ყმობა ფაქტიურად არ არსებობდა, მაგალითად, ქიზიყში.

გურული ფირალის ეპოსიდან ჩვენთვის ცნობილია თხუთმეტზე მეტი ფირალის ცხოვრება და მოღვაწეობა. განსაკუთრებით გამოირჩევიან შემდეგი ფირალები: ნიკოლოზა მეხუზლა, სისონა დარჩია, სიმონა დოლიძე და სხვ.

„არსენას ლექსის“ გავლენა განსაკუთრებით ხელშესახები და საგრძნობია „ნიკოლოზა მეხუზლას ლექსზე“. მეხუზლა გურული საფირალო მოძრაობის ერთ-ერთი უძლიერესი წარმომადგენელია. იგი ლალათით მოკლეს 1892 წლის იანვარში. მთქმელი გადმოგვცემს მკვლელთა მოქმედების ასეთ სცენას:

„ზოგი ჯიბეს უქებნიდა, ზოგი ექებდა ფულფხა,  
წვლიდან ამოთრიეს. უბატონოთ დადვენ თოლსა!  
ტანზე არ გამოუყალეს. ახლის ნებაც არ მისცესა,  
უკურთხ მიწაში ჩააგდეს, ნაკურთხიც არ აღირსესა“<sup>2</sup>.

<sup>1</sup> ზოგი ვარიანტით „... უმოწყალოდ დააგდესა“ იხ. ხ ი ნ თ ი ბ ი ძ ე, გურული ფირალები,—1938 წ. გვ. 47).

<sup>2</sup> მ ი ხ. ჩ ი ქ ო ვ ა ნ ი, ფირალის ეპოსი გურიაში, მარქსისტული ენათმეცნიერებისათვის, 1934 წ., გვ. 113.

„არსენას ლექსში“ ვკითხულობთ:

არსენას ხელები შეუხსნეს, ფეხში ბორკილი მისცესა,  
იმ ნარიყალა ციხეში ის არსენა შეაგდესა,  
შვიდი კვირა და შვიდი დღე იმ ციხეში ამყოფესა,  
საციმბიროდ გაამწესეს, ცალი წვერი მოპარსესა“.<sup>1</sup>

ან:

„პრისტავები იძახიან: „ეი, ბოლუ მალადეცა“.  
სტრაჟნიკებსა ჯავრისაგან გულზე ზაფრა ეცა,  
ცხენებმა ფეხი წამოკრა ერთი ერთმანეთს დაეცა,  
შეგრელები იძახიან: „თქე წყარს მუჟო გურზე“...<sup>2</sup>  
(იქვე)

არსენას

„მთელი ქალაქის ბიჭები მტრედის გუნდით დასდევსა,  
იმერლები იძახიან: „ქი, კი, კი-სა და ქვე-ქვესა,  
სომხები გაიძახიან: „ლავე ბიჭი არის ესა“!..  
რუსები. „ოჩენ საროში, ეი ბოლუ მალადეცა“ (გვ. 56)

ქიზიყის პოეტურ ფოლკლორში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს სოციალური უსამართლობის წინააღმდეგ მებრძოლ მიხა ჭუჭულაშვილის სახეს. მისი პროტესტანტული სული ვერ ეტევა მაშინდელ საზოგადოებრივ ყოფაში, იგი ბრძოლას უცხადებს უსამართლობას და ველად იჭრება. მთქმელი შესავალში მიმართავს ბუნების ძალებს:

„ამოდი შუქურ ვარსკვლავო, მთვარეს უბრუნე პირია,  
დილის მზევ ამომავალო, შენ გადმოგვფინე სხივია,  
ამოდი, შუა ქიზიყში გვიცოცხლე სოფლის, გმირია“.<sup>3</sup>

„არსენას ლექსის“ გავლენა „მიხას ლექსზე“ როგორც ფორმით, ისე შინაარსით, შემდეგი სახისაა:

<sup>1</sup> არსენა და კაკო ყაჩალი. გვ. 59.

<sup>2</sup> „ამან წყალს როგორ გაუძლო“.

<sup>3</sup> ქიზიყის პოეტური ფოლკლორი, ს. ე ბ რ ა ლ ი ძ ი ს და შ. ლ ლ ო ნ ტ ი ს რედ. 1940 წ. თბილისი, გვ. 37.

„არსენა“:

„ბრძანება შემოეთვალათ თბილისიდან უფროსებსა,  
ასი ოქრო გაუჩინეთ, ვინც არსენას დაიქერსა“

(გვ. 53).

„მიხას ლექსი“:

„ბრძანება გამოსულიყო ყველა მხარეზე სწერია:  
ასი ოქრო ვაჩუქეთ ვინც მიხას დამწერელა“

(გვ. 40).

„არსენა“:

„უფროსმა ნახა არსენა, ძალიან შეიბრალო.  
— რა კარგი ვაქვაცი იყო, ზეზეურ ჩაჰომხძარო.  
რაც შენი ამბავი მომდის, რათა ჰქენ, ჩემო არსენა?  
— მე არც ერთი არ მიქნია, სულ ტყუილი მოვახსენა.  
მართალია გავარდნილი დავდიოდი შშიერ კელა.  
მაგრამ მდიდარს თუ ვართმევდი — მიქვარდა ლარიბის კმევა“.

(გვ. 58. 59).

„მიხას ლექსი“:

-- „უფროსმა გადმოიხედა. მიხას დააკლო თვალია,  
— რა კობტა ვაქვაცია, რა კობტა სანახავია!  
ნეტავ, რაც შენი ხმა მომდის. ვაჰ, მიხავ. შენი ბრალა?  
— თქვენ სტყუიხართ, ბატონო, არ არის ჩემი ბრალა.  
მდიდარის გამცარტველი ვარ, ლარიბის შექნახავა.“

(გვ. 42)

არსენა თითქოს წინდაწინ გრძნობს სიკვდილის მოახლოვე-  
ბას, ამიტომ:

„ამოიღებს იმ ფულებსა. ტოლ-ამხანაგებს აძლევსა,  
— შესანდობარი დალიეთ, როცა არსენა მოკვდესა“.

(გვ. 71)

ასევე მიხაც:

„შევიდა გზის პირ ღუქანში. მეღუქნეს მისკა ფულა.  
დალიონ ამხანაგებმა, აცხონონ ჩემი სულა“.

(გვ. 49)

„არსენას ლექსის“ გავლენას მარტო ფირალის ეპოსი არ  
განიცდის. ეს გავლენა სხვაგანაც ხელშესახებია.

## მესტვირული პოეზიის პოეტიკის საკითხები

ცნობლია, რომ ხალხურ პოეზიაში არსებობს სტერეოტიპული თქმები, 'აგრეთვე, სხვადასხვა სახის ხალხურ-ეპიკურ ძეგლებში დადასტურებულია ცალკეული მომენტების, გმირის ამათუიმ თვისების 'ან მოქმედების აღწერის მსგავსი განმეორებანი. ასეთი ფაქტი უფრო ხელშესახებია ფოლკლორის გარკვეული ციკლის შემსრულებელთა პოეტურ სამყაროში. ამ მხრივ ქართული მესტვირული პოეზია სპეციალურ დაკვირვებას მოითხოვს.

„არსენას ლექსს“ მრავალი შეხვედრის წერტილი აქვს მესტვირეთა რეპერტუარში შემავალ ძეგლებთან, ე. ი. მესტვირეების მიერ გამომუშავებული გარკვეული თქმები, რომლებიც კონკრეტულ შოვლენებთან იყო დაკავშირებული, გადატანილია სხვა მსგავსი მოვლენის გამოსახატავად და დასახასიათებლად.

### 1. „არსენას ლექსში“ ვკითხულობთ:

„თუ ეს ბიკი გაგვეზარდა გაურჯელ-დ დაგვარჩენსა,  
თორმეტი წლის რო შეიქნა, ულეაშებმა დაამშვენა.  
ამეტი წლის რო შეიქნა. შეჯდა თავის ლურჯა ცხენსა“<sup>1</sup>.

მსგავსი მომენტი „აბრამიანში“ ასეა გადმოცემული:

„სამი თვისა რო შეიქნა სამი წლისას ემგვანება,  
ხუთი წლისა რო შეიქნა, ცხრა სკოლაში გეიზრდება,  
ექვსი წლისა რო შეიქნა, თვითონ სულიად დაჯდება“<sup>2</sup>.

<sup>1</sup> ფ. არქ. № 31689.

<sup>2</sup> იქვე. № 31679.

მსგავსება უფრო ხელშესახებია შემდეგი მაგალითებიდან:

2. „არსენა“:

„ალმასის წყალზე ურიებს აწყველინა ბედისწერა...  
— თუ კარგ ადათს არ დაიქერთ, გაგწყლოძიათ ხენა და თესვა...  
ფარჩას არჩევთ შილას თხელსა, სოფელში იცით ტარება...  
ქერივსა და ობლებს ატყუებთ, ნამეტნავად პატარძლებსა...  
არა ღირდა ორ მანეთად, ერთ თუმნად დააფასესა“.

„ქრისტეს ლექსი“:

„მაშინ ურია დასწვეულა, დაუკარგა ხენა და თესვა:  
დახვილოდე სოფელ-სოფელ, ატყუებდე პატარძლებსა,  
ერთ მანეთად რომ არ ღირდეს, აფასებდე სამ მანეთსა“.

3. „არსენა“:

„როდეს კოდაზე შევიდნენ წინით შემოხვდა არსენა“.

„ხორველა“:

„ეს სიტყვა რო გაათავა წინ ხორველა შემოხვდესა“.

4. „არსენა“:

„ფარსადანს ასე ეგონა: ჩინს მომცემენ ტემლაკებსა“.

„სოლომონი“:

„ჭერ ჭამაგირს გაგიწყესებ, მეგრე ქუარს და ტემლ-კენა“.

5. „რას მიპირობ ნათლიამაჲ, თუ წაუველ ამათ ხელსა.“

...თუ სამ ხორველა გამოჩნდა, ცოცხალს აღარ მოგვარჩენსა“

(არს. გ. 57.)

(„ხორველა“).

„ძმებსა კაცი გაუგზავნა: — არსენა არ მომარჩენსა“

(„არსენა“, 33. 71).

1 არსენა და კაკო ყაჩაღი. გვ. 49. 50.

2 პ. უშიკაშვილი. ხალხური სიტყვიერება. გვ. 147.

3 ფ. არქ. № 31689.

4 იქვე, № 31685.

5 არსენა და კაკო ყაჩაღი. გვ. 56.

6 პ. უშიკაშვილი. ხალხური სიტყვიერება, გვ. 76.

7 ფ. არქ. № 31685.

6. „მაშინა თქვა არსენამა: „ვთი დელი-ჩემის ღმერთსა,  
მე რომ ამ ციხეში მოვკვდე, ბიჭობას ვინ დამოგდებსა“  
(„არსენა“, გვ. 59—60).  
ეს თავადებმა გაიგეს... „ვთი დელი ჩვენის ღმერთსა,  
ერთმანეთსა გადახედეს, რჯული ბევრი აგინესა“<sup>1</sup>.
7. „ჰა, ღიდება მოწყალესა, ჩემი საქმე არის ესა“,  
(„არსენა“, გვ. 71).  
„ვმადლობ ჩვენ წილ მოწყალესა, ჩვენი ბედი მაგას ღირსა“  
(„იობი“)<sup>2</sup>.  
„ვმადლობ ჩემ წილ მოწყალესა, რომ სტუმარი მეღირსა“—ო.  
(„აბრაამი“)<sup>3</sup>.  
„ვმადლობ ჩემ წილ მოწყალესა, კაი ძღვენი მომდის ესა“  
(„არსენა“)<sup>4</sup>.
8. „ბოდბის-ხევში რომ შევიდა, სულ კარები ჩაქეტესა“  
(„არსენა“, გვ. 67)  
„ქალაქა რო დაუახლოვეს დუქნის კარებ დახქეტესა“.  
(„სოლომონი“...)<sup>5</sup>.
9. „მაშინ ფარსადანის ძმებმა ოსტატობა იხმარესა:  
ერთ უადგილო ალაგას დიდი ორმო ამოქრესა;  
ის საწყალი ფარსადანი შიგ ორმოში ჩააგდესა  
ზედ ფიცრები წაათარეს და მიწა წააყარესა“.  
(„არსენა“, გვ. 68).  
„წამოიღეს ჩვენი ქრისტე, შიგ ორმოში დამარხესა;  
ყარაულიც დოუყენეს, სხვაგან არსად წაიღესა...  
ურიების რაბინებმა ოსტატობა იხმარესა,  
სამი წლის მკვდარი მამალი, კიდე ქვაბში ჩააგდესა“<sup>6</sup>.
10. „ღვთაების მადლი გწყალობთ, მარტყოფის თავში სვენია“.  
(„არსენა“, გვ. 69).

1 პ. უმთიკაშვილი, ხალხური სიტყვიერება, გვ. 195.

2 პ. უმთიკაშვილი, ხალხური სიტყვიერება, გვ. 195.

3 ფ. არქ. № 31805.

4 იქვე, № 31689.

5 პ. უმთიკაშვილი, ხალხური სიტყვიერება, გვ. 77.

6 ფ. არქ. № 31682. შდრ. პ. უმთიკაშვილი, ხალხური სიტყ. გვ. 147.

„მისი ძალი შეგეწიოთ, ცხეთას რა ხატი სვენია“.

(„ხოჯა-ხანი“)<sup>1</sup>.

11. „წრეულ მე ხომ არ მოვრჩები, რაც რომ უნდა გადაწედეს;  
ან თათარი მილაატებს, ქართველი არ მომარჩენსა“.

(„არსენა“ გვ. 71—72).

„სოლოღაშენს მიატანეს:— რა ვქნა, კრელათ ვხედავ მხესა—  
გამოვბრუნდე, აქ არ მოვკვდე: მე ვეღარ ვიცოცხლებ ბევრსა“.

(„ხორველა“)<sup>2</sup>.

„ან ქართველი არ მამარჩენს, ან თათარი მიმტერებს;  
წამოვიდა სოღამანი; მირანის<sup>3</sup> მთას შევიდესა“<sup>4</sup>.

12. „ამ სიტყვას რომ გაათავენს, არსენა ძირს დაეცეა“.

(„არსენა“, გვ. 76).

„ეს სიტყვა რო გაათავე, წინ ხორველა შემოხვდესა“.

(„ხორველა“)<sup>5</sup>.

13. „აქაც კაი კაცი იყო, იქ ნათელი დაადგესა“

(„არსენა“, გვ. 76).

„აქაც კარგი კაცი იყო, იქაც კარგად მიიღესა“

(„ხორველა“)<sup>6</sup>.

„აქაც კაი კაცი იყო, იქ ნათელი დაადგესა“ („სოლოღონი“...)<sup>7</sup>.

მესტვირეთა დალოცვებში სტერეოტიპული გამოთქმები ხშირად გვხვდება:

„მადლიღან სამსე გამოფოს და ცოდვისგან ცარიელი“.

ან:

დაბერდი მეუღლესთანა, როგორც აბრამი და სარა“.

შემდეგ:

„გატოცხლოს და გადღეგრძელოს, მოგკეს ადამის ღლენია“.

კიდევ:

„ასეთნაირად იცინი, შენ ხარ ქალების მტერია“.

<sup>1</sup> იქვე, გვ. 109. (პ. უმიკაშვილი).

<sup>2</sup> პ. უმიკაშვილი, ხალხ. სიტყვიერება, გვ. 223.

<sup>3</sup> სათათრეშია (მთქმელის შენიშვნა)

<sup>4</sup> ფ. არქ. № 31684.

<sup>5</sup> იქვე, № 31685.

<sup>6</sup> პ. უმიკაშვილი, ხალხ. სიტყვიერება, გვ. 223.

<sup>7</sup> ფ. არქ. № 31684.



მესტიურულ რეპერტუარში, თითქმის ყველა ზომის ლექსი შედიოდა, განსაკუთრებით კი თექვსმეტმარცვლიანი, რვამარცვლიანი და ათმარცვლიანი. მაგრამ მესტიურული ფორმაზინც განირჩევა სხვა სალექსო ფორმისაგან. განმასხვავებელი ნიშანი ამ შემთხვევაში არის არა რითმა ან მარცვალთა რაოდენობა სტრიქონში, არამედ რიტმი, ხმა, კილო და ინტონაცია. მესტიურული ფორმის ლექსებისათვის დამახასიათებელია მსუბუქი, ნარნარი და გაბმული მდიხარება, ხმოვანთა გაგრძელება (გრძლად წარმოთქმა). მესტიურული ლექსი ვერ ითმენს მძაფრ დინამიკას.

მესტიურულ ლექსებს ნაკლებად აზის კუთხური ბეჭედი. ამდენად, მესტიურული პოეზია ახლო იყო ოფიციალურ ლიტერატურასთან. „არსენას ლექსის“ იდეურმა და მხატვრულმა სიდიადემ შთააგონა ილია ჭავჭავაძეს „კაკო ყაჩაღი“.

მესტიურული ლექსები ფართო ბრუნვაში იყო. ეს კი ხელს უწყობდა ამ ლექსების მხატვრულად დახვეწასა და კომპოზიციურ შეკვრას. ამჟამად ძნელია მესტიურული ფორმის დაწვრილებითი ჩვენება სხვა ენარებთან შედარებით, რადგან ბდიდარი ქართული პოეზიის პოეტიკის თვალსაზრისით განხილვა და მისი მეცნიერული შესწავლა ჯერ კიდევ დასაწყისს სტადიაშია. იგი უახლოესი მომავლის საქმეს წარმოადგენს.

ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, რომ მესტიურულ რეპერტუარში რეზიანთი როდი იყო რიტმული პროზა. ამის ნიმუშად შეიძლება დავასახელოთ მესტიურული „პატარძალოს“ ურითმო ადგილები, მაგ.:

- „პატარძალო, პატარძალო, პატარძალო!
- ბატონო, ბატონო, ბატონო!
- ქათმებს დაუძახე, ქათმებს დაუძახე.
- ჭუგი, ჭუგი დაუძახე, ჭუგი, ჭუგი დაუძახე!
- ჭუგი, ჭუგი, ჭუგი, ჭუგი.“

- დათვალე, დათვალე, დათვალე.
- ერთი; ორი; სამი; ოთხი; ხუთი,
- ექვსი, შვიდი, რვა, ცხრა, ათი და ა. შ.

მეტად საინტერესოა ფარახეთელი მესტვირის ზაქარია ერადის ერთი თქმულება („დევმარომ ძროხა მიაბარა ქიზიყელ კაცს“), რომელსაც მესტვირეები სტვირზე ამღერებდნენ: „ქიზიყელ კაცს დევმა ძროხა მიაბარა 9 წლის ვადით და უთხრა: 9 წელიწადს რაც იშენოს ამ ძროხამ, შეინახე. მე მოვალ 9 წლის შემდეგ, დაგიწყებ იგავით ლაპარაკს, თუ მომიგებ ლაპარაკში, ძროხაცა და ნამრავლიც შენი იყოს, თუ არა და მე წავიყვანო. გავიდა 9 წელიწადი. მოვიდა დანიშნული დღეც. რომელ დამესდევინა უნდა მოვიდეს, იმ დამეს იესო ქრისტე მოვიდა იმ კაცთან და უთხრა: ამაღამ დამაყენეო. იმ კაცმა უთხრა: ამაღამ დევს მოველიო და ვერ დაგაყენებო, მეშინიო, შეიძლება მეც მომკლას და შენცაო. თუ არ გეშინია, დადექიო. შევიდა და დადგა ის კაცი სახლში. დაღამდა. ვახშმის კამა მოასწრეს. მოვიდა დევი, დაუძახა იმ კაცს:

— ერთი და ერთიო, იესო ქრისტემ უთხრა ამ კაცს ასე დაუძახეო:

— ერთი და ომერთიო.

— ორი და ორიო, დაუძახა დევმა.

— ორი სახარება შენც გწყალობდეს და მეცაო.

— სამი და სამიო.

— სამი ნაქმრევი ქალისაგან ომერთმა შენც დაგიფაროს და ჩვენცაო.

— ოთხი და ოთხიო.

— ოთხი უღელი ხარი მყავდა, ვხნავდი, ვთესავდი და სარჩო არ მქონდაო.

— ხუთი და ხუთიო!

— ხუთი ბელელი მქონდა და სუყველა ცარიელი მქონდაო.

— ექვსი და ექვსიო!

— ექვსად გაქრისაგან ღმერთმა შენც დაგიფაროს და შეცაო.

ახლა იესო ქრისტემ უთხრა იმ კაცს, გამარჯობა უთხარი დევსო.

— გამარჯობა შენო.

— გაგიმარჯოს --- უთხრა დევმა.

— საიდან მოდიხარო?

— ელურსამეთიდან მოვდივარო.

--- ზღვაში როგორ გამოხვედიო?

— რაშით გამოვედიო.

— პატარა ზღვა ყოფილაო.

— პატარა რავე ყოფილაო, ჯორზე შევჯედი, უარე, უარე და სამ წელიწადს გარეს ვერ შემოუარეო.

— ისაო, პატარა ჩოჩორა ყოფილაო.

— პატარა რავე ყოფილაო, აღზევანში ათი ფუთი მარლიის ქვას ავკიდებდი, შევჯდებოდი და კიდევ კურდღელს ვკვირდო.

— ის კურდღელი ბოცორა ყოფილაო<sup>1</sup>.

— ბოცორა რავე ყოფილაო, გავატყავე, ტყავი ბატონს ჩავაცვი და ზორცი ხალხს ეყოვო.

— პატარა ბატონი ყოფილაო, თუ კურდღლის ტყავი ეყოვო.

— პატარა ბატონი რავე ყოფილა, რომ შეგეხებდა ქუდი გადმოგივარდებოდაო, იმ სიმაღლე იყო, რომ დაგეძახა ვერ გააგონებდო.

— აბა ყრუ ყოფილაო.

— ყრუ რავე ყოფილა, ჯინჭველებს რომ ჩხუბი მოსვლოდა, ის გააშველებდაო.

— აბაო გულმეცარი<sup>2</sup> ყოფილაო.

— გულმეცარი რავე ყოფილა, ერთი უღელს ხარი ყავდა

<sup>1</sup> სამი ღლის ბოცორა. პატარა. (მთქმელის შენიშვნა).

<sup>2</sup> მკითხაუი (მთქმელის შენიშვნა).

და იმაც სხვამ ძოპარაო<sup>1</sup> და ასე შეძლევ გრძელდება დევისა და გლეხის საუბარი. გლეხი იძარჯევს მოწინააღმდეგეზე. ზაქარიას გადმოცემით „ამას ვაბღერებდით შტვირზე, ქიზიყში უფრო უხაროდით, რადგან აქაურ კაცსა ყავდა მიბარებული ძროხაო“. იმავე ზაქარიას ცნობით, ამ დროს სტვირის განუწყვეტლივ დაკვრა არ შეიძლებოდა, „პირველად შტვირს დოუკრემდით, მერმე გავაჩერებდით და ვიტყოდით: „ქიზიყელ კაცს მიბარა დევმა ძროხა ცხრა წლის ვადით,“ მერმე დოუკრემდით შტვირს. ცოტა ხნის შემდეგ, გავაჩერებდით და ვიტყოდით: „რაც იშენოს ძროხამ შეინახე, მეცხრე წელს მოვალ და თუ იგავით მომიგე, დაგიტოვებ, თუ არა და მე წევიყვანო“. დოუკრემდით შტვირს ისევლე. ასე მივყვებოდით ბოლომდე. კითხვა-პასუხში თითო მუხლზე დოუკრემდით შტვირს: — სამი და სამიო.

— სამი ნაქმრევი ქალისაგან ღმერთმა შეხც დაგიფაროს და ჩვენცაო. — დოუკრემდით ეხლა შტვირს, მერმე გავაჩერებდით და ვიტყოდით:

— ოთხი და ოთხიო.

— ოთხი უღელი ხარი მყავდა, ვხხავდი, ვთესავდი და სარჩო არ მქონდაო. ახლა დოუკრემდით და ასე ვიტყოდით:.. კარგი იყო ორი მეშტვირე, ერთმანეთს შევენაცვლებოდით-ო“.

მესტვირული ტრადიცია მუსიკისა და პოეზიის შერწყმის საუკეთესო დადასტურებაა.

მესტვირული პოეზია ზოგადი ქართული მოვლენაა.. ამ პოეზიაში შემავალ მსუბუქ და ნარნარი, ჭეშმარიტად ხალხურ ლექსებს, სათანადო წვლილი მიუძღვის მე-19 საუკუნის ახალი სალიტერატურო ენის დამკვიდრებისა და განმტკიცების საქმეშიც.

---

<sup>1</sup> ფ. არქ. № 31698. შდრ. ქართული ხალხური ზღაპრები. I. მ. ჩიქოვანის რედ.: 1938 წ.: გვ. 120.



ᄒ ᄒ ᄒ ᄒ ᄒ ᄒ ᄒ ᄒ



# ქართველი მესტვირეების

ს ი ა<sup>1</sup>

მესტვირის გვარი, სახელი და მამის სახელი	რომელი სოფლიდან არის	ცოცხალია თუ გარდაცვლილი	წენიშენა
1	2	3	4
<b>I. ძართლელი მესტვირეები</b>			
1. ვერხვიაშვილი ლევანი სოსიას-ძე	ავკალა	გარდ.	
2. ბუტიკაშვილი დიმიტრი	"	"	
3. ყოჩიო გიორგი	ბულაჩაური	ცოცხ.	
4. ამირაშვილი მიხეილ (მიხაკო)	წმინდა გიორგის უბანი.	გარდ.	
5. ლობიშვილი ილიკო სვიმონის-ძე	ქსოურასი	ცოცხ.	
6. ღვთისიაშვილი სვიმონ ქიტესას-ძე	მუხრანი		
7. ამირაშვილი მიხეილ (მიხეილა)		გარდ.	
8. წიკლაური იოსები (იოსება)	ზაქარო		
9. მონჭვიშვილი მიხეილ (მიშა)		ცოცხ.	
10. ყველაშვილი მიხა	ახალსოფელი		
11. ოქროპირიძე ლევანი (ლევანა)	ბიწმინდა		
12. გულბათაშვილი ვასილი თედოს-ძე	წინამძღვრის ანთკარი		
13. დორეული იორდანე	ზაქარო	გარდ.	
14. მონჭვიშვილი მიხეილ პავლეს-ძე	"	ცოცხ.	

<sup>1</sup> მესტვირის სახელის კუთხური გამოთქმა, ზოგჯერ, უცვლელად დაცვრთვით, რადგან თანასოფლელები ასე უფრო იცნობენ მას. ცნობები 1948 წლისაა.



1	2	3	4
15. ღარიბაშვილი ლექსო ფიდოს ძე	ზაქარო	გარდ.	დაიღუპა სამამულო ომში.
16. ღარიბაშვილი ილუშა ფიდოს-ძე	ახატანი		
17. ახატნელი ვანო სანდროს-ძე	„		მთქმელს არ ახსოვს გვარი.
18. თქროპირიძე კოლია (ნიკოლოზი)		ცოცხ.	
19. მახარაშვილი ლადო თედოს-ძე			
20. ობგაიძე მიხა	ჯილაური	გარდ.	
21. ლაფანაშვილი დათა	კობორტი	„	
22. რომელაშვილი თედო დათას-ძე	წინამძღვა-რიანთკარი	ცოცხ.	
23. ბეჭაური ტატო თედოს-ძე			
24. გელაშვილი სანდრო იოანეს-ძე	მისაქციელი	გარდ.	
25. პეტრიაშვილი გიორგი ივანეს-ძე	„		
26. ინაშვილი სიმონი	ქაისხევი		
27. რუსიაშვილი კოსტა	ნატახტარი		
28. თვალაშვილი ლევანი იაკობის-ძე			
29. როსტიაშვილი არსენ ეფრემის-ძე		ცოცხ.	
30. ჩილინდრიშვილი მიტრო	წილკანი	გარდ.	
31. ცოციაშვილი იოსები		„	
32. კალელიშვილი მიტრო		„	
33. ზაქაიძე სონკა მიხას-ძე		ცოცხ.	
34. ბურჯუური დუდა		გარდ.	
35. ქაფიაშვილი სონკა დიმიტრის-ძე		გარდ.	

1	2	3	4
36. ციხელიშვილი ლეთისო	წილკანი	გარდ.	
37. პატაშური გაბუა	ახლდაბა (წილკანი)	ცოცხ.	
38. უთურგაშვილი გიორგი	აღდგომლი- ანთკარი (ნა- ტახტარი).	"	
39. გოგიაშვილი დოდუ	ჯარიაშანი	"	
40. ბალიაშვილი პეტრია	კეზიჯვარი	გარდ.	
41. ლვინიაშვილი გრიგოლი	ტაბახშელა		ხაქარია ვრადის ნაც- ნობი მესტვირე ქართლში.
42. ჯარიაშნელი სოსია	ჯარიაშანი		"
43. ხუციშვილი დუდა	ახალსოფელი		"
44. კუნწულა გიორგი	საკრამიტე		"
45. ჯაბნიაშვილი თედორე	მოხისი		
46. ქებაძე გიორგი	მისაქციელი		
47. ბოდორაშვილი მიხეილი	ბოდორა		
48. ნოდარიშვილი ალექსი	გორი		სტვირის მკეთებელი
49. თედო თელაველი	თელავი		და არა მესტვირე.
50. ბლიაძე იოსები			
51. კიკიაშვილი			"კალმასობაში" და- ცული ცნობით.
52. ხაქარია მესტვირე			ა. ჯამბაკურ-ორბე- ლიანის ცნობა. s 1634.
53. მესტვირე კოტაშვილი			
II. უწყველი მესტვი- რები			
1. ბერიძე წილაური	გოქცი	გარდ.	
2. გამიაშვილი მამუკლა	"	"	
3. ჩეკურიშვილი გრიგოლი ივანეს-ძე	უკანაფშვი	ცოცხ.	ამჟამად ცხოვრობს სოფ. ყვარელწყალში (პანკისის ხეობა).
4. ბუჭაშვილი გიორგი ბეწინიკას-ძე	ნაკვალესავი		

1	2	3	4
5. ხურაბაული მწარეა	ახადიდან არის გადმო- სული ხევის კალაში.	გარდ.	
6 ხადილაშვილი სოლო- მონი	ხაიში		
7. ლაგახაური გეჯური	ახადი		გარდ. სოფ. სკობი- ანოში.
8. ბაგოზლიშვილი ბუთლა	.		
9. კინკარაული გიორგი	ხემოთიანეთი		
10. იარაჯული ხაქარა	"		
11. კობრეშვილი შაქარა კრელის-ძე	ყვარი (თიანეთი)		
12. არაბული ლაგახა	ფშავი		
<b>III. რატვილი მესტვი- რმები</b>			
1. ბურდილაძე დათა	ფარახეთი	გარდ.	ქართლში შეის- წავლა მესტვი- რეობა, 1 ფარახე- თელი მესტვირე.
2. ბურდილაძე სესიკა და- თას-ძე			
3 ბურდილაძე ფირანა დათას-ძე			
4. ბურდილაძე გრიგოლი დათას-ძე			
5. ბურდილაძე ხაქარია დათას-ძე			
6. ბურდილაძე შიუნა			
7. ბურდილაძე გაბრიელი შიუნას-ძე			
8. ბურდილაძე დევლეთა			
9. ბურდილაძე თახია			
10. ბურდილაძე სვიმონა			
11. ბურდილაძე წყალობა			
12. ბურდილაძე მათია			
13. ბურდილაძე იაკოფა			

1	2	3	4
14. ბურდილაძე პეტრია	ფარაბეთი	გარდ.	
15. ბურდილაძე ბეჟანა	"	"	
16. ბურდილაძე კიკოლა	"		
17. ბურდილაძე ბიკია			
18. ბურდილაძე ალექსი			
19. მაგრაქველიძე გიორგი			
20. მაგრაქველიძე შაქარა			
21. მაგრაქველიძე იოსება			
22. ტაბუცაძე სტეფანე			
23. ტაბუცაძე იოსება			
24. ბურდილაძე ნესტორა			
25. გელბახიანი მიხეილა			
26. გელბახიანი ბეჟანა			
27. ერაძე მიხეილა			
28. ერაძე პავლია			
29. ერაძე ოქრუა			
30. ერაძე ბათლომე			
31. ერაძე მაქსიმე			
32. ერაძე გრიგოლა			
33. ერაძე იობა			
34. ერაძე შინა			
35. გძელიშვილი ნესტორა			
36. ტოგონიძე ვანია I			
37. ტოგონიძე სოსია			
38. ტოგონიძე გერასიმე			
39. ტოგონიძე სვიმონა I			
40. ტოგონიძე იესე			
41. ტოგონიძე კიკო			
42. ტოგონიძე პავლია			
43. ტოგონიძე ლუკია			

1	2	3	4
44. გძელიშვილი ლუკია	ფარაბეთი	გარღ.	
45. გძელიშვილი მარკოზა			
46. ტოგონიძე ვანია II			
47. ტოგონიძე სოფრომა			
48. ტოგონიძე ზაქარია			
49. ტოგონიძე სვიმონა II			
50. ვრადე რევაზა			
51. ვრადე ნიკო			
52. ვრადე სოსიკა			
53. ვრადე სტეფანე		"	
54. ვრადე კიკოლა		"	
55. ვრადე ზაქარია კიკოს-ძე		ცოკბ.	
56. ვრადე გლაზუა		"	
57. ვრადე თედორე			
58. ბურდილაძე ვანია		"	ამყამად ცხოვრობს
59. ჩილუნაძე სოსო		გარ. ფ.	სიღნაღში.
60. ჩილუნაძე გიორგი	"		
61. გძელიშვილი კაცია	სევა		
62. გძელიშვილი მიხეილა.			
63. პაატაშვილი გიორგი			
64. გძელიშვილი სტეფანე			
65. ბაკურაძე ქიტესა			
66. ნადირაშვილი ქიტესა			
67. ნადირაშვილი დარჩია			
68. ნადირაშვილი ანდრია	"		"დიდი მესტირე
69. კვარხეშვილი წყალობა	"		იყო* მოქ. შენიშვნა.
70. ბურდილაძე მიხეილ	ფარაბეთი		
71. ფარქოსაძე გიორგი	"		
72. ტოგონიძე ნესტორა	"		
73. კობერიძე სოფრომა	ცხვორი		

1	2	3	4
74. მაისურაძე შაქარა	ცხმარი	გარდ.	
75. ბაჯიხვეელი ლევანა	ბაჯისხვეი		
76. მაცაბერიძე წყალობა	კვირიკეწმინდა		
77. რთველაძე ოქრუა	ქორთა		
78. არჩვაძე ექვთიმე	ბარი		
79. გეწაძე გიორგი	ახალსოფელი		
80. გაგიშვილი გრიგოლა	ლუჩხევი	▪	ოსი, ოქრუა ერაძის
81. მესხიშვილი ნიკოლოზა	ბარი	▪	შეგირდი, ჩაესიძა
82. მეტრეველი ლევანა	უწერა	▪	შემდეგ მელაანში
83. ქურხული ილიკო <sup>1</sup>	თბილისი	ცოცხ.	(მთქ. შენიშ.)

## 2. მესტვირტ ზატარია კიკოს-ძე მრამე

გასაოცარი მესხიერების მოხუცს, ცნობილ მესტვირტეს ზატარია კიკოს-ძე ერამეს პირველად ონში შეეხვდი, 1948 წლის 22 ივნისს. ოგი მაშინ 81 წლის იყო. ონის კელ-

<sup>1</sup> ი. ქურხული ცნობილი მოგზაური მეზიკოსი მესტვირტეა, მან სოფ. ფარახეთში მესტვირტე ბიჭია ბურდილაძესთან, ზ. ერამესთან და სხვებთან რამდენიმე ხანს დაჰყო, ახლოს გაეცნო მესტვირტეების ცხოვრებას, შეისწავლა გულა-სტვირის გაკეთება, მესტვირტული სიმღერები გადაიტანა მუსიკის ენაზე, გააუმჯობესა ხალხური გულა-სტვირის ნაწილები. ჯერ ბიჭია ბურდილაძესთან ერთად და შემდეგ მარტო მოგზაურობდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში.

ამჟამად ი. ქურხული თავის მოოქროვილი სტვირით, ქალაქიდან ქალაქში, სოფლიდან სოფელში, სკოლიდან სკოლაში ღებდის და მღერის როგორც ტრადიციულ, ისე თანამედროვე სინამდვილის ამსახველ ლექსებს.

ტურის\* სახლში, მომღერალთა გუნდის ახალგაზრდებს შორის მოხუცი არწივივით იჯდა, სკამიდან ოდნავ გადმოხრილი ორივე ხელით ჯოხზე დაყრდნობილი. თვალები შევარდენივით უბრწყინავდა, თავისი გულა-სტირი იქვე მეორე სკამზე ჰქონდა ჩამოდებული. ლაპარაკობდა გატაცებით, ყვებოდა თავის განვლილი ცხოვრებიდან ამაღლვებელ ამბებს. საკმარისია მას ოდნავ თავაზიანად მიესალმით, რომ უკვე დიდი ხნის მეგობარივით გულითადი საუბარე დაგიწყით. ლაპარაკის დროს ხშირად ჩაიხითხითებს. თვალები მუდამ უცინის, წელში ოდნავ მოხრილია. ახლად გაცნობილს გამომცდელად შეხედავს, წუთით ჩააქცერდება, გაზომავს ფეხებამდე და კვლავ ჩვეულებრივ პოზას მიიღებს. იგი ლალად, შედარებებით, მოსწრებული სიტყვებით, იგავებით, ანდაზებითა და გამოცანებით განაგრძობს საუბარს, მისი სტიქია ნართაული ენაა. ოსტატურად იპყრობს მსმენელის ყურადღებას. ნართაულ საუბარს ყოველთვის კითხვის დასმით ამთავრებს მსმენელისადმი, რომელიც იძულებულია აღიაროს: „არ ვიცი ზაქრო, რას გულისხმობ ამ იგავით“. ზაქარიას კმაყოფილების ღიმილი გადაუვლის, ჩაიხითხითებს, თითქოს გეუბნება: ხომ გაგები მახეში, ხომ არ გცოდნია? და მერე დინჯად განმარტავს თავსატეხი იგავის ნამდვილ აზრს.

ზაქარიას ჯოხი მუდამ ხელში უჭირავს. უიმისოდ ვერ ისვენებს. სახელი და გვარი მკითხა. ონში ჩემი ჩამოსვლის მიზანიც გაიგო. გაუხარდა, რომ ძველი მესტვირეების ცხოვრება მაინტერესებდა. ძალიან სწუხდა, რატომ ნასწავლი არა ვარო.

იქვე განმარტოებით, კუთხეში მჯდომმა მომღერალთა გუნდის წევრმა, რომელიც ჩვენს საუბარში არ მონაწილეობდა და ფანდურის მომართვით იყო გართული, კაპიტან ბუხაიძეზე წამოიწყო სიმღერა. ზაქარიამ უცბად მოიწყინა, სიჩუმე ჩამოვარდა. ფანდურის ხმაც შეწყდა. ზაქრო წელში გასწორდა, გაიღიმა და თქვა: ამ ომში ერთი შვილი დამეკარგა, ათი რომ მყოლოდა, ათივეს ს ტ ა ლ ი ნ ს გაუგზავნიდი, არაფერს

არ ვჩივი, რახან იმ უწმინდურებმა არ შემოადგეს ფეხიო. სწუხდა, რომ სტალინზე ბევრი ქება ვერ გამოვთქვიო. მან კვლავ თავისებურად ჩაიხიბხითა, ჩუმად წაავლო სტვირს ხელი, ნიშნის მოგებით შემოგვხედა, ჩაბერა გუდას და დაამღერა:

„ამ დალოცვილმა ბელადმა,  
კარგი საქმე მოიყვანა.  
გადაგლო ბატონებმა.  
შეაერთა მიწა-წყალი.  
კარგი გზები გაიყვანა...  
როდისა ვნახავ სტალინსა,  
მისი ნახვით გამახარა.  
ძოკითხვას უთელის ბელადა.  
ჩვენი მეშტირე ზაქარა“.

„უკეთესი ქება 'კიდევ სხვა მაქვს, მაგრამ მარტო ვერ ვიმღერებ, ორ შტირზეა შეწყობილი, მე და ლუკიამ<sup>1</sup> გამოკს-თქვითო“.

კულტურის სახლიდან მე და ზაქრო ერთად წამოვედით. სადილად დავპატიყე, ღვინო ცოტა დალია, ბევრი იოხუნჯა, თან მთელი შესაძლებლობით მაგონებდა: ხალხის პატივისცემა გქონდეს, ჩვენი სამშობლო გიყვარდესო. არასოდეს ცოდვა არ ჩაიდინოვო და ა. შ. მე რომ ცოდვა ჩამედინა აქამდის ასჯერ ვიქნებოდი მკვდარიო. აქვე ზაქარია ერთ ასეთ შემთხვევას იგონებს: “მე და ჩემს ამხანაგს გზაში ყაჩაღები (თათრები) შეგვხვდნენ. ჩვენ გვქონდა სტიკირი, ნაბადი, ცოტა ფულეც. ყაჩაღების უფროსმა გვკითხა, რა ხალხი ხართო.

---

<sup>1</sup> ლუკა ტოგონიძე ცნობილი ფარახეთელი მესტირე იყო. ზაქარია ერადის ამხანაგი, გარდაიცვალა 1947 წ. ზაქარია გულისხმობს ლექსს „მესტირული ქება დიდ ბელადზე“, რომელიც მთლიანად არის მოტანილი და განხილული ზემო თავში — „საბჭოთა თემატკა მესტირულ პოეზიაში“.



ქესტივრეებიო.— ვუთხარით ჩვენ. ერთერთმა ყაჩაღმა თქვა: მოვკლათ და გავათავოთ საქმეო, ესენი გვატყუებენო. უფროსმა გვითხრა: აბა, დაუკარითო. ჩვენ ისე ტკბილად დავუკარით და დავამღერეთ, რომ ყაჩაღებმა თქვეს: სიტყვები არ გვესმის, მაგრამ კარგი ხმა კი ჰქონიაო, ასეთ ხალხს როგორ მოვკლავთო — „ქვეყნის მლოცველები“ ყოფილანო.

სასადილოდან სასტუმროში ავედით. ზაქარია ოთახში შემოვიდა თუ არა, ლოგინზე ჩამოჯდა, სკამს ეს მირჩევენიანო. მინდა ზაქარიას ბიოგრაფია ჩავწერო, მაგრამ ის დამწყვედელი არწივივით გრძნობს თავს ოთახში, ნახევარი საათის შემდეგ გამომემშვიდობა, თან მითხრა: ჩემი ნათესავი ჩამოსულა თბილისიდან, მას გაუკლი, მერე, მთვარე რომ ამოვა, ფარახეთს გადავალო (ონიდან ფარახეთი 12 კილომეტრით არის დაშორებული). ამ სიშორეზე ფეხით სიარულს ვერ შეძლებ, აქ დარჩი და ზვალ მანქანით ერთად წავიდეთმეთქი. ზაქროს გაეცინა. მთელი ქვეყანა ფეხითა მაქვს მოვლილი და ფარახეთში ჩასვლა როგორ დამლღისო. აქ ამაღამ ვერ მოვისვენებ, ბრიგადირს დავპირდი დღესვე დავბრუნდებითქო. მოტყუება 'არ შეიძლება, დილით ადრე უნდა გავიდე ვენახის სამუშაოზეო. რა მეთქმოდა, გამოვემშვიდობე.

ფარახეთში ზაქარიას საკოლმეურნეო ვენახის სამუშაოებში შევხვდი. ნაშუადღევს, როცა ყველამ დაისვენა, ზაქარია ჯდებო კოლმეურნეებს შორის და გატაცებით ყვება არსენას თავგადასავალს. 'ბოლოს მითხრა: აქ ჩუროჩულს დაიწყებენ და ვერათერს მოვიგონებ, გავინაპიროთო.

მოშორებით, კაკლის ჩრდილში მოკვალათდით. ზაქარია წამოწვა, მარცხენა მკლავზე დაეყრდნო, თვალზე ჭული ჩამოიფხატა, თან მარჯვენა ხელიც დაათარა ზედ. დაიწყო ლექსის თქმა, გამაფრთხილა, როცა ერთ მუხლს დაწერ, „ჰო“ დაიძახეო. ჩავიწერე ვრცელი ლექსები „ხოლერა“, „ადამ და ევა“, „იობის ლექსი“. ზაქარია დაიღალა. თანაც ბრიგადირმა დაუძახა.

სალამოს ზაქარიას სახლში მივაკითხე. ჩემს კითხვაზე, რატომ ყვებოდა ლექსებს თვალდახუქულად, ზაქარიამ ჩაიხიბითა და მითხრა: გულის ხაზი მაშინ უფრო ნათელია და ყველაფერი მაგონდებაო. ზაქარიას აქვს გასაოცარი მეხსიერება, მას შეუძლია განუწყვეტლივ, მთელი კვირის განმავლობაში ლექსით ილაპარაკოს. 25 დღის განმავლობაში 5.000 სტრიქონზე მეტი ლექსი ჩავიწერე მისგან.

გაოცებული დავრჩი ზაქარიას უტყუარი და ნათელი მეხსიერებით. მას ასოვს ყოველი დეტალი: ვისთან დადიოდა სამესტვირეოდ, რომელ სოფელში, ღამე სად გაათრა, მასპინძლის სახელი და გვარი და ა. შ.

მაწერიანებს ვრცელ ლექსს არსენას შესახებ, „სიკვილსიცოცხლის ლექსს“, „ცისა და მიწის გაბაასებას“, „ხარის ლექსს“ და სხვ.

\*

ზაქარია კიკოს-ძე ე რ ა ძ ე დაიბადა 1867 წელს სოფ. ფარახეთში, მისი მამა ცნობილი მესტვირე იყო. 12 წლიდან 17 წლამდე ზაქარია მამასთან ერთად დადიოდა ქართლ-კახეთში, იმერეთსა და გურიაში. შეუსწავლია ყველა ლექსი, რაც კი კიკოს სცოდნია, იგი ლექსებს სწავლობდა სწრაფად. საკმარისი იყო ორჯერ მოესმინა ესა თუ ის ლექსი, რომ მან უკვე ზეპირად იცოდა. მამასთან ერთად გაცნობია საჭართველოს ყველა კუთხეს, უსწავლია სტვირის დაშლა და აწყობა, დაკვრა, შენახვის წესები და შემდეგ დამოუკიდებლად დაუწყია მესტვირეობა. 22 წლისას შეურთავს პირველი ცოლი, ამჟამად ჰყავს მესამე. სულ 9 შვილი ჰყოლია. ამათგან მხოლოდ ერთი ქალიშვილია ამჟამად ცოცხალი. ზაქარიას მამასაც სამი ცოლი ჰყოლია. მას 14 შვილი დარჩენია. ძმები თბილისში გადასახლებულან, ზაქარია კი სოფელში დარჩენილა. შაშინ მას ჰქონია „ძველებური სახლი“, საბძელა,

სასიძინდე, ჰყოლია ერთი ძროხა და უღელი ხარი, გარდა მესტვირეობისა. ზაქარიას სხვა ხელობაც სცოდნია.

ზაქარიას სტვირი თბილისში შეუძენია ქიტესა ბალიაშვილისგან. ექვსი მანეთი გადაუხდია. ამაზე აღრე დარჩია ნადირაშვილის სტვირზე უკრავდა, მაგრამ ის მცხეთობის დღეობის დროს საგურამოელ მელორეებს მოუპარავთ. სამესტვიროდ ნოემბრიდან მარტის დამლევამდე მოგზაურობდა. დანარჩენ დროს სახლში მუშაობდა.

ზაქარიას მამა, ჯაფარიძის ყმა, უღარიბესი გლეხი ყოფილა. სახლი, საბძელი და ბეღელი ბატონს ვალში წაურთმევია. ზაქარია უკანასკნელი შვილი ყოფილა (14 შვილიდან ოთხის მეტი დაეხოცა). „ძირს არა ეგოთ და ზევით არა ეხურათ რა, დაიხოცებოდნენ. აბა რა მოუვიდოდათ!“ — გულის ტკივილით მითხრა ზაქარიამ. ზაქარიას მამას მესტვირეობა ქართლში შეესწავლა. ქართლელ მესტვირესთან შეგირდად ორი წელი ყოფილა. კიკო ერადის მამა — ზაქარიას ბაბუა, დურგალი ყოფილა, დურგლად მუშაობდა კახეთში (ყვარელი, შილდა), ერწო-თიანეთში.

მესტვირული პოეზიის ტრადიციის გასათვალისწინებლად საჭიროდ მიგვაჩნია აქვე მოვიტანოთ ნაწყვეტები დღეურიდან, რომელიც ჩვენ 1948 წლის ივნის-ივლისში შევადგინეთ ზაქარია ერადის თქმით სოფ. ფარახეთში.

\*

საქართველოში 80 სახის სხვადასხვა დღეობა იცოდნენ, სოფელი ლხინობდა, მესტვირეები ამ დღეობათა სტუმრები ვიყავით, „ხალხს უხაროდა, ჩვენც დასაჩუქრებულს გამოგვიშვებდნენ“. არც ერთი დღეობა ისე არ ჩატარდებოდა, რომ მესტვირე იქ არ ყოფილიყო. ჩვენთან, ფარახეთში, 120 მესტვირე იყო. თითო დღეობაში წავიდოდით ორი, სამი, ოთხი, ჰევირი კი არა. სოფელი შეწუხდებოდა. დანარჩენი მესტვი-

რეები სხვაგან წავიდოდნენ. ასე დავერიგებოდით და დავდი-  
ოდით შემოდგომასა და ზამთარში. გაზაფხულზე უკან  
ვბრუნდებოდით და სახლში ვმუშაობდით.



მივიდოდით გლეხის ოჯახში, ელოცავდით ოჯახის წევრებს,  
გახარებელი შემოგვეყურებდნენ, დიდსა და პატარას ერთნაი-  
რად უხაროდით. ზოგი გარეთ გამოგვიტანდა პურსა და ღვინოს,  
ზოგი გაწყობილ სუფრასთან მიგვიყვანდა, დავუკრავდით  
სათამაშოს, ცეკვავდნენ, ლხინობდნენ, მერე მეზობლებთან  
წაგვიყვანდნენ, ასე გადავდიოდით ერთი ოჯახიდან მეორე  
ოჯახში, სოფლიდან სოფელში, ფულსაც ვშოულობდით და  
თან ვქეიფობდით. ყველას უყვარდა მესტვირე.



ლომისაში ვიყავი, ერთმა „დიდმა კაცმა“ დამაკვრევინა  
სტვირი, ყველას მაგივრად მაჩუქა ოქროს თუმნიანი, თანაც  
ხალხი გააფრთხილა: მესტვირეს არათფერი აწყენილით, ყველამ  
პატივი ეცითო.



დღეობის დროს ვინმე თავადი ან სხვა „დიდი კაცი“ მეს-  
ტვირეებს შეგვაჯობებდა. — გაეჯობრეთ ერთმანეთს და ვინც  
აჯობებს, იმას ოქროს თუმნიანს ვაჩუქებო. ჩვენც ვეჯობრე-  
ბოდით ერთმანეთს. ხან უწმაწური შაირით, ხან ისე ვლექ-  
სობდით. ხალხი ირგვლივ შემოგვეხვეოდა და ყურს გვიგ-  
დებდა.



გორდში, ნიკო დადიანთან რომ ჩავიდოდით, სამ დღეს არ  
გამოგვიშვებდა, გვაქეიფებდა, მეზობლებს და სტუმრებს ვამ-  
ხიარულებდით სტვირის დაკვრით. ხანდახან ერთმანეთს შე-  
გვაჯობებდა.



ალავერდში — ალავერდობას ვიყავით შემდეგი მესტვირე-  
ები: ალექსი და შიუნა ბურდილაძეები, ბათლომე, ოქრუა,  
პავლე, მიხეილ ერაძეები, მიხეილ და მარკოზა გძელიშვილი.  
დარჩია ნადირაშვილი, ბეჟან და პეტრე ბურდილაძე. იმდენი  
ხალხი იყო მოსული, რომ მესტვირეები ერთმანეთს ვერ ვპო-  
ულობდით. აქ კახელმა თავადიშვილმა მაქსიმე ჭავჭავაძემ მე  
და კიკო ტოგონიძე შეგვაჯიბრა, უწმაწური შაირის თქმის  
შეგვრცხვა, ისე ვილექსეთ. ხალხი ირგვლივ შემოგვეხვია და  
გვცხმენდა. მაქსიმემ ორივეს ფული გვაჩუქა.



გიორგი ქებაძე განთქმული მესტვირე ყოფილა, ცხოვრობ-  
და სოფ. მისაქციელში (მცხეთის შემოთ). გიორგი ეჯიბრებო-  
და სვეელ მესტვირეს — ანდრია ნადირაძეს, ამბობდნენ, შე-  
ჯიბრებაში ანდრია სჯობნიდაო.



ყოფილა აგრეთვე ერთი ბოდორმელი (ქართლი) მესტვირე,  
სახელად მიხა ერქვა. არაგვს კინალამ, დაუხვრჩვია თავისი ვი-  
რით, ამ შემთხვევაზე თვითონ გამოუთქვამს ლექსი:

„...გადმოდგარა დედაჩემი,  
— ლეთისშობელო, შენ უშველე.  
ბოდორმელ საზანდარსაო.  
იმან ვერა მიშველა რა  
ქვევით მიჰქონდი წყალსაო.  
იქ წამექცა დოლა ვირი,  
მუცელში წიხლიცა მკრაო,  
მოუტურდი და გავედი,  
ვით ორაგული ზღვასაო.  
როცა დიდი წამოვიდეს,  
არავინ ენდოთ წყალსაო“.<sup>1</sup>

1 ფ. არქ. № 31654

ქ. გორში ცხოვრობდა ალექსი ნოდარიშვილი, იგი ოქრომჭედელი იყო, სტვირებსაც აკეთებდა. ადრე სტვირზე უკრავდა. რაჭველებს ალექსიმ ასწავლა სტვირზე დაკვრა, სტვირის გაკეთება, ლერწმების ამოჭრა; რაჭველ მესტვირეებს მესტვირული ლექსები ქართლში აქვთ შესწავლილი, აქ რაჭაში ასეთი ლექსები არ იცოდნენ.

თელავში სტვირს აკეთებდა თედო, რომელიც მესტვირე არ ყოფილა. თედო სტვირს ყოველნაირ სამკაულს უკეთებდა: ძეწკვებს, სალტეებს, თვლებს, მისგან ყიდულობდნენ მესტვირეები სტვირს. კარგი, გაწყობილი სტვირი 20-30 მანეთი (ოქროთი) ღირდა. თედოს სტვირის გაკეთება მაშინ დაუწყია, როცა გორში ალექსი გარდაცვლილა.

ბაზალეთის ახლოს, საკრამულოში ცხოვრობდა მესტვირე გიორგი კუნწულა. მასთან ორჯერ ვიყავი. თვითონ მოხუცი იყო და სამესტვიროდ არ დადიოდა.

მოხისში (ქართლი) ცხოვრობდა მესტვირე თევდორე ჯაბნიაშვილი. მისგან 8 მანეთად იყიდა სტვირი გრიგოლ გაგოშვილმა, რომელიც შეგირდად ოქრუა ერაძესთან იყო. გრიგოლი ოსი იყო (ღურჩევიდან), ობლობაში გაზრდილი, კახეთში (სოფ. მელაანში) ჩასიძებია და იქაც მესტვირეობას მისდევდა თურმე.

მესტვირეები პირველად ქართლში გაჩნდნენ, ფარნაოზ ხელმწიფის დროს. სწორედ ფარნაოზს დაესიზმრა პირველად სტვირი. ქართლიდან რაჭაში მესტვირეობა დათა ბურდილაძეს გადმოუტანია. იგი იყო პირველი ფარახეთელი მესტვირე. მისგან ისწავლეს დანარჩენებმა სტვირზე დაკვრა. ქართლელ მესტვირეებს, როგორც რაჭველი, ისე ადგილობრივი შეგირდები ყავდათ. შეგირდობის ვადა ერთ წელზე ცოტა მეტი იყო. ფარახეთელები შეგირდობას ორ წელს ანდომებდნენ, კარგად უნდა ვისწავლოთო.

ლუკა ბეროს-ძე ტოგონიძე კარგი მესტვირე იყო, აქვე ცხოვრობდა, დაიბადა 1862 წელს. მისი მამა საწყალი კაცი იყო, ორი ბატონი ყავდა. ლუკა შეგირდად იყო გიორგი მაგარაქველიძესთან, ოსტატი შეგირდს თვეში 5 მანეთს აძლევდა, ორი წლის შემდეგ დამოუკიდებლად ეწეოდა მესტვირეობას. იგი 1947 წელს გარდაიცვალა.

ლუკა და მე 12 წლის განმავლობაში ერთად დავდიოდით სამესტვირეოდ. ჩემზე მეტი ლექსი მან არ იცოდა.

მესტვირეები ერთმანეთს ვასწავლიდით ლექსებს. მამაჩემისაგან შევისწავლე „დალოცვები“, „გლახის ლექსი“, „იესო-ქრისტეს ლექსი“, „იობის ლექსი“, „ედემის ლექსი“. გრიგოლ ბურდილაძემ მასწავლა „აბრამის ლექსი“. ლუკა ტოგონიძემ ჩემგან ისწავლა „სიკვიდილ-სიცოცხლის ლექსი“, „ნეტავ, ვინ გაიგონა შუა დღე დაღამებული“; ბიჭია ბურდილაძეს ვასწავლე „ხოლერის ლექსი“.

დღეობა-დღესასწაულზე (ალავერდობას, მცხეთობას) შეიძლებოდა 10 მესტვირეც ერთად წავსულიყავით, მაგრამ იქ რომ მივიდოდით, როგორც ფუტკარი ცალკე ყვავილზე მიდის, ისეთით-თითოდ დავრიგდებოდით, რადგან მლოცველები ცალ-ცალკე ქეიფობდნენ. დღეობა რომ დამთავრდებოდა, ისევ შევიკრიბებოდით ერთად და წავიდოდით სხვაგან. თუ კი დღეობა არ იყო, სოფლებს დავივლიდით.

უსანეთობის დღეობაზე 11 მესტვირე ვიყავით: რევაზი, ნიკო, პავლე, ბათლომე, ოქრუა და მიხეილ ერაძეები, პავლე, სოფრომი და ნანია ტოგონიძეები, ვანო ბურდილაძე და მე. შისვლისთანავე თითო-თითოდ დავრიგდით, საღამოს ერთად შევიკრიბეთ.

ლომისობას ვიყავით მე და ბიჭია ბურდილაძე, ბიჭიას 80 მანეთი ეშოვა, მე კი 75 მანეთი ვიშოვე. დღეობის შემდეგ სოფ. წაღვარქევში ჩამოვედით, მოვიარეთ სოფლები, ზუთი თუმანი კიდევ ვიშოვეთ.

ალავერდობას ერთხელ ოთხი მესტვირე წავედით. ვ. ბურდილაძე, მ. ერაძე, კ. ტოგონიძე და მე. იმდენი ხალხი იყო, რომ ერთმანეთს ვერ ვპოულობდით. ეზოს ერთ კუთხეში თუშები ქეიფობდნენ, მივედი მათთან თუ არა, დაუკარი სტვირი. თუშმა მასთან ახლოს, უნაგირზე დამსვა, ყველა გავლექსე (შევაქე). იმ თუშმა ამხანაგებს უთხრა: თუ კაცები ხართ ამ მესტვირეს იმდენი მივცეთ, რომ ერთი ხელი ტანისამოსი იყიდოსო. დათანხმდნენ. 45 მანეთი მაჩუქეს. მადლობა მითხრეს და გამომიშვეს.

ქართლში ყოფილა მესტვირე გიორგი ქებაძე, მას შეგირდად პეტრია კეხიჯვრელი ყოლია, გიორგი მას თვეში ხუთ მანეთს აძლევდა. ორი წლის შემდეგ ოსტატს დაულოცია, მიუცია სტვირი და გაუშვია.

გრიგოლ ტაბახმელელს შეგირდად სოსიკა ჭარიაშნელი ყავდა. შეგირდად ორ წელს იყო. ოსტატი შეგირდს თვეში სამ მანეთს აძლევდა. ორი წლის შემდეგ ოსტატს დაულოცია შეგირდი და გაუშვია მესტვირედ.

მამაჩემი იტყოდა, რომ კარგი მესტვირეები არიანო ბლიაძე და ხისფეხიანი (სახელი არ მახსოვს). ბლიაძე ნატახტარიდან ყოფილა, ხისფეხიანი მისაქციელიდან (მცხეთის რ.). ბლიაძე და ხისფეხიანი ყველაზე უფროსი მესტვირეები იყვნენო.



ანდრია ბურდილაძე ცნობილი ფარასეთელი მესტვირის დათა ბურდილაძის შვილი იყო. კარგად უკრავდა სტვირს, თანაც ყველაზე უფრო ღონიერი იყო. მასთან ერთად ვიყავი ხანდაჟამი (ქართლი). იქ ჭიდაობას დავესწარი. ერთმა თავადიშვილმა ანდრიას უთხრა, რომ ჭიდაობაში მონაწილეობა მიიღე და თუ გაიმარჯვებ ფულს გაჩუქებო. თუ არ წამეჩხუბებდიან, ვიპიდავებო, 'აქ მე ქომაგი არავინ მყავსო — თავადიშვილმა უთხრა: ხმას არავინ გაგცემსო. დაიწყეს ჭიდაობა. წააქცია ერთი მოქცდავე, მეორეც, წაქცეულებს ამხანაგები მიეშველენ, მაგრამ თავადიშვილმა მათრახით გაფანტა ისინი. 'მესამეს წყალში დაეჭიდა (იქვე 'პატარა ტბა' იყო, კოჭებამდე შემოწვდებოდა კაცს), ისიც წააქცია. ანდრიამ ჭიდაობის წესები და ხერხი კი არ იცოდა, მაგრამ ისე, ღონით ამტვრევდა მოწინააღმდეგეს. ფული აჩუქეს და წამოვიღეთ. ფარახეთში, მრავალრძლის მთაზე წასულეყო ანდრია თივის ჩამოსატანად. ცივი წყალი დაეღია და თივის მაგიერ თვითონ მკვდარი ჩამოიტანეს.

მე და ლუკა 'ტოგონიძე ალვანში დავდიოდით, მივიდოდით მეცხვარეებთან, დავლოცავდით ცხვარს. ისინი კი სამაგიეროდ მატყლს გვაძლევდნენ, ხან ერთ და ხან ორ ნაპარსს. მეცხვარე პავლე გუგუღურმა 'ორი ცხვრის ნაპარსი მოგვცა და ყველი. 15 ფუთი მატყლი შევაგროვეთ. ალვანიდან თელავამდე ურპით ჩამოვიტანეთ, მეურმეს 7 მანეთი მივეცით. ფუთი ოთხ მანეთად გავყიდეთ.

მე და ლუკა ვიყავით ხანდოს ჭალაში (მთიულეთი) მეცხვარეებთან. ერთი მოხუცი მეცხვარე გავიცანით, სახელად სიმონი ერქვა, კარგი პატივი გვცა, 'დაგვალოცვინა ცხვრები და ცოლ-შვილი. ცხვარი ასე დავლოცეთ:

„გაგიმრავლოს შენი ცხვარი.  
ხელთ გეპიროს მთა და ქალა.  
ასი კოდი ოქრო მოგცა,  
და სამოცი კოდი ფარა...  
ცხვრები გკოლოდეს იმდენი,  
რომ სიმრავლით გაგახარა.  
ოვთის დოვლათი და სიმდიდრე  
გამჩენმა არ მოგიშალა...  
შემოდგომა და ზამთარი,  
ღმერთმა მრავალჭერ მოგგვარა,  
წავა და ქებას წაიღებს  
მტკიარის დამკვრელი ზაქარა“.<sup>1</sup>



მე და ლუკამ გავიგეთ. რომ აკაკი წერეთელი ჩამოვა ონ-  
შიო. მოვემზადეთ. მართლაც ჩამოვიდა. ჩვენ იქ დაეხვდით.  
სალამოს გაიმართა ქეიფი დავით გოცირიძის სახლში. მე და  
ლუკა მივედით ჩვენი გუდა-სტვირით. დაუუკარით და ვამღე-  
რეთ. აკაკიმ ყველაფერი გამომკითხა. ფულის ჩუქება უნდო-  
და, მაგრამ მასპინძელმა არ დაანება, უკვე ჩვენ მივეციითო.  
ბოლოს მითხრა: რამდენი კლასი გაქვს დამთავრებული, რომ  
ამდენხანს ლაპარაკობ და ლექსი არ შემოგლევიაო. მე ვუ-  
თხარი: „სკოლა შორიდან დამინახავს. თორემ შიგ არ ვყო-  
ფილვარ ბატონო“. თავი გააქნია და მოიწყინა. მე უცბათ გა-  
მოუთქვი ლექსი და სტვირზე დავამღერე:

„ახლა აკაკი დაელოცო,  
ზედ დევს ანგელოზის ფერი,  
ნასწავლი კაცი ბრძანდები.  
და გიციინს ყველაფერი,  
დედაშენს შენი გაზრდისთვის  
იქ დააყენოს ნათელი...  
ამხანაგები გიცოცხლოს.  
შენი კეთილის მლობელი,

<sup>1</sup> ფ. არქ. № 31654.

რასაც გუნებითა ფიქრობ  
ნატვრა შეგისრულოა შენი<sup>1</sup>.

•

ონიდან ქალალდი მივიდეთ, მე და ლუკას თბილისში გვიბარებდნენ, ოლიმპიადაში მონაწილეობის მისაღებად. წავედით. ქალაქში დიდი პატივი გვცეს. სტვირზე ბევრჯერ დაგვაკვრევინეს. ერთხელ გვითხრეს: თქვენი სიმღერა რომ მოგასმენინოთ, გაგიხარდებათო? რა თქმა უნდა გაგვეხარდებო — ვუთხარიტ ჩვენ. პატეფონზე ფირფიტა დაადეს და რაც ჩვენ ვიმღერეთ, იგივე სიმღერა მოვისმინეთ. ლუკამ სტვირზე იტაცა ხელი — ხომ არ მომტაცესო. ხალხს გაეცინა.

•

ომის დროს (იგულსხმება სამამულო ომი) მე და ლუკამ მთელი საქართველო შემოვიარეთ. ყველგან ვიყავით, საკოლმეურნეო მინდვრებში, ფერმებში, მწყემსებთან, ვლოცავდით ხალხსა და ბელადებს.

\*

ამჟამად ზაქარია 85 წელს გადაცილებულია, იგი კვლავ ახალგაზრდული ენერგიით განაგრძობს მუშაობას. თავის საყვარელი გუდა-სტვირი კედელზე აქვს ჩამოკიდებული. კოლმეურნეობის ვენახიდან დაბრუნებული მოხუცი ხანდახან ჩაჰბერავს გუდას და ნელი ხმით დააღიღინებს:

„დაებერდი, თითქოს, დაებერდი,  
თავზე დამადგა სითეთრე,  
ბელადის ქებას არ მოვშლი  
ის არის ქვეყნის სიკეთე...  
დავლიოთ, დაეთვრეთ, რა უყოთ!..  
დასცალეთ, ყანწი არ იდგმის,  
ულვინოთ ქება ვაუკაცის  
ქართულ სუფრაზე არ ითქმის“.

<sup>1</sup> ფ. არქ. № 31657.

ფარახეთელმა მესტვირემ ზაქარია ერაძემ შემდეგი ცნობები მოგვაწოდა მისთვის ცნობილი ქართლელი და რაჭველი მესტვირეების შესახებ:

1. პეტრე ბალიაშვილი იყო სოფელ კეხიჯვრიდან (ქარელის ახლოს არის), პატარა ნაბდის თუშურთი ქუდი ეხურა, სხვა მესტვირესავით მოშვებული წვერი მას არ ჰქონია. ხანჯალს არ ატარებდა, ეცვა შინელი. ნაბადს რაჭველი მესტვირეები ატარებდნენ. პეტრე შორს არ დადიოდა და ნაბადი არ სჭირდებოდა. მომლხენი კაცი იყო, ყავდა ცოლ-შვილი, მიწური სახლი, ჰქონდა, ერთი უღელი ხარი ჰყავდა, ძროხაც; ცხვრები არ ყოლია, სახნავ-სათიბს თვითონ ამუშავებდა, სამესტვირეოდ დღეობის დროს წავიდოდა.

2. გრიგოლ ღვინიაშვილი ტაბახმელელი მესტვირე იყო. მომლხენი, პურადი კაცი, ოჯახში ძალიან საწყლად ცხოვრობდა. ჰქონდა მიწური სახლი, ცოლ-შვილი ყავდა, სახნავ-სათიბი ცოტა ჰქონდა, მესტვირეობა ისწავლა გორელი ალექსისაგან. დღეობებში დადიოდა სამესტვირეოდ, სხვა დროს სახლში მუშაობდა. ერთი ძროხა ჰყავდა, მაწონს აკეთებდა, ჩამოქონდა ქალაქში და ყიდდა. უყვარდა ღვინო, ლექსები ბევრი იცოდა, რადგან კარგ მესტვირესთან იყო ნამყოფი. ჩვენ მისგან ვისწავლეთ „პატარძალო“. ეს ლექსი ასე გამოსთქვა:

პატარძალო, პატარძალო, ქათმებს დოუყივლე, დოუყივლე!

დათვალე, დათვალე!

ერთი, ორი, სამი, ოთხი, ხუთი, ექვსი, შვიდი, რვა, ცხრა, ათი,

მეთერთმეტე დაკარგულა აღარ არი ნაკარაო

რა კაი დედამთილი მყავს, ღმერთმა არ დააცალო... (და ა. შ.).

გრიგოლი დიდი ხანია რაც გარდაიცვალა.

3. სოსია ჯარიაშვილი ჩემზე უმცროსი იყო. რვა წელიწადია არ მინახავს, შეიძლება ცოცხალიც არის. ლერწმები მივეცი მე, ოქრუა ერაძემაც მისცა, უწმარწური ლექსები იცოდა. პატარა მიწური სახლი ჰქონდა, ცოლ-შვილი ყავდა,

საწყალი კაცი იყო, დღეობაში დადიოდა სამესტვირეოდ, ისე კი არა; „ხეირიანი ლექსი არ იცოდა და ქვე საით წავიდოდა!“

4. დ უ და ხ უ ც ი შ ვ ი ლ ი ახალსოფლელი (ქართლი) იყო. კარგი სტვირის დანკრა იცოდა, ლექსი კი ცოტა. ყავდა ცოლ-შვილი, დადიოდა დღეობებში. ბერიკაზე უფრო დადიოდა, ბერიკულს უკრავდა: ქართლში სათამაშოს ბერიკულს ეძახიან, სამეგრელოში — „ოსხაპურს“.

5. გ ი ო რ გ ი კ უ ნ წ უ ლ ა იყო სოფ. საკრამულოდან (დუშეთის ახლოს არის). მე ვიყავი 30 წლის რომ ვნახე, ის იქნებოდა 60 წლის, კარგი მესტვირე იყო, სტვირიც კარგი ჰქონდა, ალექსის გაკეთებული. ჩვენ ძალიან მოგვილხინა. მის ოჯახში ვიყავით მე და ჩემი ძმა, კარგი დრო გაგვატარებინა, ცოლ-შვილი ჰყავდა, ქვიტკირის პატარა სახლი ჰქონდა, მე მინდოდა მისი სტვირი მეყიდა, თვითონ არ უკრავდა, დავბერდი და სად წავიდეო. ძვირი დამიფასა — თუშანი, მე ხუთი მანეთი ვაძლიე, მაგრამ არ მომცა.

6. თ ე დ ო რ ე ჯ ა ბ ნ ი ა შ ვ ი ლ ი იყო მოხისიდან, გომის ახლოს არის. მე ვიყავი 20 წლის რომ ვნახე, ის იქნებოდა 60 წლის, ისიც ბერიკულს უკრავდა, სტვირის დასაკვრელად დადიოდა დღესასწაულების დროს. ბერიკაობაში ღებულობდა მონაწილეობას, ბევრი ღორი ჰყავდა. დაუკრავდა სტვირს, ღორები უკან მისდევდნენ; სტვირის ხმაზე ჰყავდა შეჩვეული. სტვირს მაღალ ხმაზე აყენებდა. ღორებს შორიდან ეყურებოდათ სტვირის ხმა. ბანიანი, მიწური სახლი ჰქონდა. ყავდა ცოლ-შვილი, მასთან დამე გავათიეთ, ძალიან მოგვილხინა დავლოცეთ და წამოვედით.

7. მ ა მ უ კ ა ჩ უ ბ ი ნ ი ძ ე იყო ხრეთიდან (კიათურის რაიონი), ოქონობას გავიცანი იმერეთში, მე ვიყავი 30 წლის, ის იქნებოდა 75 წლის, ძაან მოხუცი იყო, დადიოდა ჯორით, ფეხით სიარული არ შეეძლო. მივიდოდა გლენისას, ჩამოხტებოდა ჯორიდან და დაუკრავდა სტვირს, მერე ისევ შეჯდებოდა და

წავიდოდა. ჰქონდა სახლ-კარი. ნაყმევი, კარგი მესტირე იყო. შეგირდები არ ყოლია, თვითონ სესიკა ბურდილაძისაგან შეისწავლა მესტირეობა.

8. ანდრია ნადირაშვილი სეველი მესტირე იყო, მას ვერავინ ჯობდა, განსაკუთრებით გამოთქმაში (გამოგონებაში). სამესტირეოდ რომ ყოფილა იქ გაცივებულა, ავით გამსდარა და იქვე მომკვდარა. სამეგრელოშია დასაფლავებული. ერთი შვილი ყავდა. მისი შვილი მესტირე არ ყოფილა. შეგირდად მიხელა გძელიშვილი ყავდა.

9. მიხეილ გძელიშვილი რომ გავიცანი 20 წლის ვიყავი, ის 60 წლის იქნებოდა. მასთან ერთად ვიყავი ხევსურეთში, ლაშარის დღეობაზე. მან ბევრი ლექსი იცოდა. ჰქონდა სახლ-კარი, ცოტა ვენახიც, ყავდა ხარი და ერთი ძროხა. ზაფხულობით სახლში მუშაობდა. საწყალი კაცი იყო, ერისთავის ყმა, ყმობიდან თავი დაიხსნა. მოლხენა იცოდა. უფრო მეტად, რმერეთსა და გურია-სამეგრელოში დადიოდა. სამი ვაჟი ყავდა, მისი შვილები გურჯაანში მეპურეებად იყვნენ. ორი ამჟამადაც იქ არის, ერთი აქ, სახლში. შვილებიდან მესტირე არცერთი არ ყოფილა. გარდაიცვალა 30 წლის წინათ, მოკვდა მოწამეთაში, სამესტირეოდ იყო წასული, დღეობა იცოდნენ. თიაქარმა მოკლა. მისმა ბიძაშვილებმა ჩამოასვენეს ქუთაისში და იქვე დამარხეს.

10. დარჩიანადირაშვილი რომ გავიცანი, მე ვიქნებოდი 30 წლის, ის იქნებოდა 65 წლის, დაბალი, მსუქანი კაცი იყო, ტკბილი მოლაპარაკე, წვერს არ იჩერებდა, მესტირეობა შესწავლილი ჰქონდა დათინა ბურდილაძისაგან. მარტო ერთი ვაჟი ყავდა, ვაჟს მესტირეობა არ უსწავლია. კაი პურადი კაცი იყო. ხანჯალს მუდამ ატარებდა, სახლში გარდაიცვალა, თავისი დღით მოკვდა. სამესტირეოდ. უფრო მეტად, აქ რაჭაში დადიოდა.

11. სტეფანე გძელიშვილი კარგი მესტირე იყო. მიწური სახლი ჰქონდა, სახნავ-სათიბი ცოტა, იყო ნაყმევი,

მოსავალი არ ყოფნიდა, მესტვირეობაში ნაშოვნის ფულით ყიდულობდა სიმინდს. სამესტვირეოდ, უფრო მეტად, იმერეთში დადიოდა. მასთან ერთად მე არსად ვყოფილვარ. შეგირდად არავინ არ ჰყოლია, გარდაიცვალა თავის სოფელში.

12. კ ა ც ი ა გ ძ ე ლ ი შ ვ ი ლ ი 80 წლის იქნებოდა რომ გავიცანი, მამაჩემთან დადიოდა სამესტვირეოდ. უშვილო იყო. ჰქონდა სახლ-კარი, ყავდა ერთი უღელი ხარი და ერთი ძროხა, მამაჩემი და ის იყვნენ თიანეთში, დუმეთში, კახეთში, ქიზიყში, სიღნაღში, მე ხურჯინები დამქონდა. უფრო მეტად, კაცია ქართლ-კახეთში დადიოდა. ნაყმევი იყო. შეგირდი არ ყოლია, გარდაიცვალა თავის სახლში.

13. გ ი ო რ გ ი პ ა ა ტ ა შ ვ ი ლ ი (გძელიშვილი) — იქნებოდა 80 წლის რომ გავიცანი. მსხვილი უღვაშები ჰქონდა, ლაპარაკის დროს დაიწყებდა უღვაშების გრეხას. კარგი მოლაპარაკე კაცი იყო, კარგად უკრავდა სტვირზე. მესტვირეობა დათინა ბურდილაძემ ასწავლა. ყავდა ცოლ-შვილი, ჰქონდა სახლ-კარი. უფრო მეტად დადიოდა იმერეთში: ბაღდათში, ზესტაფონში, ჩხარში, ალისუბანში და სხვაგან. თავისი დღით მოკვდა, მას შემდეგ 50 წელიწადი იქნება.

14. ს ო ფ რ ო მ კ ო ბ ე რ ი ძ ე ი ყ ო ს ო ფ. ცხმორიდან (ზემო რაჭა), კარგი მესტვირე იყო, მე ვიყავი 20 წლის რომ გავიცანი. ის იქნებოდა 70 წლის, საშუალო ტანისა იყო. წვერს არ იჩერებდა. სტვირი გორში იყიდა, ნაყმევი იყო. მესტვირეობა შეისწავლა დათინა ბურდილაძისაგან. ყავდა ერთი შვილი. მისი შვილი მესტვირე არ ყოფილა. ცოტა ვენახი ჰქონდა, უფრო მეტად ვლადიკავკავში დადიოდა, იცოდა რუსული, ოსური და თათრული ენები. სტვირზე მხოლოდ ქართულად უკრავდა, ხანდახან დადიოდა ქართლ-კახეთში, მომღზენი კაცი იყო. შვენოდა ყველაფერი, 80 წლის გარდაიცვალა. დასაფლავებულია ვლადიკავკავში.

15. შ ა ქ ა რ ა მ ა ი ს უ რ ა ძ ე ც ს ო ფ. ცხმორიდან იყო. მესტვირეობა თაზია ბურდილაძისგან ჰქონდა ნასწავლი. შუა

ცეცხლის სახლი ჰქონდა, ერთი ულელი ხარი და ძროხა ყავდა. იყო ნაყმევი, ყავდა ერთი შვილი, მე 25 წლის ვიქნებოდი რომ გავიცანი, ის 85 წლის იქნებოდა. ისეთი ბებერი იყო, რომ ყვითელი წვერები ჰქონდა. იცოდა ბევრი ლექსი. უფრო მეტად ქართლ-კახეთში დადიოდა, დიდი ხანია გარდაიცვალა.

16. წყალბამაცაბერიძე იყო სოფ. კვირიკეწმინდიდან (ზემო რაჭა), როცა გავიცანი 30 წლის ვიყავი. ის იქნებოდა 60 წლის. კარგი მესტვირე იყო, მესტვირეობა სესიკა ბურდილაძისაგან ჰქონდა ნასწავლი. შუა ცეცხლის სახლი ჰქონდა. უსახლკარო არცერთი მესტვირე არ იყო. ტყვია მოხვდა ხელის გულზე და მას შემდეგ სტვირით არ დადიოდა. მასთან ერთად სამესტვირეოდ ვიყავი იმერეთში. ბევრი ლექსი იცოდა. დიდი ხანია მოკვდა.

17. ოქრუართველაძე იყო სოფ. ქორთადან (ზემო რაჭა), ღონიერი კაცი იყო, კბილით აიღებდა ხუთფუთიანს და აქეთ-იქით დაატარებდა. ორი შვილი ჰყავდა, ღარიბული სახლ-კარი ჰქონდა, ნაყმევი იყო. მესტვირეობა ისწავლა გრიგოლ ბურდილაძისაგან. თვითონ შეგირდი არ ჰყოლია, სამესტვირეოდ ხან გრიგოლასთან და ხან მარტო დადიოდა, უფრო მეტად ქართლ-კახეთში. ქიზიყში ციება შეეყარა, ვილაცას ესწავლებინა: ერთ ჭიქა ცხარე არაყში ერთი მუქა დანაყილი მარილი ჩაყარე და დალიეო, დალია და მოკლა საწყალი.

18. ექვთიმე არჩვაძე იყო სოფ. ბარიდან, მე ვიყავი 30 წლის როცა გავიცანი, ის 80 წლის იქნებოდა. უკვირდა ხალხს, რა კარგი ხმა აქვს ამ მოხუცებულსო. საწყალი კაცი იყო, თუმცა, სახლ-კარი, სახნავ-სათიბი ჰქონდა და საქონელიც ჰყავდა. კარგი მოლხენა იცოდა. დადიოდა ქართლ-კახეთში, აფხაზეთში, სტვირზე მარტო ქართულად ამღერებდა, მესტვირეობა დათინა ბურდილაძისგან ისწავლა. დიდი ხანია გარდაიცვალა.



19. გიორგი გეწაძე იყო ახალსოფლიდან (ამბროლაურის რ.). გვარიანი მესტვირე იყო, უფრო მეტად დადიოდა იმერეთსა და გურიაში. მე ვიყავი 25 წლის რომ გავიცანი, ის იქნებოდა 75 წლის. ვნახე ამბროლაურში, გიორგობის დღეობაზე, სტვირს უკრავდა, მარტო დადიოდა. წვერს არ იჩერებდა. რევოლუციამდე მოკვდა. შეგირდად წყალობა მაცაბერიძესთან იყო. თვითონ მას შეგირდი არ ჰყოლია.

20. გრიგოლ ბურდილაძე კარგი მესტვირე იყო, მტკიცე ხმით მოლაპარაკე, მე ვიყავი 20 წლის რომ გავიცანი, ის იქნებოდა 60 წლის, მესტვირეობა მისმა მამამ დათინა ბურდილაძემ ასწავლა. 70 წლის გარაიცვალა, დასაფლავებულია ფარახეთში.

21. ზაქარია ბურდილაძე გრიგოლის უმცროსი ძმა იყო, დღეობაზე მინახავს. ბევრი ლექსი იცოდა. ღარიბული სახლ-კარი ჰქონდა. სათიბ-სახნავიც ცოტა გააჩნდა, ჯაფარიძის ნაყმევი იყო. მესტვირეობა მისმა მამამ ასწავლა. 20 წლის ვიყავი როცა გავიცანი, ის იქნებოდა 60 წლის. სალიგვერდაში (ოსეთში) გარდასახლდა, იქაც მესტვირეობას მისდევდა, ცოლ-შვილი თან წაიყვანა. იქ გარდაიცვალა.

22. ანდრია ბურდილაძე შუათანა შვილი იყო დათინასი, თვითონ ანდრიას შვილი არ ჰყოლია. მოჭიდავე კაცი იყო. უფრო მეტად ქართლ-კახეთში დადიოდა, სამეგრელოშიც. მეგრული და აფხაზური ენები იცოდა, საკუთარი სახლ-კარი არ ჰქონია, ხუთი ძმები იყვნენ, როცა გაიყვნენ ანდრიას არაფერი შეხვდა. დაანება თავი რაჭას და გადასახლდა სალიგვერდაში. იქ ცხოვრობდა 12 წელიწადი. შეისწავლა ოსური ენა, მერე დაბრუნდა რაჭაში, 10 წელიწადი ძმასთან იყო, მოკვდა აქ.

23. დევლეთა ბურდილაძე კარგი მესტვირე იყო. მასაც დათინა ბურდილაძისაგან ჰქონდა ნასწავლი მესტვირე-

ობა. გააჩნდა სახლ-კარი, იყო ნაყმევი. უფრო მეტად ქართლ-კახეთსა და გურიაში დადიოდა. მომლხენი კაცი იყო. სტვირი გორში ჰქონდა ნაყიდი. შვილი მესტვირედ გაზარდა, საწყალი გლეხი იყო, მოკლა პეტრია ტოგონიძემ — მიწაზე ცილობდნენ.

24. ს ვ ი მ ო ნ ბ უ რ დ ი ლ ა ძ ე კარგი მოხუცი მესტვირე იყო. ყავდა ცოლ-შვილი, სამი ვაჟიდან ორი მესტვირედ გაზარდა, ერთი მეპურე იყო. თვითონ ასწავლა მესტვირეობა შვილებს: ბეჟანასა და პეტრიას. სახნავ-სათიბი ცოტა ჰქონდა, იყო ნაყმევი, მარტო ქართულად ამღერებდა სტვირზე. უფრო მეტად ქართლ-კახეთში დადიოდა, გურია საქეგრელოში იმდენად არა.

ერთხელ მეჭვრისხევში უსანეთობის დღეობაზე ყოფილა. გაუტყუებიათ ღამით ყაჩაღებს, მდინარის პირზე ქეიფი გვაქვსო, გაუყვანიათ რიყეზე, დააკვრევინეს თურმე სტვირი, ორი ელაპარაკებოდა წინიდან, ორს ზურგიდან კეტები დაურტყამთ და მოუკლავთ. სტვირი, ნაბადი და ფული წაუღიათ, მკვდარი კი იქ დაუტოვებიათ, მერე მთავრობამ დამარხა მეჭვრისხევში. აქ რომ გაიგეს ბევრი იტირეს. ვინ მოიტანდა იქიდან, ხარჯი უნდოდა... ის რომ მოკლეს დიდი ხანია ორმოცდაათ წელზე მეტი იქნება.

25. მ ა თ ი ა ბ უ რ დ ი ლ ა ძ ე საშუალო ტანის კაცი იყო, აფხაზურიც იცოდა და მეგრულიც. ხშირად დადიოდა სამეგრელოში, წვერს არ იჩერებდა, თუშური ქუდი ეხურა, ჰქონდა ნაბადი. ყავდა ცოლ-შვილი, მესტვირეობა სესიკა ბურდილაძისაგან ისწავლა, გააჩნდა სახლ-კარი, სახნავ-სათიბი, მაგრამ მაინც საწყლად ცხოვრობდა, შეგირდი არ ყოლია. ბევრი ლექსი იცოდა, მეგრულად და აფხაზურად ამღერებდა სტვირზე.

26. ი ა კ ო ბ ბ უ რ დ ი ლ ა ძ ე კარგი მესტვირე იყო, მესტვირეობა. შეისწავლა სესიკა ბურდილაძისაგან, იცოდა მეგრული და აფხაზური ენები, უფრო ხშირად იქ დადიოდა. 40 წლის წინათ გარდაიცვალა.

27. ალექსი ბურდილაძე, ბიჭიას მამა, კარგი მესტვირე იყო, ბევრი ლექსის მცოდნე. მესტვირეობა სესიკა ბურდილაძისაგან შეისწავლა. შეგირდად ჰყავდა როსტომ ერადე, რომელმაც შემდეგ თავი მოიკლა. ალექსის ჰქონდა სახლ-კარი, ყავდა ცოლ-შვილი, სამი ვაჟიდან ერთმა (ბიჭიამ) ისწავლა მესტვირეობა, მეორე მეპურედ იყო, მესამე ჯარში დაიკარგა. ალექსი უფრო მეტად ქიზიყში, კახეთში, თიანეთში დადიოდა. 75 წლის მოკვდა, ქარელში მარხია, სამესტვირეოდ იყო წასული, კუქის ტკივილი ჰქონდა, იქ მოერია და მოკლა. იქვე მარხია აგრეთვე შიუნა ბურდილაძე, ერთ ეკლესიაზეა ორივე დამარხული.

28. სტეფანე ტაბუცაძეს სტვირზე დაკვრა სესიკამ ასწავლა. კარგი მესტვირე იყო. სახლ-კარი და სახნავ-სათიბი ჰქონდა, სალიგვერდში (ოსეთში) წავიდა საცხოვრებლად და იქ მოკვდა. უფრო მეტად დადიოდა ქართლ-კახეთში, მთიულეთში, ხევსურეთში, ფშავეში. სტვირი გორში შეიძინა. იცოდა ოსური, რუსული და სომხური ენები. ქალაქ თბილისში 15 წელიწადი მეკურტნედ იყო, 18 ფუთის ზიდვა შეეძლო. ხან მუშაობდა და ხან სამესტვირეოდ მიდიოდა. სომხური თბილისში ისწავლა. სტეფანე დიდი ხანია გარდაიცვალა, 50 წელიწადი იქნება. დამარხულია სალიგვერდაში. ცოლშვილიც იქ ჰყავდა.

29. იოსებ ტაბუცაძე უმცროსი ძმაა სტეფანესი, მესტვირეობა ძმისაგან ისწავლა, იცოდა ოსური და რუსული ენები. ოსური სალიგვერდაში ისწავლა, რუსული — თბილისში. სალიგვერდაში დიდხანს ცხოვრობდა.

30. მიხეილ ერადემ მესტვირეობა ისწავლა სესიკა ბურდილაძისაგან, დადიოდა გუმბრში, ჯავახეთში, ქართლ-კახეთში, სამეგრელოში, იცოდა სომხური, რუსული და თათრული ენები.

31. პავლე ერადემ მიხეილის უფროსი ძმა იყო. კარგად იცოდა აფხაზური ენაც. კარგი მესტვირე იყო. ბევრი ლექსი.

იცოდა, ფულსაც საკმაოდ შოულობდა, უფრო მეტად სამეგრელოში და აფხაზეთში დადიოდა, შუა ცეცხლის სახლი ჰქონდა. ცოლ-შვილი ჰყავდა, აქ მოკვდა, ფარახეთშია დასაფლავებული.

32. მინა ერადე იყო კარგი მესტვირე, მესტვირეობა ისწავლა მარკოზა გრძელიშვილისაგან. გარდა ქართულისა სომხური ენა იცოდა. დადიოდა ქიზიყში, კახეთში. წნორზე მოუსწრო სიკედილმა, იქ არის დასაფლავებული. 40 წელზე მეტია მოკვდა.

33. იესე ტოგონიძე დროული კაცი იყო, მე რომ ვნახე 100 წლის იქნებოდა. მესტვირეობა დათინა ბურდილადისაგან შეესწავლა, დადიოდა ქართლ-კახეთში, მისი ვაჟიც მესტვირე იყო. შვილს მესტვირეობა თვითონ ასწავლა, საშუალო ოჯახი ჰქონდა. ჯაფარიძის ნაყმევი იყო. ფარახეთში გარდაიცვალა.

34. კიკო ტოგონიძე იესეს შვილი იყო. ჰქონდა შუა ცეცხლის სახლი. სახნავ-სათიბი ცოტა ჰქონდა. ვაჟები უმალ დაეხოცნენ. უფრო მეტად იმერეთში დადიოდა. მესტვირეობით შეგროვილი 500 თუმანი ნიკოლოზის ბანკში ჰქონდა შეტანილი, შემდეგ ეს ფული დაეკარგა.

35. ზაქარია ტოგონიძე პატარა ტანის კაცი იყო. მესტვირეობა ისწავლა ვანია ტოგონიძისაგან, უფრო მეტად კიკო ტოგონიძესთან დადიოდა სამეგრელო-აფხაზეთში. ყავდა ცოლ-შვილი, მერე მიანება მესტვირეობას თავი. მოკვდა თბილისში.

36. პავლე ტოგონიძე მესტვირეობა ისწავლა ვანია ტოგონიძისაგან, რომ მიებარა 13 წლის იყო. შევირდათ ორ წელს იყო. უფრო მეტად ქართლ-კახეთში დადიოდა მებურეც იყო, პურს აცხობდა თელავში. ჩემზე უფროსი იყო სამი წლით, დადიოდა ჩემთან, ლუკა ტოგონიძესთან, სოფრომ ტოგონიძესთან, კიკო ტოგონიძესთან, მერე მიატოვა მესტვი-

რობა, თელავში პურის დუქანი გააღო, ხანდახან მაშინაც დადიოდა სტვირით. ბევრი ლექსი და სტვირის კარგი დაკვრა იცოდა. სტვირი გორში ქონდა ნაყილი. მასთან ერთად ვიყავი ლომისში და თელავში. მომლხენი კაცი იყო, ფარახეთში გარდაიცვალა.



ზაქარია ერაძის ზემომოყვანილ ცნობებს ავსებს ფარახეთში მცხოვრები, 80 წლის, წ/კ. მცირემცოდნე, უფლისა დიმიტრის-ძე ერაძე, რომელსაც ბავშვობისას მესტვირეობისადმი დიდი მისწრაფება ჰქონია, რამდენიმე წელს უვლია მესტვირესთან შევირდად, მაგრამ ერთხელ გურიაში მისი ოსტატი გაულახავთ. ამის შემდეგ შესძულებია ეს ხელობა. უფლისა ერაძე გადმოგვცემს:

37. ფ ა რ ა ხ ე თ ე ლ ი მ ე ს ტ ვ ი რ ე ე ბ ი : პ ე ტ რ ი ა ბ უ რ დ ი ლ ა ძ ე , ა ნ დ რ ი ა ბ უ რ დ ი ლ ა ძ ე , ს ე ს ი კ ა ბ უ რ დ ი ლ ა ძ ე , ზ ა ქ ა რ ი ა ბ უ რ დ ი ლ ა ძ ე გადასახლებულან ოსეთში, — სალიგვერდაში, მაშინ ჩვენთან შიმშილობა ყოფილიყო. იქ ყოფილან 3-4 წელიწადს და მერე დაბრუნებულან თავიანთ სახლში. ოსური კარგად შეუსწავლიათ, ცოლ-შვილიც თან ჰყოლიათ. სანამ ოსეთში წავიდოდნენ მესტვირეები იყვნენ. სტვირი, რა თქმა უნდა, თან ჰქონდათ. ოსეთში ისინი მესტვირეობით ინახავდნენ ოჯახს. ჯერ ქართულად უკრავდნენ, როცა ოსური ენა ისწავლეს — ოსურად უკრავდნენ და ამღერებდნენ.

38. კ ი კ ო ე რ ა ძ ე კარგი მესტვირე იყო. იცვამდა ჩოხას, ატარებდა ხანჯალს. ყავდა ცოლ-შვილი, ცხოვრობდა ფარახეთში, ოჯახი ძალიან უყვარდა, ხანდახან მიკიტნობდა იმერეთსა და ქიათურაში, მესტვირეობა პატარობიდან დაიწყო, შევირდად იყო სესიკა ბურდილაძესთან. ორი წელიწადი მასთან დადიოდა. სესიკა მას ტანისამოსის ფულს აძლევდა, წელიწადში ხუთ თუმანს. შევირდობის ვადა ორი წელიწადი

იყო. შემდეგ, მესტივირობა რომ ისწავლა, ამხანაგად ოქრუა  
ერაძესთან დადიოდა. 60 წლის გარდაიცვალა.

39. ოქრუა ერაძე რომ გავიციანი, სამოცი წლის იქ-  
ნებოდა, მე კი 20 წლის, მასთან ერთად ვიყავი გურიიში, სა-  
მეგრელოში და ქართლში, სტვირი ქართლში ჰქონდა ნაყიდი.  
ჰყავდა ცოლ-შვილი, კვამლიანი შუა ცეცხლის სახლი ჰქონდა,  
აგრეთვე სათიბი, ვენახი, თვითონ მუშაობდა, სტვირზე ზამ-  
თრობით დადიოდა. 60 წლის გარდაიცვალა. ოქრუას მესტივი-  
რობა ანდრია ბურდილაძემ ასწავლა. ოქრუა ქალების მოყვა-  
რული იყო. ღვინო უყვარდა.

40. ბათლომე ერაძე ძმა იყო ოქრუასი, ხანჯალს  
მუდამ ატარებდა. მესტივირობა ძმისაგან შეისწავლა. ცხოვ-  
რობდა ძმასთან (ოქრუასთან), არ გაყოფილან. ჰყავდა ცოლ-  
შვილი, მომლხენი კაცი იყო. ვენახი, სახნავე-სათიბი ცოტა  
ჰქონდა, ზაფხულობით მიწას ამუშავებდა, ხან პურს აცხო-  
ბდა თბილისში, უფრო მეტად, თელავში.

41. შინაბურდილაძე რომ გავიციანი, ის იქნებოდა  
65 წლის, მე კი 20 წლის. იმასაც კახური ქუდი ეხურა, ჰქონდა  
ნაბადი. ყველა მესტივირე ატარებდა ნაბადს, წვერს არ იჩერებ-  
და, ხანჯალს მუდამ ატარებდა, რადგან შორს დადიოდა. სახლ-  
კარი ჰქონდა. ზაფხულობით სახლში მუშაობდა, სამესტივირე-  
ოდ ზამთრობით დადიოდა. მოქეიფე არ ყოფილა, რომ მოკვდა  
80 წლის იქნებოდა.

42. ნესტორ ბურდილაძესთან ვიყავი იმერეთ-  
ში, ერთხელ კინაღამ მოკლეს. საჩხერეში დღეობა იცოდნენ—  
ოქონობა, იქ ვიყავით მე და ნესტორი, შეგვხვდა მთვრალი კა-  
ცი. სხვამ დააკვრევიანა ნესტორს სტვირი. იმ მთვრალმა  
თქვა: მესტივირე რათ მინდაო, ამოიღო ხანჯალი და უნდა ჩა-  
ეკრა ნესტორისათვის მუცელში, მაგრამ დააკავეს.

ნესტორს კარგი ოჯახი ჰქონდა, სამი შვილი ყავდა, ორი  
ქალი და ერთი ვაჟი. მან თბილისში იყიდა სახლი და იქ დაიწ-  
ყო ცხოვრება. ცოლ-შვილიც იქ წაიყვანა, იქაც მესტივირო-

ბას მისდევდა. ფარახეთში ადგილ-მამული ძმებს დაუტოვა. ნესტორი თბილისში გარდაიცვალა.

43. ნ ა ნ ი ა ტ ო გ ო ნ ი ძ ე იქნებოდა 80 წლის, რომ გავიცანი, მე მაშინ 55 წლის ვიყავი. ცხოვრობდა ფარახეთში, გრძელ წვერა კაცი იყო, კახური ქუდი ეხურა, ჩოხაახალუხი ეცვა. მესტვირეობა ჩვენთან შეისწავლა. მესტვირეობა რომ დაიწყო 15—16 წლის იყო. ზაფხულობით მუშაობდა, ზამთრობით დადიოდა სტვირით. ზაფხულობით, ხანდახან, დღეობებში თუ წავიდოდა. პურ-მარილიანი კაცი იყო. ღვინო ძალიან უყვარდა: ჩვენ სოფელში ქორწილში პატიუბდნენ, კარგი მაყარი იყო. მაშინ სტვირი არ ქონდა, სიმღერით მიდიოდნენ მაყრები. ბევრი ლექსი იცოდა. გარდაიცვალა აქ—ფარახეთში, 15 წლის წინათ.

44. ს ე ს ი კ ა ტ ო გ ო ნ ი ძ ე რომ გავიცანი, 20 წლის ვიქნებოდი, ის იქნებოდა 70 წლის, ცხოვრობდა ფარახეთში, აქვე ისწავლა მესტვირეობა. ნაყმევი იყო. მესტვირეებს ყველას ყავდა ბატონი, მაგრამ სესიკა შინაყმათ არ ყოფილა. ოჯახიდან შინაყმათ ერთი უნდა ყოფილიყო, სესიკას მამა ყოფილა ბატონის შინაყმა. სოფელს დიდათ არ უყვარდა, ავიკაცი იყო, მულამ ჭიჭყინებდა, პატარა საქმეზე წაეჩხუბებოდა მეზობელს. სამესტვირეოდ ყველგან დადიოდა. ხან ნანიასთან დადიოდა, ხან სვიმონასთან. სვიმონა და ის ძმები იყვნენ. ბევრი ლექსი იცოდა. მესტვირეობა თავის შვილს — კიკო ტოგონიძეს ასწავლა. 90 წლისა მოკვდა, დასაფლავებულია ფარახეთში.

45. ს ე ს ი კ ა ბ უ რ დ ი ლ ა ძ ე ც ცხოვრობდა ფარახეთში, პურადი კაცი იყო. კახური ქუდი ეხურა. ხანჯალს ატარებდა, ფეხზე ქალამანი ეცვა, წვერი მოშვებული ქონდა, იყო მოქეიფე. მეზობლებს ძალიან უყვარდა, ტკბილი კაცი იყო. სამესტვირეოდ უმთავრესად გურია-სამეგრელოში დადიოდა, ხანდიხან ქართლ-კახეთშიც, 100 წლის გარდაიცვალა.

46. ფ ი რ ა ნ ა ბ უ რ დ ი ლ ა ძ ე უმცროსი ძმა იყო სესიკასი, ძალიან ღარიბულად ცხოვრობდა, ორი ვაჟი და ერთი

ქალი ყავდა, წვერები მოშვებული ჰქონდა, ღვინო ძალიან უყვარდა, იცოდა ბევრი ლექსი. სამესტვირეოდ დადიოდა ბიძაშვილებთან, ძმებთან კი არა. უფრო მეტად იმერეთსა და ქართლში მიდიოდა. საწყლად ცხოვრობდა. სტვირის ნაშოვნი ფულით ინახავდა ცოლ-შვილს, სხვა შემოსავალი არ ჰქონდა. 70 წლის მოკვდა. ღარიბულად დაასაფლავეს ფარახეთში.

47. ს ტ ე ფ ა ნ ე ე რ ა ძ ე ბიჭიას ბიძა იყო. მესტვირეებში ყველაზე უკეთესი გამომთქმელი იყო, სტვირის დაკვრავშიც უკეთესი იყო. უყვარდა ძმა-ბიჭები, მესტვირეობა სესიკა ბურდილაძისაგან ისწავლა. ყავდა ორი ქალიშვილი. ჰქონდა პატარა სახლი, სახნავ-სათიბი ცოტა ჰქონდა, ცხენი, ძროხა და ხარი არ ყოლია. დადიოდა ყველგან, იცოდა რუსული, აფხაზური და სომხური ენები.

48. ს ვ ი მ ო ნ ტ ო გ ო ნ ი ძ ე კარგი მესტვირე იყო, დიდ ფულს შოულობდა და ბევრ მამულს ყიდულობდა. ის სუყველგან დადიოდა, ნაბდის კახური ქუდი ეხურა. ყველა მესტვირეს კახური ქუდი ეხურა, „მოდა“ იყო. კარგი ოდა სახლი გაიკეთა. იმაზე უმალ ოდა ჩვენში არავის გაუკეთებია, საბძელი, ბოსელი, მარანი, სასიმინდე, ვენახი, კურები, სათიბ-სახნავი და სხვა ბევრი რამ ჰქონდა, ერთი კაცის პირობაზე ვერავინ ჯობდა. ყველაფერი მესტვირეობით შეიძინა. მოქეიფე არ ყოფილა, როგორც სხვა მესტვირეები. მუყაითი კაცი იყო. უნდოდა ყველასათვის ეჯობნა ცხოვრებაში, გარდაიცვალა 70 წლის.

49. პ ე ტ რ ე ბ უ რ დ ი ლ ა ძ ე მ მესტვირეობა ახალგაზრდობიდანვე დაიწყო, ერთხანს ცხოვრობდა ვალაგირში (ოსეთში). იცოდა ოსური ენა, შეეძლო ოსურად ემღერა სტვირზე. დადიოდა ქართლში, კახეთში, სამეგრელოში, გურიისში. ჰყავდა სამი ვაჟი და ერთი ქალი. სტვირზე ზამთრობით დადიოდა, 60 წლის გარდაიცვალა.

50. ბ ე ე ა ნ ბ უ რ დ ი ლ ა ძ ე პეტრეს უმცროსი ძმა იყო, ცალკე ჰქონდა სახლ-კარი, ჰყავდა ორი უღელი ხარი, ორი



ძროხა, ცხვრები; სათიბ-სახნავი ბლომათ ჰქონდა. ყველაფერს თვითონ უვლიდა. სამესტვირეოდ ზამთარში დადიოდა, ზაფხულში მაშინ წავილოდა, თუ კი სადმე კარგი დღეობა იქნებოდა. უყვარდა ქეიფი, მეგობრები და ამხანაგები, რომ გარდაცვალა 65 წლის იქნებოდა. დასაფლავებულია ფარახეთში.

51. პ ა ვ ლ ე ტ ო გ ო ნ ი ძ ე უფრო ხშირად ქართლსა და კახეთში დადიოდა, ხან პურს აცხობდა თელავში. დუქანიც ჰქონდა ეზოში, ყიდდა ნავთს, ასანთს, საპონს, მარილს. ესენი მოქონდა ქუთაისიდან, იქ დიდი ვაჭრებისაგან ყიდულობდა, თან ვაჭრობდა, თან მესტვირეობას ეწეოდა. ვენახი 2000 ძირი ექნებოდა, სახნავ-სათიბი ბევრი ჰქონდა, ორი უღელი ხარკი და 3 ძროხა ჰყავდა, თვითონ მუშაობდა მამულში, ძმებიც ეხმარებოდნენ, მისი ცხოვრება ძმებს დარჩათ, პავლემ იცოდა ბევრი ლექსი.

52. ვ ა ნ ი ა ტ ო გ ო ნ ი ძ ე პავლეს ბიძა იყო. მესტვირეობა ისწავლა სვიმონ ტოგონიძესაგან, შეგირდად ერთ წელს იყო. ყავდა ხარები, ცხენი, ძროხა, ჰქონდა სახლ-კარი, ვენახი. სახნავ-სათიბი, ოჯახს თვითონ უვლიდა, მოქეიფე არ ყოფილა სხვებივით.

---

## ბოლოსიტუაცია

მდიდარი ქართული ზეპირსიტყვიერების ერთ-ერთ მნიშვნელოვან უბანს ქართული მესტვირული პოეზია წარმოადგენს. ეს შრომა ამ პოეზიის მონოგრაფიული შესწავლის პირველი ცდაა. საჭირო მასალებს 1945 წლიდან ვაგროვებდით საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. განსაკუთრებით ნაყოფიერი აღმოჩნდა სამეცნიერო მივლინებები რაჭაში, ქართლ-კახეთსა და იმერეთში. შრომა მთლიანი სახით დაიწერა 1949 წელს, ხოლო შემდეგში შეტანილი იქნა ზოგიერთი ცვლილება იმ მასალების საფუძველზე, რაც ამ ხნის განმავლობაში მოიპოვა ქართულმა ფოლკლორისტიკამ.

შრომაში ხშირად მივმართავთ საილუსტრაციო ტექსტებს, რადგან ასეთი ხასიათის მასალების უმეტესი ნაწილი დღემდე გამოუქვეყნებელია.

ვფიქრობთ, ეს შრომა ერთგვარ დახმარებას გაუწევს ქართული მუსიკალური და სიტყვიერი ფოლკლორის მკვლევარს.

ბოლოს, საციამოვნო მოვალეობად მიგვაჩნია მადლობა მოვახსენოთ ამ შრომის პირველ რეცენზენტებს აკად. კ. კეკელიძესა და პროფ. მიხ. ჩიქოვანს საყურადღებო შენიშვნებისა და სათანადო რჩევა-დარიგებისათვის.

აბ. ცანავა

15. II. 1953 წ.

თბილისი

## შ ი ნ ა ა რ ხ ი

თ ა ვ ი I. ცნობები სტვირისა და მესტვირის შესახებ .	83- 3
თ ა ვ ი II. მესტვირული პოეზიის ტრადიცია საქართველოში	41
1. მესტვირული პოეზიის გავრცელების არე	41
2. ოსტატ შეგირდობა	49
3. მესტვირეთა პროფესიულობა	58
4. მესტვირეების მონაწილეობა საწესჩვეულებო დღესასწაუ- ლებს და სახალხო დღეობებში	69
თ ა ვ ი III. მესტვირული პოეზიის თემატიკა	91
1. საგმირო პატრიოტული თემატიკა	92
2. კლასთა ბრძოლის ასახვა	102
3. საყოფაცხოვრებო ლექსები	108
4. სასულიერო ლექსები	129
5. სასიმღერო შაირები	144
6. საბჭოთა თემატიკა მესტვირულ პოეზიაში	151
თ ა ვ ი IV. არსენას ლექსი	156
1. არსენას ლექსის შედგენილობა	157
2. არსენას მხატვრული სახე	165
3. „არსენას ლექსის“ გავლენა ფირალის ეპოსზე	174
თ ა ვ ი V. მესტვირული პოეზიის პოეტიკის საკითხები	178
დ ა მ ა ტ ე ბ ა	187
1. ქართველი მესტვირეების სია	189
2. მესტვირე ზაქარია კიკოს-ძე ერაძე	195
3. ბოლოსიტყვაობა	223

რედაქტორი პროფ. მ. ჩიქოვანი  
ტექნორედაქტორი თ. შამგორია  
კორექტორი თ. ხვინტიძე  
ყდა მხატვარ ჯ. ვახაძისა

---

№00717.

შევ. № 1594.

ტირაჟი 3000.

გადაეცა წარმოებას 18/VI 53 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 23/II 54 წ..  
ანაწკობის ზომა 5.5×8.5, ქალაღის ზომა 54×84, სასტამბო ფორმათა  
რაოდენობა 14.

---

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს პოლიგრაფიული მრეწველობის,  
გამომცემლობებისა და წიგნით ვაჭრობის საქმეთა მთავარი სამმართველოს  
სტამბა № 2, თბილისი, ფურცელაძის ქ. № 5

---

Типография № 2 Главного Управления по делам полиграфической  
промышленности, издательств и книжной торговли Министерств  
культуры Грузинской ССР. Тбилиси, ул. Пурцеладзе, № 5.